

საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის  
გამოცემის – «ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში» დამატება

GEORGIAN NATIONAL MUSEUM  
Of Otar Lordkifanidze Centre of Archaeology  
Supplement to Dzebani – Researches On The Archaeology of Georgia.



# იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის  
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

## IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia  
in the Classical and Early Medieval Period

# 5

თბილისი 2009 Tbilisi

ISSN 1512.4207

UDC 94(479.22)+902. ი-315

*მთ. რედაქტორი: გელა გამყრელიძე*

*სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:*

**ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი,  
დარეჯან კაჭარავა, გურამ კვირკველია,  
დავით მინდორაშვილი, თემურ თოდუა,  
გოდერძი ნარიმანიშვილი, ვახტანგ შატბერაშვილი,  
მაია ჩარკვიანი**

**Editor-in-Chief: Prof., Dr. Hist. Sc. Gela Gamkrelidze**

**Editorial & Reviewers Board:**

*Dr. Ph. Z. Bragvadze, Dr. Prof. D. Braund (UK),  
Dr. Prof. D.Kacharava, Dr. Prof. G. Kvirvelia,  
Dr. D. Mindorashvili, Dr. Prof. T. Todua,  
Dr. Hist. Sc. G. Narimanishvili, Dr. Ph. V. Shatberashvili,  
Dr. Ph. M. Charkviani*

**Address:** Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

14, D. Uznadze str. Tbilisi, 0102

**Georgia**

e-mail: iberiacolchis@yahoo.com

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2009

## შინაარსი CONTENTS

<b>ზურაბ ბრაგვაძე</b> , არქეოლოგიური გათხრები სოფელ ღვანკითში .....5 <i>(Z. Bragvadze, Archaeological Excavations in the Village Gvankiti)</i>	5
<b>იულონ გაგოშიძე</b> , საქართველო და “ბერძნულ-სპარსული” გემები ..... 14 <i>(I. Gagoshidze, Georgia and “Greco-Persian” Gems)</i>	14
<b>ირმა ბერძენიშვილი</b> , სოხუმის ადრექრისტიანულ ტაძართა შესახებ.....20 <i>(I. Berdzenishvili, About Early Christian Temples in Sokhumi)</i>	20
<b>ირინე დემეტრაძე</b> , ბერძნული იმპორტული კერამიკა აწყურიდან ..... 25 <i>(I. Demetradze, Greek Pottery Wares from Atsquri)</i>	25
<b>რევაზ კვირკვაია</b> , მესხეთ-ჯავახეთის პრეისტორიული და კლასიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების რუკა .....31 <i>(R. Kvirkvaia, The Map of Prehistoric and Classical Archaeological Sites of Meskhet – Javakheti)</i>	31
<b>ნინო მინდაძე</b> , სამედიცინო ანთროპოლოგიური კვლევის პერსპექტივა ძველი კოლხეთის მაგალითზე .....41 <i>(N. Mindadze, The Perspective of Medical- Anthropological Researches by the Example of Ancient Colchis)</i>	41
<b>ვაჟა სადრაძე</b> , ურეკის გვიანანტიკური ხანის ძეგლები .....50 <i>(V. Sadradze, The Archaeological Sites of Roman (Late Classical) Period from Ureki)</i>	50
<b>მედეა შეროზია</b> , ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბაძების შესახებ ...61 <i>(M. Sherozia, About the Denarius of the Emperor Augustus and it’s Local Imitations)</i>	61
<b>მერაბ ძნელაძე, თამარ ხოხობაშვილი</b> , კვერიანი სამარხი აბულმუგიდან ..... 72 <i>(M. Dzneladze, Tamar Khokhobashvili, The Grave With The Threshing Board from Abulmugi).</i>	72
<b>ნუცა ყიფიანი</b> , წითელფიგურული სკიფოსები ვანის ნაქალაქარიდან ..... 80 <i>(N. Kipiani, Red-figure Skyphoi from Vani City-site)</i>	80
<b>ქეთევან ჯავახიშვილი</b> , საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური საბეჭდავები .....85 <i>(K. Javakhishvili, Achaemenid Seals from Georgia)</i>	85
<b>გოდერძი ნარიმანიშვილი</b> , დარაქოის ნამოსახლარი და სამხრეთ კავკასიის აქემენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ..... 94 <i>(G. Narimanishvili, Daraqoi Settlement and Some Patterns of History of Achaemenid Epoch Transcaucasus)</i>	94

### PAPERS IN ENGLISH

<b>Otar Lordkipanidze †</b> , Georgian Civilization: Whence Does Its History Start?..... 126	126
<b>David Braund</b> , Leukothea, the “Nereid” from Zghuderi..... 134	134
<b>Mariam Gvelesiani</b> , King Parnavaz and the Cult of Armazi..... 143	143
<b>Vakhtang Nikolaishvili</b> , The Archaeological Context of the Hebrew Inscriptions Discovered in Eastern Georgia .....153	153
<b>Natela Jabua</b> , On Architectural Potential of Pre-Christian Georgia..... 159	159

<b>Vera Chikhladze, Musical Instruments – Cymbals from Archaeological Material of the First-Fourth centuries .....</b>	<b>167</b>
<b>Gela Gamkrelidze, The Land of Colchis and the City of Phasis (Towards a Historico-Archaeological Study of Western Georgia in the Classical Period) .....</b>	<b>175</b>
<b>Gela Gamkrelidze, On the Evolution of the <i>Colchian Amphorae</i> (the 4<sup>th</sup> cent. BC to the 3<sup>rd</sup> cent. AD).....</b>	<b>193</b>
<b>Gela Gamkrelidze, Two Silver Rhytons from West Georgia – <i>Colchis (Mtisdziri and Gomi)</i> .....</b>	<b>204</b>
 <b>SUMMARIES for Georgian Papers in English.....</b>	 <b>215</b>
 <b>შემოკლებათა განმარტება .....</b>	 <b>223</b>
<b>ABBREVIATIONS</b>	
 <b>ავტორთა საყურადღებოდ .....</b>	 <b>224</b>

## ზურაბ ბრავაძე

### არქეოლოგიური გათხრები სოფელ ღვანკითში

ბაქო-სუფსის ნავთობსადენის 260-ე კმ-ზე, თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითში, ადგილ “დედა ღვთისაზე” გამოვლინდა ნაგებობის ნაშთები, რომელიც იმთავითვე მიჩნეული იქნა დარბაზულ ეკლესიად და მისი აგების თარიღად ადრეული შუა საუკუნეები განისაზღვრა.

ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრმა დაიწყო ამ ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა (ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ზ. ბრავაძე (ხელმძღვანელი), ნ. კაპანაძე, მ. ჩარკვიანი, თ. ჭანიშვილი, გ. გაგოშიძე(არქიტექტორი).

ძირითადი სამუშაოები წარიმართა ნაგებობის შიდა და გარე კედლების გამოსავლენად, რისთვისაც გაიჭრა მართკუთხედის ფორმის თხრილი, რომლის სიგრძე იყო 14 მეტრი, სიგანე 10 მეტრი, სიმაღლე 1 მეტრი. მთლიანობაში თხრილის ფართობმა შეადგინა 140 მ<sup>2</sup> არქეოლოგიურმა თხრილმა შემდეგი სტრატოგრაფიული სურათი მოგვცა: გამოვლინდა ორი კულტურული ფენა (ტაბ. I,2). დადგინდა, რომ ნაგებობას ჩაჭრილი ჰქონდა II ფენა (ტაბ. I,2), რომელიც ფიქსირდებოდა ნაგებობის ჩრდილოეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლებთან და სწორედ აღნიშნული კედლების მიერ ის იყო ჩაჭრილი, ხოლო ნაგებობის შიდა სივრცეში — განადგურებულიც კი (ტაბ. I,1). რაც შეეხება I კულტურულ ფენას, გაირკვა, რომ ეს ფენა არ იყო ჩაჭრილი და შემორჩენილი იყო მხოლოდ ნაგებობის ზედა დონეზე. ჩრდილოეთ კედელთან გაკეთებული სტრატოგრაფიული ჭრილის მიხედვით, I ფენა სიმაღლეში აღწევდა 35-40 სმ-ს, II ფენის სიმაღლე კი 40-50 სმ-ს და განფენილი იყო ნაგებობის კედლის გასწვრივ. I ფენა მონითალო ფერის მინით ხასიათდებოდა. II ფენისთვის დამახასიათებელი იყო მოშაო ფერის, ბათქაშნარევი მინა. I და II ფენა ერთმანეთისგან იმიჯნებოდა დაახლოებით 20-25 სმ-ის სისქის სტერილური შრით (ტაბ. I,2). ანალოგიური განფენილობა ახასიათებდა II

ფენას სამხრეთ კედელთანაც. აქ მისი სიმაღლე 70 სმ-ს აღწევდა და ვრცელდებოდა 3 მ-ის სიგრძეზე სამხრეთი კედლის გასწვრივ, აღმოსავლეთის კედელთან II ფენა შემორჩენილი იყო 20 სმ-ის სიმაღლეზე. როგორც უკვე აღინიშნა, ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის გარდა I ფენა არსად არ დაფიქსირდა, ხოლო ნაგებობის დასავლეთ კედელთან არც ერთი ფენა არ გამოვლენილა.

სტრატოგრაფიული ვითარების დადგენისთანავე ნათელი გახდა, რომ I კულტურული ფენა კავშირში უნდა ყოფილიყო ნაგებობასთან და ეს დადასტურდა კიდევ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალისა და ნაგებობის სრული განმენდის შემდეგ.

ნაგებობის შემორჩენილი სიმაღლე 1 მ-ს აღწევდა (ტაბ. I,1). ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების სიგრძე 10,50 მ. იყო, ხოლო კედლების სისქე 1,30 მ. აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების სიგრძე შეადგენდა 6,20 მ-ს, ხოლო სისქე — 1,30 მ—ს (ტაბ. I, 1). აქვე შევნიშნავთ, რომ დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი მხარე შემორჩენილი იყო უაღრესად დაზიანებული სახით. საქმე ისაა, რომ XX საუკუნის 60—იან წლებში მაღალი ძაბვის ხაზების გაყვანის დროს ამ ადგილას მოუთხრიათ ძელქვის ხე, რომლის ფესვებიც აღნიშნულ კედლებს ფარავდა. სწორედ მაშინ გამოჩენილა ამ კედლების კონტურები და იმ იმედით, რომ რაღაც განძს იპოვიდნენ, ეს მონაკვეთი აუფეთქებიათ, რამაც საგრძნობლად დააზიანა ძეგლი. ამ ბარბაროსული ქმედების კვალი ჩვენს მიერაც იქნა დადასტურებული, როდესაც თხრილის დასავლეთ ნაწილში დავაფიქსირეთ აფეთქებული კედლის ნანგრევები.

ნაგებობის შიდა სიგრძე 8,25 მ იყო, სიგანე — 3,70 მ. ასე რომ, შიდა ფართობის მოცულობა 30,5 მ<sup>2</sup> შეადგენდა (ტაბ. I,1). ჩატარებულმა სამუშაოებმა საშუალება მოგვცა დაგვეკონკრეტებინა როგორც ნაგებობასთან დაკავშირებული ნიუანსები, ასევე მისი ქრონოლოგიის საკითხი. დაწვრილებითი საველე-არქეო-

ლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქმე გვაქვს დაუმთავრებელ, უფრო სწორედ აუშენებელ დარბაზულ ეკლესიასთან. შეიძლება ითქვას, რომ აღმოჩენილია ეკლესიის საძირკველი, რომელიც ნაგებია რიყის ქვითა და კირხსნარით. მშენებლობის ტექნიკა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გაიჭრა 1,30 მ-ის სიგანის საძირკველი და ერთმანეთის მიყოლებით მოხდა რიყის ქვებისა და კირხსნარის ჩასხმა. ოთხივე კედლის სისქე სწორედ 1,30 მ იყო და არცერთ მათგანთან არ დაფიქსირებულა სამშენებლო ნაგავი და ბათქაშის ჩამონაყარი. ამ რეალობის უარყოფა პრინციპულად შეუძლებელია, რადგან ოთხივე მხარეს თხრილი გაიჭრა კედლებიდან 3 მ-ის დაშორებით და არცერთი ზედმეტი ქვა, ან რაიმე სხვა არტეფაქტი არ დადასტურებულა. ნაგებობის საძირკველი ამოყვანილია 1 მ-ის სიმაღლეზე და მიწის ზედაპირთან მოსწორებულია ბრტყელი ნახევრად გათლილი ფილებით, რომლებიც კარგად იყო შემორჩენილი სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებზე (ტაბ. I,1). საძირკველის ამოყვანისა და ნახევრად გათლილი ფილებით ნიველირების ზუსტად ანალოგიური მეთოდი გამოყენებული ბაგრატის ტაძართან გათხრილ V—VI საუკუნეების ბაზილიკაშიც [ლანჩავა ო. 1996:137-141]. როგორც ჩანს, ადრეული შუა საუკუნეების იმერეთში მშენებლობის ეს ტექნიკა გავრცელებული და პოპულარული იყო.

ღვანკითის “დედა ღვთისაზე” გამოვლენილი ნაგებობა რომ დარბაზული ტიპის ეკლესიად შენდებოდა, ამაზე მეტყველებს მისი ფორმა, ზომები და ორიენტირება. ნაგებობა დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრით. აღმოსავლეთით ფიქსირდება ნახევრადწრიული აფსიდა (ტაბ. I,1), რომელიც მართალია, კარგად გამოკვეთილი არ არის, მაგრამ ეს ვითარებაც გასაგებია, რადგან ზედა კედლები აუშენებელია და სწორედ ამ მიზეზის გამო არა აქვს მას აფსიდისთვის დამახასიათებელი კლასიკური ფორმა. თუმცა, ნაგებობის აღმოსავლეთი კედელი აშკარად აფსიდის ამოსაყვანად არის მომრგვალებული.

ღვანკითში აღმოჩენილი ეკლესია ყველაზე ახლო ანალოგებს ნოქალაქევი მიკვლეულ

მცირე ზომის დარბაზულ ეკლესიასთან იჩენს. მსგავსია როგორც დაგეგმარება, ასევე ზომებიც [ზაქარაია პ. 1987:58-59]. დაგეგმარების მხრივ იგი ასევე უახლოვდება ნოქალაქევი-ვე გათხრილ ადრეულ ბაზილიკას [კაპანაძე თ. 1987:ტაბ. XXV]. ნოქალაქევის დარბაზული ეკლესიისა და ადრეული (პირველი) ბაზილიკის თარიღი V საუკუნით განისაზღვრება [კაპანაძე თ. 1987:102]. V-VI საუკუნით თარიღდება სეფიეთის ტაძარი, რომელსაც ვ. ლექვინაძე იუსტინიანე I ეპოქის ნაგებობად მიიჩნევს [Леквинадзе В. 1963:179]. V-VI საუკუნით თარიღდება ბიჭვინთის ეკლესიები [ციციშვილი ი. 1977:101]. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ციხისძირის ეკლესიაც [Леквинадзе В. 1963:169]. უკვე ვახსენეთ ქუთაისის ადრეული, V-VI საუკუნეების ბაზილიკაც [ლანჩავა ო. 1996:137]. საკუთრივ იმერეთში V საუკუნის დარბაზულ ეკლესიად არის მიჩნეული კაცხის სვეტზე არსებული ნაგებობა [ცინცაძე ვ. 1964:16]. ჩვენი აზრით, სწორედ დასავლეთ საქართველოს ამ ადრეულ ეკლესიებს შორის ეძებნება ადგილი ღვანკითის ეკლესიასაც და მისი თარიღი VI საუკუნის 20—იან წლებს არ უნდა სცილდებოდეს. მიგვაჩნია, რომ ამ ძეგლის თარიღი პირდაპირ უკავშირდება VI საუკუნის 20—იანი წლების დასავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და სწორედ ამ ისტორიულ პროცესში უნდა ვეძებოთ პასუხი კითხვაზეც, თუ რატომ არ აშენდა ეს ეკლესია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ VI საუკუნის 20-იანი წლებიდან საკმაოდ გამწვავდა დამოკიდებულება ირანსა და ბიზანტიას შორის და ამ დაპირისპირებაში ჩართული აღმოჩნდა ორივე ქართული სამეფოც (ქართლი და ეგრისი). ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინე II ეგრისში ჯარები შეიყვანა და ქართლის მოსაზღვრე ციხეებში, შორაპანსა და სკანდაში, ჩააყენა. პროკოპი კესარიელის გადმოცემით, ამ ციხეების დაცვა ოდითგანვე ადგილობრივი მოსახლეობის საზრუნავად ითვლებოდა და კეისრის ამ ნაბიჯმა ისინი გაანაწყენა. თუმცა, მეტი გზა არ იყო და ამ კუთხის მოსახლეობაც შეეგუა შექმნილ ვითარებას და მეტიც, მათვე იკისრეს ბიზანტიელთა ჯარის მომარაგება სურსათით. ასე გრძელდებოდა ერთხანს, მაგრამ ეგრი-

სელებს მობეზრდათ გარნიზონების შენახვა და ასეთ სამსახურზე ხელი აიღეს. სანოვაგის გარეშე დარჩენილმა ბიზანტიელთა ჯარმა კი ციხეები დატოვა. ამით ისარგებლეს ირანელებმა, ქართლიდან გადმოვიდნენ, შორაპნისა და სკანდის ციხეები სრულიად უბრძოლველად დაიკავეს და შიგ საკუთარი გარნიზონები ჩააყენეს [პროკოპი კესარიელი. 1965:51]. ეს ამბავი 523 წელს მოხდა და ამ დროიდან 532 წლამდე, “საუკუნო ზავის” დადებამდე, აღმოსავლეთ ეგრისში ირანი გაბატონდა. ჩვენი აზრით, სწორედ აღნიშნულ მოვლენებს უნდა უკავშირდებოდეს ღვანკითის ეკლესიის მშენებლობის პერიპეტიებიც. მივიჩნევთ, რომ მისი აგება დაიწყო 523 წლამდე, ან ზუსტად ამ წელს და შეჩერდა ამ მხარეში ირანელების შემოსვლისთანავე. ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ირანის სამეფო კარი რელიგიურ ფაქტორს საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელების საქმეში და ამ რეალობიდან გამომდინარე სრულიად ლოგიკურია, რომ შორაპნისა და სკანდის სასიმაგრო ზოლში მდებარე ღვანკითში მათ აეკრძალათ ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა. სხვა ისტორიული ახსნა ამ ვითარებას არ გააჩნია. მართალია, 532 წლის ზავით ბიზანტიამ უკან დაიბრუნა შორაპნისა და სკანდის სანახები, მაგრამ ღვანკითის ეკლესიის მშენებლობის გაგრძელებულა და ეს ადგილი თანდათან მიწით დაიფარა. აღნიშნულის გამო ადგილობრივმა მოსახლეობამ დაივიწყა მშენებარე ეკლესია და უკვე განვითარებულ შუა საუკუნეებში (XII-XIII სს.), აქვე, ასიოდ მეტრის მოშორებით ახალი დარბაზული ეკლესია ააგო. ისტორიული პარალელების გარდა, ღვანკითის ეკლესიის შემოთავაზებულ თარიღს მხარს უჭერს I ფენის არქეოლოგიური მასალაც, რომელიც სტრატოგრაფიულად სწორედ ამ ნაგებობას უკავშირდება.

I ფენის არქეოლოგიური მონაპოვარი მართალია მრავალრიცხოვანი არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ ეგრისში ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალის საერთო სიმწირეს, მისი მეცნიერული ღირებულება მნიშვნელოვანია.

I ფენის არქეოლოგიურ მასალაში გამოიყოფა კერამიკული ნაწარმის ორი პირობითი

ჯგუფი. ესაა უხეში, ცუდად განლექილი და ქარსმინარევიანი თიხისგან დამზადებული ჭურჭლები და მოჩალისფროდ და მოწითალოდ გამომწვარი, თხელკეციანი, კარგად განლექილი, სუფთა თიხისგან დამზადებული ეგზემპლარები. ორივე პირობითი ჯგუფის სამეთუნეო ნაწარმი მხოლოდ სამეურნეო და სუფრის ჭურჭლებითაა წარმოდგენილი. სამეურნეო დანიშნულების კერამიკიდან გამოიყოფა ქვევრი, რომელიც წარმოდგენილია სქელკეციანი, მოწითალო—მოაგურისფრო, რელიეფურღარიანი გვერდის ფრაგმენტით (ტაბ. II). ღვანკითში მოპოვებული ქვევრის ფრაგმენტი მიეკუთვნება იმ ტიპს, რომელსაც გ. ლომთათიძე გარედან ნიბოშემოვლულ ქვევრების ჯგუფში აერთიანებდა [ლომთათიძე გ. 1955:175]. რ. რამიშვილის ვარაუდით, გარედან ნიბო ჭურჭლებს უკეთებოდა პრაქტიკული დანიშნულების მიზნით, რათა მტკიცედ ყოფილიყო მიწაში ჩადგმული, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ქვევრების ჩაკირვა [რამიშვილი რ. 1983:16]. ღვანკითის ქვევრის ანალოგები მრავლადაა გამოვლენილი საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. ისინი ნაპოვნია ქუთაისში [ლანჩავა ომ. 1996:159], ვარდციხეში [ჯაფარიძე ვ. 1989:67-68], ნოქალაქევი [ზაქარაია პ. და სხვ. 1977:105], რუსთავში [ლომთათიძე გ. 1955:174-175], ურბნისში [ჭილაშვილი ლ. 1964:75], ახალ ჟინვალში [რამიშვილი რ. 1983:116] და ყველგან V—VIII საუკუნეებით თარიღდება. ყველაზე ახლო ანალოგებს ღვანკითური ცალი იჩენს საირხის მარნიგორის ბორცვზე [ბრაგვაძე ზ., გაგოშიძე გ. 2002:143-147], სტირფაზსა [Texov B. 1985:71] და ახალ ჟინვალში [რამიშვილი რ. 1983:116] გამოვლენილ ნიმუშებთან, რომლებიც დათარიღებულია IV—VI საუკუნეებით. ვფიქრობთ, სწორედ ამავე პერიოდით უნდა განისაზღვროს ღვანკითში აღმოჩენილი ქვევრის ასაკიც.

სასუფრე ჭურჭლები მხოლოდ ხელადების პირებითა და ძირების ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. როგორც აღინიშნა, მათ შორის გამოიყოფა თხელკეციანი, მოწითალო და მოჩალისფრო და შედარებით უხეში თიხისგან დამზადებული ეგზემპლარები. მათგან

ყურადღებას იქცევს მსხლისებურკორპუსიანი ხელადების ფრაგმენტები, რომლებიც ძირებითა და გვერდებითაა წარმოდგენილი (ტაბ. II). მათი ერთი ნაწილი მოჩალისფრო, ხოლო მეორე ნაწილი მონითალო კეცით ხასიათდება. ამ ჭურჭლების ფორმები სათავეს იღებს გვიანანტიკური ხანიდან და წამყვანი ფორმაა IV-VI საუკუნეების იმერეთის, განსაკუთრებით ზემო იმერეთის არქეოლოგიური ძეგლებისათვის. ამ ნიმუშების პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისინი მოიპოვება როგორც სამარხებში, ასევე ნამოსახლარ ფენებშიც. ამ სახის კერამიკა მრავლად მოიპოვება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. მსხლისებურკორპუსიანი დოქები და ხელადები აღმოჩენილია: რუსთავში [ლომთათიძე გ. 1955:182-183], მცხეთაში [უგრელიძე ნ. 1987:57-58], ურბნისში [ჭილაშვილი ლ. 1964:75], ოჩამჩირეში [Качарова Д. 1973:29], ძეგრში [ფუთურიძე რ. 1959:74], ნებელდაში [Воронов Ю. и др. 1970:183], სოხუმში [Трапш М. 1974:339], სტირფაზში [Техов Б. 1985:ტაბ.49,71,78,82], გველეთის სამაროვანზე [მინდორაშვილი დ. 2005:ტაბ. XIV] და სხვ. როგორც უკვე ითქვა, მსხლისებურკორპუსიანი კერამიკის სიმრავლით ხასიათდება ღვანკითის მოსაზღვრე, ზემო იმერეთის არქეოლოგიური ძეგლები, სადაც ისინი გვხვდება მოდინახეზე [ნადირაძე ჯ. 1975:46-96], რგანის სამაროვანზე [ბრაგვაძე ზ. 2000:118-120], წინსოფლის ციხეზე, ჯიეთში (მასალები ინახება ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში) და IV-VI საუკუნეებით თარიღდება.

მსხლისებურკორპუსიანი დოქები აღმოჩენილია საქართველოს ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, ისინი მოიპოვება სომხეთში, გარნის სამაროვანზე [Хачатриан Ж. 1976:ტაბ.V] და ჩრდილოეთ კავკასიაში [Уварова П. 1900:39-46]. გარნის მსხლისებურკორპუსიანი დოქების დათარიღებისათვის უ. ხაჩატრიანი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სწორედ საქართველოში აღმოჩენილ (ურბნისი) დოქებს [Хачатриан Ж. 1976:48]. შეიძლება არც გამოირიცხებოდეს მსხლისებურკორპუსიანი კერამიკის ქართულ წარმომავლობა და მათი

ექსპორტი მეზობელ რეგიონებში (სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასია).

მ. სინაურიძე აღნიშნავდა, რომ მსხლისებურკორპუსიანი კერამიკა დამახასიათებელი მოვლენაა ადრე შუა საუკუნეების სანყისი (IV—VII) საუკუნეებისათვის [სინაურიძე მ. 1966:65]. ამ ქრონოლოგიური შკალის ზედა თარიღს ვ. ჯაფარიძის მიხედვით მიეკუთვნება ვაშნარის, ციხისძირის, ნებელდისა და ვარდციხის დოქები [ჯაფარიძე ვ. 1989:80]. ღვანკითში აღმოჩენილი მსგავსი ნიმუშები ფორმის, კეცისა და ფაქტურის მიხედვით V-VI საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს. ანალოგიური პერიოდიტვე განისაზღვრება მეორე კერამიკული ჯგუფის (შედარებით უხეში თიხისგან დამზადებული დოქების) თარიღიც. მათ შესახებ ზოგადად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დამზადებულია საკმაოდ უხეში თიხისაგან, ქარსისა და კვარცის მაღალი პროცენტული შემცველობით და ადვილად შლადია. ამ თიხის ჭურჭლების ნიშან-თვისებები ზოგადად დამახასიათებელია გვიანანტიკური-ადრე შუა საუკუნეების თუნის ნაწარმისათვის. აღნიშნულია, რომ ამ პერიოდის თიხის ჭურჭლები დამზადებულია თითქმის განუღებავი, ან ცუდად განღებულ უხეში თიხისაგან. თიხა მარცვლოვანია და ხასიათდება ქარსის მაღალი პროცენტული შემცველობით. დამაკმაყოფილებელი არ არის არც გამოწვის ტექნოლოგიური დონე. გამოწვის ხარისხი სუსტია, რის გამოც ჭურჭლები ადვილად შლადი და აღდგენის უუნაროა. თიხის ჭურჭლები ძირითადად მონითალო-მოაგურისფროა, ზოგჯერ - გამავებულიც, კეცი უმეტესწილად მოყავისფრო, ან მონითალოა და ნაწარმის უმეტესობა სკელკეციანობით ხასიათდება [ბრაგვაძე ზ. 1997:20]. ანალოგიური ნიშან-თვისებები ახასიათებს ღვანკითის I ფენის მეორე ჯგუფის თუნის ნაწარმსაც.

ამრიგად, არაერთი პარალელის გათვალისწინებით, ღვანკითის I ფენის თიხის ჭურჭლების თარიღი V-VI საუკუნეებს მოიცავს. შემოთავაზებულ თარიღს გარკვეულწილად მხარს უჭერს ამავე ფენაში აღმოჩენილი ორი არტიფაქტიც. ესენია შურდულის ქვა (ტაბ. II,8) და საბეჭდავის ნატეხი (სურ. 1). მსგავსი შურდულის ქვები საქართველოს ადრეული



შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლებიდან ჩვენთვის ცნობილია ურბნისის ნაქალაქარის ზედა ფენის მასალიდან [ჭილაშვილი ლ. 1964:ტაბ.XIV]. შურდულის ქვის აღმოჩენის ფაქტმა თავისთავად გააჩინა კითხვა, რას უნდა მიეწეროს მისი დადასტურება ღვანკითის ეკლესიასთან. კატეგორიული მსჯელობისა და შორს მიმავალი დასკვნების გამოტანისაგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. თუმცა, ერთს კი აღვნიშნავთ, რომ არ გამოვრიცხავთ რაღაც მცირე საომარ მოქმედებებს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ირანის ჯარის უტყუარ ყოფნას ამ ტერიტორიებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან აღმოჩენად გვესახება საბეჭდავის ფრაგმენტი, რომელიც დამზადებულია აგატის ქვისგან და როგორც ჩანს, ჰქონდა ელიფსური ფორმა (სურ. 1). ზუსტად ანალოგიური საბეჭდავი აღმოჩენილა ამავე სოფელში და იგი ან განსვენებულ ფილოსოფოსს, ღვანკითის მკვიდრს გივი მარუაშვილს 1956 წელს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმისთვის ჩაუბარებია. სამწუხაროდ, ნივთის აღმოჩენის ზუსტი ადგილი ჩვენთვის უცნობია. ეს ნივთი შეისწავლა მ. ნონელიამ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი წარმოადგენს სასანური ეპოქის ნიმუშს, რომლის სიუყუეტის ზუსტი ანალოგი ცნობილი არ არის და ზოგადად მიეკუთვნება V-VII საუკუნეებს [Tsotselia M. 2002:121-123]. ჩვენს მიერ აღმოჩენილ ნიმუშზე აშკარად განირჩევა წარწერის ფრაგმენტი, რომელიც, ბუნებრივია, ცალკე კვლევას საჭიროებს. ამჟამად კი შეიძლება აღინიშნოს, რომ საბეჭდავი სასანური წარმომავლობის ნივთია და იგი კიდევ უფრო ამაგრებს ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს ღვანკითის ეკლესიის მშენებლობის პერიპეტივებთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ღვანკითის I ფენის თარიღად V-VI, უფრო კი VI საუკუნის პირველ მეოთხედს მივიჩნევთ და მას ნაგებობის თანადროულად განვიხილავთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაგებობის ჩრდილოეთ კედელთან გაკეთებული სტრატეგრაფიული ჭრილის მიხედვით, II ფენის სიმაღლე კი 40-50 სმ-ს აღწევდა და განფენილი იყო კედლის გასწვრივ. იგი ხასიათებოდა მოშავო ფერის, ბათქაშებნარევი მინით და I ფენისგან იმიჯნებოდა დაახლოებით 20-25 სმ-ის სისქის სტერილური შრით (ტაბ. 1,2). არქეოლოგიური მასალა მხოლოდ თუნის ნაწარმით, სასუფრე ჭურჭლებითაა წარმოდგენილი. დასტურდება დოქები, რომლებიც შემორჩენილია პირის, ყელისა (ტაბ. III) და ქუსლიანი ძირების სახით (ტაბ. III), და ზოომორფული და სადა ყურების ფრაგმენტები (ტაბ. III). ჭურჭლები დამზადებულია მოშავო-მორუხო ფერის, განლექილი თიხისაგან, ქარსის მცირე მინარევებით. ყურის ორი ზოომორფული და ერთი სადა ფრაგმენტისთვის კი დამახასიათებელია მოაგურისფრო თიხა.

II ფენის არქეოლოგიური ნაწარმის დათარიღებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ზოომორფულ ყურებსა და ქუსლიანი დოქის ფრაგმენტებს. მსგავსი არქეოლოგიური მასალა უხვად არის გამოვლენილი დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებზე. ღვანკითის მონაპოვარი ანალოგიურია საირხის საბადურის გორა I [ნადირაძე ჯ. 1990:8-10], მოდინახე II [ნადირაძე ჯ. 1975:16-20], რვანის ნამოსახლარის [მახარაძე გ. 2000:17-31] ფენებში მიკვლეული არქეოლოგიური მასალისა. ანალოგიური თუნის ნაწარმი დიდი რაოდენობით გვხვდება კოლხეთის ცენტრალურ და ზღვისპირა ზოლშიც. შეგვეძლო დაგვესახელებინა ისეთი ცნობილი ძეგლები როგორებიცაა: მთისძირი [გამყრელიძე გ. 1982:45], ურეკი, ნიგვზიანი [მიქელაძე თ. 1985:ტაბ. XXIII—XXVI], დაბლაგომი [თოლორდავა ვ. 1977:79], ნოსირი, მუხურჩა [Гогодзе Е. 1984:52-53], ფიჩორი [Барамидзе М. 1990:237-238], ვანი [Толордава В. 1990:261], ნამჭედური [Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985:23-27] და სხვ., სადაც გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის უდიდეს ნაწილს შეადგენს სწორედ ღვანკითის II ფენისთვის დამახასიათებელი კერამიკა და ამ ძეგლების თარიღი ძვ.წ. VIII—VII საუკუნეებით განისაზღვრება. როგორც ვხედავთ, ღვანკითის II ფენის ნაწარმი საკმაოდ პოპულარულია წინარე ანტიკური ხანის კოლხეთში და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისინი კოლხური კერამიკის წამყვანი ფორმები და სახეობებია. ასე რომ, ღვანკითის აღმოჩენებმა კიდევ უფრო გაამყარა

შეხედულება ამ პერიოდის კოლხეთში ძვ.წ. VIII—VII საუკუნეების კულტურული ფენების გავრცელების ინტენსივობის შესახებ.



### ლიტერატურა:

**ბრაგვაძე ზ. 1997:** ჩხარის სამაროვანი. თბილისი.  
**ბრაგვაძე ზ. 1998:** არქეოლოგიური გათხრები ძვერსა და ღვანკითში. - შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის XVI სამეცნიერო სესია (თეზისები). თბილისი. გვ. 10-14.  
**ბრაგვაძე ზ. 2000:** რგანის სამაროვანი. - არქეოლოგიური ჟურნალი. ტ. I. თბილისი. გვ. 91-151.  
**ბრაგვაძე ზ., გაგოშიძე გ. 2002:** საირხის ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი. - არქეოლოგიური ჟურნალი. ტ. II. თბილისი. გვ. 143—147.  
**გამყრელიძე გ. 1982:** ცენტრალური კოლხეთის ნამოსახლარები (სოფ. მთისძირი). თბილისი.  
**ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ. 1977:** ნოქალაქევის ექსპედიციის 1974—1975 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში. - სსმე, ტ. V. თბილისი. გვ. 102-108.  
**ზაქარაია პ. 1987:** ნოქალაქევი 1978—1982 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. - ნოქალაქევი I. თბილისი. გვ. 49—62.  
**თოლორდავა ვ. 1977:** არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში. - ვანი III. თბილისი. გვ. 71-83.  
**კაპანაძე თ. 1987:** ნოქალაქევის ბაზილიკები. - ნოქალაქევი I. თბილისი. გვ. 92-107.  
**ლანჩავა ო. 1996:** ქუთაისი ეგრის—ლაზიკის ციხე—ქალაქთა სისტემაში. ქუთაისი.  
**ლომთათიძე გ. 1955:** რუსთაველი წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები. - მსკა, ტ. I. თბილისი. გვ. 164-182.  
**მახარაძე გ. 2000:** ყვირილის ხეობის ნამოსახლართა ქრონოლოგია (ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარი). - საქართველოს შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, VI. თბილისი. გვ. 17—32.  
**მინდორაშვილი დ. 2005:** არქეოლოგიური გათხრები ხევში. თბილისი.  
**მიქელაძე თ. 1985:** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბილისი.  
**ნადირაძე ჯ. 1975:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.  
**ნადირაძე ჯ. 1990:** საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბილისი.  
**პროკოპი კესარიელი. 1965:** ომი გუთებთან. - გეორგიკა II. თბილისი.  
**რამიშვილი რ. 1983:** ახალი ჟინვალის ნამოსახლარი და სამაროვანი 1971—73 წლების განათხარის მიხედვით. - ჟინვალი I. თბილისი. გვ. 109-142.  
**სინაურიძე მ. 1966:** აღმოსავლეთ საქართველოს ადრე ფეოდალური ხანის კერამიკა. - მასალები

საქართველოსა და კავკასიის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. თბილისი. გვ. 53-89.  
**უგრელიძე ნ. 1987:** ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბილისი.  
**ფუთურიძე რ. 1959:** გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. - მსკა, ტ. II. თბილისი. გვ. 54-91.  
**ციცაძე ვ. 1964:** კაცხის სვეტი. - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ტ. VII. თბილისი. გვ. 9-17.  
**ციციშვილი ი. 1977:** ბიჭვინთის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი. - დიდი პიტიუნტი II. თბილისი. გვ. 95-107.  
**ჭილაშვილი ლ. 1964:** ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი.  
**ჯაფარიძე ვ. 1989:** ვარდციხის ნაქალაქარი. თბილისი.  
**Барамидзе М. Б. 1990:** Пичорское поселение. - Материалы V международного симпозиума по древней истории Причерноморья, Тбилиси, с. 234-239.  
**Воронов Ю.Н., Вазнюк А.С., Юшин В.А. 1970:** Апуштинский могильник IV-VI вв. н.э. в Абхазии. - СА. №1. Москва, с. 181-189.  
**Гогодзе Е.М. 1984:** К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры. - სსმე, ტ. XXVII. თბილისი. გვ. 37—59.  
**Качаравა Д.Д. 1973:** Город Гиенос в античную эпоху. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тбилиси.  
**Леквинадзе В.А. 1963:** О постройках Юстиниана в западной Грузии. -Византийский Временник. т. 34. Москва, с. 174-186,  
**Микеладзе Т.К., Хахуаишвили Д.А. 1985:** Древнеколхидское поселение Намчедური, Тбилиси.  
**Техов Б.В. 1985:** Материальная культура населения среднего течения реки Большой Лиахви в I-VIII вв. Тбилиси.  
**Толордава В.А. 1990:** Культурный комплекс VIII-VII вв. до н.э. из Вани. - Материалы V международного симпозиума по древней истории Причерноморья, Тбилиси, с. 259-265.  
**Трапш М.М. 1974:** Древний Сухуми. Труды. Т. 2. Сухуми.  
**Уварова П.С. 1900:** Могильники Северного Кавказа. - МАК, т. 8, Санкт Петербург, с. 31-56.  
**Хачатриан Ж.Д. 1976:** Античный некрополь. Гарни. V. Ереван.  
**Tsotselia M. 2002:** A Seal Of Sasanian Period From The Village Gvankiti. - საისტორიო ვერტიკალები, №3 თბილისი. გვ. 121-123.

### ილუსტრაციების აღწერილობა:


**ტაბულა I** - 1. ღვანკითი. გათხრებით გამოვლენილი ნაგებობის გეგმა; 2 - სტრატეგრაფიული ჭრილი.  
**ტაბულა II** - პირველი ფენის არქეოლოგიური მასალა.  
**ტაბულა III** - მეორე ფენის არქეოლოგიური მასალა.



II



1




2




4



3



5



6




7



8



III



## საქართველო და “ბერძნულ-სპარსული” გემები

ბერძნულ-სპარსული გემები საქართველოდან მიმართებაში პირველად მოიხსენიეს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ბორის კუფტინმა და მარია მაქსიმოვამ, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლურჯი მინის მრავალნახნაგები (ტაბლოიდები) დაუკავშირეს ბერძნულ-სპარსულ გლიპტიკას [Куптин Б. 1941:31-32; Максимова М. 1941:72-92] (ტაბ. II, 1-3). იმავე ფორმის ქვის საბეჭდავები მაშინ ცნობილი იყო მცირე აზიიდან და თარიღდებოდა დროის მოკლე მონაკვეთით ქ.წ. V ს-ის მეორე ნახევარსა და ქ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარს შორის. სწორედ ამიტომ მიიჩნია მ. მაქსიმოვამ ლურჯი მინის ტაბლოიდები მცირეაზიული ქვის ათნახნაგა საბეჭდავების ასლებად და ისინიც იმავე გვიანაქემენიდური პერიოდით დაათარიღა [Максимова М. 1941:72-92].

მარგარიტა ლორთქიფანიძესაც ლურჯი მინის ტაბლოიდები მცირეაზიული ქვის საბეჭდავების მექანიკურ ასლებად მიაჩნდა, მაგრამ იგი, მ. მაქსიმოვასაგან განსხვავებით, თვლიდა, რომ ლურჯი მინის მრავალნახნაგების წარმოება იბერიაში გრძელდებოდა ქ.წ. V ს-დან ქ.წ. I ს-მდე. მანვე პირველმა შენიშნა, რომ მინის რამდენიმე მრავალნახნაგა ერთი და იგივე ყალიბშია ჩამოსხმული და, ამდენად, მათზე არსებული გამოსახულებებიც იდენტურია [ლორთქიფანიძე მ. 1963:136-158; ლორთქიფანიძე მ. 1969:49] (ტაბ. II, 2-3). ამჟამად ცნობილია 19 სხვადასხვა ყალიბში ჩამოსხმული მინის 80-ზე მეტი მრავალნახნაგა და მათი აბსოლუტური უმრავლესობა აღმოჩენილია ქართლის სამეფოს (იბერიის) ისტორიულ ტერიტორიაზე. ამასთან დასტურდება სხვადასხვა ყალიბში ჩამოსხმულ მრავალნახნაგათა სისტემური თანხვედრა არქეოლოგიურ კომპლექსებში (ტაბ. I). ეს გარემოება კი იმის უტყუარი საბუთია, რომ მინის ტაბლოიდები დროის შედარებით მოკლე პერიოდში უნდა იყოს დამზადებული, რადგანაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთი და იგივე ყალიბი

ჩამოსახმელად ხუთი საუკუნის განმავლობაში გამოეყენებინათ. და ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი არქეოლოგიური კომპლექსი, რომელშიც ლურჯი მინის მრავალნახნაგაა წარმოდგენილი, არ თარიღდება ქ.წ. II ს-ის დასასრულზე უფრო ადრეული ხანით, ხოლო მინის ტაბლოიდთა საკმაოდ დიდი ნაწილი ქ.წ. I ს-ის სამარხებშია მოპოვებული არქეოლოგიური გათხრებით.

ამგვარად უეჭველია, რომ ლურჯი მინის ტაბლოიდების წარმოება უნდა დათარიღდეს ქ.წ. I ან II-I ს-ით [Гагошидзе Ю. 1975]. მაგრამ თუკი ეს ასეა, მაშინ როგორღა ავხსნათ ამ ტაბლოიდების გამოსახულებათა თემატური და სტილისტური მსგავსება ე.წ. “ბერძნულ-სპარსულ” გლიპტიკასთან, რაც შენიშნულია არაერთი ავტორიტეტული მკვლევარის მიერ?

გვიანაქემენიდური ხანის მცირე აზიის გლიპტიკაში ა. ფურტვენგლერმა ჯერ კიდევ 1900 წელს გამოჰყო ორი მხატვრული ტენდენცია – აღმოსავლურ-იონიური და ბერძნულ-სპარსული [Furtwängler A. 1900:116].

მეცნიერ-მკვლევართა ნაწილი (ფურტვენგლერი, რიხტერი, ოსბორნი) თვლის, რომ ბერძნულ-სპარსულ საბეჭდავებს მცირე აზიაში სპარსელთა დაკვეთით კვეთდნენ სპარსელთა სამსახურში მყოფი ბერძენი ხელოსნები, მაშინ როცა სხვებს (ფოვილი, კნიპოვიჩი, მაქსიმოვა, სერიგი) მიაჩნიათ, რომ ეს საბეჭდავები შექმნილია ბერძნული ხელოვნების გავლენის ქვეშ მყოფი სპარსელი ხელოსნების მიერ (დანვრილებით იხ.: [Никулина Н. 1966]). მაგრამ ნ. ნიკულინა არცერთ ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და წერს, რომ ბერძნულ-სპარსული საბეჭდავები მცირე აზიის იმ ადგილობრივ მოსახლეთა შემოქმედების პროდუქტია, რომლებიც ერთდროულად განიცდიდნენ როგორც ბერძნული, ისე ირანული ხელოვნების გავლენას [Никулина Н. 1966:20].

მ. მაქსიმოვამ პირველმა გამოჰყო მცირე-აზიულ ათნახნაგა საბეჭდავთა ერთი ჯგუფი,

რომელიც ფორმითა და გამოსახულებათა მოტივებით ბაძავს ბერძნულ და სპარსულ საბეჭდავებს, მაგრამ დიდად ჩამოუვარდება მათ კვეთის ტექნიკისა და არტისტიზმის დონის თვალსაზრისით. ეს მრავალნახნაგა საბეჭდავები ზომითაც უფრო პატარებია და მათ გამოსახულებაც მხოლოდ ერთ, ქვედა ნახნაგზე აქვთ ამოკვეთილი. ამგვარ საბეჭდავებს მ. მაქსიმოვა ბერძნულ-სპარსული გემების თანადროულად თვლიდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ ისინი შექმნილია არა ბერძენი და არა სპარსელი, არამედ ადგილობრივი, მცირეაზიელი ხელოსნების მიერ [Максимова М. 1941:78-79]. მ. მაქსიმოვას და მ. ლორთქიფანიძის თანახმად, ლურჯი მინის მრავალნახნაგები სწორედ ამ საბეჭდავების ასლებია [Максимова М. 1941:90; ლორთქიფანიძე მ. 1969:49].

ჯონ ბორდმანმა საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ბერძნებისა და სპარსელების შეხვედრა-თანამშრომლობის შედეგად შექმნილ გლიპტიკას და მასში გამოჰყო სამი კლასი: სასახლის სტილი, ბერძნული სტილი და შერეული სტილი. ეს უკანასკნელი, შერეული სტილის კლასი, რომელიც გაერთიანებულია ფორმის, სტილისა და მოტივების ერთიანობის საფუძველზე, თავისთავად 11 ჯგუფად იყოფა [Boardman J. 1970:303-322]. ერთი მათგანი, ბერძნის ჯგუფი განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს ლურჯი მინის იბერიული ტაბლოიდების გამოსახულებებთან. ბერძნის ჯგუფი, როგორც ჩანს, მოიცავს იმ გემებს, რომელთაც მ. მაქსიმოვა და მ. ლორთქიფანიძე ადგილობრივი, მცირეაზიელი ხელოსნების ნაწარმად თვლიან და ჯ. ბორდმანიც ამავე ბერძნის ჯგუფის მრავალნახნაგა გემებთან აკავშირებს ლურჯი მინის ტაბლოიდებს [Boardman J. 1970:320-322].

ჯ. ბორდმანის კვლევის შედეგად გაირკვა, რომ შერეული სტილის გლიპტიკური ძეგლების გავრცელების არეალი დიდად სცილდება მცირე აზიის ფარგლებს და ისეთ შორეულ პუნქტს აღწევს აღმოსავლეთით, როგორიცაა ტაქსილა პენჯაბში (პაკისტანი). გაფართოვდა ამ გემების ქრონოლოგიაც: ბერძნისა და ტაქსილას ჯგუფების გემებს ჯ. ბორდმანი პოსტაქემენიდურ და ელინისტურ პერი-

ოდებს აკუთვნებს [Boardman J. 1970:318-322; Boardman J. 1990:401].

კიდევ მეტი. ჯ. ბორდმანმა დაგვანახა, რომ მიუხედავად იმისა, თუ ვისი ნაკვეთია გემა, ბერძენის, რომელიც არაბერძნული ბაზრისთვის მუშაობდა, თუ აღმოსავლელისა, რომელმაც მეტ-ნაკლები ნარმატებით აითვისა ბერძნული მანერა და მოდელები, შედეგი ტიპოლოგიურად მაინც ერთი და იგივეა: მიიღება შერეული სტილის პროდუქცია, რომელსაც უპრიანია ენოდოს “ბერძნულ-აღმოსავლური”, რადგანაც ხსენებული ტანდემის მეორე, აღმოსავლელი მონაწილე უმეტეს შემთხვევაში ეთნიკურად არასპარსელი ხელოსანია [Boardman J. 1970:312-313; Boardman J. 1990:401].

ძველი საქართველო – კოლხეთი და იბერია – ისეთი ქვეყანაა, სადაც აღმოსავლური და ბერძნული კულტურების კონტაქტი ხორციელდებოდა უკვე აქემენიდურ ხანაში. “აღმოსავლური” მოიცავს საკუთრივ ქართულ კულტურასაც, რომელსაც იმ დროისათვის უკვე განცდილი ჰქონდა სპარსული გავლენა და აქემენიდური კულტურული კოინეს ნაწილს შეადგენდა [Gagoshidze J. 1996:125-136].

ამ კონტაქტებმა ასახვა ჰპოვა ლითონის (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს) ფარაკიან საბეჭდავ-ბეჭდებში, რომლებიც კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და ქ.წ. V-III საუკუნეებით თარიღდება (ტაბ. II, სურ. 4-14, 18). ბევრი ამ საბეჭდავთაგან საკმაოდ მაღალხარისხოვანი ნაწარმია და მათი აღმოჩენის წერტილები მთელ საქართველოს ჰფარავს – აფხაზეთიდან მოკიდებული კახეთამდე, ჩათვლით [ლორთქიფანიძე მ. 1969:39-48].

ეს ფარაკიანი ბეჭდები, ყველა მონაცემით, ჯ. ბორდმანის მიერ გამოყოფილ ბერძნულ-აღმოსავლური საბეჭდავების წრეში ექცევა: მათი საერთო ფორმა და გამოსახულებათა კვეთის ტექნიკა აშკარად ბერძნულია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ისინი ბერძენი ხელოსნების ნაწარმი არ უნდა იყოს, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ერთ-ერთ მათგანზე ბერძნული წარწერაც კი არის ამოკვეთილი [ლორთქიფანიძე მ. 1975:92-93]; მათ ფარაკებზე ნაკვეთი გამოსახულებების თემატიკა კი ნამდვილად აღმოსავლურია და მათ შორის

წმინდა აქემენიდური მოტივებიც გვხვდება (ტაბ. II, სურ. 8, 14).

ლითონის ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდების ამ მრავალრიცხოვან ჯგუფში რამდენიმე ქვეჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი რკალისა და ფარაკის ფორმის, დამზადების ტექნიკის ან რაიმე სხვა კრიტერიუმის მიხედვით, მაგრამ არსებობს ისეთი სახასიათო დეტალებიც, რომლებიც მათ აერთიანებს. მაგალითად, ერთი ამგვარი დეტალია ასტრალური სიმბოლიკა – ნახევარმთვარე და ვარსკვლავი, რომლებიც ხშირად არის წარმოდგენილი ამ ბეჭდებზე მაშინ, როცა საქართველოს ფარგლებს გარეთ ისინი პრაქტიკულად არ გვხვდება. ბეჭდის გახსნილი რკალი და ლითონის ფირფიტისაგან გამოჭრილი ბეჭედიც, თითქოს, მხოლოდ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი.

სხვადასხვა ფორმის საბეჭდავები – ფარაკიანი ბეჭდები, სკარაბეოიდები, ტაბლოიდები, რომლებიც ყველა ნიშნით უნდა გაერთიანდნენ ბერძნულ-აღმოსავლური გემების წრეში, მზადდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე მთელი ელინისტური ხანის განმავლობაში ადრერომაულ ხანის ჩათვლით. აქემენიდური პერიოდიდან მომდინარე ამ ძველი ტრადიციული წარმოების გახანგრძლივებას ხელს უწყობდა ყოფაში შემონახული ძველი ნივთების არსებობა: საქართველოში საკმაოდ ხშირია გვიანდელ არქეოლოგიურ კომპლექსებში ძველი, აქემენიდური და ბერძნულ-აღმოსავლური გლიპტიკური ძეგლების აღმოჩენის ფაქტები. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ ბერძნულ-სპარსული ტაბლოიდის (ათნახნაგა საბეჭდავის) აღმოჩენა მცხეთაში, ბაიათხევის კრამიტსამარხში, რომელიც ქ.შ. II ს-ით თარიღდება [ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995:120]. ახლახან საქართველოს ეროვნულ მუზეუმში კახეთიდან შემოვიდა ქ.შ. I ს-ის არქეოლოგიურ ნივთებთან ერთად აღმოჩენილი საბეჭდავი – ბერძნულ-აღმოსავლური შერეული სტილის ბერძნული ჯგუფის ქალცედონის სკარაბეოიდი (განსაზღვრა ქეთევან ჯავახიშვილმა).

ასე რომ, აქემენიდური ხანის ბერძნულ-აღმოსავლური ტრადიცია ქართულ ხელოვნებაში წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ჯერ

კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო ლურჯი მინის ტაბლოიდები ქვის საბეჭდავების მექანიკური ასლები კი არ არის, არამედ ისინი უნდა განხილულ იქნენ, როგორც გვიანი ხანის ბერძნულ-აღმოსავლური წრის გემების თავისთავადი ჯგუფი, რომელიც შეიქმნა ქ.წ. I ან II-ს-ში, მაგრამ ყოფაში დარჩა ქ.შ. I-II ს-მდე.

ამ ტაბლოიდების გამოსახულებათა თემატიკა, წარმოშობით ბერძნულ-აღმოსავლური, სრულიად ორგანულია ისეთი უეჭველად იბერიული ნაწარმისათვის, როგორცაა საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბრინჯაოს ჭვირული ბალთები და ქ.შ. I ს-ის ძვლის გრავირებული ფირფიტები, აღმოჩენილი დედოფლის გორაზე, სამთავროში, უფლისციხეში, ბამბებში, ნასტაგისში (ტაბ. II, სურ. 15-16). ამ გამოსახულებათა სიუჟეტებსა და სტილისტიკაში გამოირჩევა აღმოსავლური ტენდენციაც, რომელიც უნდა განხილულ იქნეს, როგორც აქემენიდური ხელოვნების შორეული რემინისცენცია, და ბერძნულ-ელინისტური ხელოვნების გავლენაც, ე.ი. აქ წარმოდგენილია ხელოვნებათა ისეთი სინთეზი, როგორც საერთოდ ძველი ქართული ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი.

იგივე შეიძლება ითქვას როგორც ამ პერიოდის საქართველოს ხუროთმოძღვრების შესახებ (გგულისხმობ დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსს [Gagošidze J. 1992]), ისე ტორეტიკაზეც: ქ.წ. V ს-ში აქემენიდური ირანიდან იმპორტირებული ტიპი ზურგმედრეკილი სამაჯურებისა საქართველოში შემორჩა ქ.შ. I-II ს-მდე, მაშინ როცა სპარსეთში – ტიპის სამშობლოში იგი კარგა ხნის დავინწყებული იყო.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური ეპოქის ერთ-ერთი ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდის ჯ. ბორდმანისეულ ბერძნულ-აღმოსავლურ გემებთან მსგავსება შენიშნული აქვს მ. ლორთქიფანიძეს და მან კოლხეთის საბეჭდავი-ბეჭდებისადმი მიძღვნილ წიგნში ძალიან ფრთხილად დაწერა კიდევ, რომ ამ ბეჭედთან მიმართებაში შეიძლება საუბარი ბერძნულ-კოლხური სტილის შესახებ [ლორთქიფანიძე მ. 1975:112].



და ამ მოკლე წერილის ბოლოს კიდევ ერთ საკითხს უნდა შევეხო. მიხეილ როსტოვცევი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის რომაული ხანის კედლის მხატვრობაში მოულოდნელად იჩენს თავს აღმოსავლური, ძველი ირანული მოტივები და 1914 წელს მან გამოსთქვა ვარაუდი, რომ ხელოვნების ძველი ირანული ტრადიციები უნდა შემონახულიყო რომაულ ხანამდე სადღაც პართიაში და კავკასიაში (საქართველოს ჩათვლით), საიდანაც ამ ტრადიციებმა შეაღწია შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე [Ростовцев М. 1914:321].

ქ.შ. III ს-ში ჩამოყალიბდა სპარსულ-სასანური ხელოვნება, რომელსაც განიხილავენ, როგორც აქემენიდური ხელოვნების თავისებურ რენესანსს. მე არ ვაპირებ ვამტკიცო, თითქოს სასანური რენესანსი საქართველოდან დაიწყო, მაგრამ თავს უფლებას ვაძლევ ვივარაუდო, რომ აქემენიდური და ბერძნულ-სპარსული ტრადიციების კონსერვაცია შეიძლებოდა მომხდარიყო და, როგორც ჩანს, მოხდა კიდევ ელინისტური სამყაროს სამხრეთ პერიფერიაზე, სადღაც ფარსში, ისევე როგორც ეს მოხდა ამავე სამყაროს ჩრდილო განაპირა მხარეში, საქართველოში. მხოლოდ საერთო ფესვების არსებობით შეიძლება აიხსნას ის გასაოცარი მსგავსება, რასაც იჩენს პირველი საუკუნის ძვლის ფირფიტების ქართული გრაფირებული მხატვრობა III-IV ს-ის სასანურ ხელოვნებასთან (ტაბ. II, სურ. 15-16).



















### ლიტერატურა:

- ლორთქიფანიძე მ. 1963:** გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიური საბეჭდავების იბერიული პირები – ლურჯი მინის მრავალნახნაგა საბეჭდავები. – სმამ, 6, თბილისი, გვ. 136-152
- ლორთქიფანიძე მ. 1969:** ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბილისი.
- ლორთქიფანიძე მ. 1975:** კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები, თბილისი.
- ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995:** ბაიათხევი. – მცხეთა X, თბილისი, გვ. 97-133.
- Гагошидзе Ю. 1975:** К датировке могильника Нерон Дереси. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა "მაცნე", №2, გვ. 90-103.
- Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Опыт периодизации памятников, Тбилиси.

- Максимова М. 1941:** Стекланные многогранные печати. – ენიმკის მოამბე, X, თბილისი, გვ.72-92.
- Никулина Н. 1966:** Малоазийская глиптика второй половины V-IV вв. до н.э. и проблема восточно-греческого и греко-персидского искусства. Автореферат диссертации, Москва.
- Ростовцев М. 1914:** Античная декоративная живопись на юге России, Санкт-Петербург
- Boardman J. 1970:** Greek Gems and Finger Rings, London.
- Boardman J. 1990:** Greco-Oriental Gems of the Hellenistic Period. – Acten des XIII Internationalen Kongresses für Klassische Archäologie (Berlin, 1988), Mainz am Rhein, p. 401.
- Furtwängler A. 1900:** Die anticken Gemmen, Leipzig.
- Gagošidze J. 1992:** The Temples at Dedoplis Mindori. – "East and West", Vol. 42, №1, p. 27-48.
- Gagoshidze J. 1996:** The Achaemenid Influence in Iberia. – "Boreas", Band 19, Münster, S. 125-136.

### ილუსტრაციების აღწერილობა:

- ტაბ. I.** ლურჯი მინის ტაბლოიდების ურთიერთთანხვედრების ცხრილი.
- ტაბ. II.** 1-3 - ქ.წ. I ს-ის ლურჯი მინის ტაბლოიდები: 1 - ნე-რონ დერესიდან; 2 - ნე-რონ დერესიდან, აბელიიდან და არკნეთიდან; 3ა - ნე-რონ დერესიდან, აბელიიდან, ტუიაქოჩორიდან, ლოჭინიდან და აზერბაიჯანიდან (ყარაქოფაქთეფე); 3ბ - ლოჭინიდან, ურბნისიდან, სოხტიდან, ბრილიდან, ნასტაგისიდან, ოსეთიდან და სომხეთიდან (ლენინაკანი, გელადირი); 4-14 - ქ.წ. IV ს-ის ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდები: 4-6 - საქეგურიდან, ვერცხლი; 7-8 - საქეგურიდან, ოქრო; 5-9 - ყანჩათიდან, ვერცხლი; 10,12,13,14 - ტახტიძირიდან, ვერცხლი; 11,18 - ტახტიძირიდან, ბრინჯაო; 15,16,17 - ქ.შ. I ს-ის ძვლის გრაფირებული ფირფიტები დედოფლის გორიდან.

 <p>01</p>	 <p>02</p>	 <p>03 a      03 б</p>
 <p>04</p>	 <p>05</p>	 <p>06</p>
 <p>07</p>	 <p>08</p>	 <p>09</p>
 <p>13</p>	 <p>11</p>	 <p>12</p>
 <p>16</p>	 <p>14</p>	 <p>15</p>
 <p>10</p>	 <p>17</p>	 <p>18</p>

01	02	03	04	05	06	07	08	09	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	
																			NERON DERESI
																			ABELIA
																			ARKNETI
																			GOMARETI
																			TSITSAMURI
																			SAMTAVRO
																			BAIATKHEVI
																			TUJAKOCHORA
																			LOTCHINI
																			URBNISI
																			UPLISTSIKHI
																			NICHIBISI
																			METEKHI
																			SOKHYA
																			BRILI
																			AKHALTSIKHI
																			DUISI
																			QANDAURA
																			DMANISI
																			DIGHOMI
																			ZHINVALI
																			AGHAIANI
																			NASTAKISI
																			KAVTISKHEVI
																			OSETIA
																			MINGECHAUR
																			GARAKOPAKTEPE
																			GARNI
																			LENINAKAN
																			KARCHAGHBLUR
																			GEHADIR
																			OSIAKAN
																			DVIN
																			KERCHI
																			NAKHICHEVAN

## ირმა ბერძენიშვილი

### სოხუმის ადრექრისტიანულ ტაძართა შესახებ

სოხუმის, ანტიკურ წერილობით წყაროებში სებასტოპოლისის, გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა XX ს-ის 50-იანი წლებიდან დაიწყო. 1958-59 წლებში სოხუმის ციხის გათხრების (ა. აფაქიძე, ოთ. ლორთქიფანიძე, ვ. ლექვიანიძე, მ. თრაფში, ლ. სოლოვიოვი, ლ. შერვაშიძე) შედეგად ოთხი კულტურული ფენა გამოიყო, რამაც აღნიშნული პუნქტის ადრეანტიკური ხანიდან ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე ფუნქციონირება და უაღრესად დიდი მნიშვნელობა დაადასტურა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩენას ადგილი ჰქონდა ლ. სოლოვიოვისა და ლ. შერვაშიძის მიერ სოხუმის ციხის გათხრების დროს. აქ, სხვა მნიშვნელოვან ნაგებობებთან ერთად, №1 კოშკთან აღმოჩნდა დიდი რაოდენობით მოზაიკის კენჭები. გამთხრელებმა ისინი გარეგნული ფორმით წრომის მოზაიკას (VII ს.) მიახლოეს და აქ ეკლესიის არსებობა ივარაუდეს; საყურადღებოა, რომ აქვე გაითხარა რამდენიმე ქრისტიანული სამარხიც [Шервашидзе Л., Соловьев Л. 1960:175].

მკვლევართა ვარაუდი, სოხუმში ადრექრისტიანული ტაძრის არსებობის შესახებ მოგვიანებით, 1987-1990 წლებში დადასტურდა, სოხუმის ციხის ტერიტორიაზე მ. გუნბას ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს, როცა აღნიშნულ ადგილას სხვადასხვა ნაგებობებთან ერთად (სამეურნეო, საცხოვრებელი, აბანო) ეკლესიის ნაშთიც გამოვლინდა [Гунба М. 1987; Гунба М. 1990 - ვსარგებლობ არქეოლოგიის ცენტრის დოკუმენტაციისა და პუბლიკაციის განყოფილებაში დაცული მ. გუნბას საველე ანგარიშებით]. გათხრების მთელ ტერიტორიაზე ორი კულტურული ფენა გამოიკვეთა. პირველი, ანუ ზედა ფენა განეკუთვნება განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებს, რომელიც ძირითადად კერამიკული ნაწარმითაა წარმოდგენილი; მეორე, ანუ ქვედა ფენა

– ადრეზიზანტიურ პერიოდს (VI ს-ის ბოლო - VII ს-ის დასაწყისი); რაც შეეხება VIII-IX სს-ებს – ქრონოლოგიური წყვეტილია.

აღნიშნული ეკლესია სოხუმის ციხის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ნაგებობა გეგმაში ოქტაგონალურია. ნაგებობის ცენტრში 8 ბურჯია გამოვლენილი, რომელიც 45-50 სმ სიმაღლეზეა შემორჩენილი, სავარაუდოდ ისინი გუმბათის საყრდენ ბურჯებს წარმოადგენდნენ; ყველა მათგანს შიდა მხრიდან რკალისებური ფორმა აქვს. ისინი აგურითა და ქვითაა ნაგები კირხსნარზე [Гунба М. 1990:4-5; Khroushkova L. 2006:57-59]. ნაგებობას გალერეა ანუ ღიათაღებიანი სტოა გააჩნდა. ოქტაგონს ოთხი მინაშენი ჰქონია, რომელიც გეგმაში ჯვრის ფორმას ქმნიდა. მათგან სამხრეთ-აღმოსავლეთი მინაშენი სავარაუდოდ მარტირიუმს წარმოადგენდა, აქვე გაითხარა რამოდენიმე სამარხი [Khroushkova L. 2006:59-60].E

2001-2003 წლებში სოხუმის ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა კიდევ ერთი ეკლესია, რომელიც ოქტაგონალური ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ესაა მომცრო ზომის (ექსტერიერის სიგრძე 17 მ) სამნავიანი ბაზილიკა ხუთნახნაგოვანი შვერილი აფსიდით. ნაგები ერთმანეთისაგან სვეტების სამი რიგითაა გამოყოფილი. კედლები რიყის ქვითა და კირხსნარითაა ნაგები, შემორჩენილია 35-40 სმ სიმაღლეზე [Безрученко И., Бжания Д., Горлов Ю., Поротов А. 2002:255-256]. ბაზილიკის იატაკი მოპირკეთებული ყოფილა opus sectile-ის წყობით. საინტერესოა, რომ ანლოგიური opus sectile-ის წყობა დადასტურებულია ბობოყვათში, ციხისძირის მახლობლად, IV ს-ის ნაგებობის გათხრის დროს. აღნიშნულ პერიოდში opus sectile-ის წყობა ძალზედ გავრცელებულ დეკორს წარმოადგენდა სირიიდან ვიდრე მაკედონიამდე. სოხუმის ბაზილიკის მოტივთან კი უშუალო

სიახლოვეს ამჟღავნებს კურიონისა და სოლოის ბაზილიკებში (კვიპროსზე) და ანტიოქიის რიგ ძეგლებზე გამოვლენილი მოტივები [Khroushkova L. 2006:62].

აღნიშნული ტაძრები, ლ. ხრუშკოვას აზრით, ერთ სატაძრო კომპლექსს წარმოადგენს და V ს-ის დასაწყისში ან მის პირველ ნახევარშია აგებული, იუსტინიანეს დროისათვის კი უკვე განადგურებული ჩანს, რასაც, ნგრევის ფენაში აღმოჩენილი მონეტები ადასტურებენ. აღმოჩენილ მონეტათაგან ექვსი განსაზღვრულია, მათ შორის უძველესი იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) მიერაა კაბადოკიის კესარიასში მოჭრილი, ხოლო ყველაზე მოგვიანო - იუსტინიანე I (527-565 წწ.) მიერ 546-547 წლებში ანტიოქიაშია მოჭრილი [Khroushkova L. 2006:67].

აღნიშნულ ეკლესიათა მშენებლობას, შესაძლოა, მართლაც V ს-ის დასაწყისში ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ჩვენთვის კარგადაა ცნობილია V საუკუნისათვის რეგიონში არსებული პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც რამდენადმე გართულებული იყო ჰუნთა დამარბეველი თავდასხმების გამო; რაც კარგად ჩანს ბიჭვინთის მაგალითზე, რომელიც აღნიშნულ პერიოდში არქეოლოგიურად სუსტადაა შესწავლილი. ეს დამანგრეველი თავდასხმები, სავარაუდოდ, სებასტოპოლისსაც შეეხებოდა. შესაბამისად, ეკლესიათა მშენებლობის გარკვეულ ფაზას, ვინაიდან აქ მართლაც ნაგებობათა კომპლექსთან გვაქვს საქმე, VI ს-ში უნდა ჰქონოდა ადგილი; მით უფრო, რომ ცნობილია იუსტინიანეს მიერ სებასტოპოლისში აღმშენებლობითი სამუშაოების ჩატარების შესახებ [გეორგიკა, 1962:222], რაც, სავარაუდოდ, ეკლესიათა მშენებლობასაც გულისხმობდა.

საყურადღებოა, რომ ეკლესიის გათხრებისას აღმოჩნდა კრამიტის ფრაგმენტი რომაული ლეგიონის დამლით XV Legio Apollinaris [Khroushkova L. 2006:64]. ანალოგიური დამლიანი (LEG XV) კერამიკული ფილები ცნობილია ბიჭვინთის კასტელუმიდანაც [თოდუათ. 2003:27], რაც კიდევ ერთ დასტურად შეიძლება ჩაითვალოს აქ რომაული გარნიზონების არსებობისა აღნიშნულ პერიოდში.

საინტერესოა, რომ 1988 წელს ოქტაგონალური ეკლესიის გათხრების დროს აღმოჩნდა სამარხის სტელა ბერძნული წარწერით. სტელა ქვიშაქვის მონოლითისგანაა დამზადებული, ნაკლულია, შემორჩენილი ნაწილის სიმაღლეა 41 სმ, მაქსიმალური სიგანე 33 სმ, სისქე კი – 15 სმ. წარწერა ცხრასტრიქონიანია და შემდეგი შინაარსისაა: “აქ განისვენებს ჯარისკაცი-ლეგიონერი ორესტი, რომლის მოსაგონრადაც აღვმართეთ ეს ეკლესია”. სტელა არა in situ ვითარებაშია აღმოჩენილი, იგი გალერეის პილასტრის ფუნდამენტში იყო ჩაშენებული. სავარაუდოდ, თავდაპირველად იგი ე.წ. მარტირიუმში გამოვლენილ სამარხზე უნდა ყოფილიყო გამართული [Габелия А., Ветроградова В. 2004:218-222; Khroushkova L. 2006:66]. კიდევ ერთი ბერძნულწარწერიანი ქვა იგივე სოხუმის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა 1999 წელს. წარწერა 5 სტრიქონიანია, ქვა ნაკლულია და წარწერაც სრულად არ იკითხება, თუმცა შემორჩენილი ნაწილებით ირკვევა, რომ იგი რომელიღაც საზოგადო მოღვაწის განსაზღვრულად იყო შექმნილი. წარწერა სტილისტური მონაცემებით II ს-ით თარიღდება [Габелия А., Ветроградова В. 2004:218-222].

XX ს-ის 80-იან წლებში სოხუმის ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლენილია საინტერესო არქეოლოგიური მასალა, ქრისტიანული სიმბოლოებით შემკული კერამიკული ნაწარმი. ისინი ძირითადად გვიანანტიკური ხანის ნგრევის ფენაშია აღმოჩენილი. ესაა ამფორის ფრაგმენტები ბერძნული წარწერითა და ქრიზმით; კერამიკული ხუფის ფრაგმენტი, ასევე ბერძნული წარწერით, ჯვართან ერთად; ნითელლაკიანი ჯამის ფრაგმენტი ზედ ამოკვეთილი ასოებით ΧΡ [Гунба М., Хрушкова Л. 1990:37]; ნითელლაკინი ჯამის ფრაგმენტი ძირზე ჯვრის გამოსახულებით [Гунба М. 1987:5, рис. 9], ანალოგიური ბიჭვინთაში აღმოჩენილი ჯამებისა. ეს ფენა იუსტინიანეს დროინდელი 544-545 წწ-ში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტით თარიღდება (მონეტა განსაზღვრა ს. შამბამ). ამავე ფენაში აღმოჩნდა ანასტასიუს I (491-518 წწ.) და იუსტინიანე II (565-578 წწ.) კონსტანტინოპოლში მოჭრილი

ბრინჯაოს მონეტა, იუსტინიანე II და სოფიას (574-575 წწ.) მიერ თესალონიკში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტა და ერთიც კაბადოკიის კესარიასში მოჭრილი მონეტა არა უგვიანეს III ს-სა [Гунба М., Хрушкова Л. 1990:37].

სოხუმის ციხის ტერიტორიაზე ადრეც აღმოჩენილა IV-VI საუკუნეებისთვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები ქრისტიანული სიმბოლოებით [Воронов Ю. 1969:52].

ოქტაგონალური ეკლესიის სიახლოვეს რამდენიმე ადრექრისტიანული, უინვენტარო სამარხი გაითხარა. სამარხები ბრტყელი აგურითა და კირხსნარითაა ამოყვანილი და გადახურული. ერთ-ერთი მათგანი თავთან რამდენადმე ფართოა, ბოლოსკენ კი ვიწროვდება. აღნიშნული სამარხის იატაკი აგურითაა მოგებული, კედლები კი კირხსნარითა და ბრტყელი აგურით ამოყვანილი. სამარხები IV-V სს-ის ფენაშია ჩაჭრილი. გამთხრელის აზრით, სამარხები უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე თავად ეკლესია. სტრატეგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით სამარხები V ს-ის მეორე ნახევრითაა დათარიღებული [Гунба М. 1990:4-5]. მსგავსი ფორმის, აგურით ნაგები სამარხები, იგივე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩვენთვის ცნობილია ოჩამჩირიდან, ბიჭვინთიდან და განთიადიდან და VI ს-ით თარიღდება.

დღეისათვის ცნობილია, რომ პირველი ქრისტიანული ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოში ბიჭვინთაში ჩნდება, რომელიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უძველეს საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა. მაგრამ, VI საუკუნის 40-იანი წლებიდან, ბიჭვინთა, როგორც ქრისტიანული ცენტრი, კარგავს თავის პირველობას. კერძოდ, 542 წლიდან, როცა ლაზთა მეფის თხოვნით, ირანელებმა ლაზიკაში ილაშქრეს, ხოლო რომაელებმა, იმის შიშით, რომ ირანელები ხელში ჩაიგდებდნენ ბიჭვინთასა და სებასტოპოლისს, თავად დაწვეს და დაანგრეს ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტები [გეორგიკა 1962:137]. ამის შემდეგ ბიზანტიის საიმპერატორო კარი ბიჭვინთას თითქმის აღარ აქცევს ყურადღებას და იუსტინიანეს მიერ ჩატარებული დიდი აღმშენებლობითი სა-

მუშაოები მხოლოდ სებასტოპოლისს შეეხო. პროკოფი კესარიელი მოგვითხრობს: ...იუსტინიანე მეფემ მთელი ეს სებასტოპოლისი განაახლა, ზღუდისა და სხვა სასიმაგრო შენობათა ნყალობით უძლეველი გახადა და გაამშვენიერა ის გზებითა და სხვა ნაგებობებით, რის გამოც ის სილამაზითა და სიდიდით ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ქალაქად იქცა [გეორგიკა 1962:222].

როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს დაწინაურდა სებასტოპოლისი, როგორც საეკლესიო ცენტრი. თუ ნიკეის საეკლესიო კრების დროს ბიჭვინთის ეპისკოპოსი პოლემონის პონტოს ეპარქიის შემადგენლობაში შედის, შემდეგი დროის საეკლესიო ნუსხათაგან უადრესში, რომელიც VII საუკუნით თარიღდება (VII ნოტიცია), ბიჭვინთის ეპისკოპოსი აღარაა მოხსენებული, კონსტანტინოპოლისის საპატრიარქოზე დამოკიდებულთა შორის დასახელებულია ჯერ სებასტოპოლისის საეპისკოპოსო, შემდეგ კი ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო. ამიერიდან ბიზანტიის ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობს ხელს სებასტოპოლისის დაწინაურებას. VI ს-ის 60-70-იან წლებში უნდა მომხდარიყო სებასტოპოლისის ეპისკოპოსის არქიეპოსკოპოსის ხარისხში აყვანა, რადგან დიდი ტრადიციებისა და ავტორიტეტის მქონე ბიჭვინთის საეპისკოპოსოსათვის პირველობის წართმევა სხვანაირად გაძნელებოდა და მეორეც, ბიზანტიას ირანთან განიანურებული და წარუმატებელი ომის პირობებში ერთგული და ძლიერი მხარდამჭერი სჭირდებოდა ეკლესიის სახით. ამის მოგვარება კი საარქიეპისკოპოსოს შექმნით შეიძლებოდა, რადგან არქიეპისკოპოსებს, როგორც ეპარქიათა ხელმძღვანელებს, ემორჩილებოდნენ ეპისკოპოსები და ქორეპისკოპოსები [დიასამიძე ბ. 2001:158].

სებასტოპოლისის დაწინაურება მისი გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. IV ს-ის II ნახევარში რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილი "Tabula Peutingeriana", რომელიც საგზაო რუკას წარმოადგენს, აღნიშნულია დასავლეთ საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზები. ერთი ასეთი გზა ტრაპეზუნტიდან მოდის, ფასისზე

გაივლის და სებასტოპოლისში მთავრდება. მეორე გზა იმავე სებასტოპოლიდან იწყება და სომხეთის ქალაქ არტამატისკენ მიემართება [ჯანაშია ს. 1949:47]. სებასტოპოლიდან უკვე მაშინ, ისე როგორც შემდეგში, გზა გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს გზა კოდორის ხეობას მიჰყვებოდა და ყუბანის ზემოთა შენაკადების ხეობებში გადადიოდა ქლუხორის ზეკარით [იხ. ჯანაშია ს. 1949:47]. ამ გზას „აფხაზეთის გზას“ უწოდებდნენ. როგორც ჩანს, ამ გზამ დიდი როლი ითამაშა განსაკუთრებით VI საუკუნიდან სებასტოპოლისის დაწინაურებაში, რადგან ე.წ. „აბრეშუმის გზის“ ჩრდილოეთით გადანაცვლების შემდეგ ვაჭრები ჩრდილოეთ კავკასიიდან შავ ზღვაზე მდ. კოდორით გადიოდნენ და აქ მთავარი ნავსადგური სებასტოპოლისი იყო.

დღეისათვის არქეოლოგიური გათხრები სოხუმის ციხის ტერიტორიაზე დასრულებული არ არის. აქ გამოვლენილ ეკლესიათა ნაშთები და ჩვენს მიერ მოყვანილი არქეოლოგიური მასალა კი, მხოლოდ დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ საეკლესიო ეკთები-სებში დაცული ცნობებისა.

### ლიტერატურა:

- გეორგიკა 1962:** ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. 2, თბილისი.
- დასამიძე ბ. 2001:** ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეებში), ბათუმი.
- თოდუა თ. 2003:** რომაული სამყარო და კოლხეთი I-IV სს. თბილისი.
- ჯანაშია ს. 1949:** შრომები. ტ. 1, თბილისი.
- Безрученко И., Бжания Д., Горлов Ю., Поротов А. 2002:** Исследования Черноморской экспедиции ИА РАН в 2001 г. – АО 2001 года, с. 255-256. Москва.
- Воронов Ю. 1969:** Археологическая карта Абхазии. Сухуми.
- Габелия А., Вертоградова В. 2004:** Новая греческая надпись из раскопок сухумской крепости. - Кавказ: история, культура, традиции, языки. По материалам Международной научной конференции, посвященной 75-летию Абхазского института гуманитарных исследований им. Д. Гулиа АНА 28-31 мая 2001 г. с. 218-222. Сухум.
- Гунба М. 1987:** Краткий отчет об археологических раскопках на территории Сухумской крепости в 1987 году.

**Гунба М. 1990:** Краткий отчет об археологических раскопках на территории Сухумской крепости в 1990 году.


**Гунба М., Хрушкова Л. 1990:** Археологическое исследование Сухумской крепости.- Археологические открытия в Абхазии, 1986-1987 гг. с. 35-39. Тбилиси.

**Шервашидзе Л., Соловьев Л. 1960:** Исследование древнего Себастополеса, СА, 3, с. 171-179.

**Khroushkova L. 2006:** Les monuments chrétiens de la côte orientale de la mer noire. Abkhazie. IVe-XIVe siècles. - Bibliothèque de l'antiquité tardive, 9. Brepols: Turnhout.

### ილუსტრაციების აღწერა:

**ტაბ. I.** სოხუმის ადრექრისტიანულ ტაძართა კომპლექსი.





**ბერძნული იმპორტული კერამიკა ანყურიდან**

ანყური ერთ-ერთი სოფელია სამხრეთ საქართველოში. სამხრეთ საქართველო უძველესი დროიდან არის ცნობილი გარე სამყაროსთვის. სტრაბონი მას მოსხეთის ქვეყანას უწოდებდა (სტრაბონი XI, II, 17), ხოლო ჰეროდოტე მის მოსახლეობას მოსხების სახელით მოიხსენიებდა (Геродот III, 94). ანყური ბორჯომის ხეობის დასაწყისში, მთებს შორის გაშლილ ველზე, მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე, ზღვის დონიდან 900 მეტრზე მდებარეობს. ანყურს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მიხედვით ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან აღმოსავლეთ ანატოლიიდან მომავალი ერთ-ერთი სავაჭრო გზა გადიოდა. როგორც ჩანს, მოხერხებულმა განლაგებამ და სავაჭრო მიმოქცევაში ჩართვამ განაპირობა ანყურის ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებულ დასახლებად ჩამოყალიბება. ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით ანყური სამხრეთ საქართველოს პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. “ქართლის ცხოვრებაში” ის ანყურის სახელით მოიხსენიება, რომელსაც პირველად სოსანგეთი ეწოდებოდა [ქართლის ცხოვრება 1955:39].

თანამედროვე სოფელ ანყურის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე დაახლოებით ძვ.წ. VI-I საუკუნეების ნამოსახლარის გათხრები მიმდინარეობდა. ნამოსახლარის ფენებში სხვადასხვა ადგილობრივად დამზადებულ არტეფაქტთან ერთად ბერძნული იმპორტული კერამიკაც აღმოჩნდა [Licheli V. 1998:25].

ნაშრომის მიზანს ანყურში გამოვლენილი ბერძნული იმპორტული კერამიკის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა წარმოადგენს. ამიტომ, ეს კერამიკა საწარმოო ცენტრებისა და ქრონოლოგიის მიხედვით განისაზღვრა. შესწავლილმა მასალამ კი სამხრეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ზოგიერთი ასპექტი წარმოაჩინა.

ანყურში აღმოჩენილი ბერძნული კერამიკა ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: აღმოსავლურ-ბერძნული და ატიკური. აღმოსავლურ-ბერძნული კერამიკა რამდენიმე, სხვადასხვა ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტით არის წარმოდგენილი (ტაბ. I, 1, 2, 3; ტაბ. II, 1, 2, 3). მათგან ყველაზე თვალსაჩინო კილიკის პირ-გვერდისა და ყურის ფრაგმენტია, რომელსაც მოყავისფრო ლაკის ჰორიზონტალური ზოლები შემოუყვება (ტაბ. I, 1; ტაბ. II, 1). კილიკის ფრაგმენტულობის გამო რთულდება მთლიანი ფორმის რეკონსტრუქცია. რაც მნიშვნელოვნად ართულებს მის დათარიღებას და მიკუთვნებას რომელიმე კონკრეტული აღმოსავლურ-ბერძნული სამრეწველო ცენტრისადმი. ანყურის კილიკის ფრაგმენტი მსგავსია სადა ზოლებიანი კილიკებისა, რომლებიც აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე. მაგალითად, მირმეკონსა და ტირიტაკაში [Шмидт P. 1952:239-240], პანტიკაპეონში [Сидорова Н. 1962:146-147], კეპში [Кузнецов В. 1991:43-44] და ხმელთაშუა ზღვის აუზში, როდოსზე, ტოკრაში [Bordman J., Hayes J. 1966:28-29, pl.38, 746, 762, fig. 28, 746, fig. 29, 762]. ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში აღმოჩენილი კილიკების წარმომავლობა და თარიღი უცნობია. მხოლოდ კეპის სადა ზოლებიანი კილიკი თარიღდება ძვ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევრით [Кузнецов В. 1991:43-44]. ყველაზე ახლო ანალოგს კი ანყურის კილიკი ტოკრას კილიკთან პოულობს, რომლის საწარმოო ცენტრად როდოსია მიჩნეული, ხოლო თარიღი ძვ.წ. VI საუკუნით არის განსაზღვრული [Bordman J., Hayes J. 1966:38].

დანარჩენი ფრაგმენტების იდენტიფიცირება არ ხერხდება მცირე ზომების გამო. მხოლოდ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ ისინი კარგად განლექილი თიხისგან არიან დამზადებულნი, კეცი მოაგურისფრო ან მონაცრისფრო აქვთ და ლაკის ჰორიზონტალური, ზოგჯერ ტალღოვანი ზოლები შემოუყვებათ.

ანყურის აღმოსავლურ-ბერძნული კერამიკული ჯგუფი თავისი მოხატულობის გამო სადაზოლებიან კერამიკას უნდა მიეკუთვნოს და შეიძლება ზოგადად ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI საუკუნის აღმოსავლურ-ბერძნული სადაზოლებიანი კერამიკა სიმაგრის ბორცვზე [მიქელაძე თ. 1978:65-68] და ბათუმის ციხეზეა [კახიძე ამ., ხახუტაიშვილი დ. 1989:86-89] მოპოვებული.

ანყურში აღმოჩენილი ატიკური ნანარმი, თავის მხრივ, წარმოდგენილია მოხატული და შავლაკიანი კერამიკით. ვინაიდან კერამიკული ფორმების დადგენა ძლიერი ფრაგმენტულობის გამო ძალზედ გართულდა, მისი განსაზღვრა, როგორც ატიკური ნანარმისა და მიკუთვნება ათენის საწარმოო ცენტრისადმი, ძირითადად თიხისა და ლაკის ხარისხმა განაპირობა. მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი იძლევა კერამიკული ფორმების გარკვევის საშუალებას. წარმოდგენილ ჭურჭლებზე აშკარად შეიმჩნევა ატიკური ნანარმისათვის დამახასიათებელი კარგად განლექილი თიხა, მონითალო-მოყავისფრო კეცი და პრიალა, მბზინავი ლაკი. ატიკური მოხატული კერამიკიდან შავფიგურული სკიფოსის პირ-გვერდისა და ლეკითოსის ყელის ფრაგმენტების იდენტიფიცირება იქნა შესაძლებელი. სკიფოსი Lancut-ის ჯგუფს განეკუთვნება (ტაბ. I, 4; ტაბ. II, 4) და ძვ.წ. 480-470 წწ. თარიღდება [Moore M., Philippides M. 1986:61, pl.104, No 1540], ხოლო ლეკითოსი (ტაბ. I, 5; ტაბ. II, 5) - ძვ.წ. 500-450 წწ-ით [Johnston A. 2000:25].

დანარჩენი ატიკური მოხატული კერამიკა ჩვენამდე უსახო ფრაგმენტების სახით არის მოღწეული. ასე რომ, მათი განსაზღვრა და დათარიღება არ ხერხდება.

ატიკური შავლაკიანი კერამიკა წარმოდგენილია ძალზედ ფრაგმენტირებული კილიკების, სკიფოსების, ჯამებისა და თეფშების სახით (ტაბ. I, 6-13; ტაბ. II, 6-9). მაგრამ შესაძლოა ზოგიერთი მათგანის პარალელების მოძებნა, რაც ჭურჭლის მთლიანი ფორმების წარმოსახვის საშუალებას იძლევა. მაგალითად, კილიკის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი უფეხო კილიკთა (Stemless Cup) Large:Inset Lip-ის

კლასს განეკუთვნება (ტაბ. I, 9; ტაბ. II, 6) და ძვ.წ. 480-470წწ. თარიღდება [Sparkes B., Talcott L. 1970:102, pl.22, fig. 5, No 469]; თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი Rolled Rim-ის ჯგუფს განეკუთვნება (ტაბ. I, 12; ტაბ. II, 7) და ძვ. წ. 400-375წწ. თარიღდება [Sparkes B., Talcott L. 1970:147, pl. 36, fig. 10, No1047]; ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ტაბ. I, 7; ტაბ. II, 8) Viccup-ის კლასს განეკუთვნება და ძვ. წ. 475 წ. თარიღდება [Sparkes B., Talcott L. 1970:93 pl. 20, fig. 10, No 434]. ნაჭდევებიანი ჯამის ფრაგმენტს (ტაბ. I, 13; ტაბ. II, 9) კი პარალელები ვანში, ისტრიასა და ლათეში (ანტიკური ქალაქი ხმელთაშუაზღვისპირეთში) აღმოჩენილ ატიკურ შავლაკიან ჯამებთან ეძებნება. ვანის ნიმუში ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება [მათიაშვილი ნ., 1983:60, ტაბ. 30, სურ. 274], ისტრიის - ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედით [Alexandrescu P. 1978:15, fig.15, No 598], ხოლო ლათეს - ძვ. წ. 325-300 წლებით [Sabatini M. 1995:178, fig.10, No 1393]. აღსანიშნავია, რომ ანყურის ატიკური შავლაკიანი კერამიკიდან მხოლოდ ნაჭდევებიანი ჯამის ეს ფრაგმენტი გამოირჩევა დაბალი ხარისხის ლაკით. ამიტომ, ის ძვ. წ. III საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. დანარჩენი ფრაგმენტების იდენტიფიცირება არ ხერხდება მცირე ზომების გამო. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ისინი კარგად განლექილი თიხისაგან არიან დამზადებულნი, აქვთ მონითალო-მოყავისფრო კეცი და კარგი ხარისხის შავი ლაკით არიან დაფარულნი. ასეთ შემთხვევაში მათი დათარიღება ძნელდება. მაგრამ, ვინაიდან ისინი ამ ნიშნების გამო ატიკური შავლაკიანი კერამიკის ჯგუფს განეკუთვნებიან, მათი ქრონოლოგიური ამპლიტუდა ძვ. წ. V საუკუნის პირველი მეოთხედიდან ძვ. წ. IV საუკუნის პირველ მეოთხედიამდე პერიოდს უნდა მოიცავდეს.

როგორც ვნახეთ, ანყურის ბერძნული იმპორტული კერამიკა წარმოდგენილია ძირითადად სუფრის ჭურჭლით (კილიკი, ჯამი, სკიფოსი და სხვა) და განეკუთვნება არქაულ, კლასიკურ და ელინისტურ პერიოდს. აღნიშნული პერიოდების თანადროული 12 ძეგლია გამოვლენილი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე [ПАИ в 1986 г. 1991:115-128].

მათგან მხოლოდ ერთ პუნქტში, ანყურში აღმოჩნდა ბერძნული იმპორტული კერამიკა. ასეთი ვრცელი ქრონოლოგიური ჩარჩო და ის ფაქტი, რომ ბერძნული კერამიკა სამხრეთ საქართველოში მხოლოდ ანყურშია მოპოვებული მეტყველებს იმაზე, რომ ბერძნული კერამიკა აქ შემთხვევით მოხვედრილი არ უნდა იყოს. ანყურში მისი კონცენტრირება ხანგრძლივი პროცესის შედეგია, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა.

ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის უნდა იყოს, რომ იმპორტული სუფრის ჭურჭლის მომხმარებელი მთელს ამ რეგიონში, მხოლოდ ცენტრის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ანუ წარჩინებული ფენა იყო. ფენა, რომელიც არსებობდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე და გააჩნდა ძვირადღირებული, იმპორტული ნივთები. თავისმხრივ, ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ანყური სამცხის სოციალურ-ეკონომიკურად დანინაურებული ცენტრი იყო წინარე და ადრეანტიკურ პერიოდში. ამასვე მოწმობს ნასახლარის ახლოს აღმოჩენილი მდიდრული სამარხები.

აღსანიშნავია, რომ კოლხეთში ატიკური იმპორტი ძირითადად საქალაქო ტიპის დასახლებებზე ან ადგლობრივ წარჩინებულთა მდიდრულ სამარხებში გამოვლინდა. რაც მიუთითებდა იმაზე, რომ ამ ნივთებს კოლხეთის მოსახლეობის წარჩინებულთა ფენის წარმომადგენლები ფლობდნენ [Лордкипანიძე О. 1979:167].

ზოგადად, ბერძნული იმპორტული კერამიკის აღმოჩენის ფაქტები მცირეა საქართველოს აღმოსავლეთ და მთიან რეგიონებში. ხოლო როგორც ავღნიშნეთ, ანყურში გამოვლენილი ბერძნული კერამიკა დღემდე ერთადერთი შემთხვევაა ბერძნული იმპორტის აღმოჩენისა სამხრეთ საქართველოში. ამის გამო, მიჩნეული იყო, რომ ბერძნული იმპორტის არეალი ძირითადად კოლხეთით შემოიფარგლებოდა.

ამრიგად, ანყურის აღმოჩენამ გვიჩვენა, რომ ბერძნული იმპორტული კერამიკა ადრეანტიკურ პერიოდში სამხრეთ საქართველოშიც აღწევდა. მართალია, ეს არ იყო საბერძნეთთან უშუალო კონტაქტის შედეგად იმპორტირებული ნივთები, მაგრამ, როგორც

ჩანს იგი დასავლეთ საქართველოს სამეფოდან, კოლხეთიდან შემოდიოდა.

საინტერესოა, კოლხეთის კერძოდ რომელი პუნქტიდან ვრცელდებოდა ანყურის ნასახლარზე ბერძნული კერამიკა. როგორც არქაული, ასევე კლასიკური და ელინისტური პერიოდის ბერძნული იმპორტული კერამიკა აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს მრავალ არქეოლოგიურ ძეგლზე, მაგალითად, ეშერა [Шамба Г. 1980:8-21, таб. XXIX], გუადიხუ [Трапш М. 1969:223-256], სიმაგრის ბორცვი, სოფელი მთისძირი [გამყრელიძე გ. 1982:88, სურ.42], პალიასტომის ტბასთან მდებარე ნატეხების ნამოსახლარი [Гамкრелиძე Г. 1992:131, рис. 5], ვანი [Kacharava D. 1995:68-69], ნოქალაქევი [ლომიტაშვილი დ. 1998:19] ქობულეთ-ფიჭვნარი [სიხარულიძე თ. 1988:62-70, ტაბ. XXXVIII-XXXIX], ბათუმის ციხე და სხვა. ამათგან ქობულეთ-ფიჭვნარსა და ვანში კლასიკური და ელინისტური პერიოდის ბერძნული კერამიკა ყველაზე ჭარბად არის აღმოჩენილი. სიმაგრის ბორცვსა და ბათუმის ციხეზე კი კლასიკური და ელინისტური პერიოდების თიხის ნაწარმთან ერთად არქაული აღმოსავლურ-ბერძნული კერამიკაც ვლინდებოდა. არქაული აღმოსავლურ-ბერძნული კერამიკა ძირითადად შავი ზღვის სანაპირო ზოლში მდებარე არქეოლოგიურ ძეგლებზეა მოპოვებული. ეს ნაწარმი კოლხეთის შიდა რაიონებში არ გვხვდება.

სწორედ ამიტომ, სავარაუდოა, რომ ბერძნული იმპორტული კერამიკა ვანიდან [Licheli V. 1999:101-105], ქობულეთ-ფიჭვნარიდან, სიმაგრიდან ან ბათუმის ციხიდან ვრცელდებოდა სამხრეთ საქართველოში. დღესაც არსებობს ის საგზაო კომუნიკაციები, რისი მეშვეობითაც ეს რეგიონები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ წარსულში. გოდერძის უღელტეხილი სამხრეთ საქართველოს აჭარასთან აკავშირებს, ხოლო ზეკარის უღელტეხილი კოლხეთის შიდა რაიონებთან, რომლის ცენტრსაც ძველი ვანი წარმოადგენდა. საფიქრებელია, რომ ბერძნული იმპორტული კერამიკის გავრცელების მარშრუტებიც სწორედ ეს იყო.

ამრიგად, ბერძნული იმპორტული კერამიკის აღმოჩენა ანყურში მნიშვნელოვნია,

მიუხედავად მისი შედარებითი სიმცირისა, რადგანაც ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ანწყურის დასახლება ჩართული იყო იმდროინდელ გაცვლით ურთიერთობებში.

### ლიტერატურა:

- გამყრელიძე გ. 1982:** ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბილისი.
- კახიძე ამ., ხახუტაიშვილი დ. 1989:** მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინაანტიკური და ანტიკური ხანა) I, სდსძ, ტ. XVIII. თბილისი.
- ლომიტაშვილი დ. 1998:** საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ძვ.წ. III-I ს.ს. კოლხეთში. — ძველის მეგობარი №3 (102). თბილისი. გვ. 18-29.
- მათიაშვილი ნ. 1983:** ძვ.წ. III-I საუკუნეების შავლაკიანი კერამიკა. — ვანი, VII, არქეოლოგიური გათხრები. თბილისი. გვ. 51-75.
- მიქელაძე თ. 1978:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბილისი.
- სიხარულიძე თ. 1988:** ატიკური მოხატული კერამიკის ახალი ნიმუშები ფიჭვნარის ბერძნული სამაროვნიდან. — სდსძ, ტ. XVII. თბილისი. გვ. 62-70.
- ქართლის ცხოვრება. 1955:** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი.
- Гамкрелидзе Г. 1992:** К археологии долоины Фазиса. Тбилиси.
- Кузнецов В. 1991:** Кепы: ионииская керамика. – СА, 4. Москва. с. 36-53.
- Лордкипანიძე О. 1979:** Древняя Колхида. Миф и Археология. Тбилиси.
- Полевые Археологические исследования в 1986 г. 1991:** Тбилиси. с. 115-128.
- Сидорова Н. 1962:** Археологическая керамика из Пантикапея. – МИА, 103. Москва. с.94-149.
- Трапш М. 1969:** Труды. т.2. Сухуми.
- Шамба Г. 1980:** Эшерское городище. Тбилиси.
- Шмидт Р. 1952:** Греческая архаическая керамика из Мирмекии и Тиритаки. - МИА 25. Москва-Ленинград. с. 223-249.
- Alexandrescu P. 1978:** La céramique D'époque archaïque et classique (VIIe-IVe-s.). - Histria IV. Paris.
- Boardman J., Hayes J. 1966:** Excavations at Torca 1963-1965. London.
- Johnston A., Souyouzoglou-Haywood C. 2000:** Corpus Vasorum Antiquorum. Ireland. Fascicule 1. Dublin.
- Kacharava D. 1995:** Greek Imports of Archaic and Classical Times in Colchis. - AA. Heft 2. Berlin-New York. pp. 63-73.
- Licheli V. 1998:** St. Andrew in Samtske - archaeological proof?. - Ancient Christianity in the Caucasus. London. pp. 44-57
- Licheli V. 1999:** The Black Sea - Vani - Samtskhe, the Spreading Route of Black-Glazed Pottery. - La Mer Noire Zo-

ne-de Contacts. Actes du VIII Symposium de Vani 1999. Paris. pp. 101-105

**Moore M., Philippides M. 1986:** Attic Black-Figured Pottery. The Athenian Agora. volume XXIII. Princeton.

**Sabattini M. 1995:** La céramique Attique du IV<sup>e</sup>-s. à Lattes. Actes du colloque international organisé par la Céntré Camille Jullian. Arles.

**Sparkes B., Talcott L. 1970:** Black and Plain Pottery of the 6<sup>th</sup>, 5<sup>th</sup> and 4<sup>th</sup> Centuries BC. The Athenian Agora. volume XII. Princeton.




### ილუსტრაციების აღწერილობა:

**ტაბ. I.** ბერძნული იმპორტული კერამიკა: 1. არქაული აღმოსვლურ-ბერძნული სადაზოლიანი კილიკის პირის და ყურის ფრაგმენტი; 2. არქაული აღმოსვლურ-ბერძნული სადაზოლიანი ჭურჭლის ფრაგმენტი; 3. არქაული აღმოსვლურ-ბერძნული სადაზოლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები; 4. ატიკური მოხატული სკიფოსის პირის-კიდისა და ყურის ფრაგმენტი; 5. ატიკური მოხატული ლეკითოსოს ყელის ფრაგმენტი; 6. ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის პირის ფრაგმენტი; 7. ატიკური შავლაკიანი ჯამის პირის ფრაგმენტი; 8. ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი; 9. ატიკური შავლაკიანი უფეხო კილიკის ძირი; 10. ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ქუსლის ფრაგმენტი; 11. ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ქუსლის ფრაგმენტი; 12. ატიკური შავლაკიანი თეფშის ფრაგმენტები; 13. ატიკური შავლაკიანი, ნაჭდეგებიანი ჯამის ფრაგმენტი.


**ტაბ. II.** ბერძნული იმპორტული კერამიკა: 1. არქაული აღმოსვლურ-ბერძნული სადაზოლიანი კილიკის პირის და ყურის ფრაგმენტი; 2. არქაული აღმოსვლურ-ბერძნული სადაზოლიანი ჭურჭლის ფრაგმენტი; 3. არქაული აღმოსვლურ-ბერძნული სადაზოლიანი ჭურჭლის ფრაგმენტი; 4. ატიკური მოხატული სკიფოსის პირის და ყურის ფრაგმენტი; 5. ატიკური მოხატული ლეკითოსოს ყელის ფრაგმენტი; 6. ატიკური შავლაკიანი უფეხო კილიკის ძირი; 7. ატიკური შავლაკიანი თეფშის ფრაგმენტები; 8. ატიკური შავლაკიანი ჯამის პირის ფრაგმენტი; 9. ატიკური შავლაკიანი, ნაჭდეგებიანი ჯამის ფრაგმენტი.

I. Demetradze

I



II



## რევაზ კვიციანი

### მესხეთ-ჯავახეთის პრაისტორიული და კლასიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების რუკა

ისტორიული მესხეთ-ჯავახეთი, რომელიც მოიცავს დღევანდელ ბორჯომის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონებს, ძალზე მდიდარია პრეისტორიული და კლასიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებით.

წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილია და სქემატურ რუკაზე დატანილია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მკველვარებისა და არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მიკვლეული და შესწავლილი ძეგლები, აგრეთვე, შემთხვევით აღმოჩენილი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კოლექციები, რომლებიც ასახულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

რუკები შედგენილია რაიონების მიხედვით. ძეგლები დატანილია მიახლოებითი სიზუსტით, მითითებულია მათი ხასიათი, ზოგადი თარიღი და ის ლიტერატურა, რომელშიც, ჩვენის აზრით, ყველაზე უკეთაა ძეგლი აღწერილი (ძირითადად საანგარიშო ხასიათის ნაშრომები).

უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ამ რეგიონის არქეოლოგიური ძეგლების რუკაზე დატანის პირველი მცდელობა. პირველი რუკა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოქვეყნდა [Чубинишвили Т. и др. 1957:117]. ჯავახეთის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების რუკა გამოაქვეყნა ბ-ნ ალ. ორჯონიკიძემ [ორჯონიკიძე ალ. 2000:16-20]. მაგრამ პირველ მათგანზე მხოლოდ 19 პუნქტია დატანილი, ხოლო მეორეზე, ნაშრომის ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი პერიოდის ძეგლები და ისიც შედარებით ლოკალურ ტერიტორიაზე. არც ჩვენს ნაშრომს აქვს სრულყოფილების პრეტენზია, ვინაიდან საქართველოს სხვადასხვა მუზეუმების ფონდებში შესაძლოა ინახებოდეს ისეთი კოლექციები, რომლებიც სამეცნიერო მიმოქცევაში არ არიან შესული, ან არიან და ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს რეგიონის უძველესი წარსულით დაინტერესებულ მკვლევარებს და ფართო საზოგადოებას.

#### ბორჯომის რაიონი (ტაბ I)

1. **ბაკურიანი** (ბოტანიკური ბაღი). გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი [Гамбашидзе О. и др. 1991:33].

2. **ბალანთა** (ოქროსქვების მღვიმე). ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენა. გვიანბრინჯაოს ხანის ნივთების კოლექცია [Насидзе Г. и др. 1980:292-298].

3. **ბოზათხევი** (სოფ. ჭობისხევის მახლობლად). გვიანბრინჯაოს ხანის კენოტაფი. ანტიკური ხანის ნამოსახლარი [Насидзе Г. 1981:185].

4. **ბორნილელე**. გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის სამაროვანი [Гамбашидзе О. и др. 1986:22-27; Гамбашидзе О. и др. 1987:29-30; Гамбашидзе О. и др. 1991:27-32; Гамбашидзе О. и др. 1995:48-51; Гамбашидзе О. и др. 1997:44-46].

5. **ბორჯომი** (ძველი აბანო). გვიანბრინჯაოს ხანის ნივთების კოლექცია [ნიორაძე გ. 1944:186].

6. **ბორჯომი** (პარკი). ახ. წ. I ს. აბაზანის ნაშთი [ნიორაძე გ. 1944:186].

7. **გომნა** (ყვერბილი). გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის სამაროვანი [ნიორაძე გ. 1944:199-213; ღამბაშიძე ი. 1969:19].

8. **ღვირი**. სამარხი-ქვაყუთი. (პერიოდი დაუდგენელია) [ნიორაძე გ. 1944:218].

9. **ღვირი** (სილის ხევი). ადრესამინათმოქმედო კულტურის ხანის კერამიკული ჭურჭლისა და ძვ.წ. VIII-VI სს. ნივთების კოლექცია [Гамбашидзе О. и др. 1973:40].

10. **დიდი ცემი** (საჯვარე, ნაქერალა). ბრინჯაოს ხანის ნივთების კოლექცია [ღამბაშიძე ი. 1969:18—20].

11. **ვარდევანი**. ძვ.წ. VIII-VI სს. სამაროვანი [Гамбашидзе О. и др. 1991:33].

12. **თავკვეთილი**. შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები [ღამბაშიძე ი. და სხვ. 2003b].

13. **თელოვანი**. ბრინჯაოს ხანის ნივთების კოლექცია [ნიორაძე გ. 1944:190-194].

- 14. თისელის სერი.** ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი [Гогочури Г. и др. 2007:60-61].
- 15. თოფი-ოლი.** შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხი და კულტურული ფენა [ლამბაშიძე ი. 2004].
- 16. კვირაცხოველი** (სათიხის ღელე). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი [Гамбашидзе О. и др. 1981:57-62; Гамбашидзе О. и др. 1982:29-30; Гамбашидзе О. и др. 1985:34-35; Гамбашидзе О. и др. 1986:21-22].
- 17. კვირიკიანი** (სოფ. ჭობისხევი). გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის კულტურული ფენა [ლამბაშიძე ი. 1969:18-20].
- 18. კოდიანი.** შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხი [ლამბაშიძე ი. და სხვ. 2004 b].
- 19. ლარები.** ახ.წ. I საუკუნის სპილენძის, ვერცხლის და თიხის ჭურჭლის კოლექცია [ნიორაძე გ. 1944:216].
- 20. მაჭარწყალი.** გვიანბრინჯაო—ადრერკინის ხანის სამაროვანი [Гамбашидзе О. и др. 1984:30; Гамбашидзе О. и др. 1986:27-28].
- 21. მზეთამზე.** ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის და ანტიკური ხანის სამაროვანი [Насидзе Г. и др. 1995:101-103; Насидзе Г. и др. 1997:89-91].
- 22. მიტარბი.** გვიანბრინჯაოს ხანის ნივთების კოლექცია [ნიორაძე გ. 1944:194].
- 23. მოლითი** (ციხე). კრემაციული ურნები (სავარაუდოდ ძვ.წ. VIII-V სს.) [ჩუბინიშვილი ტ. და სხვ. 1965:8].
- 24. მოლითი** (ჯალილი). ბრინჯაოს ხანის ყორღანი და ნაგებობები [ლამბაშიძე ი. და სხვ. 2004 a, b].
- 25. მოლითი.** შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები [ლამბაშიძე ი. და სხვ. 2003 b].
- 26. რველი** (ბანისხევი). გვიანბრინჯაო-ადრერკინის და აქემენიდური ხანის სამაროვანი [ნიორაძე გ. 1944:182; ლამბაშიძე ი. 1971:42-44; ლამბაშიძე ი. და სხვ. 1972:21; Гамбашидзе О. и др. 1973:37-39; Гамбашидзе О. и др. 1981:57-73].
- 27. სათიხე.** სამეთუნეო სახელოსნოს ნაშთი [ლამბაშიძე ი. 1969:18-20].
- 28. საკირე** (სანაცრეები). ელინისტური ხანის სამაროვანი [ლამბაშიძე ი. და სხვ. 2007 a, b].
- 29. საკირე.** გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი [Гамбашидзе О. и др. 1986:31-36].
- 30. საკოჭავი** (ბაკურიანის ანდეზიტი). ქვის, ბრინჯაოს და ანტიკური ხანის კულტურული ფენები. ქვისა და მეტალურგიული სახელოსნოების ნაშთები [ლამბაშიძე ი. და სხვ. 1972:20-21].
- 31. სლესის ციხე.** სამარხი-ქვაყუთები (პერიოდი დაუდგენელია) [ნიორაძე გ. 1944:219].
- 32. ტაბანყური.** შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები და დიდი რაოდენობით (112 კგ.) ბრინჯაოს ნიდა [ნიორაძე გ. 1944:195-196; Жоржикашвили Л. и др. 1974:26-27].
- 33. ტიმოთესუბანი** (ქვევრების სერი). ანტიკური ხანის ორმოსამარხი, პართიის მეფის ოროდ II-ის მონეტით [Гамбашидзе О. и др. 1987:31].
- 34. ქვაბისხევი.** გვიანბრინჯაოს ხანის კრემაციული ურნა-ქოთნები და ბრინჯაოს ნივთების და თიხის ჭურჭლის კოლექცია [ნიორაძე გ. 1944:186].
- 35. ქურუხეთი** (ჭობისხევი). ანტიკური ხანის ნაგებობები და კულტურული ფენა [Насидзе Г. и др. 1980:292-294; Насидзе Г. 1981:184].
- 36. ქციის მინდორი** (სოფ. ტაბანყურთან). ძვ.წ. VII-V სს. ნამოსახლარი [ლამბაშიძე ი. 2004 a].
- 37. ლიტორას მინები.** შუაბრინჯაოს ხანის სამარხი [Гамбашидзе О. и др. 1984:21].
- 38. ყვიბისი.** ბრინჯაოს ხანის ნივთების კოლექცია [ნიორაძე გ. 1944:183].
- 39. ჩითახევი** (ჩითახევის მინები). ადრებრინჯაოს და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი [Гамбашидзе О. и др. 1973:37-40; Гамбашидзе О. и др. 1976:51-52; Гамбашидзе О. и др. 1974: 22-26].
- 40. ცემი.** ბრინჯაოს ხანის ნივთების კოლექცია [ნიორაძე გ. 1944:187].



**41. წალვერი.** ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, სამაროვანი და მეტალურგიული სახელოსნო [ნიორაძე გ. 1944:174—179].

#### **აღიგანის რაიონი (ტაბ. I)**

**1. ამხერის გორა** (სოფ. ლელოვანთან). პალეოლითის, ნეოლითის, ადრებრინჯაოს და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურული ფენები. ძვ.წ. VII-VI სს. სამაროვნის ნაშთი [Гамбашидзе О. и др. 1995:54; Гамбашидзе О. и др. 1997:47].

**2. ბენარა.** ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა [Бибилури Т. и др. 1987:35-36].

**3. ვარხანი** (საბუზარა). ზიკურატის ტიპის შენობა და სხვა ნაგებობათა ნაშთები [Гамбашидзе О. и др. 1995:53-54].

**4. უდე.** გვიანბრინჯაოს ხანის განძი [Чубинишвили Т. и др. 1957:116-117].

**5. ფარეხა** (ფარეხას გორა). ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი [Гамбашидзе О. и др. 1981:63].

**6. ყანობილი.** ენეოლითის და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა [Пхакадзе Г. и др. 1982:20-21].

**7. ხევაშენი.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი [Гамбашидзе О. и др. 1995:53-54].

#### **ასლციხის რაიონი (ტაბ. III)**

**1. ამირანის გორა** (ახალციხე). ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი [ჩუბინიშვილი ტ. 1963].

**2. აწყური.** გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნივთების კოლექცია. ანტიკური ხანის ნამოსახლარი (ნაქალაქარი) და სამაროვანი [ნიორაძე გ. 1944:196; ლიჩელი ვ. და სხვ. 1997:20; ლიჩელი ვ. 2000:108-110].

**3. ბოშა—მაილა.** (ახალციხე). ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენა [Квиჯინაძე К. 1986:29].

**4. ბუზა.** ბრინჯაოს ხანის სამარხი-ქვაყუთი [ნიორაძე გ. 1944:220].

**5. ზიკილია.** სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენები [ნიორაძე გ. 1944:220].

**6. კლდე.** გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი [ლამბაშიძე ი. და სხვ. 2007 a, b].

**7. ლოდობანა.** ენეოლითის, ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები. ანტიკური ხანის სამაროვანი [დედაბრიშვილი შ. 1963:17-19].

**8. მუსხი.** ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენა (სკოლის ეზო, ფულის მთა). ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი (მაჭიხეთი) [Гамбашидзе О. и др. 1982: 30].

**9. ორჭოსანი.** ადრებრინჯაოს და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. გვიანანტიკური ხანის სამაროვანი [ბარამიძე მ. და სხვ. 2007; ორჯონიკიძე ალ. 2005:69-73; Пхакадзе Г. 2004:120-121].

**10. ფერსა.** ძველი ქვის ხანის ნივთების კოლექცია [გაბუნია მ. 2000:79].

**11. წნისი.** ანტიკური და ელინისტური ხანის სამაროვანი [Гамбашидзе О. и др. 1984:20; Гамбашидзе О. и др. 1985: 33-35; Квиჯინაძე К. 1987:32-35].

**12. ჭორატი.** ძველი ქვის ხანის ღია სადგომი. ანტიკური ხანის სამაროვანი [გაბუნია მ. 2006:17-19; ბარამიძე მ. 2005].

**13. ხაკი** (ციხის ყელი). ძველი ქვის ხანის კოლექცია. ადრესამინათმოქმედო კულტურის ხანის გორა-ნამოსახლარი [Гамбашидзе О. и др. 1980:78-85].

**14. ჯულღა.** შუაბრინჯაოს ხანის ნივთების კოლექცია [Гамбашидзе О. и др. 1984:18-21].

#### **ასპინძის რაიონი (ტაბ. II)**

**1. აგარა.** ენეოლითისა და ურარტული პერიოდის ნამოსახლარი [Чубинишвили Т. и др. 1957: 120-121].

**2. ასპინძა** (კულტურის სახლი). ელინისტური ხანის ქვევრსამარხები [ლამბაშიძე ო. და სხვ. 2004:47].

**3. ასპინძა** (ლოდოვანი). შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები [ჯაფარიძე ო. და სხვ. 1981:17].

**4. ახჩია.** შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები [ჯაფარიძე ო. და სხვ. 1981:19-78].

**5. ახჩიის გადასახედი.** შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხი [ლამბაშიძე ო და სხვ. 2004:46-47].

**6. ბერთაყანები** (კეთილეთი, ბერთაყანა, კოჭრები). ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები [ჯაფარიძე ო. და სხვ. 1981:78-98].

**7. ზველი** (რაბათი, საყრდიყანები, კომკები, გოხები). შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები. ადრებრინჯაოს და გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და კულტურული ფენები [Гамбашидзе О. и др. 1979:22-26; Гамбашидзе О. и др. 1980:78-85; Гамбашидзе О. и др. 1981:57-62; Гамбашидзе О. и др. 1985:35-36; ლამბაშიძე ო. და სხვ. 2004:44-45].

**8. ზედა თმოგვი.** ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი [ორჯონიკიძე ალ. 2000:16-20].

**9. თოკი** (ციხის ყელი) ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები [ლამბაშიძე ო. და სხვ. 2004:50; Гамбашидзе О. и др. 1997:46].

**10. ნიალა** (დუმეილა, პოკუანთ კოჭრები, ყაჩაღები). შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები [ჯაფარიძე ო. და სხვ. 1981:108-135]. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები (დუმეილასა და გელასს შორის და ნიალასა და ლეპისს შორის) [ორჯონიკიძე ალ. 2000:18].

**11. ოქროყანა** (ვარძია-მირაშხნის გზაზე). შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები [Гамбашидзе О. и др. 1991:32-33; ლამბაშიძე ო. და სხვ. 2004:45-46].

**12. სარო** (ბერბუკები, ციხიყელა, წერაკუნტა, ოდისები, წყალსაქაჩი). გვიანბრინჯაოსა და ელინისტური ხანის სამაროვანი, ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები. სავარაუდოდ ყორღანული სამარხები [ლამბაშიძე ო. და სხვ. 2000:115-184; ლამბაშიძე ო. და სხვ. 2004:47-50].

**13. ხიზაბავრა** (თაობები, ვარანტა). ყორღანული გორასამარხები [ლამბაშიძე ო. და სხვ. 2004:50].

**14. ჭაჭკრები—ნაკალოები.** შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები [ჯაფარიძე ო. და სხვ. 1981:98-135].

## **ახალქალაქის რაიონი (ტაბ. II)**

**1. ახალქალაქი I-V.** ძველი ქვის ხანის სადგომები [გრიგოლია გ. 1961:17-18; გრიგოლია გ. 1965:5-15; გაბუნია მ. 2004:5-7].

**2. ახალქალაქის ამირანის გორა.** ძველი ქვის ხანის კოლექცია. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი [გაბუნია მ. 2000:77-79; გაბუნია მ. 2004:5-6; ჩუბინიშვილი ტ. 1963:11-15].

**3. ბავრა** (ფარდული, მღვიმე). ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ხანის სადგომები [Габунія М. 1987: 15-16; Габунія М. 1995:5-7; Габунія М. и др. 1984:4-5].

**4. ბარალეთი** (გრძელი გოხი, სირგვი, საყარაულო მთა, ნაცარგორა, ამაღლების გორა). ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები [ლამბაშიძე ო. 1969:18-20; ლაფაჩი ც. 2000:103-107].

**5. განდეგილის მღვიმე** (სოფ. ბავრასა და ხულგუმოს შორის). ძველი ქვის (მუსტიე) და მეზოლითის ხანის სადგომები. ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენა [Габунія М. 1997:13-14; გაბუნია მ. 2004:5].

**6. დანკალა** (ჯიუთმაღას გორა). ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები [ლამბაშიძე ო. 1969:20].

**7. დილისკა.** ძველი ქვის ხანის კოლექცია [გაბუნია მ. 2000:77].

**8. ზრესი.** ადრებრინჯაოს ხანის გორანამოსხლარი [ორჯონიკიძე ალ. 2000:16-20].

**9. კარნახი.** ადრებრინჯაოს ხანის გორანამოსახლარი [ორჯონიკიძე ალ. 2000:16-20].

**10. კოთელია.** ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი [ორჯონიკიძე ალ. 2000:16-20].

**11. კუმურდო.** ძველი ქვის ხანის (მუსტიე) კოლექცია [გრიგოლია გ. 1961:17-18].

**12. მურჯი.** ძვ.წ. VIII-V სს. სამარხი და კულტურული ფენა [ჩუბინიშვილი ტ. და სხვ. 1965:8-11].

**13. ოკამი** (წითელი გორა, ჰასან-ჩაუ). ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაოს და ელინისტური ხანის კულტურული ფენები. ელინისტური ხანის სამარხი [ლამბაშიძე ო. 1969:18-20; ჯაფარიძე ო. და სხვ. 1981:140-143].

**14. პტენა.** ძვ.წ. VI-IV სს. ნივთების კოლექცია [Чубинишвили Т. и др. 1957:126].

15. ჩუნჩხა. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი [ორჯონიკიძე ალ. 2000:16-20].

16. ხულგუმო (ჭაჭკარი). ძვ.წ. XV-XIV სს. ყორღანული სამარხები [ქიქოძე ზ. და სხვ. 1978:25].

### ნიონეინდის რაიონი (ტაბ. III)

1. ავჩალგიოლი (განძა — ეშტიას გზაზე). ყორღანული სამარხები [ქიქოძე ზ. და სხვ. 1978:25]

2. გონდრიო. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი [ორჯონიკიძე ალ. 2000:16-20].

3. დიგაშენი I-V (სოფ. ხორენიასა და ჯიგრაშენს შორის). ადრებრინჯაოს და გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და სამაროვანი [ორჯონიკიძე ალ. 1997:6; ორჯონიკიძე ალ. 2000:16-20; Орджоникидзе А. 1995:82].

4. კონდურა (სურბ-სარი). ადრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები [ორჯონიკიძე ალ. 2000:16-20].

5. მალარადერესი. ქვის ხანის მღვიმეები [ქიქოძე ზ. და სხვ. 1978:23-25].

6. პატარა ხორენია. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი [ორჯონიკიძე ალ. 2000:16-20].

7. როდიონოვკა (კიოუნდალი, ინიაკდალი). პალეოლითის, მეზოლითისა და ნეოლითის ხანის სადგომები და სახელოსნო [ქიქოძე ზ. და სხვ. 1978:20].

8. როდიონოვკა-ფოკის გზა. ყორღანული სამარხები [ქიქოძე ზ. და სხვ. 1978:25].

9. სათხე. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და ყორღანი [ორჯონიკიძე ალ. 1997:7].

10. ტამბოვკა (შაორი, ყურე). ქვისა და ადრესამინათმოქმედო კულტურის ხანის ნივთების კოლექცია [ქიქოძე ზ. და სხვ. 1978:19-20].

11. ფარავანი I. ქვის ხანის იარაღების კოლექცია [ქიქოძე ზ. და სხვ. 1978:20-23].

12. ფარავანი II. გვიანმეზოლითისა და უკერამიკო ნეოლითის ხანის ნივთების კოლექცია [ქიქოძე ზ. და სხვ. 1978:25].

13. ფარავანი. შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები [Жоржикашвили Л. и др. 1974:26-27; გოგაძე ელ. 1980:42-045].

14. ფარავანი. შუაბრინჯაოსა და ადრე-ყორღანული ხანის ყორღანული სამარხები [Kvavadze E. and oth. 2007:97-107].

15. ქაჩალ-გორა. ყორღანული სამარხები [ჯაფარიძე ო. და სხვ. 1981:16].

16. ჭიქიანი. ძველი ქვის ხანის ნივთების კოლექცია. [Кикодзе З. 1986:55-64; გაბუნია მ. 2000:77].

17. ჯიგრაშენი (სოფ. ჯიგრაშენისა და პატარა ხორენიას მიმდებარე ტერიტორია.) ძვ.წ. XV-XIV სს. ყორღანები და ქვაყრილიანი ორმოსამარხები [ორჯონიკიძე ალ. 1997:6].

### ლიტერატურა:

ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ., ორჯონიკიძე ა., თოდუა თ. 2007: შეფასებითი მონაცემთა ამოღების არქეოლოგიური კვლევები IV-323 (248+800KP) სოფ. ორჭოსანთან, ახალციხის რაიონში, სამცხის რეგიონში. თბილისი (ხელნაწერი). (ხელნაწერების გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ბიბლიოთეკაში).

ბარამიძე მ. 2005: ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის 2004 წლის მუშაობის შედეგები. კლდე. ჭორატის ნასახლარი და სამაროვანი. თბილისი (ხელნაწერი).

გაბუნია მ. 2000: უძველესი ადამიანი სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონში. — მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა. გვ. 77-81. ახალციხე.

გაბუნია მ. 2004: სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიცია. — სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში. - ოთ. ლორთქიფანიძე და სხვ. (რედ). გვ. 5-7. თბილისი.

გაბუნია მ. 2006: ჭორატის ქვედაპალეოლითური ღია ადგილსამყოფელი. — ძიებანი №17-18, გვ. 12-17. თბილისი.

გოგაძე ელ. 1980: ფარავნის ყორღანის გათხრები (1997). სსმაე. VII. გვ. 42-45. თბილისი.

გრიგოლია გ. 1961: ჯავახეთის პალეოლითური ძეგლები (1960 წ. დაზვერვების შედეგები). — ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი (რედ.)- საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. გვ. 17-18. თბილისი.

გრიგოლია გ. 1965: ჯავახეთის ქვედა პალეოლითური ძეგლები. მსკა. ტ. VII. გვ. 5-14. თბილისი.

დედბერიშვილი მ. 1963: მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვების წინსწარი ანგარიში. — სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. გვ. 17-19. თბილისი.

ლაფაჩი ც. 2000: ადრებრინჯაოს ხანის გორანამოსახლარები ბარალეთის ტერიტორიაზე. — მესხეთი, ის-

- ტორია და თანამედროვეობა. გვ. 103-110. ახალციხე.
- ლიჩელი ვ. 2000:** ანდრია მოციქული - არქეოლოგიური რეალობა. – მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა. გვ. 108-110 ახალციხე.
- ლიჩელი ვ., ფოსი ჯ., მორინი ყ. 1997:** საქართველო-კანადის სამცხის, ერთობლივი ექსპედიციის 1993-1996 წ.ნ. მუშაობის ანგარიში — კავაკსიის არქეოლოგია: უახლოესი აღმოჩენები და პერსპექტივები. გვ. 19—21. თბილისი.
- ნიორაძე გ. 1944:** არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში (ბორჯომ-ახალციხის მიმართულებით). — სსმმ. ტ. XIII B. გვ. 173-235. თბილისი.
- ორჯონიკიძე აღ. 1997:** ზოგი რამ ბრინჯაოს ხანის შესწავლის ისტორიიდან სამცხე-ჯავახეთში. (პრეპრინტი). თბილისი.
- ორჯონიკიძე აღ. 2000:** მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები ჯავახეთის პლატოდან. — ძიებანი №6. გვ. 16-20. თბილისი.
- ორჯონიკიძე აღ. 2005:** ორჭოსნის ნამოსახლარის ადრეული კომპლექსები. — ძიებანი №15-18. გვ. 69-78. თბილისი.
- ქიქოძე ზ., ქორიძე ი. 1978:** ფარავნის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1997 წელს ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანგარიშები. — სსმაე VI. გვ. 19-26. თბილისი.
- ლამბაშიძე ირ. 2004:** ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიცია 2003 წლის აგვისტო-ოქტომბერში. KP161-165 ჩატარებული კვლევა—ძიების ანგარიში (ხელნაწერი).
- ლამბაშიძე ირ., მაისურაძე ბ., გოგოჭური გ., პაპუაშვილი რ. 2003a:** ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის მოლითის რაზმის 2002 წლის მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი).
- ლამბაშიძე ირ., მაისურაძე ბ., გოგოჭური გ., პაპუაშვილი რ. 2003b:** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ბორჯომის რაიონის მონაკვეთზე (თავკვეთილი—მოლითი) III ფაზით გათვალისწინებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში (ხელნაწერი).
- ლამბაშიძე ირ., კახიანი კ. 2004a:** ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის მოლითის რაზმის მიერ 2003 წლის სექტემბერ—ოქტომბერში ჩატარებული სავსე სამუშაოების ანგარიში (ხელნაწერი).
- ლამბაშიძე ირ., გოგოჭური გ. 2004b:** ბორჯომის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წლის ივლის-აგვისტოში (KP 179, 193) ჩატარებული გათხრების ანგარიში (ხელნაწერი).
- ლამბაშიძე ირ., გოგოჭური გ. 2007a:** კომპლექსური ტექნიკური ანგარიში შეფასებითი და მონაცემთა ამოღების არქეოლოგიური კვლევის უბანზე IV-338, KP 195+320-ზე სოფ. საკირესთან, ბორჯომის რაიონში, სამცხის რეგიონში (ხელნაწერი).
- ლამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ. 2007b:** შეფასებათა მონაცემთა ამოღების არქეოლოგიური კვლევები უბანზე IV-217 (KP 225) ახალციხის რაიონში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ხელნაწერი).
- ლამბაშიძე ო. 1967:** ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში 1966 წ. ჩატარებული დაზვერვების წინასწარი ანგარიში. — XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის სავსე არქეოლოგიური კვლევა—ძიების შედეგებისადმი. გვ. 48-50 თბილისი.
- ლამბაშიძე ო. 1969:** მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო რაზმის წინასწარი ანგარიში. — XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებული სავსე არქეოლოგიური კვლევა—ძიების შედეგებისადმი. გვ. 18-20. თბილისი.
- ლამბაშიძე ო. 1971:** ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ანგარიში. ა. აფაქიძე (რედ.). არქეოლოგიური კვლევა—ძიება საქართველოში 1969 წელს. გვ. 42-44. თბილისი.
- ლამბაშიძე ო., თუშიშვილი ნ., ხუბუტია გ. 1972:** ბორჯომის ხეობის 1971 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. — ა. აფაქიძე (რედ.). არქეოლოგიური კვლევა—ძიება საქართველოში 1971 წელს. გვ. 20-21. თბილისი.
- ლამბაშიძე ო., ლამბაშიძე ირ., კვირკვია რ. 2000:** არქეოლოგიური კვლევა—ძიება სოფ. საროში. — ასპინძა—სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე. გვ. 115-184. ახალციხე.
- ლამბაშიძე ო., ლამბაშიძე ირ., კვირკვია რ., კვიციანი დ. 2004:** მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. 1989-1991 წწ. — ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.). სავსე არქეოლოგიური კვლევა—ძიება 1989-1992 წლებში. გვ. 44-51 თბილისი.
- ჩუბინიშვილი ტ. 1963:** ამირანის გორა. თბილისი.
- ჩუბინიშვილი ტ. 1964:** მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. — XIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის სავსე არქეოლოგიური კვლევა—ძიების შედეგებისადმი. გვ. 8-10. თბილისი.
- ჩუბინიშვილი ტ., ლამბაშიძე ო. 1965:** მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წლის სავსე მუშაობის შედეგები. — XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის სავსე კვლევა—ძიების შედეგებისადმი. გვ. 8-10. თბილისი.
- ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა. 1981:** მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. თბილისი.
- Бибилури Т., Бенашвили О., Гватуа Н., Маисурашвили Н. 1987:** Работы Заденгорского отряда Месхет-Джавახетской экспедиции. — О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1984–1985гг. с. 35-36. Тбилиси.
- Габуния М., Каландадзе К. 1984:** Исследование памятников каменного века на территории Южно-Грузинского нагорья.- О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1981 г. с. 4-5. Тбилиси.
- Габуния М. 1985:** Итоги работ экспедиции Южно-Грузинского нагорья.- О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1982 г. с. 6-8. Тбилиси.
- Габуния М. 1986:** Экспедиция Южно-Грузинского нагорья. — О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1983 г. с. 5-6. Тбилиси.
- Габуния М. 1987:** Экспедиция Южно-Грузинского нагорья. — О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1984-1985 гг. с. 15-17. Тбилиси.


- Габунია М. 1995:** Экспедиция Южно-Грузинского нагорья. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1987 г. с. 5-6. Тбилиси.
- Габунია М. 1987:** Археологические исследования Южно-Грузинского нагорья. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1988 г. с. 13-16. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Артилакვა В. 1973:** Итоги Месхет-Джавахетской Археологической экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1972 г. с. 37-40. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Артилакვა В. 1974:** Предварительный отчет о работе проведенной Месхет-Джавахетской Археологической экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1973 г. с. 24-26. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Артилакვა В. 1976:** О работе Месхет-Джавахетской экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1974 г. с. 51-54. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К. 1979:** Работы Месхет-Джавахетской экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1976 г. с. 55-60. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К., Орджоникидзе А. 1980:** Отчет работы Месхет-Джавахетской Археологической экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1977 г. с. 78-85. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К. 1981:** Отчет Месхет-Джавахетской экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1979 г. с. 57-73. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К. 1982:** Месхет-Джавахетская экспедиция. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1980 г. с. 29-31. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К., Ткешелашвили О., Личели В. 1984:** Месхет-Джавахетская экспедиция. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1981 г. с. 16-19. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К., Абрамишвили М. 1985:** Отчет о работе Месхет-Джавахетской экспедиции в 1982 году. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1982 г. с. 31-36. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1986:** Работы Месхет-Джавахетской экспедиции в 1983 году. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1983 г. с. 21-27. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1987:** Месхет-Джавахетская экспедиция в 1984 году. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1984-1985 гг. с. 28-32. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Квижинадзе К., Гамбашидзе И. 1991:** Основные результаты Месхет-Джавахетской экспедиции в 1985-1986 гг. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ 1985-1986 гг. с. 27-34. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1995:** Работы Месхет-Джавахетской экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1987 г. с. 48-54. Тбилиси.
- Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1997:** Месхет-Джавахетская экспедиция. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). ПАИ в 1988 г. с. 44-47. Тбилиси.
- Гогочури Г., Орджоникидзе А. 2007:** Новый памятник Куро-аракской культуры Боржомского ущелья. – Археология, этнология, фольклористика Кавказа. с. 60-61. Махачкала.
- Жоржикашвили Л., Гогадзе Э. 1974:** Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси.
- Квижинадзе К. 1986:** Работы Цнисисхевского отряда Месхет-Джавахетской экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). Паи в 1983 г. с. 27-29. Тбилиси.
- Квижинадзе К. 1987:** Отчет о работе Цнисского отряда. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). Паи в 1984-1985 гг. с. 32-35. Тбилиси.
- Кикодзе З. 1986:** Бифаз – колун в ашеле Кавказа. ВГМГ. 38 В. с. 55-64. Тбилиси.
- Насидзе Г., Артилакვა В. 1980:** Итоги работы Тори – Ликанской Археологической экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). Паи в 1977 г. с. 292-298. Тбилиси.
- Насидзе Г. 1981:** Работы Тори-Ликанской экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). Паи в 1978 г. с. 183-185. Тбилиси.
- Насидзе Г., Личели В. 1995:** Тори-Ликанская экспедиция. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). Паи в 1987 г. с. 101-103. Тбилиси.
- Насидзе Г. 1997:** Отчет о работе Тори-Ликанской экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). Паи в 1988 г. с. 89-91. Тбилиси.
- Орджоникидзе А. 1995:** Работы Джавахетской экспедиции на памятниках бронзового века. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). Паи в 1987 г. с. 80-82. Тбилиси.
- Пхакадзе Г. 2004:** Новый очаг раннеземледельческой культуры южной Грузии – Археология, этнология, фольклористика Кавказа. 120. Тбилиси.
- Пхакадзе Г., Каландадзе К., Орджоникидзе А. 1982:** Результаты работ Абастуманской экспедиции. – О. Лордкипанидзе и др. (ред.). Паи в 1980 г. с. 20-21. Тбилиси
- Чубинишвили Т., Татишвили Т., Гамбашидзе О. 1957:** Археологической разведки в южных районах Грузии. (Месхет-Джавахети) в 1953- 1955 гг. – СА № 4, с.116-127. Москва.
- Kvavadze E., Kakhiani K., Pataridze N., Connor S. 2007:** The results of investigation of Paravani Kurgan – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ბიოლოგიის სექცია. B. №2, Vol 5. p. 97-107. თბილისი.


### ილუსტრაციების აღწერილობა:


- ტაბ. I** – ბორჯომის და ადიგენის რაიონების რუკები.  
**ტაბ. II** – ახალციხისა და ნინოწმინდის რაიონების რუკები.  
**ტაბ. III** – ასპინძისა და ახალქალაქის რაიონების რუკები.

### პირობითი ნიშნები

- – სამაროვნები და სამარხები
- ◐ – ყორღანული სამარხები
- – ნამოსახლარები და ნაგებობები
- ▼ – სანარმოო ნაშთები
- – კულტურული ფენები
- ▲ – არქეოლოგიური კოლექციები
- ◆ – განძები









## სამედიცინო ანთროპოლოგიური კვლევის პარსკაქტივა ქველი კოლხეთის მებალითზე

დღეს ანთროპოლოგია მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ დარგად ითვლება. ის აერთიანებს ფიზიკურ, სოციალურსა და კულტურულ, var. სოციოკულტურულ ანთროპოლოგიას, მოიცავს მეცნიერების ისეთ დარგებს როგორც არის ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა, არქეოლოგია, ეთნოლოგია და სხვ. აღნიშნული მეცნიერებები ემსახურება ანთროპოლოგიის საბოლოო მიზანს — შეისწავლოს ადამიანი ყოველმხრივ როგორც ფიზიკურად, ისე სოციალურ და კულტურულ ჭრილში. ანთროპოლოგიური კვლევა სამედიცინო ასპექტებსაც გულისხმობს, რაც ერთიანდება მეცნიერების უკვე დამოუკიდებელ დარგში, რომელსაც სამედიცინო ანთროპოლოგია ეწოდება. სამედიცინო ანთროპოლოგია შეისწავლის ადამიანის ჯანმრთელობასა და დაავადებას, ჯანმრთელობის დაცვის სისტემას, ბუნებრივ და სოციოკულტურულ გარემოსთან ადამიანის ბიოკულტურულ ადაპტაციას. სამედიცინო ანთროპოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მედიცინის სოციოკულტურულ ასპექტებზე, რადგან „დაავადება და მკურნალობა მხოლოდ აბსტრაქტულად არის სუფთა ბიოლოგიური პროცესი... სად გახდა ავად ადამიანი, რა სახის დაავადება შეეყარა მას და რა სახის მკურნალობა სჭირდება, ხშირად განპირობებულია სოციალური ფაქტორებით“ [Lieban R. 1977:15].

ადამიანის და, საერთოდ, საზოგადოების ცხოვრების წესი, ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, დაავადებათა გავრცელების ინტენსივობაზე. თუნდაც რა როლს თამაშობს დაავადება ეკოლოგიურ და ევოლუციურ პროცესებში, ასევე ადამიანის მიერ სამყაროს აღქმაში, სოციალური სისტემების შექმნაში, სოციოკულტურული ღირებულებების ჩამოყალიბებაში... თუ სამედიცინო ანთროპოლოგიას ამ კუთხით შევხედავთ, დავინახავთ, რომ იგი იკვლევს არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომა-

რეობას საზოგადოებაში, დაავადების გამომწვევ მიზეზებს, მკურნალობის საშუალებებსა და შედეგებს, არამედ მთელ საზოგადოებას, მის სამედიცინო ასპექტებს — მედიცინას, როგორც სოციალურ მოვლენას.

სამედიცინო ანთროპოლოგიის კვლევის სფერო კიდევ უფრო ფართო და მნიშვნელოვანია, რადგან მას დაავადება აინტერესებს როგორც ფენომენი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს სოციოკულტურულ მოვლენებსა და პროცესებზე, საზოგადოების ისტორიულ განვითარებაზე.

დღეს უკვე დადგენილი ფაქტია, რომ დაავადებათა გავრცელებამ, ეპიდემიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საზოგადოების განვითარების პროცესში. არის მოსაზრება, რომ ტროპიკული მალარიის გავრცელების არეალმა გარკვეული გავლენა იქონია ინდოევროპული ტომების პირველადი ადგილსაცხოვრების ტერიტორიის შერჩევაზე ევრაზიაში [Харрисон Дж., Уайнер Дж., Тэннер Дж., Барникот Н., Рейнолдс В. 1970:570; Гамкрелидзе Т., Иванов Вяч. 1984: 915-916]. ასევე გარკვეული ისტორიული მოვლენები დაავადებებით იყო განპირობებული. ცნობილია, რომ პელოპონესის ომის დროს ათენში ძვ.წ. 429 წელს ეპიდემიამ იფეთქა. დღემდე გაურკვეველია თუ რა ეპიდემია იყო: შავი ჭირი, მალარია, ყვავილი თუ სხვ. ამ ეპიდემიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ომის მსვლელობაში და მანვე შეინირა ათენელთა ცნობილი მხედართმთავარი პერიკლე. მიიჩნევენ, რომ 1167 წელს რომი სწორედ მალარიის ეპიდემიამ იხსნა ფრიდრიხ ბარბაროსას თავდასხმისაგან. რომის კედლებთან მიმდგარ გერმანელთა ჯარში მალარია გავრცელებულა და გერმანელები იძულებულები გამხდარან უკან დაეხიათ. ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის საჩვენებლად, თუ რა როლს თამაშობს დაავადება საზოგადოების განვითარების ისტორიაში.

სამედიცინო ანთროპოლოგიური კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენი-

ჭება ისტორიულ წყაროებს. არქეოლოგიური, წერილობითი თუ ეთნოგრაფიული მონაცემების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ძველი საზოგადოებების სამედიცინო კულტურის შესწავლა, დაავადებისა თუ მედიცინის როლის გარკვევა ძველ კულტურებში. სწორედ არქეოლოგების, ანთროპოლოგებისა და პალეოპათოლოგების ერთობლივი კვლევის შედეგად დადგინდა უძველესი სახის დაავადებანი, გამოვლინდა მკურნალობის უძველესი საშუალებანი: თავის ქალის ტრეპანაცია თუ სხვა. ამ მხრივ საქართველოშიც არის კვლევა ჩატარებული. მიღებულია მნიშვნელოვანი დასკვნები. სამედიცინო თვალსაზრისით შესწავლილია კრანიოლოგიური და ოსტეოლოგიური მასალა, გამოვლენილია პათოლოგიები, მკურნალობის მეთოდები, არის ცდა სამედიცინო კულტების დადგენისა. აღნიშნული საკითხების კვლევაში ქართველ არქეოლოგებთან ერთად განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ანთროპოლოგებსა და პალეოპათოლოგებს.

დაავადებებმა, განსაკუთრებით კი ეპიდემიებმა, რა თქმა უნდა, გარკვეული როლი ქართველი ხალხის ისტორიაშიც ითამაშა, განსაკუთრებით კი მიგრაციულ პროცესებში, მაგრამ ეს საკითხი სერიოზული კვლევის საგანი ჯერჯერობით არ ყოფილა. საქართველოს ისტორიის ამ ასპექტით კვლევა კი პერსპექტიულია და ვფიქრობთ მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს.

„ძველი კოლხეთის ბიოგეოგარემოს წერილობითი და არქეოლოგიური მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ ბიოგეოგარემომ წამყვანი როლი ითამაშა კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში. კოლხეთი მთებითა და დაზღვით კარგად შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი იყო, რაც გეოპოლტიკურად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეულის სიუხვე, ფლორის და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისთვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე არის დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფიზიოლოგიურ-ფსიქიკუ-

რი, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სავაჭრო-კომუნიკაციური, გეოპოლტიკურ-სტრატეგიული, სულიერ-კულტურული განვითარების მაღალი დონე“ [გამყრელიძე გ. 1993:41].

იმავდროულად „ძველი კოლხეთის ისტორიულ განვითარებაში ანგარიშგასაწევია ზოგიერთი ფაქტორ-კომპონენტის უარყოფითი მხარე... დასავლეთ კოლხეთის ჭაობიანობა იწვევდა სხვადასხვა დაავადებას, რაც... უარყოფითად იმოქმედებდა მოსახლეობის გამრავლებაზე“ [გამყრელიძე გ. 1993:40].

ამგვარად, ბიოგეოგარემო ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ დაავადების ხელშემწყობია. ერთ-ერთი ასეთი — მალარიაა, რომელიც სპეციფიკურ გარემოში, კერძოდ კი ჭაობიან ადგილებში მცხოვრებ საზოგადოებაში ვრცელდება. მალარიას გეოგრაფიული გარემოს დაავადებადაც მიიჩნევენ [Бродель Ф. 2002:71].

მალარია საქართველოში ფართოდ გავრცელებული ენდემური დაავადებაა. იგი უძველესი დროიდან გვხვდება კოლხეთის დაბლობზე, სადაც მალარიის საუკეთესო ხელშემწყობი პირობები იყო. „...კოლხეთის ეს ზონა (იგულისხმება ზღვის სანაპირო ზოლი ნ.მ.) ...უახლოეს წარსულში მალარიის ბუდეს წარმოადგენდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე იყო იგი ჰოლოცენის ყველა ტრანსგრესიულ მონაკვეთზე“ [ხახუტაიშვილი დ. 1995:19].

უძველესი წერილობითი ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე მალარიით დაავადებულთა შესახებ ჰიპოკრატეს ეკუთვნის: „...ხოლო ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ [შემდეგი მაქვს სათქმელი]: ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და [მათი] ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავთსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავეებით, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს მზისაგან დამპალს და წვიმისაგან ადიდებულს. თვითონ ფასისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდორედ მიედინება. ...წყლებისაგან ამ ქვეყანას დიდი ნისლი ადგას. ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადამიანებთან

შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ: ტანად დიდები არიან, სისქით — მეტისმეტად სქელები; არც ერთს არ ემჩნევა არც სახსარი და არც ძარღვი; კანი კი ყვითელი აქვთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე ბოხი ხმით, [რადგან] სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ არამედ ნოტიოთ და ნესტიანით; ხოლო იმისათვის, რომ სხეულს ჯაფა მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან“ [ყაუხჩიშვილი თ. 1965:45,47]. ჰიპოკრატე აღწერს კოლხეთის ბიოგეოგარემოს და ამ კონტექსტში წარმოგვიდგენს ფასისის აუზში მცხოვრებთა ანთროპოლოგიურ სახეს, კონსტიტუციურ ტიპს. მაგრამ რატომღაც არაფერს ამბობს აქ გავრცელებული დაავადების შესახებ. ჰიპოკრატეს ცნობის კომენტარი ეკუთვნის თ. ყაუხჩიშვილს, რომელიც შემდეგნაირად ხსნის ზემოაღნიშნულ გარემოებას — „როგორ ახასიათებს ფასისელებს ჰიპოკრატე — ისინი ტანმალლები, მსუქნები და ჩაყვითლებულები არიან. ლაპარაკობენ ბოხი ხმით, საგანგებოდ არის აღნიშნული მათი სიზარმაცე. სიყვითლე, ჩანს, იმათი იქნა შემჩნეული, ვისაც მალარია სჭირდა და ასეთი ბევრი იქნებოდა ჭაობებში მცხოვრებთაგან. რაც შეეხება მეტისმეტ სიმსუქნესა და სიზარმაცეს, ამაზე ჭირს რაიმეს თქმა, რადგან ქართველი ხალხი და მით უმეტეს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, თავისი სისხარტითა და სიცქვიტით არის განთქმული. შესაძლოა ჰიპოკრატეს მეტისმეტად მსუქანი (ან დასიებული) და ზარმაცი ისევე ავადმყოფები ეჩვენენ, რომლებიც მას, როგორც ექიმს, უთუოდ უფრო აინტერესებდა, ვიდრე ჯანღონით სავსე მშრომელი ხალხი, რომლის დაკვირვების საშუალება ექიმს ნაკლებად ექნებოდა“ [ყაუხჩიშვილი თ. 1965:21]. ამგვარად, თ. ყაუხჩიშვილი ჰიპოკრატეს ცნობას კოლხეთის დაბლობზე მალარიის გავრცელების დასტურად მიიჩნევს.

ამავე ცნობის საფუძველზე, მედიცინის ისტორიკოსი მ. შენგელია განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს: „ბუნებრივია, აღიძვრება საკითხი — რა დაავადებასთან ან დაავადების რა ენდემურ კერასთან უნდა ჰქონოდა საქმე ჰიპოკრატეს? ის ხომ იმ დროის გამოჩენილი ექიმი იყო, რომელიც მალარიასა და მის კლინიკას კარგად იცნობდა. ამიტომ, უნდა

ვიფიქროთ, ძველი კოლხეთის მცხოვრებთა აღწერისას ის ამ სურათს მალარიასა და მალარიულ ანემიას დაუკავშირებდა, მაგრამ ჩანს, ჰიპოკრატე არ თვლის მას მალარიულ „სიყვითლედ“ ანუ მალარიულ ანემიად. იგი არაფერს ამბობს მალარიული „ციებ-ცხელების“ შესახებაც, რომელიც თან ახლავს ამ დაავადებას და ადვილად გამოსაცნობს ხდის მას. ეს დაავადება არც ეპიდემიური სიყვითლეა, ამას თვით ჰიპოკრატე გამორიცხავს. ცხადია, რომ იგი ჰიპოკრატესთვის ნაკლებად ცნობილი დაავადებაა, და ალბათ ისეთი დაავადება, რომელიც საერთოდ იმდროინდელი მედიცინისათვის ნაკლებად ცნობილი და გამოუვლინებელი იყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჰიპოკრატეს თავის ზემოხსენებული აღწერილობით, მოცემული აქვს ანკილოსტომიდოზის ენდემური კერა. ანკილოსტომიდოზი უძველესი დაავადებაა, მაგრამ XIX საუკუნის ბოლომდე შეუსწავლელი იყო, თუმცა, როგორც აღნიშნავენ, ამ დაავადების ცალკეული ნიშნები ასახვას პოულობდა თვით ჰიპოკრატეს, გალენის, ავიცენასა და სხვათა შრომებში, მაგრამ თვით დაავადება, როგორც ნოზოლოგიური ერთეული, ამ დაავადების არსი, მათთვის უცნობი იყო” [შენგელია მ. 1966:56].

მართლაც სინტერესოა, რატომ არაფერს ამბობს ჰიპოკრატე ფასისის აუზში გავრცელებული დაავადების შესახებ. ჰიპოკრატე მალარიით დაავადებულებს, რომ აღწერს, საეჭვო არ არის. როგორც ვთქვით, მალარია კოლხეთის დაბლობზე უძველესი დროიდან იყო გავრცელებული და XX საუკუნის I მეოთხედიდან დასავლეთ საქართველოს ბარის მთელი რიგი რეგიონების მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდა. ამას აღნიშნავს თითქმის ყველა უცხოელი, რომელიც დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონებში მოხვედრილა. მათ შორის აღსანიშნავია XIX ს-ის მეცნიერისა და მოგზაურის კარლ კოხის ცნობა, რომელიც ძალიან ახლოს დგას ჰიპოკრატეს მონაცემებთან. იგი შემდეგნაირად აღწერს აქ გავრცელებული დაავადების სიმპტომებს და დაავადებასაც მალარიად მიიჩნევს — „ციება აქ (იგულისხმება ფოთი - ნ.მ.) და ნიკოლაიში (შეკვეთილი - ნ.მ.)... ყველაზე საშიში მტერია, ფოთში ეს ნა-

წილობრივ ადგილმდებარეობითაც აიხსნება. მის გარშემო ნიადაგი ჭაობიანია. გარდა ამისა, ზღვიდან უბერავს ქარი, რომელსაც გამოაქვს მავნე ანაორთქლით გაჟღენთილი ნოტიო ჰაერი... ვისაც ეს ავადმყოფობა შეიპყრობს, მთელი თავისი სიძლიერით, ხშირად მისი პირველივე შეტევის მსხვერპლი ხდება. ჩვენ ისეთი შემთხვევის მოწმენი ვიყავით, რომ ხშირად ვერ ვანსხვავებდით თუ რა ჭირდა ადამიანს, ეპილეფსია თუ ცხელებისაგან შემცვივნება, რადგან კიდურები უცახცახებდათ. ისინი კი, ვისაც ამ ავადმყოფობის მწვავე ფორმა არა აქვთ, თანდათანობით იხოცებიან. ხშირად შეხვდებით შესიებულ, ფერმკრთალ, ჩაყვითლებულ სახეებს, რომლებიც გარე სამყაროს მიმართ ინდეფერენტულები არიან. მათი გამომეტყველება ოდნავადაც არ იცვლება: ფართო ფოსოებიდან უსიცოცხლო თვალები იყურება, ხელები უკანკალებთ, სიარული უჭირთ” [კოხი კ., სპენსერი ო. 1981:168]. კოხი აშკარად განასხვავებს ციების ორ ფორმას: „მწვავესა“ და „არამწვავეს“, ამ უკანასკნელის სიმპტომები კი, როგორც ვხედავთ, მსგავსია ჰიპოკრატეს მიერ აღწერილ ფასისელთა გარეგნული ნიშნებისა. ამგვარად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში ჰიპოკრატემ ნახა „არამწვავე“, ქრონიკული ციებით დაავადებულნი. ნიშანდობლივია, რომ მალარიის სხვადასხვა ფორმები აღწერილია შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში და აღნიშნულია მალარიის ზოგიერთი ფორმის ხანგრძლივობის შესახებაც — „ესე ცხრო ეგების ორსა წელიწადსაცა არ გაეყაროს“ [ქანანელი 1940:131]. ზოგიერთი ფორმის სიმპტომები, რომლის შესახებ ცნობებს სამედიცინო დარგის სპეციალისტები გვანვდიან, სავსებით ემთხვევა ჰიპოკრატეს აღწერილობას. „ავადმყოფი უხალისოდაა, (იგულისხმება მალარიით დაავადებული ნ.მ.) მოწყენილია, მადა დაკარგული აქვს („ნაღვლიანად იყოს ამის პატრონი“ ... „საუბარი არ მოუნდებოდეს, და არცა მოუნდებოდეს საჭამადი“) [ქანანელი, 1940:124], „არა ჰნებავს მას კაცსა საძრახავი და არცა მოუნდების საჭამადი“ [ფანასკერტელ-ციციშვილი ზ. 1950:397]. „სულის შევიწროება მწოვედ ექნების“ [ბაგრატიონი დ. 1938:492])... ვითარდება ანემია და სიყვითლე

(„თვალსა თეთრი გაუყვითლდეს...თავი სუბუქად ედგას“) [ქანანელი, 1940:124]), რასაც მოსდევს ორგანიზმის საერთო დასუსტება და სხეულის შეშუპება („ზოგჯერ ხელნი და ფერხნი გაუსივდენ“) [ფანასკერტელ-ციციშვილი ზ. 1950:397] [აბულაძე ს., ბაქრაძე გ. 1960:20].

მალარიის „არამწვავე“ ფორმის ე.წ. ჩუმი ციების შესახებ ცნობას გვანვდის იულ. ლომოური: „ჩვენში გავრცელებული ყოფილა ე.წ. ჩუმი ციება, ციების ქრონიკული ფორმა, როდესაც ციება აშკარად არ მჟღავნდება, ჩუმად არის სხეულში გაყურებული და ფარულად მიმდინარეობს“ [ლომოური იულ. 1925:63]. ციების ერთ-ერთი გართულება წყალმანკი იყო, რომელიც დაავადებულის შეშუპებას იწვევდა და მალარიის გართულებული, შეასაძლებელია ქრონიკული ფორმის სხვა სიმპტომებთან ერთად, სავსებით ემთხვევა ჰიპოკრატეს მიერ აღწერილ ფაზისის აუზის მოსახლეობის დაავადებული ნაწილის გარეგნულ ნიშნებს. ამგვარად, კოლხეთის დაბლობზე სპეციფიკური ბიოგეოგრაფიული გარემოს გამო ძველთაგანვე გავრცელებული იყო მალარიის მწვავე და არამწვავე, ქრონიკული ფორმები. ამ უკანასკნელს ქართველი ხალხი, როგორც ჩანს, ჩუმ ციებას უწოდებდა. ციება დაღს ასვამდა კოლხეთის დაბლობის მოსახლეობის გარეგნობას და არა მარტო გარეგნობას, მალარიას, რომელიც ათეული საუკუნეების მანძილზე კოლხეთის დაბლობის პრობლემას წარმოადგენდა არ შეიძლება კვალი არ დაეტოვებინა ამ არეალში მოსახლე საზოგადოების ცხოვრებაზე. სამედიცინო ანთროპოლოგიური კვლევის საფუძველზე მიჩნეულია, რომ კულტურულ მოდელში, სადაც მალარია არის გავრცელებული, საზოგადოების განვითარება „მალარიის კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს [Packard R., Brown P. 1997:187], ე.ი. მალარია არეგულირებს საზოგადოების ცხოვრების წესს. ისიც აღსანიშნავია, რომ მალარია, ქინაქინის აღმოჩენის შემდეგ, ეპიდემიების სახით ნაკლებად დასტურდება და, რა თქმა უნდა, მისი გავლენაც „კულტურულ მოდელში“ ნაკლებად ჩანს.

რა როლი ითამაშა მალარიამ ქართველთა ცხოვრებაში? ეს საკითხი ჯერ-ჯერობით შესწავლილი არ არის, მაგრამ გარკვეული მოსაზრებები გამოთქმულია. საყურადღებოდ მიგ-

ვაჩნია კავკასიის საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოების წევრის ექიმისა და სამედიცინო გეოგრაფიის სპეციალისტის ი. პანტიუხოვის მოსაზრება. მან 1899 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „მალარიის გავლენა კავკასიის კოლონიზაციაზე“, სადაც აღნიშნა, რომ კავკასიის „ყელის“ მოსახლეობას: კოლხებს, ლაზებს, აბაზებს, სვანებსა თუ სხვებს უძველესი დროიდან თავს ესხმოდა სხვადასხვა ხალხი და ეს ხალხი, ცოტა თუ დიდი ხნის მანძილზე გარკვეულ როლს თამაშობდა მათ ცხოვრებაში. „მაგრამ, რომ არ შევეხოთ ქვისა და ბრინჯაოს ეპოქებს“, წერს იგი, „ისტორიულ პერიოდში ამ თავდასხმებმა კავკასიის ეთნოგრაფიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის გავლენა არ მოახდინა. შავი ზღვის აუზში, მიმდინარე საუკუნეშიც (იგულისხმება XIX ს. - ნ.მ.) კი ცხოვრობენ ისეთივე კოლხები, ლაზები, აბაზები, სვანები... როგორებიც ცხოვრობდნენ ჰეროდოტეს დროს და კიდევ უფრო ადრე. არმენიის ზეგანზე ცხოვრობენ ისეთივე სომხები, ქურთები, თითქმის ისეთივე მდგომარეობაში და ისეთივე საცხოვრებლებში, როგორც აღწერილი აქვს ქსენოფონტეს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი კავკასიელი აბორიგენული მოსახლეობის გამძლეობისა და საიმედო დამახმარე უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში იყო კავკასიის მთელ ნაყოფიერ ველებზე მძვინვარე მალარია“ [Пантюхов И. 1899:52]. შეიძლება შეედავო ავტორს კავკასიის მოსახლეობის ტრადიციული ყოფის კონსერვატიულობის შესახებ, მაგრამ მალარიამ რომ გარკვეული როლი ითამაშა ამ მოსახლეობის ისტორიაში, მართებულობას მოკლებული არ არის, მით უმეტეს, რომ აქ ლაპარაკია ერთ-ერთ და არა ერთადერთ და ძირითად მიზეზზე, რომელიც მალარიას უკავშირდება. ფაქტია, რომ XIX საუკუნეშიც კი შავი ზღვისპირა რეგიონებში უცხოელებს ცხოვრება მეტად უჭირდათ, რაზეც სხვა მრავალ მაგალითთან ერთად, მეტყველებს შეკვეთილში (სანკტ-ნიკოლაი) მყოფი რუსი ოფიცრის მიერ კარლ კოხისადმი მიცემული რჩევა: „ვინც ქალაქ სანკტ-ნიკოლაიში ფეხის შემოდგმას გაბედავს იგი უვნებელი ვეღარ დაბრუნდება უკან. საჩქაროდ გაეცალეთ აქაურობას, მყრალ ადგილს, რომელსაც ოხში-

ვარი ასდის და სხეულში სიკვდილის ჩანასახს თესავს“ [კოხი კ., სპენერი ო. 1981:180-181].

მალარიის გავლენის კვალი აშკარად ჩანს კოლხეთის დაბლობის მოსახლეობის ყოფით კულტურაზე. ამ კუთხით საინტერესოა საქართველოში, განსაკუთრებით კი შავი ზღვისპირა რეგიონის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ერთი უძველესი წესი, რომელსაც პირობითად მომთაბარეობას უწოდებენ. ეს წესი გულისხმობს საცხოვრებლად მოსახლეობის სეზონურ გადაინაცვლებას ბარიდან მთაში და პირიქით. აქაური მოსახლეობა ზაფხულში მთიან ადგილებში მიდიოდა საცხოვრებლად, ზამთარში კი დაბლობს უბრუნდებოდა. ცხოვრების ეს წესი კოლხეთის დაბლობზე, არქეოლოგიური მონაცემებით, ჯერ კიდევ ადრენეოლითის ხანაში დასტურდება. „ქობულეთის სამოსახლო ადრენეოლითში გაფორმებულა და საკმაოდ ხანგრძლივადაც უარსებნია... კინტრიშის ხეობა ადამიანის ცხოვრებისთვის უაღრესად ხელსაყრელი, რბილი კლიმატით გამოირჩევა, რაც განაპირობებს მცენარეული საფარისა და ფაუნის მრავალფეროვნებასა და სტაბილურობას ...ამავე დროს მდინარის სათავეებში განლაგებულია საუცხოო საზაფხულო სანადირო სავარგულები და საძოვრები, საითკენაც ხდებოდა ბარის მოსახლეობის სეზონური გადაადგილება. მსგავსივე ვითარება ჩვენ დადასტურებული გვაქვს აჭარისწყლის ხეობაში, როგორც ჩანს, ამგვარი სურათი დამახასიათებელი იყო მთელი კოლხეთის ბარისათვის, საიდანაც ზაფხულის თვეებში ხდებოდა მოსახლეობის სეზონური მიგრაცია მთის ზოლისაკენ... თავდაცვითი აღჭურვილობის შეზღუდულობა, სიცივე, დიდთოვლობა და უსაკვებოდ დარჩენილ გარეულ ცხოველთა უმრავლესი სახეების დაბალი ზონისაკენ სეზონური მიგრირება ბუნებრივად კარნახობდა ნეოლითელ ადამიანს ძირითად საბინადროს (ბარს) დაბრუნებოდა. ეს იყო თავისებური მომთაბარეობა, რომლის ტრადიციამ არნახული, მაგრამ სავსებით გასაგები გამძლეობა გამოიჩინა და თითქმის ბოლო დრომდე შემორჩა“ [ხახუტაიშვილი დ. 1995:27]. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მალარიის ფაქტორიც. სამედიცინო ლიტერატურაში ჯერ კიდევ XIX საუ-

კუნის ბოლოს გამოითქვა აზრი, რომ თუ არა მომთაბარეობის წესი მალარიული ადგილების მოსახლეობა ამ სენს ვერ გაუძლებდა და მისი დიდი ნაწილი დაიღუპებოდა [ПАНТЮХОВ И. 1899:6]. ეს აზრი გაზიარებულ იქნა ქართველი მედიცინის ისტორიკოსების მიერაც [Шенгелия М. 1990:83]. მომთაბარეობის ამ წესს მალარიას უკავშირებენ უფრო ადრეული ხანის უცხოელი ავტორებიც. ლამბერტი აღნიშნავს, რომ კოლხეთის ჰავა განსაკუთრებით სახიფათოა ზაფხულის თვეებში: „ნოტიო ჰაერი, რომელიც შეპყრობილია ტყეებსა და მთებს შუა მეტად შხამავს ზაფხულსა და ჰბადებს მრავალ ავადმყოფობას, რომელიც უფრო უცხოელებს ვნებს. ზაფხულში ჩამოსული უცხოელები ხშირად კვდებიან აქ. ეს უბედურება რომ თავიდან აიშორონ, უცხოელებმა ზაფხულში ეს საშუალება უნდა იხმარონ; ვაკეზე არ უნდა იცხოვრონ, არამედ მაღლობზე და სრულებით არ სჭამონ ხილი, რომელიც ასე უხვად მოდის აქ და მეტად ვნებს, ვინც ბევრს სჭამს. კოლხიდის ჰავა ვნებს არამც თუ უცხოელებს, თვით ადგილობრივ მცხოვრებლებს იმდენს სხვადასხვა ავადმყოფობებს უჩენს, რომ ძლიერ იშვიათია, რომ იქაურმა ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწიოს. თითქმის საყოველთაო სენია კოლხიდელების ტყირპი, რომელიც, თუ დროზე შესაფერი წამლებით არ მოსპეს, წყალმანკად იქცევა. ციება, რომელიც ყოველ სამ-ოთხ დღეში, მეორდება, ისე ჩვეულებრივია, რომ პაროქსიზმების დროს აქცევენ მას ყურადღებას, თორემ სხვა დროს მუშაობასაც არ ანებებენ თავს. შემოდგომას კი ყოველდღე სტანჯავს მათ ციება“ [ლამბერტი არქ. 1991:151]. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ვახუშტის ცნობაც, რომელიც მართალია კახეთს ეხება და არა კოლხეთის დაბლობს, მაგრამ საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მალარიის სეზონურ ხასიათსა და მასთან დაკავშირებულ ტრადიციას ლაპარაკი — „ხოლო იორს არა-რაი ვითარი მდინარე ერთვის ანუ ხევი საგარეჯომდე, და არს მუნამდე ალაზნიდამ ველი. და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიანი, მცირე-თოვლიანი, ნადირ-ფრინველიანი, ჰავითა მშუენი. ხოლო ზაფხულის ცხელი, ხაშიანი, გაუძლისი. იორის პირს ყოფილა სასახლე, და ამჟამად, აწინდელთა კახთა მეპატ-

რონეთა, საზამთროთ ნადირობსათვის“... [ბატონიშვილი ვ. 1973:528]. ე.ი. ხაშიანი ადგილს, რომლისთვისაც „დამპალა“ შეურქმევიათ, ქართველი დიდებულები ზაფხულობით თავს არიდებდნენ და მას იყენებდნენ მხოლოდ „საზამთრო ნადირობისათვის“, როდესაც ციების საშიშროება აღარ იყო.

მალარიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კოლხეთის დაბლობის მკვიდრთა ყოფითი კულტურის სხვა მხარეებზეც. რაც შეემაჩნეველი არ დარჩენიათ დასავლეთ საქართველოში ნამყოფ მოგზაურებს, მეცნიერებსა თუ მისიონერებს. მოვიყვანთ ზოგიერთი მათგანის მონაცემებს. მაგ. შარდენი სამეგრელოს მცხოვრებთა ზოგიერთ თავისებურებას აქ გავრცელებული დაავადებებით ხსნის, რომელთა შორის მალარიაც იგულისხმება. იგი წერს: „ აქ ჰაერი ძალიან ნოტიოა. წვიმს თითქმის გადაუღებლად. ზაფხულში ნესტიანი მინა, გახურებული მწვავე მზით, წამლავს ჰაერს და ინვევს მრავალ დაავადებას — ხშირად შავჭირსაც... ჰაერის ამ ტემპერატურას ვთვლი მეგრელებში გავრცელებული ავადმყოფობის — წყალმანკის (მალარიის ერთ-ერთი გართულება - ნ.მ.) — მიზეზად, რომელიც ეპიდემიურ ხასიათს ატარებს. ამ უკანასკნელს ისინი ებრძვიან არა მარტო მუდმივი მოძრაობით, როდესაც ცხენზე ამხედრებულები დაჰქრინან გზებსა და მინდვრებში და სამ-ოთხ დღეზე მეტს ერთ ადგილზე არ ჩერდებიან, არამედ დიდი რაოდენობით მარილის მიღებით და მუდმივად ცეცხლთან ყოფნითაც“ [შარდენი ფ. 1975:109]. უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოში არა მხოლოდ „მარილის მიღებას“, არამედ წინაკის ჭარბ გამოყენებასაც საკვებში ციების პროფილაქტიკას უკავშირებენ. საინტერესოა გამზას ცნობები იმერლების შესახებ. გამზა, ისევე როგორც შარდენი, იმერელთა ყოფის ზოგიერთ თავისებურებას მალარიას უკავშირებს. იგი წერს: „იმერლები სამეურნეოდ დაბლობს იყენებენ, მაგრამ სახლ-კარად მაღალ პლატოებს ირჩევენ წყაროებთან ახლოს. ციებისაგან თავის დასაცავად ამ წინდახედულების გარდა ისინი კიდევ ბევრ სხვა ზომას მიმართვენ: სახლებში ცეცხლი დღედაღამ უნთიათ. ეს ჰაერის განმენდის ყველაზე უფრო საუკეთესო საშუალებაა და ამასთანავე, მიწის

სინესტესაც შთანთქავს. იმერლების საკვებია ღომის და ფეტვის ფაფა და სიმინდის გაღებები. ხორცს მაინცადამაინც არ ეტანებიან; ძალიან უყვართ მჟავე. ღვინოს ბევრს სვამენ. მათი ტანსაცმელი, განსაკუთრებით კი თხის ბენვისაგან დამზადებული ქეროს მოსასხამები, მათ ტემპერატურის მკვეთრ დაცემას იოლად გადაატანინებს ხოლმე. ამის გამო მათ ციება არ ემართებათ. სწორედ ამან შეუნარჩუნა ამ ხალხს სილამაზე და სილაღე, რის გამოც მათ ადამიანთა მოდგმის ნიმუშად თვლიან“ [გამბა ფ. 1987:176]. ცნობილია, რომ არც მეგრელები და გურულები ჩამორჩებიან იმერლებს სილამაზითა და სილაღით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ მართლაც შეიმუშავეს ცხოვრების ისეთი წესი, რომელიც წინ აღუდგებოდა მალარიას, ადაპტაციას მოახდენდა მის ხელშემწყობ ბიოგეოგარემოსთან. სწორედ ამიტომ, მალარიას გადაურჩა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ამ მძიმე დაავადებას საკმაოდ დიდ მსხვერპლი მოჰყვება და ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულ დაღს ასვამს. ამას კი თავისი მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხი ოდითგან მალარიას სპეციფიკურ გარემოს უკავშირებდა, რაზედაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მიუთითებს მალარიის ერთ-ერთი ძველი ქართული სახელწოდება ხაშმი, სიხაშმე. ხაშმი ჭაობის ორთქლის აღმნიშვნელი სიტყვაა. გარდა ტრადიციული ცხოვრების წესისა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მალარიის ხელშემწყობ გარემოსთან ადაპტაციასაც გულისხმობდა, მოსახლეობას უთუოდ უნდა შეემუშაებინა მალარიასთან ბრძოლის რაციონალური საშუალებები. ცნობილია, რომ ქინაქინის აღმოჩენამდე, აბზინდამ საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მალარიით დაავადებულთა მკურნალობის საქმეში. აბზინდა [Artemisia absinthium] მრავალმხრივი თვისების სამკურნალო მცენარეა. ეთნოგრაფიული მომაცემებით, საქართველოში იგი სხვადასხვა დაავადების, მათ შორის მალარიის სამკურნალოდაც გამოიყენებოდა. საინტერესოა, რომ პონტოს აბზინდას მოიხსენიებს პლინიუს უფროსი და აღნიშნავს, რომ იგი საუკეთესოა აბზინდას სხვა სახეობებს შორის [Скрежинская М. 1977:105]. პლინიუსის ცნობით, შავი ნალვე-

ლის სიჭარბე არის მიზეზი ბევრი დაავადებისა და პონტოს რაიონში არსებულ იმ ცხოველებს, რომლებიც აბზინდას ჭამენ ასეთი დაავადებები თავიდან აცილებული აქვთ [Скрежинская М. 1977:105]. მალარიის სამკურნალო საშუალებათა შორის ლამბერტი მოიხსენიებს რევანდს [Rheum]. იგი წერს: „ვინც იშოვნის რევანდს, სულ რომ პანანინა იყოს და ჭიით დახრულიც, შეინახავს, ვითარცა ძვირფას ნამალს, ციების წინააღმდეგს. მერე როგორ აძლევენ ამ ნამალს? არც გამოხარშავენ და არც დანაყავენ, არამედ როგორც არის, ისე მთლად ჩააგდებენ ერთი ლამით წყალში; მეორე დილას ამოიღებენ რევანდს, წყალს ასმევენ ციებიანს და რევანდს კი შეინახავენ სხვომისთვის“ [ლამბერტი არქ. 1991:91]. დასავლეთ საქართველოში მალარიის სამკურნალოდ იყენებდნენ უცუნას, რომლის ლათინური სახელწოდებაცაა *Colchicum speciosum*. იგი კოლხურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. დღეს ეს მცენარე გამოიყენება მედიცინაში. მალარიის სამკურნალო მცენარეები მედეას ბაღის მცენარეთა შორისაც არის მოხსენებული [ორფიკული არგონავტიკა 1977:108-109; Шенгелия М. 1990:108]. უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა ნამალ-სანამლავებთან ერთად, მალარიის სამკურნალო მცენარესაც ინახავდა თავის ყუთში მედეა. არის მოსაზრება, რომ სოხუმის ცნობილ სტელაზე ამოკვეთილი ქალის ფიგურა, რომელსაც ხელში ყუთი უჭირავს კოლხი მედეა უნდა იყოს და „ბალახებთან, გველებთან და ე.წ. ფრიგიულ ქუდთან ერთად, ნამლების ყუთი მის ერთ-ერთ ატრიბუტად უნდა მივიჩნიოთ“ [იხ. გამყრელიძე გ. 2002:134]. როდესაც ძველი კოლხეთის სამკურნალო მცენარეებზე ვლაპარაკობთ, უნდა მივიხსენიოთ სელის ზეთი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ხალხურ და ოფიციალურ მედიცინაშიც. შეიძლება ძველი კოლხები ამ საშუალებასაც იყენებდნენ მალარიის, ან მისი რომელიმე გართულების სამკურნალოდ. მიჩნეულია, რომ კოლხეთიდან გაჰქონდათ სელის ზეთი, რომელსაც საკვები, სანათი და სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა [მოლოდინი ლ. 1963:54] ჰქონდა. „ფიქრობენ, რომ სელის წარმოებით განთქმულ კოლხეთში როგორც სამკურნალო, ისე სურნელოვანი ზეთის შემზადება სელის ზეთის საფუძველზე იყო აღმოცენე-

ბული“ [ლორთქიფანიძე. ოთ. 2002:201]. ამჯერად ფართოდ არ შეეხებები მალარიის სამკურნალო საშუალებებს, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს საშუალებები მრავალ ხალხურ ტრადიციასთან ერთად, რომლებიც სპეციფიკურ ბიოგეოგარემოსთან ადაპტაციას გულისხმობენ, ხელს უწყობდა მალარიასთან ბრძოლას დასავლეთ საქართველოს ბარში.

ცნობილია, რომ მალარია ე.წ. ბუნებრივ „დაავადებათა სფეროს განეკუთვნება, ამიტომ მას ზებუნებრივ სამყაროსთან ნაკლებად აქვს კავშირი და მისი სამკურნალო საშუალებებიც რაციონალურია“ [Sigerist H. 1951:202]. მიუხედავად ამისა, იქ, სადაც მალარია იყო გავრცელებული ხშირად დასტურდება მასთან დაკავშირებულ ღვთაებათა კულტი. მაგ., რომში, რომელიც მალარიის ერთ-ერთ ცნობილ კერას წარმოადგენდა, თაყვანს სცემდნენ სამდლიანი და ოთხდლიანი მალარიის ქალღვთაება ფებრისს. ფებრის ტერცანეს და ფებრის კვარტანას ტაძრები რომის ბორცვებზე იყო აღმართული. მალარიასთან მიმართებაში განიხილება აგრეთვე ქალღვთაება მეფიტისი, რომელიც მოხსენიებულია ვერგილიუსის ენიდაში [ვერგილიუსი, 1976:VII, 84]. მეფიტისი დედამიწის ცუდ ამონაბოლქვთან, ცუდ ორთქლთან — ხაშმთან მეზობლ ქალღვთაებად ითვლებოდა. ტაციტუსის მიხედვით მხოლოდ მეფიტისის ტაძარი გადარჩენილა ძვ.წ. I საუკუნეში სამოქალაქო ომის დროს კრემონას ხანძრისა და დარბევის შემდეგ [Тацит К. 1969: III, 33).

არ არის გამორიცხული, რომ ციების ქალღვთაებათა ტაძრები დაავადების ეპიდემიის შეწყვეტის მიზნით იგებოდა. ეპიდემიების დროს სამლოცველოების აგების ტრადიცია უძველესი დროიდან მომდინარეობს — 430 წელს პელოპონესის ომის დროს, შავი ჭირის ეპიდემიის შეწყვეტის მიზნით, ათენში კიბელას ტაძარი აუგიათ [Naumann Fr. 1983:161]. ასეთივე ტრადიცია იყო საქართველოში - შავი ჭირის ეპიდემიების დროს წმ. ბარბარეს ეკლესიებს აშენებდნენ. ამ კონტექსტში საინტერესოა ს. მაკალათიას ცნობა ძამას ხეობაში **ციების საყდრის** არსებობის შესახებ [მაკალათია ს. 1961:29].

აღსანიშნავია ერთი ფაქტი. საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთში, ფართოდ იყო გავრცელებული ე.წ. უჟმური. რა დაავადება იყო უჟმური ჯერ-ჯერობით გარკვეული არ არის. თუმცა იგი ციების ერთერთ ფორმადაც განიხილება. არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო ლეიშმანიოზი, რომელიც მალარიის თანმდევი დაავადებაა [Маруашвили Г. 1968:120] და კლინიკით გარკვეულწილად მალარიის მსგავსია. თავად მოსახლეობა უჟმურს დამოუკიდებელ დაავადებად განიხილავდა და მის გამომწვევად მიწის ავი სული — უჟმური მიაჩნდა. ხალხური წარმოდგენით, უჟმურის ადგილსამყოფელი, ნესტიანი, ჭაობიანი ადგილებია, მისი „აყოლის“ დრო კი საღამო. მზის ჩასვლის შემდგომი პერიოდია „უჟამო ჟამი“, „უდროო დრო“. შესაძლებელია სწორედ ამიტომ, საქართველოში საღამოს მზის ჩასვლის შემდეგ ბავშვს, განსაკუთრებით კი ჩვილს, გარეთ არ გაიყვანდნენ, სახლში შემოსულ სტუმარს კი ნაკვერჩხლებზე გადაატარებდნენ. ეს ნესი რაციონალურობას არ იყო მოკლებული, თუ გავითვალისწინებთ, რომ ციების გამომწვევი კოლოს აქტიურობის პერიოდი სწორედ საღამო, ღამეა. ასეთივე ტრადიცია იყო რუსეთში, რაც ციებ-ცხელების შიშით აიხსნებოდა. რუსეთში ციების ღვთაებად „პარასკევა“ იყო მიჩნეული, რომლის გენეზისს ნესტისა და წყლის სამხრეთსლავურ ღვთაებას — მოკოტას უკავშირებენ.

უჟმურთან მიმართებაში საინტერესოდ იკვეთება ჰეკატეს კულტი, რომელიც, როგორც ცნობილია, ღამის დემონურ ძალებს განაგებდა. ჰეკატეს, რომლის ქურუმი მედია იყო, კავშირი კოლხურ სამყაროსთან დღეს ეჭვს არ იწვევს.

ამგვარად, ჯერჯერობით არ არის გარკვეული, წარმოადგენს თუ არა უჟმური ციების გარკვეულ ფორმას. უშუალოდ მალარიასთან დაკავშირებული ხალხური რწმენა-წარმოდგენები და ნეს-ჩვეულებები კი საქართველოს მოსახლეობას ნაკლებად შემორჩა, რაც შესაძლებელია აიხსნას მალარიის შესახებ არსებული ემპირიული ცოდნით — თუნდაც დაავადების ხელშემწყობი ბუნებრივი პირობების შესახებ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქინაქინით მკურნალობის დანერგვამდე, ნატუ-



როპათიური მკურნალობის ხალხური საშუალებებით, გარემოსთან შეგუების ხალხური ტრადიციებით ხერხდებოდა ციების გარკვეულ დონეზე ნეიტრალიზება. მაგრამ ემპირიული ცოდნის დაგროვებას, ჭაობიან რელიეფთან ადაპტაციის რაციონალური ტრადიციების შემუშავებასა და მალარიის მკურნალობის ეფექტური საშუალებების მიგნებას საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ძველ კოლხეთში, რომელიც მალარიის ენდემურ კერას წარმოადგენდა, ციებასთან დაკავშირებული კულტი არსებულებოდა. შესაძლებელია რომელიმე ქალღვთაებას ადამიანის მალარიისგან დაცვის ფუნქცია ჰქონოდა ან ძველი კოლხების თაყვანისცემის ობიექტი მალარიის ქალღვთაებაც ყოფილიყო, რომელიც აბზინდით ან უცუნას ყვავილით იქნებოდა შემკული. ნიშანდობლივია, რომ იზიდას ქურუმი ქალები აბზინდის გვირგვინებს ატარებდნენ. ხოლო იზიდას ერთ-ერთი ფუნქცია მკურნალობა იყო. ზემოხსენებულს და მალარიასთან დაკავშირებულ ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხს საქართველოში არქეოლოგთა და სამედიცინო ანთროპოლოგიის სპეციალისტთა ერთობლივმა კვლევამ შეიძლება მოჰფინოს შუქი.

### ლიტერატურა:

**აბულაძე ს., ბაქრაძე გ. 1960:** მალარიოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართული კარაბადინების მიხედვით (XI—XVII სს.). თბილისი.

**ბაგრატიონი დ. 1938:** იადიგარ დაუდი. თბილისი.

**ბატონიშვილი ვ. 1990:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**გამბა ფ. 1987:** მოგზაურობა ამიერკავკასიაში. თბილისი.

**გამყრელიძე გ. 2002:** კოლხეთი, კულტურულ-ისტორიული ნარკვევები. თბილისი.

**გამყრელიძე გ. 1993:** ისტორიულ - ტოპოარქეოლოგიური ძიებანი. თბილისი.

**ვერგილიუსი. 1976:** ენეიდა. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო რომან მინოშვილმა. თბილისი.

**კოხი კ., სპენსერი ო. 1981:** ცნობები საქართველოს შესახებ, გერმანიიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა. თბილისი.

**ლამბერტი არქ. 1991:** სამეგრელოს აღწერა. თბილისი.

**ლომოური იულ. 1925:** ციებცხელება ანუ მალარია საქართველოში. თბილისი.

**ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

**მაკალათია ს. 1961:** ძამას ხეობა. თბილისი.

**მოლოდინი ლ. 1963:** ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ქართული ზეთსახდელები). თბილისი.

**ორფიკული არგონავტიკა, 1977:** ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა დაურთო ნათელა მელაშვილმა. თბილისი.

**ფანასკერტელ-ციციშვილი ზ. 1950:** სამკურნალო წიგნი. თბილისი.

**ქანანელი 1940:** უსწორო კარაბადინი. თბილისი.

**ყაუხჩიშვილი თ. 1965:** ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი.

**შარდენი ჟან, 1975:** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი.

**შენგელია მ. 1966:** ჰიპოკრატეს ცნობების ინტერპრეტაციის საკითხისათვის საქართველოს შესახებ. - საბჭოთა მედიცინა, № 2, გვ. 51-56. თბილისი.

**ხახუტაიშვილი დ. 1995:** ქობულეთის ქვეყანა. I. თბილისი.

**Бродель Ф. 2002:** Средиземное море и Средиземноморский мир в эпоху Филиппа II. Москва.

**Гамкрелидзе Т., Иванов Вяч. 1984:** Индоевропейский язык и индоевропейцы. Тбилиси.

**Маруашвили Г. 1968:** Висцеральный лейшманиоз. Тбилиси.

**Пантюхов И. 1899:** Влияние малярии на колонизацию Кавказа, Тифлис.

**Скрежинская М. В. 1977:** Северное прчерноморье в описании Плиния Старшего. Киев.

**Тацит К. 1969:** Сочинения в двух томах, том второй, История, издание подготовили Кнабе Г.С., Грабарь М.Е., Бобович И.М. Москва.

**Шенгелия М. 1990:** Древняя колхо-иберийская медицина. Тбилиси.

**Харрисон Дж., Уайнер Дж., Тэннер Дж., Барникот Н., Рейнолдс В. 1970:** Биология человека. Москва.

**Lieban R. W. 1977:** The Field of Medical Antropology.- David Langli (Ed.). Cultura, Disiese and Healing. p.13-30. New-York.

**Naumann Fr. 1983:** Die Ikonographie der Kibele in der Phrygischen und der Griechischen Kunst. Tübingen.

**Packard R.M., Brown P.J. 1977:** Rethnking Health, Development, and Malaria: Historicizing a Cultural Model in International Health.-Brown P.J.(ed.), Medical Anthropology, Special issue, Malaria & Development, p. 181-194. Netherlands.

**Sigerist H. 1951:** A History of Medicine, vol. I. New-York

## ურეკის გვიანანტიკური ხანის ძეგლები

გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენა ურეკში XX ს-ის 30-იან წლებს უკავშირდება.

1936 წელს, დაბა ურეკში (ოზურგეთის რ-ნი), მდ. კუჩხისაბანოს მარცხენა სანაპიროზე, სადაც სანერგე მეურნეობის სამმართველო და საცხოვრებელი სახლებია გამართული დიუნაზე, არქეოლოგიური ნივთები აღმოჩენილა, რომლებიც ოზურგეთის მუზეუმში ჩაბარდა [Хоштариа Н. 1955:119].

იმავე წელს ადგილ კაპროვანაში, მდ. სეფას მარცხენა სანაპიროზე, დიდი დიუნის აღმოსავლეთი კალთის ქვემოთ, თიხის სარკოფაგს წააწყდნენ [იხ. Хоштариа Н. 1955:61].

1942 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს აკად. სიმონ ჯანაშიას ურეკში “განძის” აღმოჩენის შესახებ ეცნობა. აკად. ს. ჯანაშიამ მასალის გაცნობა, აღმოჩენის ვითარების შესწავლა და ქუთაისიდან განძის თბილისში გადმოტანა სპეციალურ კომისიას დაავალა [აფაქიძე ან. 1947:90]. კომისიის წევრებიდან (პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გ. ლომთათიძე და დ. კაპანაძე) გ. ლომთათიძე და დ. კაპანაძე ჩასულან ურეკში და აღმოჩენის ადგილი საფუძვლიანად შეუსწავლიათ.

1942 წელს ურეკში აღმოჩენილი “განძი” საქართველოს ეროვნულ მუზეუმის “ოქროს” ფონდში ინახება.

1948 წელს ურეკში, ერთ-ერთი ბორცვის მოსწორებისას, ჭრილში აღმოჩნდა ძვირფასი ნივთებით წარმოდგენილი “განძი”. განძის ძირითადი ნაწილი — ოზურგეთის მუზეუმში, ნაწილი კი ბათუმის მუზეუმში მოხვდა [Хоштариа Н. 1955:52-55].

1949 წელს ურეკის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გრიგოლეთის დასახლებაში, მდ. სუფსის მარცხენა სანაპიროზე ერთ-ერთი გლეხის ეზოში ამფორას მიაკვლია. ნ. ხოშტარიას აზრით, ზემოაღნიშნული ამფორა, „განძთან“ ერთად აღმოჩენილი ამფორის ანალოგს უნდა წარმოადგენდეს [Хоштариа

Н. 1955:59]. ამავე წელს სოფ. გრიგოლეთში აღმოჩნდა ოვალური ფორმის, ალმანდინის ქვებით შემკული ოქროს ბალთა, რომელიც ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება.

1948 წელს “განძების” სიახლოვეს გამოვლინდა რკინის შუბისპირი; ხოლო 1950 წელს დაზვერვების დროს ექსპედიციამ რკინის მახვილსა და სეპტიმიუს სევერუსის ვერცხლის მონეტას (ახ.წ. 193-211 წწ.) მიაკვლია. საყურადღებოა, რომ ამავე ტერიტორიაზე წინა წლებში აღმოჩენილი მონეტები ბათუმის მუზეუმშია დაცული.

XX ს. 40-იან წლებში ასევე შემთხვევითაა მოპოვებული მდ. კუჩხისაბანოსთან და ადგილ კაპროვანაში რკინის ცულები, ვერცხლის ფიბულები (ტაბ. II, 7-9), სამაჯურები და სხვ. [Хоштариа Н. 1955:63-66].

როგორც ზემოთ აღინიშნა, მდ. კუჩხისაბანოს მარცხენა სანაპიროზე არსებული დიუნის დაზიანებულ ჭრილში აღმოჩნდა საინტერესო არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც ნ. ხოშტარიასათვის გადაუციათ [იხ. Хоштариа Н. 1955:67]. ესენია: 1. მინის საცრემლე; 2. მინის ჭურჭელი; 3. თიხის ქოთანის; 4. ვერცხლის ორი რგოლი; 5. ბრინჯაოს სამაჯური; ასევე რამდენიმე არტეფაქტი, რომლებსაც ნ. ხოშტარია დიუნაზე არსებული კულტურული ფენის კუთვნილებად მიიჩნევდა [Хоштариа Н. 1955:66].

სავარაუდოდ სამარხის ინვენტარს უნდა ეკუთვნოდეს 1. მინის ჭურჭელი – “საცრემლე”, რომელსაც ახასიათებს მაღალი ყელი და პატარა მუცელი; 2. მინის “საცრემლე” – დაბალი ყელითა და ბირთვისებრი მუცლით; 3. ბრინჯაოს სამაჯური; 4. კვირისტავი; 5. ნითელაკიანი თიხის ჯამი; 6. მინისებრი პასტის მძივები. საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილი ექსპონატების უმეტესი ნაწილი 1938 წელს ოზურგეთის მუზეუმის გამოფენაზე იყო წარმოდგენილი [Хоштариа Н. 1955:67]. ზემოაღნიშნულ ძეგლს მკვლევარი იქ დადას-

ტურებული წითელლაკიანი ჯამისა და ბრინჯაოს სამაჯურის საფუძველზე ახ.წ. პირველი საუკუნეებით ათარილებს [Хоштариа Н. 1955:67]. ვფიქრობთ, ამ კომპლექსის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს ვერცხლის ორი დაზიანებული რგოლი - ბეჭედი. ამრიგად, ფაქტობრივი მონაცემებით კიდევ ერთხელ დასტურდება ნ. ხოშტარიას მიერ გამოთქმული მოსაზრება სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ახ.წ. საწყისი საუკუნეების ხანის სამაროვნის არსებობის შესახებ. მით უმეტეს, რომ სწორედ აქ, მაღალი დიუნის ქვეშ, 100-150 მ-ის დაშორებით 1942 და 1948 წლებში აღმოჩნდა მდიდრული არტეფაქტებით წარმოდგენილი ორი სამარხეული (?) კომპლექსი, ე.წ. "განძი". როგორც ზემოთ აღინიშნა "განძი" აღმოჩნდა ადგილ კუჩხისაბანოსთან ქვიშაზვინულში, ტრიგონომეტრიული პუნქტის სამხრეთით, დაახლოებით 30 მ-ის დაშორებით [აფაქიძე ან. 1947:90-91]. იქ თხრილის ამოღებისას 1,3 მ. სიღრმეზე დადასტურებულა რკინის დასაკეცი სარეცელი, რომელზედაც ვერტიკალურად იდგა ამფორა; გვერდით თიხის ქოთანის და მინის ჭურჭელი, ხოლო დასავლეთით ასე 0,7 მ-ზე, დაახლოებით 0,2 მ. სიღრმეზე, დანარჩენი არქეოლოგიური ნივთები [აფაქიძე ან. 1947:90-91]. კომპლექსი ან. აფაქიძემ შეისწავლა [აფაქიძე ან. 1947:89-111], თუმცა მისი კვლევის არეალში რატომღაც არ მოხვდა ქუთაისის მუზეუმში დაუნჯებული რკინის სარეცლის ნაშთი, თიხის ამფორა და მინის ორი ჭურჭელი [Хоштариа Н. 1955:56-58].

სარეცელი დამზადებულია რკინისაგან ორი გადაჯვარებული ფეხი (ინვ. №1, ტაბ. I, 1) ძლიერ არის დაზიანებული; შემორჩენილი სიგრძე 0,5-0,52 მ-ია. სარეცელი 2 მ. სიგრძისა და 0,5 მ. სიგანისა უნდა ყოფილიყო [Хоштариа Н. 1955:56-57].

ამფორა (ინვ. №2, ტაბ. I, 2), რომელიც სარეცელზე იდგა, მოვარდისფრო-მოყავისფროდაა გამომწვარი, დაზიანებულია, ახასიათებს წელში გამოყვანილი რელიეფური სარტყლებით შემკული მუცელი და კონუსისებრი ძირი; ზუსტი ასლები აღმოჩენილია შავი ზღვის სანაპირო ზოლში და ზოგადად III-IV სს. თარიღდება [Хоштариа Н. 1955:39-61]. არის

მოსაზრება, რომ ამ ტიპის ამფორები ახ.წ. IV და შედარებით გვიანდელი კომპლექსებისთვისაცაა დამახასიათებელი [Леквинадзе В. 1975:195; დანვრ. იხ. Зеест Н. 1960:39-61].

ქუთაისის მუზეუმში "განძიდან" (?) დაცულია მინის ოთხი (ინვ. №3-6) ჭურჭელი (მათი დაზიანებისა და ფრაგმენტულობის გამო გვიჭირს ზუსტი ანალოგების მოძიება). ოთხივე მოზრდილია, ბოთლისებრი; ძირი შიგნითაა შეზნექილი; ახასიათებს პირთან შესქელებული ბაკო და ლენტისებრი ყური. მინა მომწვანო-მოცისფროა, ნახევრად გამჭვირვალე [Хоштариа Н. 1955:58]. ან. აფაქიძე დამატებით მცირე ზომის ტლანქად დამზადებულ ქოთანზეც (ინვ. №7) ამახვილებს ყურადღებას [აფაქიძე ან. 1947:90]. ამავე კომპლექსს უკავშირდება ოქროს ბეჭედი (ინვ. №8; ტაბ. I, 3), რომლის ოვალურ თვალბუდეში მუქი მოყავისფრო აქატის თვალი ზის; აღსანიშნავია, რომ იგი (3,8X2,9 სმ, წონა 63-78 გრ) ასფარუგ ერისთავის ბეჭედზე დიდია და მასიური [აფაქიძე ან. 1947:92].

მეორე ოქროს ბეჭდის (ინვ. №9; ტაბ. I, 4) ღერო განივკვეთში ოვალურია; კოლოფისებრ ბუდეში ჩასმულია ლუქისებრი იასპის თვალი, გამოსახულებებით (ინტალიო). გამოსახულებები ტლანქია, ამოკვეთილია ჰერმესი და ფორტუნა; დამატებით ფორტუნას მარცხენა მხართან ხუთქიმიანი ვარსკვლავი აქვს დატანილი (ტაბ. I, 5). სცენის სიტლანქე და თემატურობა ე.წ. სასანურ გემებთან მისი ახლოვებზე უსვამს ხაზს [აფაქიძე ან. 1947:93]. მ. ლორთქიფანიძე სიუჟეტისა და სტილის მიხედვით ანალოგებს ახ.წ. III ს. გემებთან უძებნის [ლორთქიფანიძე მ. 1961:139].

იქვე აღმოჩნდა ოქროს ორი სამაჯური (ინვ. № 10, 11, ტაბ. I, 6, 7). დამზადებულია კუთხეებმომრგვალებული, ოთხნახნაგოვანი, მსხვილი მავთულისგან, რკალი ოვალურია, ოდნავ ასიმეტრიული; ერთი სრულიად სადაა (ტაბ. I, 6); მეორე, პირველისგან განსხვავებით, ბოლოებში ოდნავაა დაბრტყელებული და სხვადასხვა ფორმის, მათ შორის ნუშისებრი მოყვანილობის, 6-6 ალმანდინის (ძონის ?) თვალი ამკობს (ტაბ. I, 7). მათი ზუსტი ანალოგები არაა ცნობილი, თუმცა ლ. მაცულევიჩის გამოკვლევაზე დაყრდნობით, ვ. ლექვინა-

ქე ურეკის სამაჯურების ჩრდილო შავიზღვისპირულ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს [Леквинадзе В. 1975:202].

საავგაროზე (ინვ. №12; ტაბ. I, 8) დამზადებულია ოქროს თხელი ფურცლისაგან; წარმოადგენს საკმაოდ მოგრძო, რვანახნაგოვან პრიზმას; საკიდებად გააჩნია სამი ყუნწიანი ზურგდაღარული სალტე. არმაზისა და ბორის ანალოგიურ საავგაროზეებისაგან განსხვავებით [აფაქიძე ან. 1947:96-97; აფაქიძე ან. 1955:71] ურეკისეული ზომით დიდია.

საავგაროზეს, რომელშიც ამულეტი ან წარწერიანი ფირფიტა უნდა ყოფილიყო დაცული, გააჩნდა სარქველი, რომელიც მუზეუმში არ ჩაუბარებიათ. აღსანიშნავია რომ დასახელებული საავგაროზეების ფუნქციონირების ხანა მოიცავს ძვ.წ. III - ახ.წ. III საუკუნეებს, თუმცა იშვიათად, შედარებით გვიანაც გვხვდება. ამ ტიპის საავგაროზე ფართოდაა გავრცელებული გვიანანტიკურ ხანაში. სავარაუდოდ ეს ნივთი რომელიმე დაზიანებული საკიდის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა [Леквинадзе В. 1975:199].

საკიდის ნაწილი, 4 ცალი (ინვ. №13-16; ტაბ. I, 9,11), წარმოადგენს ოქროს სალტეს, რომელსაც ყუნწი გააჩნია და ყავისფრად მოელვარე მარკეზიტის ნატეხზეა შემოგარსული. თვით მარკეზიტი გამოფიტულია [აფაქიძე ან. 1947:98]. ამ ტიპის სამკაული მცხეთაში, არმაზისხევის მე-13 სამარხიდანაა ცნობილი (ერთ შემთხვევაში მთის ბროლისაა, მეორე შემთხვევაში კი პირიტის. მსგავსი მძივი-ამულეტი ზოგადად ყელსაბამშია ჩართული [Макимова М. 1962:226; Леквинадзе В. 1975:199].

ოქროს ყელსაბამი (ინვ. №17; ტაბ. I, 12) შედგება მასიური ოთხხანაგა, არათანაბარი ზომის ოცდაორი მძივისაგან. ამ ტიპის ყელსაბამს ზუსტი ანალოგი ბორის განძში ეძებნება [აფაქიძე ან. 1947:99]. არმაზში დადასტურდა მსგავსი ფორმის, მაგრამ არა ოქროს, არამედ სხვადასხვა მასალისაგან შედგენილი სამკაული, რომელიც “ყელზე უტარებიათ” [აფაქიძე ან. 1947:99]. ან. აფაქიძე სწორედ ამ არტეფაქტების მსგავსებაზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ “ამჟამად ჩვენ მეტი საშუალება გვაქვს საერთოდ ურეკის კულტურა

ბორისა და კლდეეთის გზით, ზოგიერთ ხაზებში მაინც იბერიის სამეფო ცენტრის კულტურას დავუახლოვოთ” [აფაქიძე ან. 1947:99]. როგორც ვ. ლექვენძე აღნიშნავს ახ.წ. III ს. დათარიღებული მსგავსი მძივები აღმოჩენილია არჩარასა და ნიკოლაევოში (თრაკია) [Леквинадзе В. 1975:199; დანვ. იხ. Филов Б. 1913:25].

ოქროს საყურე (ინვ. №18,19; ტაბ. I, 13), ორი ცალი, სამწილადი; შედგება ლალის თვალბუდიანი ვარდულის, ოქროს ჩამოსაკიდი ღერაკისა და თვალბუდის ქვედა კიდეზე მიმაგრებული სამი საკიდისაგან. ერთი ძლიერაა დაზიანებული. ზუსტი ანალოგი ჩვენთვის უცნობია. ერთი აშკარაა, დახასიათებული საყურე ქალს ეკუთვნოდა [ფუთურიძე რ. 1959:63].

ოქროს აგრაფი (ინვ. №29, ტაბ. I, 14), ორწილადი; ძირითადი ნაწილი ოვალური ფორმის დაფანჯრული ვარდულია. იგი ორგანულად უკავშირდება დიდ თვალბუდეს, რომელშიაც აქატის ოვალური ფორმის ქვაა ჩასმული (4X5,6 სმ). მეორე ნაწილი წარმოადგენს ოქროს ძენკვებს (14 ც.), რომელშიაც ჩართულია ლურჯი პასტის თეთრად ინკრუსტირებული მძივები, ბოლოში მავთულის ნნულზე დაკიდული ნითელი თვლებით შედგენილი ამფორისებრი საკიდები და ცვარით შემკული ოქროს ფირფიტის ჯამები (ტაბ. I, 14). მედალიონს ზურგის მხარეს მირჩილული აქვს შესაკრავი ენა. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის აგრაფები არც ისე ბევრია; მსგავსი მოსასხამის შესაკრავი ცნობილია ციხისძირის, ურბნისისა და არაგვისპირის კომპლექსებიდან [ინაიშვილი ნ. 1993:23]. თუმცა ურეკის ზუსტი ანალოგი ჩვენთვის უცნობია. იგი გარკვეულწილად მსგავსია სირიული აგრაფის, რომელიც ახ.წ. III ს. მეორე ნახევრით, ან შედარებით გვიანი ხანით თარიღდება [Greifenhagen A. 1970:74].

ზემოაღნიშნული აგრაფის ფუნქცია-დანაშინულების დასადგენად საყურადღებოა ციხისძირის მედალიონზე გამოსახული პიროვნება (ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით ლუციუს ვერუსი), რომელსაც მხართან, სამოსელის შესაკრავად მსგავსი აგრაფი ამკობს [ინაიშვილი ნ. 1993:23].

თუ გავიზიარებთ მკვლევართა ერთი ნა-  
ნილის აზრს, რომ ციხისძირის ბუნიკი, ასე-  
ვე ბერსუმა პიტიასხმის სატევარი [აფაქიძე  
ან. 1955: ტაბ. III] წარჩინებული პიროვნების  
ინსიგნიის ნიშნებს წარმოადგენდნენ [ინა-  
იშვილი ნ. 1993:32], მაშინ ზემოაღნიშნული  
აგრაფიც ამავე კონტექსტში უნდა გავიაზ-  
როთ, მით უმეტეს, რომ მსგავსი შესაკრავი  
ოქროს მონეტებზე გამოსახულ მეფეთა ნა-  
მოსასხამებს ამკობს [აფაქიძე ან. 1947:108;  
Леквинадзе В. 1975:199].

ოქროს კოლოფისებრი კილიტებით (50 ც.)  
შედგენილი ბალთა (ინვ. №21, ტაბ. II, 1-3). კი-  
ლიტები ორი ტიპისაა (დმ. 1,8-2 სმ), პირველი  
- 17 ცალია (ტაბ. II, 2), ექვსნახნაგა ფორმის,  
დატიხრული, შიგ ჩასმული წითელი მინის(?)  
თვლებით; მეორე - ფორმით პირველის მსგავ-  
სია, სულ 33 ცალი (ტაბ. II, 3), განსხვავდება  
ცენტრში მოთავსებული ოვალური თვალბუ-  
დით, რომელშიც კონუსისებრი წითელი ქვაა  
ჩასმული; ქვას მშვილდისებურად მოხრილი  
ექვსი ოქროს მავთულის ტიხარი ეყრდნობა  
[აფაქიძე ან. 1947:102]. ზურგის მხარეს პა-  
რალელურად მიჩრილი წყვილი მილაკი  
აქვს (საერთო წონა 314,22 გრამია). ამ ტიპის  
სამკაული იშვიათია. არის მოსაზრება, რომ  
დამზადების ტექნიკის მიხედვით იგი აქემე-  
ნიდური ირანის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული  
სამყაროსათვისაა (შუა აზია და სხვ.) დამახა-  
სიათებელი [Леквинадзе В. 1975:203].

საყურადღებოა კლავდიუს ტაციტუსის  
ოქროს მონეტა (268-270 წწ.)? (ინვ. №22). რო-  
გორც პროფ. გ. დუნდუა აღნიშნავს, რომაუ-  
ლი ოქროს მონეტების აღმოჩენის შემთხვე-  
ვები დასავლეთ საქართველოში იშვიათია.  
სულ სამ შემთხვევას ჩამოთვლის, რომელთა-  
გან მესამე, ურეკში აღმოჩენილი ტაციტუსის  
აურეუსია [დუნდუა გ. 1996:103]. მკვლევარი  
განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღე-  
ბას მეორე ოქროს მონეტაზე (ინვ. №23). იგი  
ან. აფაქიძისა და დ. კაპანაძის განსაზღვრით,  
“ბარბაროსული წარმოშობისა უნდა იყოს»  
[აფაქიძე ან. 1947:103]; ხოლო გ. დუნდუას მი-  
ხედვით აურეუსის მინაბაძია და შედგენილო-  
ბით სუბერატულია; მსგავსი მინაბაძი, სულ  
12 ცალი, იბერიაშია დადასტურებული [დუნ-  
დუა გ. 1996:103]. მონეტის ავერსზე მარჯვე-

ნივ პროფილში ქალია გამოსახული, რევერ-  
სზე კი შუბის მტყორცნელი მეომარი.

გ. დუნდუას აზრით, ურეკში აღმოჩენილი  
აურეუსი კოლხეთში რომაული ოქროს მონე-  
ტის იმიტაციის პოვნის პირველი და ჯერჯე-  
რობით ერთადერთი შემთხვევაა [დუნდუა გ.  
1996:103].

მნიშვნელოვანია ვერცხლის ბეჭედი (ინვ.  
№24; ტაბ. II, 4), რომლის ოვალურ თვალბუ-  
დეში შავი ფერის თვალია ჩასმული; მასზე  
უხეში კვეთით სერაპისის გამოსახულებაა  
დატანილი. ძეგლის შესწავლის პროცესში  
მ. ლორთქიფანიძე გემის მცირეაზიულ წარ-  
მომავლობაზე მიგვანიშნებს, ხოლო ბეჭდის  
ფორმის საფუძველზე, III-IV სს. ათარიღებს  
[ლორთქიფანიძე მ. 1961:71].

ამ კომპლექსებს უნდა ეკუთვნოდეს ვერ-  
ცხლის ილარი (ინვ. №25, ტაბ. II, 5), რომე-  
ლიც ნახნაგოვანდეროიანია, რომლის ერთი  
ბოლო ყურის საჩიჩქნია, მეორე კი ფოთლი-  
სებრი ფორმის ჭვირული სახითაა შემკული.  
ასევე ვერცხლის მეორე ილარის ფრაგმენტი  
(ინვ. №27,28; ტაბ. II, 6), ვერცხლის სარტყლის  
ნაწილები (ინვ. №30; ტაბ. II, 11-13), წვრილი  
ძენკვი, სარდიონისა და ბროლის, ასევე ქარ-  
ვის მძივები (ტაბ. II, 10), თიხის კვირისტავი და  
ვერცხლის 5 მონეტა.

დასახელებული ვერცხლის მონეტებიდან  
სამი - კეისარ ადრიანეს (117-138 წწ.) სახელ-  
თანაა დაკავშირებული [დუნდუა გ. 1996:102],  
მეოთხე კესარიული დიდრაქმაა, ხოლო მე-  
ხუთე კარაკალას (211-217 წწ.) დრაქმა უნდა  
იყოს [დუნდუა გ. 1996:102].

ზემოაღნიშნული ჩამონათვალი – აღწერი-  
ლობა მიგვანიშნებს, რომ ურეკში 1942 წელს  
აღმოჩენილ კომპლექსში “ვხვდებით განსხვა-  
ვებული რიგის, ტექნიკის, დანიშნულებისა და  
წარმოშობის ნივთებს” [აფაქიძე ან. 1947:108].

ჩვენი აზრით, სრულიად დასაშვებია, რომ  
“განძში” ორი ან მეტი სამარხიდან მომდინა-  
რე ნივთები იყოს თავმოყრილი. ზოგიერთი  
არტეფაქტის ქრონოლოგიური დიაპაზონი  
კლავდიუს ტაციტუსის ოქროს მონეტა (275-  
276 წწ.), ადრიანეს (117-128 წწ.) დიდრაქმა;  
ვერცხლის ბეჭედი (III-IV სს.), მინისებრი პას-  
ტის მძივები და სხვ. [აფაქიძე ან. 1947:102-  
107; დუნდუა გ. 1966:102]; ასევე აღმოჩენის

ადგილი (ორი მეტრი ფართობი); სარეცელსა და სხვა ნივთებს შორის არსებული დაშორებობა და დონეებს შორის განსხვავება [აფაქიძე ან. 1947:91] ზემოაღნიშნულ მოსახრებას არსებობის უფლებას აძლევს. ვფიქრობთ, ნივთების უმრავლესობა მაინც ერთი სამარხეული კომპლექსის კუთვნილებაა.

აქ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი, ან. აფაქიძის დაკვირვებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება “თითქოს პოლიქრომული რიგის ნივთები უახლოეს ანალოგს პოულობენ არმაზისა და სამთავროს ნივთებს შორის. . . იქნებ გარკვეულ ზეგავლენასაც კი, “. . . მაშინ, როცა მეორე ჯგუფის სადა და მასიური სამკაულებისათვის ასე ახლო ანალოგის მოძებნა ძნელდება“ [აფაქიძე ან. 1947:108].

სრულიად ბუნებრივია, აღმოსავლეთ საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებული კოლხეთი, ან დასაშვებია საკვლევი მიკრორეგიონი ერთგვაროვანი ნივთების არსებობით, თითქოს კულტურულ და პოლიტიკურ ერთობასაც ამჟღავნებს. სადა და მასიური ოქროს სამკაული კი კოლხური ტრადიციული ოქრომჭედლობის ნივთიერ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს [აფაქიძე ან. 1947:108].

ძირითადი სამარხეული კომპლექსის თარიღად საავგაროზეს, მინის ჭურჭლისა და მონეტების საფუძველზე III ს-ის ბოლო და IV ს-ის დასაწყისი უნდა მივიჩნიოთ“ [აფაქიძე ან. 1947:110; Хоштариа Н.В. 1955:26,61; დუნდუა გ. 1996:102].

დახასიათებული ძეგლის ურეკის ტერიტორიაზე აღმოჩენა სრულ უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ საზოგადოების პოლიტიკურად, ეკონომიურად და სოციალურად დაწინაურებული წევრისა ან წევრების განსასვენებლის (ნეკროპოლის) არსებობა [Иващенко М. 1980:97]. ამ მასალების საფუძველზე უნდა ვიგულისხმოთ სუფსა-ნატანების ორმდინარეთში პოლიტიკური (საპიტი-ახშოს ?) ცენტრის არსებობა, სამაროვნის შესაბამისი და შესატყვისი მძლავრი ქალაქური ტიპის დასახლებით (ვაშნარის ციხე-ქალაქი). ზემოაღნიშნულზე მიგვითითებს 1948 წლის შემდგომი აღმოჩენაცა და იმავე ტერიტორიაზე

ამოვლენილი შემთხვევითი მონაპოვარი.

ურეკში 1948 წელსაც გაკეთდა მნიშვნელოვანი აღმოჩენა. ცალკეული ძვირფასი ნივთები გამოვლინდა მდ. სუფსისა და მდ. კუჩხისაბანოს ორმდინარეთიდან [Хоштариа Н. 1955.:26]. აღმოჩენის ადგილიდან 1948 წელს გამოვლენილი კომპლექსი დაშორებულია 150 მ-ით; აღსანიშნავია რომ მათ შორის არსებულ ტერიტორიაზე დადასტურდა ცალკეული მონაპოვარი. ნ. ხოშტარიას დაკვირვებითაც სავარაუდოდ ძველად ამ ადგილას მდიდრული სამარხებით წარმოდგენილი სამაროვანი-ნეკროპოლი იყო გამართული [Хоштариа Н.1955:26].

ძეგლის აღმომჩენის გადმოცემით დიუნის ზედაპირიდან 2 მ-ის ქვემოთ, დამხობილი ვერცხლის ლანგარი, მინის ჭურჭელი, ვერცხლის კოვზი და ჯამი დაფიქსირდა, მეორე დღეს დამატებით კიდევ რამდენიმე ნივთი აღმოჩნდა. ნ. ხოშტარიას ოზურგეთის მუზეუმში დაცული ნივთების შესწავლის პროცესში უნახავს ჩაბარების აქტი [Хоштариа Н. 1955:52,53]. როგორც მკვლევარი აღნიშნავს ოქროს ნივთები ზემოაღნიშნულ სიაში არ შესულა.

ჩაბარების აქტის საფუძველზე “განძი“ შემდეგი ნივთებისაგან შედგებოდა: 1. მოქრული ვერცხლის ლანგარი; 2. ვერცხლის დამტვრეული ფიალა; 3. ვერცხლის კოვზი; 4. ვერცხლის ჯაჭვი; 5. მინის ჭურჭელი. ზემოაღნიშნულს, მკვლევარის აზრით, უნდა დაემატოს მუზეუმში 1948 წელს შესული “იმავე კომპლექსისეული“ რამდენიმე არტეფაქტი, ესენია: 6. ოქროს ნახევარსფერული, აღმანდინებით შემკული ნივთი; 7. ოქროს ღილი – 54 ცალი; 8. ოქროს პატარა ბალთა; 9. ნითელი ქვებით შემკული ოქროს სამაჯურის ნაწილი. ამავე კომპლექსს ეკუთვნის ბათუმის მუზეუმში დაცული “ოქროს სამკაული“ [Хоштариа Н. 1955:54]. ეს არტეფაქტი ოზურგეთის მუზეუმში დაუნჯებული ოქროს ნახევარსფერული ნივთის ზუსტ ასლს წარმოადგენს. როგორც ჩანს “განძის“ ნივთების ძირითადი ნაწილი ოზურგეთის მუზეუმში ჩაბარდა, ხოლო რამდენიმე მათგანი ბათუმის მუზეუმს [Хоштариа Н. 1955:54,55].

1. ვერცხლის მოოქრული ლანგარი (ინვ. №1, ტაბ. III, 1), ძირი ბრტყელია შუაში, ოდნავ გამოყვანილი, ახასიათებს აჟურული კალთა და ნაკვეთილი ფიგურული ბაკო. ფსკერზე ნნევით გამოყვანილი წრეები, ხოლო ცენტრში წრეში ჩანერილი რვასხივა ვარსკვლავია გამოყვანილი [Хоштариа Н.В. 1955:41; ფუთურიძე რ. 1963:64; Мачабели К. 1972:11].

ფსკერზე მსგავსი შემკულობის მედალიონის მქონე ლანგარები IV ს. მეორე ნახევრის და V ს. დასაწყისის მდიდრული კომპლექსებიდანაა ცნობილი [Леквинадзе В. 1975:206].

2. ვერცხლის კოვზი (ინვ. №2), გააჩნია მუხლიანი გრძელი სატარე, რომელიც თხის ჩლიქისებრი გამოსახულებით მთავრდება; კოვზი ბაგინეთის, სამთავროს, ურბნისის, ბორის, ზღუდრის, სარგვეშისა და ციხისძირის კომპლექსებშია დადასტურებული [აფაქიძე ან. 1955; აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. 1966: ტაბ. 1; Tschoubinashwiili G. 1925:83,84; ინაიშვილი ნ. 1993:40], ხოლო ურეკის ზუსტი ანალოგი ბორის, ზღუდრის, ციხისძირის, რიყიანის და მცხეთა-სამთავროს სამაროვნებზეა გამოვლენილი [ინაიშვილი ნ. 1993:40; Иващенко М.1980:325; აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. 1996: ტაბ. 1,2].

3. ვერცხლის ფიალა (?) დამტვრეულია (ინვ. №3), ამიტომ მისი დახასიათება ძნელდება. აქვს ჰორიზონტალურად დამაგრებული ორი ყური. მას ხობის მონასტერთან შესწავლილ ახ.წ. პირველი საუკუნეებით დათარიღებულ სამაროვანზე აღმოჩენილ ფიალას ამსგავსებენ; [Хоштариа Н. 1955:54; მაჩაბელი კ. 1983:37-40].

4. ვერცხლის ჯაჭვის ფრაგმენტი (ინვ. №4), შედგება ვერცხლის რგოლებისაგან, რომელსაც ბოლოში ოვალური ფორმის ფირფიტები ამკობს; მსგავსი აღნაგობის ოქროს ჯაჭვი აღმოჩენილია “ახალგორის განძში” [Хоштариа Н. 1955:54].

5. მინის ჭურჭელი, სამი ცალი (ტაბ. III, 2-4), როგორც ზემოთ აღინიშნა ორი მთელია, მესამე ნაკლული [Хоштариа Н. 1955:58; ტაბ. XVII, 1].

პირველი ჭურჭელი (ტაბ. III, 2) მოზრდილია, ორყურა, ერთი ყური მოტეხილი აქვს; ფორმით ბოთლისებრი, ბაკო – სქელი, ლილ-

ვაკისებრი; პირი - მკვეთრად გადაშლილი, ყელი - დაბალი, გამოყვანილი, მუცელი - ცილინდრული, ძირი - ბრტყელი, შიგნით შეზენილი; მუცელს ნალარი ზოლები ამკობს; “ბრტყელი” ლენტისებრი ყური პირსა და მხარზეა დაძერწილი. სიმაღლე 33,5 სმ.

დანარჩენი მინის ორი ჭურჭლიდან ერთი ნაკლულია (ტაბ. III, 3), მეორეს აქვს (ტაბ. III, 4) სქელი, ლილვაკისებრი ბაკო, ფართოდ გადაშლილი პირი, გრძელი, ოდნავ გამოყვანილი ყელი, მომრგვალებული მუცელი და ფართო, შიგნით შეზენილი ძირი. ზემოაღნიშნული მინის ჭურჭელი ფართოდთაა გავრცელებული I-III საუკუნეების არქეოლოგიურ კომპლექსებში: სამთავრო (Иващенко М. 1980:147-149,154,155,159), ურბნისი [საგინაშვილი მ. 1970: ტაბ. II, 3-5] და სხვ. აღსანიშნავია, რომ სამაროვნის IV-VIII სს. კომპლექსებში ამ ტიპის სანელსაცხებლე აღარ გვხვდება [უგრელიძე ნ. 1967:24-80]. ვ. ლექვინაძე ეყრდნობა რა ლესინგის გამოკვლევებს, ბოთლისებური მინის ჭურჭელს IV ს. მიწურულით ათარიღებს [Леквинадзе В. 1975:206; Lesings G. 1957:157-158].

6. ოქროს ნახევარსფერული ფორმის სამკაულიდან (ინვ. №8) ერთი ოზურგეთის, ხოლო მეორე - ბათუმის მუზეუმშია დაცული; ოზურგეთის მუზეუმის ფონდში დაუნჯებული ექსპონატის. შუბლის მხარე შუაში ოდნავაა ამოზურცული და აღმანდინის ქვებითაა შემკული; გვერდებზე დატანილია სამი გამჭოლი მრგვალი ნახვრეტი (დმ. 7,7; სიმაღლე – 2 სმ; ნონა – 20,75 გრ.); ბათუმის მუზეუმში დაცული ნივთი ანალოგიურია; განსხვავება მხოლოდ ნონაშია; როგორც აღინიშნა პირველი ინონის 20.75 გრ, ხოლო მეორე – 18 გრ [Хоштариа Н. 1955:54].

7. ოქროს ღილი – 54 ცალი (ინვ. №19), კონუსისებრი, ზურგის მხარეს ოქროს ღერაკი აქვს მიჩრილული. ნონა 0,3 გრ. ამ ტიპის, მაგრამ ნახევარსფერული ფორმის ღილი-კილიტი ცნობილია მცხეთა-არმაზის, ბორის, ვანისა და ჩხორონყუს სამარხეული კომპლექსებიდან [Хоштариа Н. 1955:55].

8. ოქროს ბალთა-აბზინდა (ინვ. №10, ტაბ. III, 5) წარმოადგენს ოვალური ფორმის რგოლს, რომელსაც შედარებით სწორი მხრი-

დან ოქროს ღერაკი – ენა აქვს შებმული. ტიპოლოგიურად მსგავსი აბზინდა ასპარუგ ერისთავის სამარხიდანაა ცნობილი [აფაქიძე ან. 1955: ტაბ. XXXIX, 2ა,2ბ; ტაბ. XL,9,10]. შესაძლოა ბალთა-აბზინდა ტყავის ფეხსაცმლის შესაკრავად გამოიყენებოდა [Хоштариа Н. 1955:55].

9. ოქროს სამაჯური (ინვ. №11), დაზიანებულია, დამზადებულია განივკვეთში ოთხკუთხა, ფუყე ღეროსაგან; ზედაპირი ალმანდინის, ოთხკუთხედის ფორმის თვლებით იყო შემკული. როგორც შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, იგი ორნაწილად შედგენილ სამაჯურს წარმოადგენდა. შემორჩენილი სიგრძე 4,5 სმ, სიგანე - 1,7-1 სმ.

ამრიგად, როგორც ზემოთ დავინახეთ, გვიანანტიკური ხანის ძეგლებიდან განსაკუთრებულია მდ. კუჩხისაბანოს მარცხენა სანაპიროზე არსებული სამაროვანი. ჩვენი ვარაუდით, მაღალი სახელისუფლებო რანგის მოხელეთა რამდენიმე სამარხეული კომპლექსი მიგვანიშნებს, რომ მდინარეთა სუფსა-ნატანების შორისი, ზღვის სანაპირო ზოლი, ახ.წ. II-IV სს-ში გარკვეული პოლიტიკური ცენტრის – რეზიდენციის სიახლოვეს არსებულ ნეკროპოლს წარმოადგენდა. ოქროს აგრაფი-ინსიგნია და კეთილშობილი ლითონისაგან დამზადებული სხვადასხვა სამკაული ზემოაღნიშნულზე მიგვანიშნებენ [აფაქიძე ან. 1947:108; აფაქიძე ან. 1955; Леквинадзе В. 1975:204-205; ინაიშვილი ნ. 1993:32].

სამწუხაროდ, ნეკროპოლი დღეისათვის არაა სრულად შესწავლილი; აღმოჩენების საფუძველზე ცნობილია მდებარეობა, მაგრამ არაა გარკვეული გავრცელების არეალი, უცნობია სტრატეგრაფია, სამარხთა აღნაგობა, დაკრძალვის წესი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ რანგის სინქრონული დასახლებები.

თუმცა ამავე მიკრორეგიონში გამოვლენილი გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეების ხანის მოედნისა და ომფარეთის სასიმაგრო სისტემა, ვაშნარ-სპონიეთის ციხე-ქალაქი, გრიგოლეთის სამაროვანი, შუხუთის, ომფარეთის, მოედნისა და ოზურგეთის აბანოები, გამოთქმული მოსაზრების სავარაუდო დასტურია [სადრაძე ვ. 1996:26]

ინფორმაციის სიმწირის მიუხედავად, საკვლევი რეგიონი ელინისტური ხანიდან თუ არა, გვიანანტიკურიდან მაინც გარკვეული პოლიტიკური ერთეულის გურიის საერისთავო – საპიტიახშოს თანდათანობით ჩამოყალიბებაზე უნდა მიგვანიშნებდეს (არიანე 1961:43; ვახუშტი 1941:175-176; აფაქიძე ან. 1947:108). არაა გამოსარიცხი, ზემოაღნიშნული პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებაში იბერიის (ქართლის) შავი ზღვის სანაპიროზე გასვლის სასიცოცხლო აუცილებლობით ყოფილიყო განპირობებული [არიანე 1961:43; აფაქიძე ან. 1947:108].

### ლიტერატურა:


- არიანე ფლავიუსი. 1961:** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგ. ნ. კეჭალაძე, თბილისი.
- აფაქიძე ან. 1947:** გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. სსმმ, ტ. XIV-B, გვ. 82-112, თბილისი.
- აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე აღ., ლომთათიძე გ. 1955:** მცხეთა-არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბილისი.
- აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. 1996:** მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა – აკლდამა 905. - ან. აფაქიძე (რედ.). მცხეთა, XI. გვ. 7-42, თბილისი.
- დუნდუა გ. 1996:** გურიის ნუმიზმატიკური მასალა. - ან. აფაქიძე (რედ.) გურია, I. გვ. 100-116, თბილისი.
- ვახუშტი ბატონიშვილი 1941:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა – თ. ლომოური, ნ. ბერძენიშვილი (რედ.), გვ. 174-176. თბილისი.
- ინაიშვილი ნ.** ციხისძირის ახ.წ. I-IV სს. არქეოლოგიური ძეგლები, 1993, თბილისი.
- ლორთქიფანიძე მ. 1961:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. III, თბილისი.
- მაჩაბელი კ. 1983:** ძველი საქართველოს ვერცხლი, თბილისი.
- საგინაშვილი მ. 1970:** ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბილისი.
- სადრაძე ვ., ჭანიშვილი თ. 1996:** მასალები გურიის მხარის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიისათვის. - ან. აფაქიძე (რედ.). გურია, I, გვ. 41-45, თბილისი.
- უგრელიძე ნ. 1967:** ადრეული შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბილისი.
- ფუთურიძე რ. 1959:** გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. - მსკა, ტ. II. თბილისი. გვ. 54-91.
- Зеест Н.Б. 1960:** Керамическая тара Боспора. Москва.
- Ивашенко М.М. 1980:** Самтаврские погребения перий трёх веков н.э. - А.М. Апакидзе (ред.) - მცხეთა, III, გვ. 8-227, თბილისი.







- Леквинадзе В.А. 1975:** Богатое погребение IV в. из Уреки. - А.В Арциховский (ред.) –СА, 4, с. 193-208, Москва.
- Максимова М.И. 1962:** Амулет из Горгиии и так называемые «шарики-подвески». - А.В Арциховский (ред.) СА, 2, с. 226-230, Москва.
- Мачабели К. 1972:** Серебряное блюдо из Уреки. – ვ. ბერიძე (რედ.), “ძეგლის მეგობარი“, 29. გვ. 11-24, თბილისი.
- Филов Б. 1913:** Римского съкровище от Николоего, - ИБАД, 4, Москва.
- Хоштариа Н.В. 1955:** Аахеологическое исследование Уреки. - მსკა. I, გვ. 25-75, თბილისი.
- Greifenhagen A. 1970:** Schmutz Arbeiten in edelmetall, Berlin.
- Lesings G. 1957:** Roman Glass from Dated Finds, Groningen -Djakarta.
- Tschoubinaschwili G. 1925:** Der fund von Sargveschi. - ИКИИ, III, თბილისი.

### ილუსტრაციების აღწერილობა:




- ტაბ. I.** 1 – ურეკი, 1942 წელი, ე.წ. “განძიდან“ მომდინარე რკინის სარეცელის ნაშთი; 2 – თიხის ამფორა; 3 – ოქროს ბეჭედი; 4,5 – გემიანი ოქროს ბეჭედი; 6 – ოქროს სამაჯური; 7 – ალმანდინის თვლებით შემკული ოქროს სამაჯური; 8 – ოქროს საავგაროზე; 9-11 – მარკეზიტის ქვიანი ოქროს საკიდის ნაწილი; 12 – ოქროს ყელსაბამი; 13 – ოქროს ლალისთვლიანი სამწილადი საყურე; 14 – ოქროს აგრაფი.
- ტაბ. II.** 1-3 – ოქროს კილიტებით შედგენილი ბალთა; 4 – გემიანი ვერცხლის ბეჭედი; 5, 6 – ვერცხლის ილარი; 7-9 – ვერცხლის ფიბულები; 10 – მძივები; 11-14 – ვერცხლის საკიდის ნაწილები.
- ტაბ. III.** 1 – ვერცხლის ლანგარი; 2-4 – მინის ჭურჭელი; 5 – ალმანდინის ქვებით შემკული ოქროს ბალთა “ყვავილნარიდან“.



II



III



**ოქტავიანი ავგუსტუსის დენარებისა და მისი აღბილობრივი მინაბაძების შესახებ**

ქართლის სამეფო (იბერია) ძველი და ახალი ნელთალრიცხვების მიჯნაზე წარმოადგენდა სოციალ-ეკონომიკურად და პოლიტიკურად დანიშნულ, მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანას, რომელსაც უკვე კარგად განვითარებული ფულადი მეურნეობა ჰქონდა. თუმცა, საკითხი ადგილობრივი ემისიის შესახებ დღემდე ბუნდოვანია.

ახ.წ. I ს-ის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ფულადი ურთიერთობების საფუძველი იყო პართული, ძირითადად ოროდ II-ის (ახ.წ. 57-38 წწ.) დრაქმები, ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ადგილობრივი ბარბაროსული მინაბაძები, რომაული მონეტები.

ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან მინაბაძები ნელ-ნელა ქრება მიმოქცევიდან და სამონეტო ცირკულაციაში პრივილეგირებული ხდება ერთი მხრივ პართული, ე.წ. გოტარზესის, დღეისათვის მიღებული ატრიბუციით, არტაბან II-ის (ახ.წ. 10-38 წწ.) დრაქმა [Sellwood D. 1971:185; Sherozia M., Doyen J. 2007:104] და მეორეს მხრივ, ოქტავიანი ავგუსტუსის (ძვ.წ. 27- ახ.წ. 14) რომაული დენარი, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

შუბლი: ავგუსტუსის დაფნის გვირგვინიანი თავი მარჯვნივ, ირგვლივ წრიული წარწერა: CAESAR AVGUSTUS DIVI F. PATER PATRIAE. (კეისარი ავგუსტე ღვთაებრივი მამა სამშობლოსი).

ზურგი: გაიუს და ლუციუს ცეზარები მოსასხამებითა და თავსაბურავებით დგანან ერთმანეთის პირისპირ, ხელით ეყრდნობიან ურთიერთმორის მოთავსებულ ფარებს. მათ შორის შუბებია გადაჯვარედინებული, შუბებს შორის, ზემოთ გამოსახულია მარჯვნივ - სიმპულუმი (simpulum - შესანიერი ჩამჩა პონტიფიკებისა), მარცხნივ - ლიტუსი (litus - მოღუნული კვერთხი ავგურისა). ირგვლივ წრიული ზედწერილი: C.L. CAESARES AVGUSTI F. COS, DESIA. PRINC. IVVENT. (C(ajus)(et) L (ucius) Caesares Augusti F(iliae) Cos (=Cosulatus)

(aliciu) Desig (natus) Pric(eps) juvent(utis) = გაიუსი (და) ლუციუსი კეისარ ავგუსტეს შვილები კონსულებად დეზიგნირებულნი (არჩეულნი) ტახტის მემკვიდრეები [Mattingly H. 1965:89, №519 ტაბ. 13 №9; Robertson A.S. 1962:41, ტაბ. 7 № 218].

ცნობილია, რომ ეს ტიპი ფართოდ გავრცელებული საფასი იყო მთელს იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში, მათ შორის კავკასიაში.

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე 360-ზე მეტი პასპორტიზებული ეგზემპლარია აღმოჩენილი. ეს არის ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული პერიოდის საფასეების ნახევარზე მეტი.

მონეტათა რაოდენობრივი შეფარდება ასეთია: დედაქალაქ მცხეთასა და მის შემოგარენში 200-მდე ეგზემპლარია აღმოჩენილი, ე.ი. ნახევარზე მეტი. შემდეგ მოდის არაგვის ხეობა (რომლის გასწვრივაც გადიოდა ჩრდილოეთისაკენ მიმავალი სატრანზიტო მაგისტრალი), კერძოდ, დაბა ჟინვალის მიმდებარე ტერიტორია - 55; ზღუდერი - 31, სოფელი ალაიანი - 18, სოფელი ბორი - 16, ერწო-თიანეთის ქვეყანა - 15, კლდეეთი - 14, ურბნისი - 9 და შემდეგ დანარჩენ პუნქტებში თითო-ოროლა ცალი. ხშირია აღმოჩენები სვანეთში. განძად აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევა არის დაფიქსირებული. 1944 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს მცხეთაში, ბაგინეთზე (შიდა ციხე), თავდაცვითი კედლის ძირში გამოვლინდა 22 ცალი ავგუსტუსის დენარი [მცხეთა I, 1955:179].

მიუხედავად მონეტების ერთგვაროვნებისა, მათ შორის მაინც შეიძლება რამდენიმე ვარიანტის გამოყოფა. ჰ. მატინგლი [Mattingly H. 1965:89] გამოყოფს a, b, c, d ვარიანტებს. კლასიფიკაცია ეყრდნობა რელიგიური სიმბოლოების — სიმპულუმისა და ლიტუსის ურთიერთგანლაგებას მონეტის ზურგის გამოსახულებაზე (სიმპულუმი და ლიტუსი არის ემბლემები ქურუმთა ორი უმაღლესი წოდე-

ბისა - პონტიფიკებისა და ავგურებისა, რომლებსაც ეკუთვნოდნენ ახალგაზრდა პრინცები) [Grant M. 1954:78]. მონეტათა უმეტესობაზე მარცხნივ არის სიმპულუმი, მარჯვნივ - ლიტუსი, ერთმანეთისკენ მიმართული. ვარიანტი a - მარცხნივ სიმპულუმი მარჯვნივ ლიტუსი, მაგრამ ისინი ზურგშექცევით არიან გამოსახული; ვარიანტი b - მარცხნივ სიმპულუმი, მარჯვნივ ლიტუსი ერთმანეთისკენ მიმართული, მათ ქვემოთ ნიშანი x; ვარიანტი c - მარცხნივ ლიტუსი, მარჯვნივ სიმპულუმი, ქვემოთ ნიშანი x; ვარიანტი d - მარცხნივ ლიტუსი, მარჯვნივ სიმპულუმი. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ დენარებს შორის არ შეგვხვდრია ვარიანტი a, დანარჩენი ვარიანტები ფართოდ ყოფილა გავრცელებული. თუმცა, დიდი უმრავლესობა არის ჩვეულებრივი ტიპი, ე.ი. მარჯვნივ სიმპულუმი, მარცხნივ ლიტუსი, მიმართული ერთმანეთისკენ.

დღეისათვის გაურკვეველია, რას უნდა ნიშნავდეს მონეტის ზურგის გამოსახულებაზე x-ის აღნიშვნა. ადრეულ რომაულ მონეტებზე იგი ღირებულების აღმნიშვნელი იყო, რაც უდრიდა 10 ასს. მაგრამ ძვ.წ. II ს-დან ეს წესი ქრება და იგი კვლავ თავს იჩენს ბიზანტიის ეპოქაში. მ. გრანტი [Grant M. 1954:79] გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სავარაუდოდ ეს ვარიანტი განსაზღვრული იყო რომელიმე ერთი ოლქისათვის, შესაძლებელია გერმანიისათვის. ამ ვარიანტის წილი მიმოქცევაში ჩვენში პატარაა, მაგრამ მაინც არის (ტაბ. I, № 6,7). შეინიშნება აგრეთვე ამ ვარიანტის მინაბაძები (ტაბ. I № 9,17).

აღნიშნული საფასეები საქართველოს სამონეტო ურთიერთობებში იმპერატორის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ ერთვება, დაახლოებით I საუკუნის შუა წლებიდან. ამ დროს მისი როლი სამონეტო მიმოქცევაში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა. პირველი საუკუნით დათარიღებულ სამარხებში იგი თავს იჩენს აქა-იქ თითო ეგზემპლარის სახით. მაგალითად, I ს-ით თარიღდება 1986 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წინამურის III უბანზე გათხრილი სამარხი № 12, რომელშიც ოროდ II-ის 5 დრაქმა და ავგუსტუსის 1 დენარი აღმოჩნდა, იქვე სამარ-

ხი № 24 — ავგუსტუსის დენარი და ფრაატ III დრაქმა [მცხეთა X, 1995:76]. I ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება 1951 წელს მცხეთაში გათხრილი აკლდამა რკინიგზის სადგურთან, რომელშიც 63 მონეტა აღმოჩნდა, აქედან მხოლოდ ერთი იყო ავგუსტუსის დენარი [Капанадзе Д. 1955:172]. ასევე I ს-ით თარიღდება კასპის რაიონის სოფელ ალაიანში, რიყიანების ველის სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხი № 3 (პართია, ფრაატ IV (38-2 წწ.) და ავგუსტუსის დენარი); სამარხი № 7 (ოროდ II (57-38 წწ.), ავგუსტუსის დენარი (2 ცალი) და კალიგულას კესარიული დრაქმა (ძვ.წ. 37-38წ.წ.)); სამარხი № 10 (ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, პართული ფრაატ IV დრაქმა, ოროდ II დრაქმა (3 ცალი), ფრაატ III (70-57 წწ.) დრაქმა, ავგუსტუსის დენარი (2 ცალი)) [მირიანაშვილი ნ. 1983:24,32-33]. აღნიშნული საფასეების უმეტესობა აღმოჩენილია II და III საუკუნით დათარიღებულ სამარხებში.

ავგუსტუსის დენარის პარალელურად ქართლის სამეფოს სამონეტო ბაზარს იპყრობს პართული, არტაბან II (10—38 წწ.) დრაქმა. ავგუსტუსის დენარის და არტაბან II დრაქმის მიმოქცევის არეალი და გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები ერთმანეთს ემთხვევა. არტაბან II დრაქმა თითქოს ავგუსტუსის დენარზე ოდნავ გვიან ჩნდება მიმოქცევაში. დღემდე მოპოვებულია 235 ცალი პასპორტიზირებული ეგზემპლარი. აქედან უმეტესობა აღმოჩენილია მცხეთასა და მის შემოგარენში. მრავლად არის აღმოჩენილი არაგვის ხეობაში, ჟინვალის სამაროვანზე.

როგორც აღინიშნა, ავგუსტუსის დენარებისა და არტაბან II დრაქმების 90% მოპოვებულია II და III საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში. ორივე წარმოადგენდა მოსახლეობის ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომ საფასს, რაზეც მიუთითებს მათი აღმოჩენა როგორც ქართლის ერისმთავართა, მაგალითად არმაზისხევის, ბაგინეთის მდიდრულ სარკოფაგებში, ასევე მოსახლეობის ფართო ფენებისათვის განკუთვნილ სამაროვნებზე. მაგალითად:

1. 1938 წ. მცხეთა-სამთავროს სამაროვნის სამხრეთი უბანი, კრამიტსამარხი № 30, აქ

სხვადასხვა არქეოლოგიურ ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ავგუსტუსის 3 ცალი დენარი, არტაბან II 5 დრაქმა, ანტონინე პიუსის (138-161 წწ.) 1 დენარი [Иващенко М. 1980:98].

2. 1940 წ. მცხეთა-არმაზისხევი, სამარხი № 6 - ავგუსტუსის 3 დენარი, ნერონის (54-68 წწ.), გალბას (68-69 წწ.), ადრიანეს (117-138 წწ.), ანტონინე პიუსის (138-161 წწ.), კომოდის (180-192 წწ.) თითო-თითო აურეუსი და არტაბან II 11 ცალი დრაქმა [მცხეთა I, 1955:46];

3. 1985 წ. მცხეთა-სამთავრო, აკლდამა № 905, ავგუსტუსის 15 ცალი დენარი, ნერონის (54-68 წწ.) 2 ცალი აურეუსი, ტრაიანეს (98-117 წწ.) კვინარიუსი, ადრიანეს (117-138 წწ.) აურეუსი და 15 ცალი არტაბან II დრაქმა [მცხეთა XI, 1996:20].

4. 1940 წ. მცხეთა-არმაზისხევი, სამარხი № 3, ავგუსტუსის 3 ცალი დენარი, არტაბან II დენარი, გორდიანე III (238-241 წწ.) 2 აურეუსი, ფილიპე უფროსის (244-249 წწ.) 3 აურეუსი (აქედან 2 იმიტაცია), ტრაიანე დეცის (249-251 წწ.) აურეუსი, ჰოსტილიანეს (251 წ.) აურეუსი [მცხეთა I, 1955:46];

5. 1939 წ. მცხეთა-სამთავრო, სამხრეთის უბანი, ორმოსამარხი № 89 — ავგუსტუსის დენარი 2 ცალი, შაპურ I სასანიდის (238-269 წწ.) დრაქმა [Иващенко М. 1980:198].

ფაქტობრივი მასალები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ პირველი სამი საუკუნის განმავლობაში სავაჭრო-ფულად ურთიერთობებში წამყვანი როლი ეჭირათ ავგუსტუსის დენარებსა და არტაბან II დრაქმებს. საფასები მიმოიქცეოდა პარალელურად და წარმოადგენდა მოსახლეობის ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომ საფასს. ასეთი ვითარება ლოკალურია იბერიისათვის და არ ვრცელდება ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებზე, კერძოდ მეზობელ სომხეთსა და ალბანეთზე [შეროზია მ. 2003-2004:14].

მეზობელ სომხეთშიც მიმოიქცეოდა ავგუსტუსის დენარი, მაგრამ ამ მიმოქცევას არ ჰქონდა ისეთი ფართო ხასიათი, როგორც იბერიის ტერიტორიაზე. რაც შეეხება არტაბან II დრაქმას, მისი კვალი სომხეთის სამონეტო მიმოქცევაში საერთოდ არ ჩანს. დღემდე სომხეთში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს არ გამოუვლენია არც ერთი

ეგზემპლარი. 1965 წელს ქალაქ ერევნის მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა არტაბან II დრაქმა, რომელსაც აქვს ყუნწი, რაც მის სამკაულად გამოყენებას ადასტურებს. ეს არის ერთადერთი შემთხვევა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ახ.წ. I ს. ჩათვლით პართული მონეტები მიმოიქცეოდა სომხეთში, ხოლო გვიან, II-III საუკუნეებში მათი კვალი აღარ ჩანს [Саркисян Г. 1979:249; შეროზია მ. 2003-2004:17].

ალბანეთის სამონეტო ბაზარი გვიანრომულ ხანაში კარდინალურად განსხვავებულია იბერიისა და სომხეთის სამონეტო ბაზრისაგან. კავკასიის ალბანეთი მოიცავდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მნიშვნელოვან ნაწილს, ზღვისპირა დაღესტანსა და ალაზნის ველის ნაწილს. აქ სამონეტო ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენდა პართული მონეტები, რომელთა შორის რიცხოვრივი უპირატესობა აქვს არტაბან II დრაქმას. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძების შინაარსი მიგვანიშნებს იმაზე, რომ III საუკუნეში არტაბან II მონეტა ჯერ კიდევ არის მიმოქცევაში, თუმცა იგი აღარ თამაშობს ფულად ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ავგუსტუსის დენარის აღმოჩენის ხუთი შემთხვევა. დენარები აღმოჩენილია აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში, რომელიც საქართველოს ესაზღვრება. ავგუსტუსის დენარებისა და არტაბან II დრაქმების ერთდროული აღმოჩენა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ გამოვლენილა [Халилов Д.А. 1985:17; Голенко К., Раджабли А. 1975:71].

იბერიის სამონეტო მიმოქცევაში ავგუსტუსის დენარები იმდენად ხანგრძლივად და ფართოდ იყო ჩართული, რომ ამის გამო დ. კაპანაძემ წამოაყენა მოსაზრება აღნიშნული დენარების, აგრეთვე არტაბან II დრაქმების ერთი ნაწილის ადგილობრივ მოჭრის შესაძლებლობის შესახებ [კაპანაძე დ. 1969:44], რასაც ჩვენც ვეთანხმებით. მისი აზრით, გარე სამყაროდან ხსენებული ტიპის შემოზიდვის შეწყვეტამ გამოიწვია ადგილობრივი მინაბაძების მოჭრის დაწყება. მინაბაძების პირველი საფეხურები ბევრად არ შორდება ორიგინალს, მაგრამ დროთა განმავლობა-

ში მინაბაძი განიცდის დეგრადაციას და მისი უკანასკნელი ცალები უხემ სქემად იქცნენ. დ. კაპანაძე უხემ მინაბაძებს IV—V საუკუნეებში ათარილებს [Капанაძე Д. 1962:63].

მოსაზრებას იმაზე, რომ ხარისხობრივად უკეთესი ცალები უფრო ძველია, ხოლო დეგრადირებული ცალები უფრო ახალგაზრდა, ეჭვის ქვეშ აყენებს ის გარემოება, რომ ხშირად გვიანდელ სამარხში დაცულია იდეალურ მდგომარეობაში მყოფი და დევალირებული ცალი. მაგალითად: 1977 წელს მცხეთაში, მოგვთაკარის სამაროვანის № 4 სამარხში აღმოჩენილი დენარი (მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, შემდგომში მან) № 63 დეგრადირებულია, № 64 უნაკლოა. სამარხი თარიღდება II საუკუნით [მცხეთა VII, 1985:109]. ასეთი ვითარება გვაფიქრებინებს, რომ გვიანდელ სამარხებში აღმოჩენილი უნაკლო ცალები ვერ იქნება ავგუსტუსის ეპოქაში მოჭრილი. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1975—1985 წლებში სხვადასხვა უბანზე მოიპოვა 45 ცალი ავგუსტუსის დენარი. აქედან აშკარა დეგრადაციის კვალი ეტყობა მხოლოდ 4 ცალს. დაახლოებით ამდენივე შესრულებულია მაღალმხატვრულ დონეზე და ეჭვს არ იწვევს, რომ მოჭრილია იმპერიის ზარაფხანაში. მონეტების უმეტესობა შესრულებულია საშუალო დონეზე, ხშირად გვხვდება ცალები, რომლებიც ჩვენი აზრით, არ შეესაბამება სტანდარტებს (ტაბ. I, № 8-18). შესაძლებელია, ეს ცალები ადგილობრივი პროდუქცია იყოს, თუმცა მათ შორის ორი ერთნაირი ეგზემპლარის მოძებნა ვერ შევძელით.

მინაბაძების დათარიღების საკითხს მეტ-ნაკლებად ნათელს ჰფენს უკანასკნელ პერიოდში გამოვლენილი ნიმუშები: 1971 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს მოქალაქე ალექო მიქაბერიძემ შემოსწირა ხაშურის რაიონის სოფელ ყელეთში შემთხვევით ნაპოვნი ვერცხლის ჰიბრიდული მინაბაძი – მარკუს ავრელიუსი (161—180წ.წ.) + ოქტავიანე ავგუსტუსის დენარის ზურგის მოტივი. წ. 3,78 გრ, ზ. 20 მმ.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული წვეროსანი იმპერატორის გამოსახულება, გარშემო დამახინჯებული ლათინური ზედწერილი, რომელშიც მოიხსენიება მარკუს ავრელიუსი.

ზურგი: ფარებზე დაყრდნობილი გაიუს და ლუციუს ცეზარები და დამახინჯებული წარწერა. გამოსახულების ქვემოთ იკითხება AVGUSTI [დუნდუა გ. 1972:40]. მონეტას არ მოეძებნება ანალოგი. სავარაუდოდ იგი ადგილობრივი პროდუქციაა და გვამცნობს, რომ არაუგვიანეს მარკუს ავრელიუსის ეპოქისა, ხმარებაში იყო ჩვენთვის საინტერესო ვერცხლის მონეტის ტიპის ზურგის მოტივის შემცველი სიქა (ტაბ. I №17, განძების ფონდი, შემდგომში გ.ფ. №22623).

1986 წელს კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, პროფესორ კიაზო ფიცხელაურის ხელმძღვანელობით, სოფელ ჭერემში №2 სამარხში აღმოაჩინა ავგუსტუსის დენარის სუბერატული ცალი (გ.ფ. №25755. წონა 1,78 გრ, ზომა: 18-19 მმ). მონეტა სპილენძისაგანაა დამზადებული და დაფარული იყო ვერცხლის თხელი ფენით. მხატვრული თვალსაზრისით იგი არ ჩამორჩება ორიგინალს, მაგრამ ზურგის წარწერა დამახინჯებულია (ტაბ. I. №18).

შუბლი: იმპერატორის პორტრეტი მარჯვნივ. თავზე, პირისახეზე და კისერზე სპილენძისფერი ლაქები. პორტრეტის წინ წარწერა არ მოსჩანს DIVI F PATER.

ზურგი: ტიპიური. ხაზს ქვემოთ AESAE...; AVCVSTIDIDEISPR. C L CAESARES; AVGVSTI F. COS. DESING. PRINS. IVVENT.

ჩვენს მიერ შესწავლილ ნიმუშებს შორის ეს ერთადერთი შემთხვევაა ლეგენდის დამახინჯების. ცხადია, სიქა დაამზადა ხელოსანმა, რომელსაც არ ესმოდა წარწერის შინაარსი, თუმცა ასოები საკმაოდ მკვეთრია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მონეტა აღმოჩნდა კახეთის მაღალმთიან ზოლში.

დღევანდელი სოფელი ჭერემი მდებარეობს გურჯაანის რაიონში. აქ III საუკუნეში ჩნდება ქალაქური ტიპის დასახლება, რომელიც შემდგომ გადაიქცა ქალაქად. იგი აღმოსავლეთიდან მომავალ მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა. სოფლის ტერიტორიაზე გათხრილია III-IV საუკუნეების მდიდრული ქვასამარხები. სხვადასხვა არქეოლოგიურ მასალასთან ერთად გამოვლენილია 6 ცალი მონეტა, ორი პართული, არტაბან II დრაქმა (გ.ფ. №25752, №25754), 4 რომაული დენარი, აქედან 3 ავგუსტუსის,



მათ შორის ერთი ზემოთხსენებული სუბერატი (გ.ფ. №25751, 25753, 25755) და ერთიც კარაკალასი (211 -217 წწ.) (გ.ფ. №25750) [Мамаиашвили Н. 1987:93].

ზემოთ აღწერილი მონეტა ჩვენი აზრით, III საუკუნით უნდა დათარიღდეს, იგი საესებით შესაძლებელია ადგილობრივი პროდუქცია იყოს. მსგავსი არასტანდარტული ნიმუშები თავის დროზე გამოაქვეყნა დავით კაპანაძემ [კაპანაძე დ. 1969: ტაბ. II, №23], ა. ზოგრაფმა [Зограф А. 1945:44].

საქართველოს ტერიტორიაზე აგრეთვე მიმოქცევაში იყო ავგუსტუსის დენარის გაიუს და ლუციუს ცეზარების გამოსახულებიანი უკიდურესად უხეში, ბარბაროსული მინაბადები, რომლებიც ადგილობრივ პროდუქციად უნდა მივიჩნიოდ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მონეტის მსგავსი კატეგორიის ბარბაროსული მინაბადები იმპერიის სხვა პერიოდებშიც იჭრებოდა, სავარაუდოდ ცენტრალურ ევროპაში და შესაძლებელია ინდოეთშიც.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდებში დაცული 15 ცალი ბარბაროსული მინაბადი განსხვავებულია ბრიტანეთის მუზეუმის კატალოგში [Mattingly Н. 1965: ტ. I, ტაბ. 14, №5,6,7] გამოქვეყნებული ნიმუშებისაგან, აგრეთვე ვ. კროპოტკინის [Кропоткин В. 1961:16] ნაშრომში გამოქვეყნებული 33 მინაბადისაგან, რომელთა მოპოვების გარემოება და დღევანდელი ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის.

ამ 15 მონეტიდან მხოლოდ 5 ცალს აქვს ცნობა აღმოჩენის გარემოების შესახებ. ესენია: ქართული მონეტების ძირითადი ფონდი (შემდგომში ქ.დ.) №1705 წ.3,84 გრ, ზ.19|20 მმ. აღმოჩენილია ჭიათურაში; გ.ფ. № 5103 წ. 2,93 გრ, ზ.18|19მმ. აღმოჩენილია სვანეთში, სოფელ ცხუმურში; გ.ფ. № 9446 წ.1.28გრ, ზ.19მმ. აღმოჩენილია დაბა ცაგერში (ლენხუმი); გ.ფ. № 25444 წ. 2.97 გრ, ზ.18|17 მმ. აღმოჩენილია სოფელ ბაგაში (ბაგიჭალა) დუშეთის რაიონი; გ.ფ. №26274 წ. 3.12 გრ. ზ.19 მმ. სოფელი დოღლაურა (დედოფლის გორა) ქარელის რაიონი; დანარჩენ ცალებს დაკარგული აქვთ ცნობები მოპოვების გარემოებათა შესახებ. ესენია: ქ.დ. №54 წ. 3.33 გრ, ზ.19 მმ; ქ.დ. №1704 წ. 3,42გრ,

ზ.19 მმ; ქ.დ. №3372 წ. 3,55 გრ, ზ.18|19 მმ; ქ.დ. №3425 წ. 2.23 გრ, ზ.11|13 მმ (გაურკვეველი); ქ.დ. № 4049 წ. 2,59 გრ, ზ. 20 მმ; ქ.დ. №4050 წ. 3.25 გრ, ზ.20|19 მმ; ქ.დ. №4051 წ. 3,51 გრ, ზ.19 მმ; ქ.დ. №4052 წ. 3,24 გრ, ზ.20 მმ; ქ.დ. №4053 წ. 3,10 გრ, ზ.18 მმ; ქ.დ. №4054 წ.3,02 გრ, ზ.18 მმ; (ეს ექვსი მონეტა №4049-4054 არის პროფესორ ევგენი პახომოვის კოლექციიდან, რომელიც მან უანდერძა მუზეუმს).

სავარაუდოდ ქ.დ. №54 უნდა იყოს აღმოჩენილი ახალციხის რაიონში, ნაყილია ადგილობრივი შემგროვებლისაგან [Зограф А. 1945:77, №165.]. ზოგრაფი ამ ეგზემპლარს ათარიღებს I საუკუნით. აქვე ნახავთ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ანალოგიური მინაბადი დაახლოებით 1930 წელს აღმოჩნდა გორის რაიონის სოფელ უფლისციხეში [Зограф А. 1945:77, №164; Пахомов А.Н. 1938:13, №343]. ეს ცალი აღმოჩნდა სამარხში, მიცვალებულს ედო პირში. ა. ზოგრაფი ამ ცალსაც I საუკუნით ათარიღებს. 1939 წელს დაბა ნალკის მახლობლად, ასევე სამარხში, აღმოჩნდა ბარბაროსული მინაბადი. ეს ცნობა ზოგრაფისათვის მიუწოდებია ბ. კუფტინს [Зограф А. 1945:77].

ჩვენი აზრით, მონეტების ამ ჯგუფს ეკუთვნის ეროვნული მუზეუმის ქართული მონეტების ფონდში დაცული კიდევ ერთი ბარბაროსული მინაბადი (ქ.დ. №53 წ.1,85 გრ, ზ.17|18 მმ), რომელსაც სრულიად დაკარგული აქვს მსგავსება ორიგინალთან. მონეტის შუბლზე გამოსახულება უფრო მცენარეს გავს, ვიდრე ადამიანის თავს. მარცხნივ თითქოს ჩანს დიადემის ბაფთები. მონეტის ზურგზე სრულიად გაურკვეველი ნაკანრებია (ტაბ. II, №36).

ზემოთ ჩამოთვლილი აღმოჩენებიდან, ინფორმაციის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ბოლო პერიოდის ორი აღმოჩენა: 1982 წელს ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფესორი რ. რამიშვილი) დუშეთის რაიონის სოფელ ბაგიჭალაში, 17-ე ქვასამარხში სხვადასხვა არქეოლოგიურ ნივთებთან ერთად მოიპოვა ავგუსტუსის დენარის ბარბაროსული მინაბადი (გ.ფ. №25444) და ფრაატ IV (ძვ.წ. 37—2 წწ.) პართული დრაქმა. ორივე მონეტა მიცვალებულს პირში ედო. მინაბადი ასე გამოიყურება:

შუბლი: იმპერატორის უკიდურესად სქემატური გამოსახულება მარჯვნივ.

ზურგი: ორი ფიგურის იმიტაცია, მათ შორის ფარები და შუბები; შუბებს შორის თითქოს რალაც ნიშნებია ამოკანრული. ხაზს ქვემოთ წარწერის მაგივრად 7 ხაზია მოცემული. გამოსახულების ირგვლივ ასოების მაგივრად ასეთივე ხაზებია ამოკანრული.

ბაგიჭალაში აღმოჩენილი ცალი განსხვავდება დანარჩენი ცალებისაგან. მონეტა დამზადებულია მაღალი სინჯის ვერცხლისაგან. ჩვენი აზრით, იგი შედარებით ადრეული ნიმუშია ზემოთ მოხსენიებულ საფასებს შორის. მონეტა II საუკუნის პირველი ნახევრის პროდუქცია უნდა იყოს. ამაზე სამარხეული ინვენტარი და უპირველეს ყოვლისა, მასში ფრაგმენტ IV პართული დრაქმის აღმოჩენა მიგვანიშნებს. აღნიშნული საფასი იბერიაში ბრუნავდა I საუკუნეში. II საუკუნის სამონეტო მიმოქცევაში იგი, როგორც წესი, აღარ მონაწილეობს.

2004 წელს შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფესორი იულონ გაგოშიძე) ქარელის რაიონის სოფელ დოღლაურაში, დედოფლის გორაზე, №15-ე ოთახის შემოკრებილ ნანგრევში იპოვა უკიდურესად დაზიანებული მონეტა, რომელიც ცეცხლში ყოფნის კვალს ატარებდა.

ძეგლის გამთხრელის პროფესორ იულონ გაგოშიძის მოსაზრებით [Gagoshidze I. 2004: 172], სასახლე, სადაც აღმოჩნდა მონეტა, წარმოადგენს ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ის ნაგებობას. ახ.წ. I საუკუნის ბოლოს სასახლე ხანძარმა იმსხვერპლა. ხანძარი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ შენობიდან თითქმის ვერაფრის გატანა ვერ მოუხსნრიათ.

რადგან სასახლე დაინვა I საუკუნის ბოლოს, ეს მინაბაძი და მისი იდენტური ცალები, ვერ დათარიღდება I საუკუნეზე გვიანი დროით. რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ავგუსტუსის ამ ტიპის დენარის მიმოქცევაში ფართოდ ჩართვისთანავე ჩნდება მისი ადგილობრივი მინაბაძები.

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი მონეტა (გ.ფ. №26274), ანალოგიურია ქართული მონეტების ფონდში დაცული №4049, №1704 (ევ. პახომოვის კოლექციიდან) და №3372 მო-

ნეტებისა და ასე გამოიყურება: შუბლი: მამაკაცის მარჯვნივ მიმართული პორტრეტი დიდი ცხვირით, თავზე დაფნის გვირგვინით, რომლის ბაფთები კეფაზე იკვრება. მოსჩანს ბაფთის ბოლო. არის წარწერის გადმოცემის მცდელობა. თავს უკან გამოსახულია სამი გადაჯვარედინებული ხაზი (XXX). პროფილის წინ ასოების მოხაზულობა თითქმის ემსგავსება ლათინურს VI ...IX...; გამოსახულებას შემოუყვება წერტილოვანი რკალი. ოთხივე მონეტის შუბლის სიქა იდენტურია.

ზურგი: მოჩანს პრინციების სქემატური გამოსახულება, მათ შორის ორი ფარი და ორი შუბი. შუბებს შორის მაღლა სიმბოლოები და ლიტუსი (აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ამ ჯგუფის მინაბაძებზეა გამოსახული ეს სიმბოლოები, დანარჩენ შემორჩენილ ცალებზე ისინი აღარ ჩანს). პრინციების ზურგს უკან წარწერის იმიტაციის მცდელობა (ეს არის რევერსზე წარწერის გამოსახვის მცდელობის ერთადერთი შემთხვევა). გამოსახულებას შემოუყვება წერტილოვანი რკალი.

ამ ოთხი მინაბაძის რევერსის შემთხვევაში ერთი და იგივე სიქა არ არის გამოყენებული, მაგრამ მსგავსია. აშკარაა, რომ ერთი სახელოსნოს ნაწარმია.

ამ მინაბაძების ანალოგიურია ერეენის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში დაცული, უპასპორტო ეგზემპლარი (№14362. წ.3,77 გრ, ზ.19 მმ. ტაბ. II, 24) და ქალაქ მოსკოვის ა.ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაცული ასევე უპასპორტო ეგზემპლარი (წ. 4.14 გრ), რომელიც გახვრეტილია, ეტყობა მედალიონად იყო გამოყენებული. ამავე დროს, მას უჩვეულოდ მაღალი წონა აქვს (წ.4.14გრ. ტაბ. II,23). ორივე მონეტა ეჭვგარეშე საქართველოშია აღმოჩენილი.

ამგვარად, ეს ექვსი მინაბაძი ქმნის პირველ ჯგუფს (ექვსივეს ავერსი ერთიდაიმავე სიქითაა შესრულებული), რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე ადრეულია და თარიღდება ახ.წ. I საუკუნის მიწურულით. დ. კაპანაძე ამ ჯგუფს III საუკუნით ათარიღებს [კაპანაძე დ. 1969:228].

ასევე ექვსი ცალის ოდენობითაა დღე-ისათვის შემორჩენილი მინაბაძების მეორე ჯგუფი. ყველა მათგანი უპასპორტოა, ქ.დ. №№ 4050, 4051, 4052, 4053, 4054, 54; შესრულებულია უკიდურესად უხეშად, შუბლის გამოსახულებას პირობითად თუ მივიჩნევთ ადამიანის გამოსახულებად. ლითონში ვერცხლის შემცველობა ძალიან დაბალია, მონეტებს სპილენძის ფერი დაჰკრავთ.

შუბლი: ადამიანის(?) თავის სქემატური გამოსახულება მიმართული მარჯვნივ, დაფენის გვირგვინის იმიტაცია. პროფილის წინ თითქოს რაღაც ასობია გამოსახული. გამოსახულებას შემოუყვება წერტილოვანი რკალი. ექვსივე საფასი ერთდაიგივე სიქით უნდა იყოს ნაკრავი.

ზურგი: ორი სქემატური ფიგურა, მათ შორის ფარებისა და შუბების იმიტაცია. ირგვლივ მსხვილი წერტილები, პირველ სამ შემთხვევაში 28 წერტილი (იხ. ტაბ. II, №25-27), შემდეგ 29 (იხ. ტაბ. II, №28) და 25 წერტილი (იხ. ტაბ. II, №29). შესაძლებელია წარწერის მაგივრად. სიმპულუმი და ლიტუსი არცერთ მათგანზე აღარ არის გამოსახული.

ქ.დ. №4050, 4051, 4052 როგორც ავერსის, ასევე რევერსის მხრივ იდენტურებია, აქ უდაოდ ერთი და იგივე სიქებია გამოყენებული.

ჩვენი აზრით, მსგავსებას იჩენენ და ცალკე ჯგუფს ქმნიან შემდეგი მონეტები: ქ.დ. №1705 აღმოჩენილი ჭიათურაში, გ.ფ. №9446 აღმოჩენილი დაბა ცაგერში (ლენჩხუმი). მონეტები სპილენძისფერია, ვერცხლის შემცველობა ლითონში უკიდურესად დაბალია. ეს ორი მონეტა შესრულების უკიდურესი პრიმიტიულობით გამოირჩევა, განსაკუთრებით რევერსი. მონეტის შუბლზე თითქოს ქალია გამოსახული, მიმართული მარცხნივ. გამოსახულებებს შუბლზე და ზურგზე უხეში, მსხვილი წერტილები შემოუყვება (ტაბ. II, 31, 32).

მონეტები, რომლებიც დამზადებულია დაბალი სინჯის ვერცხლისაგან, ამ სერიის ყველაზე გვიანდელი ნიმუშები უნდა იყოს და შესაძლებელია დათარიღდეს III საუკუნით. თითქოს განსხვავებულია და ცალკე ჯგუფს ქმნის გ.ფ. №5103, რომელიც 1947 წელს, სვანეთში, სოფელ ცხუმურის მახლობლად მდინარე ენგურის ტერასებზე ოქროს ძიების

დროს აღმოჩნდა. ზემოთ აღწერილი ნიმუშებისაგან იმით განსხვავდება, რომ შუბლის გამოსახულება ყველაზე მეტად ინარჩუნებს ადამიანის იერს. მიმართულია მარჯვნივ, თითქოს მოსჩანს დიადემა, რომელიც კეფაზე იკვრება.

ზურგის გამოსახულება სქემატურია, პრინციპის ფიგურებს შორის ერთი ფარი მოსჩანს, შუბებს შორის ზემოთ, ძალიან სქემატურად სიმპულუმი და ლიტუსია გამოსახული. მარცხენა ფიგურის თავს უკან თითქოს ჯვარია გამოსახული, რაც წარწერის შესრულების მცდელობა უნდა იყოს. გამოსახულებას წერტილოვან-ხაზოვანი რკალი შემოუყვება (ტაბ. II, 34).

ბარბაროსული მინაბაძების გავრცელების არეალი საკმაოდ ფართო ყოფილა, იგი თითქმის ფარავს საქართველოს მთელს ტერიტორიას: სვანეთი (სოფელი ცხუმური), ლენჩხუმი (ცაგერი), ჭიათურა, სოფელი ბაგიჭალა (დუშეთის რაიონი), სოფელი დოღლაურა (ქარელის რაიონი), ახალციხის რაიონი, სოფელი უფლისციხე (გორის რაიონი), დაბა წალკა (წალკის რაიონი) და ა.შ. მინაბაძების მიმოქცევის არეალი ემთხვევა ზოგადად ავერსტუსის დენარის მიმოქცევის არეალს. მას იყენებენ საქარონე მონეტად, რაც იმის მიმანიშნებელიც არის, რომ მისი წილი მიმოქცევაში მთლად უმნიშვნელო არ იყო.

რაც შეეხება დათარიღების საკითხს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. კაპანაძე მათ III - V სს. ათარიღებს [Капанაძე Д. 1962:63]. ა. ზოგრაფის აზრით, ეს მინაბაძები მზადდებოდა მთელი I ს-ის განმავლობაში, ხოლო მიმოქცევა გრძელდებოდა მნიშვნელოვნად დიდხანს [Зюграф А. 1945:45]. ავტორს მიაჩნია, რომ ყველა მინაბაძი დამზადებულია I საუკუნეში. პროფესორები გიორგი და თედო დუნდუები თვლიან, რომ ამ მონეტების მკვეთრმა შემცირებამ III საუკუნის შუა ხანებიდან გამოიწვია მათი ადგილობრივი იმიტაციის გენეზისი [დუნდუა გ., დუნდუა თ. 2007:126].

უკანასკნელმა აღმოჩენამ დედოფლის გორაზე, დათარიღებულ ფენაში, დაადასტურა ზოგრაფის მოსაზრება აღნიშნული მინაბაძების ერთი ჯგუფის I საუკუნით დათარიღების შესახებ. როგორც ჩანს, მინაბა-

ძები ჩნდება ავგუსტუსის დენარის ფართოდ გავრცელებისთანავე და ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა მთელი იმ დროის განმავლობაში, ვიდრე იყო მოთხოვნა თავად ორიგინალზე, ე.ი. პირველი საუკუნის მიწურულიდან III საუკუნის ჩათვლით.

მსგავსი კატეგორიის ბარბაროსული მინაბაძების მოჭრა, ჩვენი აზრით, არ იყო იბერიის სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა. ამას ჩადიოდნენ კერძო პირები, ძირითადად პროვინციებში, ეპიზოდურად.

უფრო რთულად არის შუალედური ცალების წარმომავლობის საკითხი. მონეტების გარკვეული კატეგორია იმდენად დაბალ დონეზეა შესრულებული, რომ საეჭვოა ისინი იმპერიის ცენტრალურ ზარაფხანაში იყოს დამზადებული (ტაბ. I, №8-18). ადვილი შესაძლებელია, ეს ნიმუშები და ბევრი მათი მსგავსი, ადგილობრივი წარმომავლობის იყოს და მას აწარმოებდა ადგილობრივი ხელისუფლება. რაც შეეხება სომეხი ნუმისმატის ხ. მუშეგიანის [Мушегян Х. 1975:18] მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ამიერკავკასიაში მბრუნავი ავგუსტუსის დენარების ნაწილი შესაძლებელია სომხეთში იჭრებოდა და შემდგომ შემოდიოდა იბერიის სამეფოში, არამართებულად მიგვაჩნია. ვითარების შესწავლა გვიჩვენებს, რომ კავკასიაში ასეთი ცენტრი შესაძლებელია ყოფილიყო იბერია. ასეთია ვარაუდი. ვიმედოვნებთ, შემდგომი არქეოლოგიური კვლევები გამოავლენს ახალ მასალას, რომელიც ბოლომდე ნათელს მოჰფენს ამ და რიგ სხვა საკითხებს.

### შენიშვნა:

გ.ფ. – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია, განძების ფონდი.

ქ.ძ. – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექცია, ქართული მონეტების ძირითადი ფონდი.

მაე – მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

### ლიტერატურა:

- დუნდუა გ. 1972:** სოფ. ყელეთში 1971 წელს აღმოჩენილი რომაული დენარის იშვიათი მინაბაძი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბილისი.
- დუნდუა გ., დუნდუა თ. 2007:** ქართული ნუმისმატიკა, თბილისი.
- კაპანაძე დ. 1969:** ქართული ნუმისმატიკა, თბილისი.
- მირიანაშვილი ნ. 1983:** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი.
- მცხეთა I, 1955:** აფაქიძე ა. გობეჯიშვილი გ. კალანდაძე ა. ლომთაძე გ. თბილისი.
- მცხეთა VII, 1985:** — ა. აფაქიძე (რედ), თბილისი.
- მცხეთა X, 1995:** — ა. აფაქიძე (რედ), თბილისი.
- მცხეთა XI, 1996:** — ა. აფაქიძე (რედ), თბილისი.
- შეროზია მ. 2003-2004:** ავგუსტუსის დენარებისა და გოტარხესის დრაქმების გავრცელება სომხეთის ტერიტორიაზე, სსმმ, 45, თბილისი.
- Голенко К.В. 1964:** Денежное обращение Колхиды в Римское время, Ленинград.
- Голенко К., Раджабли А. 1975:** Али Баирамлинский клад и некоторые вопросы обращения Парфянских монет в Закавказье - ВДИ, № 2, с. 71-93.
- Зограф А. 1945:** Распространение находок античных монет на Кавказе, - ТОНГЕ, т. I, Ленинград.
- Ивашенко М. 1980:** Самтаврские погребения первых трех веков н.э. - мцხეთა III. თბილისი.
- Капанაძე Д.Г. 1962:** О продолжительности обращения денариев Августа и драхм Готарза в древней Иберии. СА. № 4, с. 63.
- Капанაძე Д.Г. 1955:** Монетные находки Мцхетской экспедиций (1937-1948 и 1951 г.), ВДИ, № 1.
- Кропоткин В.В. 1961:** Клады Римских монет на территории СССР, Москва.
- Мамаишвили Н.Ф. 1987:** Раскопки на городище Черемы, - ПАИ в 1984-1985, с. 93.
- Мушегян Х.А 1975:** Денежное обращение в античной и средневековой Армении по нумизматическим данным (V в. до н.э. - XIV в. н.э.). Автореферат, Ереван.
- Пахомов Е.Н. 1938:** Монетные клады Азербайджана и Закавказье, Труды общества обследования и изучения Азербайджана, Вып. II. Баку.
- Раджабли А. 1997:** Нумизматика Азербайджана, Баку.
- Саркисян Г.В. 1979:** Монеты с изображением Августа и Армения, Проблемы античной истории и культуры, Доклады XIV международной конференции античников социалистических стран. „Эирене“. Ереван.
- Халилов Д.А, 1985:** Материальная культура Кавказской Албаний, Баку.
- Gagoshidze I. 2004:** The Royal palace of the first century B.C - Journal of Georgian Archeology, VI.
- Grant M. 1954:** Roman imperial money, London.
- Mattingly H. 1965:** Coins of the Roman Empire in the British Museum. London.

**Robertson A.S. 1962:** Roman imperial Coins in the Hunter coin cabinet University of Glasgow, I, Oxford.  
**Sellwood D. 1971:** An introduction to the coinage of Parthia, L.  
**Sherozia M., Doyen J. 2007:** Marc Les Monnaies Parthes du Musee De Tbilissi (Georgie) Moneta, Wetteren, Belgium.

29. ქ.დ.ფ. №4054.  
 30. ქ.დ.ფ. №54.  
 31. ჭიათურა, ქ.დ.ფ. №1705.  
 32. დაბა ცაგერი, ლენხუმი, 1946: გ.ფ. №9446  
 33. სოფელი ბაგა [ბაგიჭალი], დუშეთის რაიონი, 1982: სამარხი №17, გ.ფ. №25444  
 34. სვანეთი, სოფელი ცხუმური, გ.ფ. №5103  
 35. ქ.დ.ფ. №3425  
 36. ქ.დ.ფ. №53

### ილუსტრაციების აღწერილობა:

#### ტაბ. I -

1. მცხეთა, ბაიათხევი, 1986: სამარხი №23, მაე №131.
2. მცხეთა, სამთავრო, 1976: თიხისფილა სამარხი №126, მაე №339.
3. წინამური, II, 1985: სამარხი №3, მაე №40.
4. უინვალი, დუშეთის რაიონი, 1979: ორმოსამარხი №248, გ.ფ. №25340.
5. მცხეთა, სამთავრო, 1976: ფილასამარხი №164, მაე №334.
6. მცხეთა, ნატახტარი I, 1981: ორმოსამარხი №5, მაე №31.
7. მცხეთა, კარსნისხევი, 1976: ორმოსამარხი №35, მაე №397.
8. მცხეთა, სამთავრო, 1939: ქვასამარხი №144, გ.ფ. №10011.
9. მცხეთა, სამთავრო, 1939: ქვასამარხი №144, გ.ფ. №10010.
10. მცხეთა, სამთავრო, 1939: ქვასამარხი №144, გ.ფ. №10007.
11. მცხეთა, სამთავრო, 1939: ქვასამარხი №144, გ.ფ. №10008.
12. მცხეთა, მოგვთაკარი, 1977: კრამიტსამარხი №6, მაე №35.
13. მცხეთა, მოგვთაკარი, 1977: კრამიტსამარხი №3, მაე №20.
14. მცხეთა, მოგვთაკარი, 1977: კრამიტსამარხი №3, მაე №22.
15. მცხეთა, სამთავრო, 1939: კრამიტსამარხი №116, გ.ფ. №9981.
16. მცხეთა, სამთავრო, 1938: კრამიტსამარხი №32, გ.ფ. №9953.
17. სოფელი ყელეთი, ხაშურის რაიონი, №1971: შემთხვევითი მონაპოვარი, გ.ფ. №22623.
18. სოფელი ჭერემი, გურჯაანის რაიონი, 1986: სამარხი №2, გ.ფ. №25755.

#### ტაბ. II -

19. დედოფლის გორა, სოფელი დოღლაურა, ქარელის რაიონი, 15-ე ოთახის ნანგრევები. 2004: გ.ფ. №26274.
20. ქ.დ.ფ. №4049.
21. ქ.დ.ფ. №1704.
22. ქ.დ.ფ. №3372.
23. ქ. ერევნის [სომხეთი] ისტორიის მუზეუმი, №14162.
24. მოსკოვის ა.ს. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.
25. ქ.დ.ფ. №4050.
26. ქ.დ.ფ. №4051.
27. ქ.დ.ფ. №4052.
28. ქ.დ.ფ. №4053.



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18

II



19

20

21

22

23

24



25

26

27

28

29

30



31

32

33

34

35

36

## მერაბ ძნელაძე, თამარ ხოხობაშვილი

### კევირინი სამარხი აბულმუგის

აბულმუგის ხეობაში, ბოლნისი-დმანისის სამანქანო გზიდან 1,2 კმ-ზე, მაშავერას ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი კ. კახიანი) ძვ.წ. IV-III სს-ის სამაროვანი აღმოაჩინა [ძნელაძე მ., ხუბულური ნ. 1989; Кахиани К. и др. 1991; Dzeladze M., Chubuluri N. 1991; ძნელაძე მ. 2001]. აბულმუგის ხეობა დმანისის რ-ნის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, დმანისის ნაქალაქარის მახლობლად მდებარეობს. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით “დმანისს ქუეით არს ჩრდილოთ კერძ ხინის ხევი. მას ქუევით დაბა აბულმუგი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა“ [ბაგრატიონი ვ. 1973:315]. დღეისათვის, აბულმუგის კლასიკური ხანის სამაროვნის შესწავლილი ნაწილი წარმოდგენილია 27 სამარხით, რომელთა შორისაც 25 ქვაყუთია, ორი კი ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი (№ 5 და № 22). სამარხებში მიცვალებულები დაკრძალული არიან მარჯვენა გვერდზე (ქალიც და მამაკაციც), ხელფეხმოკეცილ პოზაში, NW-SO სიგრძივ დამხრობით, თავით NW მხარეს. სამაროვანზე დადასტურდა სამარხთა როგორც ერთჯერადი, ისე მეორადი გამოყენებაც (№№ 3,4,6,12,16,18,19). აღსანიშნავია სამარხთა (№№ 3,6,12,18) სახურავზე ადამიანის (ერთ შემთხვევაში ორისა - № 6) არასრული ჩონჩხის აღმოჩენა. სამაროვანზე დადასტურებული არქეოლოგიური მასალა ანალოგიებს პოულობს ძვ.წ. IV-III სს-ის საქართველოს, კავკასიისა და შავიზღვისპირეთის თანადროულ სამაროვნებზე აღმოჩენილ მასალებთან.

**კევირინი სამარხი (№ 22)** აღმოჩნდა XXVI ნაკვეთის IV კვადრატში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 80 სმ-ის სიღრმეზე, 0 ხაზიდან 99,93 დონეზე. დამხრობილია NW-SO სიგრძივ ღერძზე. სამარხი ჩაჭრილია ღია მოჩაღისფრო თიხნარ გრუნტში და წარმოადგენს ქვისფილებით გადახურულ ორმოსამარხს. თავდაპირველად გამოჩნდა სამარხის სახურავის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ქვის-

ფილები, ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი კი დაუზიანებია გვიანი შუასაუკუნეების დროინდელ ნაგებობის კედელს. სამარხი ამოვსებული იყო მიწით, გაძარცვის ნიშნები არ ეტყობოდა. სამარხის გარე ზომებია: სიგრძე – 200 (ზომები მოცემულია სანტიმეტრებში), სიგანე – 125; შიდა ზომები: 190 X 80, სიღრმე – 65; დასაკრძალავი ნაწილის ზომები: 170 X 75.

სამარხის ორმოში, გრძივ კედლებთან მიდგმულია ქვის ოთხკუთხა ფილები, თავ-კედლებთან კი თაროების მსგავსი მოსწორებული ადგილებია შექმნილი. ისე, რომ იატაკიდან 40 სმ-ის სიმაღლეზე ოთხივე მხრიდან გამართულია საყრდენები რათა მათზე ხის კევირი დადებულიყო – მიცვალებულის ზემოდან გადახურვის მიზნით. კევირის კოხის ქვები სამარხის თითქმის მთელ ფართობზე, სხვადასხვა დონეზე, მიცვალებულის ძვლებზეც იყო მიმობნეული (ტაბ. I, 2).

სამარხში დაკრძალულია 55-60 წლის მამაკაცი. იგი დაუსვენებიათ მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილ პოზაში, NW-SO სიგრძივ ღერძზე დამხრობით, თავით – NW მხარეს, ხელები პირისსახის წინ ეწყო. მიცვალებულისთვის ჩატანებული ხუთი თიხის ჭურჭლიდან ოთხი თავს უკან – სამარხის თავკედელთანაა დალაგებული:

1. ღერგი, მხაე/7-134 (მხაე – მაშავერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია; 7 – აბულმუგის უბანი; 134 – ნივთის საინვენტარო ნომერი), მონაცრისფრო, პირყელნაკლული, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე – 23, ყელის დმ. - 10,2; მუცლის დმ. - 21; ძირის დმ. - 12,4.

2. ხელადა, მხაე/7-135, ლევა-მონაცრისფრო, სამტუჩა. ბრტყელი ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე. ყურს სიგრძეზე დაუყვება ორი ფართო კანელური. აქვს სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი. სიმაღლე – 20,1; პირის დმ. - 9,5; მუცლის დმ. - 17,2; ძირის დმ. - 11,2.



3. ქოთანი, მხაე/7-136, ლეგა-მონაცრისფრო, მცირედ პირგადაშლილი, დაბალ ყელს ხორბლის ზომისა და ფორმის ნაჭდე-ვები შემოუყვება. აქვს სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი. ძირგვერდი ცეცხლისაგანაა გაშავებული. სიმაღლე – 17,2; ყელის დმ.- 9; მუცლის დმ.- 17; ძირის დმ.- 10,5; კეცის სის-ქე – 0,5-0,7.

4. კოჭობი, მხაე/7-137, ლეგა-მონაცრიფ-რო, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, სფე-რულმუცლიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე – 10,3; პირის დმ. - 7,3; ყელის დმ. - 6,4; მუცლის დმ. - 11,2; ძირის დმ. - 6,5. მიცვალებული-სათვის “საგზლად“ წვრილფეხა საქონლის – ცხვრის (ბატკნის) ბარკალ-წვივის ნაწილი ჩა-უტანებიათ, რომელიც ტერფებთან - სამარ-ხის სამხრეთ თავკედელთან დადებულ თიხის ჯამზე იდო.

5. ჯამი, მხაე/7-138, ღია მონაცრისფრო, პირმოყრილი, ძირბრტყელი. სიმაღლე – 5,8; პირის დმ.- 17,5; მხრის დმ.- 18,4; ძირის დმ.- 11,8.

6. შუბისპირი, მხაე/7-139, რკინისა, მა-ლაქქედიანი, მასრაგახსნილი. სიგრძე – 26,8; მასრის სიგრძე – 11,4; პირის სიგრძე – 15,3; მხრის სიგრძე – 3,5. აღმოჩნდა მიცვალებუ-ლის ზურგს უკან – გრძივი კედლის გასწვრივ ჩადებული. -

7. რგოლი, მხაე/7-140, ვერცხლის, თავებ-გახვრეტილი, ოვალურგანიკვეთიანი, დმ.- 2,8; აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა სა-ფეთქელთან.

8. რგოლი, მხაე/7-141, ვერცხლის, თავე-ბი ერთმანეთზე-გვერდულადაა მიდებული, მრგვალ ზურგზე სამი ბურცობი აქვს მიჩრი-ლული, გვერდები სწორკუთხოვანია. აღმოჩ-ნდა მიცვალებულის მარჯვენა საფეთქელ-თან. ორივე რგოლი თმის ვარცხნილობის ნა-წილს უნდა ეკუთვნოდეს.

9. დანა, მხაე/7-142, რკინის, სწორი ფორ-მის, ცალპირლესილი და სამმანჭვლიანი. აღ-მოჩნდა პირისსახის წინ, ხელის მტევნებთან იდო.

10-11. სამაჯური, 2 ცალი, მხაე/7-143, მხაე/-144, რკინის, დაზიანებულები, წრიული ფორმისა და მრგვალგანიკვეთიანებია. აღ-მოჩნდა მიცვალებულს მაჯებზე (ტაბ. II, 2).

სამარხში სულ აღმოჩნდა კვერისათვის განკუთვნილი 59 ცალი–

12. კოხის ქვა, 59 ცალი, მხაე/7-144. ისინი დამზადებულნი არიან ბაზალტის ქვებისაგან. კოხების შედარებითი სიმცირე გვაფიქრებ-ნებს, რომ მიცვალებულის გადასახურავად ძველი და უკვე მწყობრიდან გამოსული კე-ვრი იქნა გამოყენებული.

№ 22 სამარხს, პირობითად, “მეკალოვეს“ - კვერიანი სამარხი ვუნოდეთ [ხოხობაშვილი თ., ძნელაძე მ. 1999; ძნელაძე მ. 2001]. კვერი-ანი სამარხი საქართველოსა და კავკასიაში, საერთოდაც, მცირე რაოდენობითაა აღმო-ჩენილი (ტაბ. II, 1).

პირველი ცნობა კავკასიაში კვერიანი სა-მარხის აღმოჩენისა მოცემული აქვს ჟაკ დე მორგანს [Morgan J. 1889:19]. მის მიერ XIX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს ახტალაში მდ. დებედ ჩაის მარცხენა სანაპიროზე გამოვლენილი იქ-ნა ქვაყუთი (92X70), რომელშიც მიცვალებუ-ლი კვერზე ესვენა. კვერიანი სამარხის აღმო-ჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერთა წრეში. ამასთან დაკავშირებით, მოსაზრებანი გამოთქვეს ივ. ჯავახიშვილმა [ჯავახიშვილი ივ. 1937:52] და ბ. პიოტროვსკიმ [Пиотровский Б. 1939:49-50]. სტ. მენთეშაშვილმა კვერთან დაკავშირებულ თავის ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნა, რომ კვერი “იმავე აზრით არის ჩაყო-ლებული მიცვალებულს საფლავში, რა აზრი-თაც არის სხვა იარაღ-სამკაული“ [მენთეშაშ-ვილი ს. 1936:10]. მოგვიანოდ, არტიკში, სომ-ხეთში აღმოჩენილი იქნა კიდევ ერთი კვერი-ანი სამარხის (№ 508) ნაშთი, რომელიც ძვ.წ. XII-XI საუკუნეებით დათარიღდა [Хачатрян Т. 1979:15, 38].

შემდეგი კვერიანი სამარხის აღმოჩენა 1940 წელს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სო-ფელ ხანლართან ახლოს მოხდა. ი. გუმელმა შეისწავლა № 2 ყორღანში ჩაშვებული ორ-მოსამარხი № 4 (210 X 48, სიღრმე – 65), რო-მელიც ქვის ფილებით იყო გადახურული, დამხრობილი OSO-WNW სიგრძივ ღერძზე. კვლავ, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწ-ვია მიცვალებულის (მამაკაცი) კვერზე დაკ-რძალვის ფაქტმა. იგი დაუკრძალიათ მარ-ცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით დასავლეთ მხარეს. სამარხის შემსწავლელ-

მა მკვლევარმა სცადა აღედგინა თვით კევრის აღნაგობაც, ხოლო სამარხის გამართვა ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს ივარაუდა [Гумель Я. 1949:55-58].

1948 წელს საქართველოშიც აღმოჩნდა კევრიანი სამარხი. ტ. ჩუბინიშვილმა აღწერა და გამოიკვლია სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთ უბანზე გათხრილი ორმოსამარხი № 320 (160 X 110) [ჩუბინიშვილი ტ. 1957]. “კევრზე დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხის მკვეთრად მოხრილი ქვემო კიდურების ძვლები მარცხენა გვერდზე მდებარეობდა, ხოლო ჩონჩხის ზემო ნაწილი, მენჯის ძვლიდან დაწყებული (ხერხემალი, მხრების ძვლები, თავის ქალა და სხვ.); პირქვე იყო დამხობილი“. სამარხში იყო ცხვრის თავ-ფეხი, ხელადა, კოჭობი, ჯამი, ბრინჯაოს რგოლსაკიდები, საკინძები, სამაჯური და პასტის მძივ-სამკაული.“ ამ მასალის მიხედვით სამარხი დათარიღა ძვ.წ. VIII-VI სს-ით. ტ. ჩუბინიშვილმა აღნიშნა, აგრეთვე, საქართველოში კევრიანი სამარხის აღმოჩენის სხვა ფაქტიც – ცხინვალთან ახლოს. «ე.წ. ქულბაქევის სამაროვანზე გამოვლენილი იქნა ძვ.წ. VIII-VI სს. რამდენიმე სამარხი, რომელთა შორისაც ერთში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით კევრის კოხის ქვები“ [ჩუბინიშვილი ტ. 1957:106].

შემდგომ, საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით მომრავლდა კევრიანი სამარხების აღმოჩენის ფაქტები.

უფლისციხესა და მის მიდამოებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას (1958-1962 წწ.) კევრი აღმოჩნდა როგორც ნამოსახლარებზე, ისე ძვ.წ. III-II სს. დროინდელ ყათნალიხევის სამაროვანზეც (იხ. ორმოსამარხი №1). სამარხში ჩადებულ “ხმარებაში ნამყოფ წვრილკოხიან კევრზე დაუსვენიათ ორი მიცვალებული, ორივე მარცხენა გვერდზე, თავით SW და სახით W მხარისაკენ. . . . კევრი სამარხში მოხვედრამდე დიდხანს ყოფილა ხმარებაში, რაზედაც კოხების სამუშაო პირის გაცვეთილობა მიუთითებს. . . . სამარხში კევრის დადასტურების ფაქტის საფუძველზე შეიძლება გვეფიქრა, რომ აქ გუთნისდედის სამარხთან გვაქვს საქმე. სავსებით ბუნებრივია, რომ მევენახეთა სამარხების გვერდით, ყოფილიყო გუთნისდედათა სამარ-

ხებიც. ასეთ დაშვებას მხარს უჭერს როგორც მეურნეობის ხასიათი, ისე განვითარების დონე“ [ხახუტაიშვილი დ. 1966:84-85].

კევრიანი ორი სამარხი (ძვ.წ.VII-VI სს.) აღმოჩნდა 1973 წ. მადნეულ-კაზრეთში (ბოლნისის რ-ნი), რომელიც შეისწავლა კაზრეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი მ. სინაურიძე) [იხ. სინაურიძე მ., გიუნაშვილი გ. 1976:96-105].

ორმოსამარხი №1 დამხრობილია W-O სიგრძივ ღერძზე, თავით აღმოსავლეთით. მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილ პოზაში. თავთან ედგა თიხის დოქი და ჭინჭილა. თავის არეში აღმოჩნდა სარდიონის, ფერადი და თეთრი პასტის მძივები. ორმოს სამხრეთ კედელთან დაცული იყო ხის ნაშთი, რომელიც კევრის კოხებს შეიცავდა. ორმოსამარხი №4 დამხრობილია SO-NW სიგრძივ ღერძზე, თავით S მხარეს. მიცვალებული დაუსვენებიათ ხელფეხმოკეცილ პოზაში, მარჯვენა გვერდზე. ორმოს აღმოსავლეთ კუთხეში მსხვილფეხა ცხოველის თავი იდო. მის გვერდზე კი, მიცვალებულის ხელის მტევნებთან – მოლუნული რკინის დანა. მარცხენა ხელზე ეკეთა სადა, თავებგახსნილი ბრინჯაოს სამაჯური, მარჯვენა ხელზე კი სარდიონის ცისფერი და თეთრი პასტის მძივებიანი სამაჯური. ყელის არეში აღმოჩნდა ე.წ. შედგენილლერიანი ფიბულა. ორმოსამარხის SW კედლის გაყოლებით, 20-25 სმ-ს სიღრმეზე შერჩენილი იყო ხის ნაშთი კევრის კოხებით. მიცვალებულსა და კევრს შუა იდო რკინის სატევარი, მარჯვენა ფეხის წვივზე კი პატარა სალესი ქვა – თასმის გასაყრელი ნახვრეტი. ორივე სამარხში კევრი ან კევრის ნაწილი დაკრძალულთა ზურგს უკან გვერდულად იყო ჩადგმული. კოხების სიმცირე და მათი გაცვეთილობა სამარხების შემსწავლელთ აფიქრებინებს, რომ მიცვალებულის კევრზე დაკრძალვასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ძველი, გამოსაყენებლად უვარგისი კევრით სამარხის გამართვასთან. მათი აზრით: «ამ ორმოსამარხების თანადროული საზოგადოებისათვის უკვე იმდენად ტიპური გამხდარა სამეურნეო საქმიანობაში კევრის გამოყენება, რომ მისი მასიური დამზადება დაუწყიათ, ხოლო კოხებმოცვეთილ კევრებს სხვადასხვა

დანიშნულებისამებრ იყენებდნენ, მათ შორის სამარხების ასაგებადაც. . . გამორიცხულიც არ არის, რომ საიქიოში კვერის გატანება ძველი რწმენა-წარმოდგენების ანარეკლი იყოს» [სინაურიძე მ., გიუნაშვილი გ. 1976:96-105].

კვერით გადახურული ორმოსამარხები გაითხარა 1978-1980 წწ. მცხეთის რაიონში ნასტაკისის ველზე [ნარიმანიშვილი გ. 1990:87-91]. ხის ანაბეჭდებისა და კოხის ქვების განლაგების მიხედვით სამარხები №№ 44, 124, 140, კვერით ყოფილა გადახურული. გადახურვის კონსტრუქცია უშუალოდ მიცვალებულის ზემოთ იყო მოწყობილი. კვერი, როგორც ჩანს, მინაში გამოჭრილ საფეხურებზე (თაროებზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი. სამარხები . . . ა.წ. I ს-ით თარიღდება“ [იხ. ნარიმანიშვილი გ. 1990:90].

1983 წელს ძველ ქანდასთან (ძვ.წ. XIV-XIII სს. სამაროვნებზე) აღმოჩენილი იქნა გვიანი ბრინჯაოს ხანის კვერიანი სამარხი. სამარხის ორმო გადახურული იყო კვერით [ბოხოჩაძე ალ., ზანგური ამ. 1987:87-91].

ძველი ქანდის კვერიან სამარხზე ადრეული სამარხი სოფ. წაღვლის მიდამოებში ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1984 წელს იქნა აღმოჩენილი. ექსპედიციის ხელმძღვანელი ალ. რამიშვილი სამაროვნის № 94 სამარხს (კვერიანი ორმოსამარხი) ათარიღებს შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულით. მიცვალებული დაკრძალული იყო კვერს ქვეშ. ჩაუყოლებიათ სამკაულები: ბრინჯაოს ორ-ორი, რომბისებრგანივკვეთიანი ბოლოებგახსნილი სამაჯური; თავზე ანთიმონის ბურთულეებნამოცმული საკინძი; ნაპირებზე ცრუგავარსით შემკული საყურე; ბოლოებგაფართოებული ელიფსის ფორმის 1,5 ხვიისებრი შვიდი საკინძი; ანთიმონის, სარდიონის, გიშრისა და პასტის სხვადასხვა ფორმის რამდენიმე ათეული მძივი. გარდა ამისა სამარხში აღმოჩნდა თიხის ხუთი ჭურჭელი (ორყურა და უყურო ქოთნები, კოჭობი, ბადია და ცალყურა სასმისი) [რამიშვილი ალ. 2004:64].

ძვ.წ. XIV ს-ით ათარიღებს მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ოთ. ლამბაშიძე ბორჯომის ხეობაში ბორნიღლეს სამაროვანზე აღმოჩენილ № 52 კვერიან ორმოსამარხს. კვერის მდებარე-

ობა აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ მიცვალებული კვერით იყო გადახურული. ძეგლის მკვლევარი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მსხვილფეხა საქონლის თავის არსებობა თავისებური ურთიერთობის ამსახველი უნდა იყოს შუა ბრინჯაოს ხანის ქართლში ცნობილ, მიცვალებულთა დაკრძალვის ერთ-ერთი წესისა, რომელშიც თვალში საცემია სამარხთა აღმოსავლეთ ნაწილში მსხვილფეხა რქიანი საქონლის წყვილი თავისქალის აღმოჩენა (თრელი-გორები, ნატახტარი) [ლამბაშიძე ო., ლამბაშიძე ირ. 1987].

დმანისის რაიონის სოფ. განთიადთან მასვერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1982 წელს აღმოჩენილი იქნა კვერიანი ორი სამარხი (№№ 120, 140). სამარხებს ათარიღებენ ძვ.წ. XIII-XII სს-ით კვერი მიცვალებულის სარეცლად იყო გამოყენებული, რომელიც თავის მხრივ, სამარხის თავკედლების კუთხეებში დადებულ ქვის ფილებზე იდო, ხოლო მის ქვეშ – თიხის ჭურჭელი ჩაუღებიათ [Кахиანი К. и др. 1985].

1985 წელს ძვ.წ. IV-III სს-ის დროინდელი კვერიანი ორმოსამარხი დმანისის რაიონის ადგილ აბულმუგში იქნა აღმოჩენილი [ძნელაძე მ., ხუბულური ნ. 1989; Кахиანი К. и др. 1991; Dzeladze M., Chubuluri N. 1991; ხოხობაშვილი, ძნელაძე 1999].

1987 წელს კვერიანი სამარხი ჯავახეთში სოფ. დიგაშენში აღმოჩნდა. აქ შესწავლილი იქნა ძვ.წ. XIV-XIII სს-ის ყორღანი და ნამოსახლარი. ორივე ადგილას დადასტურდა კვერის ნაშთები – კოხის ქვები [Орджоникидзе А. 1995:81-82].

უკანასკნელად კვერიანი ორმოსამარხი (2 ცალი) ახალციხის რაიონის სოფ. კლდესთან 2006 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას აღმოჩნდა (ხელმძღვანელი ირ. ლამბაშიძე) [ლამბაშიძე ირ. 2006].

ამრიგად, საქართველოს 12 პუნქტში აღმოჩნდა 17 კვერიანი სამარხი, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონია - ძვ.წ. XVII-XVI საუკუნიდან – ახ.წ. V საუკუნემდე მოიცავს. კავკასიაში: სომხეთში – 2 კვერიანი სამარხია აღმოჩენილი, აზერბაიჯანში კი – 1 (ტაბ. I, 1).

1. წაღვლი (ხაშურის რ-ნი) – შუა ბრინჯაოს ხანის მიწურული (ძვ.წ. XVII-XVI სს.). 2.

ბორნილელე (ბორჯომის რ-ნი) – ძვ.ნ. XIV ს. 3. ძველი ქანდა (მცხეთის რ-ნი) – ძვ.ნ. XIV-XIII სს. 4. დიგაშენი (ნინოწმინდის რ-ნი) – ძვ.ნ. XIV-XIII სს. 5-6. განთიადი (დმანისის რ-ნი) – ძვ.ნ. XIII-XII სს. 7. სამთავრო (მცხეთის რ-ნი) – ძვ.ნ. VIII-VII სს. 8-9. მადნეული-კაზრეთი (ბოლნისის რ-ნი) – ძვ.ნ. VII-VI სს. 10. ქულბაქევი (ცხინვალის რ-ნი) – ძვ.ნ. VII-VI სს. 11. აბულმუგი (დმანისის რ-ნი) – ძვ.ნ. IV-III სს. 12. ყათნალიხევი (უფლისციხე-გორის რ-ნი) – ძვ.ნ. III-II სს. 13-15. ნასტაკისი (მცხეთის რ-ნი) – ახ. ნ. I ს. 16-17. კლდე (ახალციხის რ-ნი) – ახ.ნ. IV-V სს. 18. ხანლარი (აზერბაიჯანი) – ძვ.ნ. II ათასწლეულის დასასრული. 19. არტიკი (სომხეთი) – XII-XI სს. 20. ახტალა (სომხეთი) – ძვ.ნ. I ათასწლეულის დასაწყისი.

1. არსებული მონაცემების მიხედვით, კევრიან სამარხებში გამოიყო კევრის ორნაირი გამოყენების ფაქტი: 1. კევრზე მიცვალებულის დაკრძალვა და 2. კევრით მიცვალებულის გადახურვა.

მიცვალებულის კევრზე დაკრძალვა საქართველოში, ჩვენთვის ცნობილ სამთავროს, განთიადისა და ყათნალიხევის სამაროვნებზეა დადასტურებული.

ჩვენთვის ცნობილი კევრიანი სამარხებიდან მხოლოდ ერთია ქვასამარხი (ქვაყუთი ახტალიდან), რომელშიც მიცვალებული კევრზე იყო დაკრძალული. ყველა სხვა შემთხვევაში ისინი ორმოსამარხთა ტიპისაა.

მკვლევართა მოსაზრებით კევრიან სამარხებში შეიძლება დაეკრძალათ: 1. გუთნისდედა; 2. მეკალოვე-მლენავი; 3. პირები, რომლებიც კალოზე ლენვის პროცესში იღებდნენ მონაწილეობას (მოხუცები, ქალები, ბავშვები) და, შესაძლოა, მუშაობისას შემთხვევით დაღუპულნიც; 4. მეკევრე – კევრის დამამზადებელი; 5. პირი, რომელსაც არავითარი ურთიერთობა არ გააჩნდა კევრთან და მინათმოქმედებასთან (კევრი მხოლოდ ფიცრის მოვალეობას ასრულებდა სამარხში).

მიცვალებულის დაკრძალვა, უმეტესად, გარკვეულ რიტუალთან, ტრადიციასთან იყო დაკავშირებული. გარკვეულ წესებსა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ექვემდებარებოდა სამარხის სახეც (ტიპი). სამარხში

კევრის ჩატანებაც, იმდროინდელი ყოფაცხოვრების ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, საეჭვო ხდება კევრი გამოყენებინათ იმ პიროვნებათა დასაკრძალავად, რომელნიც არ იყვნენ დაკავშირებულნი კევრთან, ხორბლის მოყვანა-დამუშავებასთან. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ, რომ კევრი მეკევრის შრომის იარაღი არაა და მხოლოდ მისი შრომის შედეგია — გასაცემი-გასაყიდი ნივთია, შეიძლება ნაკლები საფუძველი დარჩეს კევრიან სამარხში ამ ხელობის ადამიანის დაკრძალვისაც. მეკევრე-ხელოსნის კევრიან სამარხში დაკრძალვის “საწინააღმდეგოდ” უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ სამარხებში ნახმარი – ძველი კევრებია გამოყენებული (კოხის ქვები გაცვეთილია და რაოდენობითაც ნაკლები).

რადგანაც კევრს სამარხებში გამოიყენებდნენ როგორც სარეცლად, ისე გადასახურავად, ამ სახის სამარხთა აღსანიშნავად, ალბათ აჯობებდა ტერმინის “კევრიანი სამარხი” ხმარება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, თუ როგორი ტიპის სამარხში იქნება ის დაფიქსირებული, მაგალითად, “კევრიანი ქვასამარხი”, “კევრიანი ორმოსამარხი” და ა.შ.

ი. კიკვიძე მართებულად აღნიშნავდა, რომ “მიცვალებულის კევრზე დასაფლავება მრავლისმეტყველი ფაქტია”. ამასთანავე, მისი აზრით, «ჩანს, მინათმოქმედი გუთნისდედა ისევე შეიძლება გვარსა და თემში ავტორიტეტული თუ აღზევებული პირი იყოს, როგორც ვთქვათ, კულტის მსახური ან მეომარი. მინათმოქმედ ტომებში პირი, რომელსაც ხვნა-თესვისა და მოსავლის მოწევაში დიდი პრაქტიკული გამოცდილება და უნარი აქვს, ისევე შეიძლება “ნაწილიანი”, ე.ი. ღვთის რჩეული იყოს, როგორც მესაქონლე, მეომარ ტომებში – კარგი მებრძოლი გმირი” [კიკვიძე ი. 1976:96]. გუთნისდედის “დიდი ავტორიტეტი” დიდ ოჯახებში დადასტურებული ფაქტია. საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ კევრიან სამარხებში არსებული მასალის სიმწირე და – სხვა დაბალი და საშუალო სოციალური ფენის კუთვნილთა სამარხებისაგან მნიშვნელოვანმა განუსხვავებლობამ,

გარდა კევრის ჩატანებისა, გვაფიქრებინა, რომ გუთნისდედა-მეკალოვე-მლენავი შუა ბრინჯაოს დასასრულიდან მოყოლებულია-რაა განსაკუთრებულად "რჩეული" და, რომ ამ პროფესიის – საქმიანობის მიმდევარი პირი მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც „ჩვეულებრივი“ პროფესიის წარმომადგენელია, თანაც „დროებითი-ერთჯერადი“ საქმიანობისა. ამდენად, გუთნისდედა-მეკალოვე-მლენავის აღზევებულობა – „ღვთის რჩეულობის“ არსებობა, ალბათ, შედარებით უფრო ადრეულ ხანაში უნდა ვეძიოთ. თუმცა, ისიც უდავოა, რომ გუთნისდედისა და მეკალოვე-მლენავის ავტორიტეტი ყოველთვის დიდი იქნებოდა.

### ლიტერატურა:

**ბაგრატიონი ვ. 1973:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქც., IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**ბოხორჩაძე ალ., ზანგური ამ. 1987:** ძველი ქანდის სამაროვანი. - ნ. კეცხოველი (რედ.), ძმ., №3. თბილისი.

**კიკვიძე ი. 1976:** მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.

**მენტეშაშვილი ს. 1936:** კევრი. - თ. თუთბერიძე (რედ.), სსმმ, ტ. 9. თბილისი.

**ნარიმანიშვილი გ. 1990:** ნასტაკისის ანტიკური ხანის სამაროვანი. - რ. რამიშვილი (რედ.), აძ, VII-VIII, თბილისი.

**რამიშვილი ალ. 2004:** ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღვლში. თბილისი.

**სინაურიძე მ., გიუნაშვილი გ. 1976:** კაზრეთის გვიან-ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები - შ. ხანთაძე (რედ.), სსმმ, XXXII. თბილისი.

**ლამბაშიძე ო., ლამბაშიძე ი. 1987:** ახალი არქეოლოგიური მასალები სამცხე-ჯავახეთიდან - ი. ციციშვილი (რედ.), ძმ., № 4, თბილისი.

**ლამბაშიძე ი. 2006** წლის საველე ანგარიში. (ხელნაწერი). თბილისი.

**ჩუბინიშვილი ტ. 1957:** მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

**ძნელაძე მ., ხუბულური ნ. 1989:** ადრეელისტიური ხანის ახლად აღმოჩენილი ძველი ქვემო ქართლიდან (აბულმუგის სამაროვანი) - ი. ციციშვილი (რედ.), ძმ., №83, 1. თბილისი.

**ძნელაძე მ. 2001:** აბულმუგის სამაროვანი - ჯ. კოპალიანი (რედ.), დმანისი, III. თბილისი.

**ხახუტაიშვილი დ. 1966:** უფლისციხე, I. თბილისი.

**ხოსობაშვილი თ., ძნელაძე მ. 1999:** სამარხთა სახეობანი და დაკრძალვის წეს-ჩვეულებანი ძველ საქართველოში - ნ.ხაზარაძე (რედ.), თსტუგ. თბილისი.

**ჯავახიშვილი ივ. 1937:** ქართველი ერის ისტორია. ტ. I, თბილისი.

**Гумель Я.И. 1949:** Курган № 2 близ Ханлара. – А.Д. Удальцов (ред.), КСИИМК, вып. XXIV. Москва-Ленинград.

**Кахиани К.К., Глигвашвили Э.В., Дзneladze M.C., Каландадзе Г.Г., Цквინიძე З.Р. 1991:** Археологическое исследование Машаверского ущелья в 1984-1986 гг. - О.Д. Лордкипанидзе и др. (ред.). – ПАИ в 1986 году. Тбилиси.

**Орджоникидзе А.З. 1995:** Работы Джавахетской экспедиции на памятниках бронзового века. - О.Д. Лордкипанидзе и др. (ред.). – ПАИ в 1987 году. Тбилиси.

**Пиотровский Б.Б. 1939:** Урарту – древнейшее государство. Ленинград.


**Хачатрян Т.С. 1979:** Артикский некрополь. Ереван.

**Dzneladze M., Chubuluri N. 1991:** Das Fruhhellinisch neuentdeckte Dänkmal aus Kvemo Kartli. აკც., პრეპრინტი. თბილისი.



**Morgan J. 1989:** Mission scientifique au Caucase, t.I. Paris.

### ილუსტრაციების აღწერილობა:


- ტაბ I. 1** - კევრიანი სამარხების აღმოჩენის რუკა.  
**2** - კევრიანი სამარხი აბულმუგისა №22.
- ტაბ II. 1** - კევრის რეკონსტრუქცია.  
**2** - სამარხის კომპლექსი.





1



2





## წითელფიგურული სკიფოსები ვანის ნაქალაქარიდან

ვანში, ახვლედიანების გორაზე, ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩნდა მდიდრული სამარხი (სამარხი №24), სადაც მთავარ მიცვალებულთან ერთად დაკრძალული იყო ოთხი მსახური და ერთი ცხენი. მას ამკობდა 1000-ზე მეტი ოქროს (თავსამკაული, სამაჯურები, სასაფეთქლები, მძივები, საკიდები, მცირე მილაკები), ასობით ვერცხლის სამკაული, მინისა და ქვის 17000-ზე მეტი მძივი. დაკრძალულს ჩატანებული ჰქონდა ვერცხლის სარტყელი, ბრინჯაოს სარკე, ვერცხლის, ბრინჯაოს და თიხის ჭურჭელი. თიხის ჭურჭელში წარმოდგენილი იყო როგორც ადგილობრივი ნაწარმი, ასევე იმპორტიც: ჰერაკლეაში დამზადებული ამფორები, ატიკური შავლაკიანი ჯამი, წითელფიგურული სკიფოსი და ბადისებურორნამენტისანი ლეკითოსები [Kacharava D., Kvirkvelia G. 2008:196, კატ. №49a].

აღმოჩენილი ნივთების ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა. ადრეულ ნივთებს შორისაა: ოქროს სამკუთხა საკიდი, რომლის მსგავსი სიმაგრეშია აღმოჩენილი ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ კულტურულ ფენაში [მიქელაძე თ. 1978: 61, სურ. 3-4]. მაგრამ სამარხი, რა თქმა უნდა, თარიღდება გვიანდელი ნივთების საფუძველზე, რომელთა შორისაც არის პანტიკაპეიონის მონეტა და მაკედონური ნისკარტისებურცხვირიანი ბრინჯაოს ოინოხოია. მონეტას ათარიღებენ ძვ.წ. 340-330 წწ-ით<sup>1</sup>. რაც შეეხება ოინოხოიას, ის ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის კომპლექსებისთვის არის დამახასიათებელი [Kacharava D. 2005:291-309].

სტატიამი განვიხილავ სამარხში აღმოჩენილ წითელფიგურულ სკიფოსს (ტაბ. I, 1, 2), ღვინის სასმელ ჭურჭელს, რომელიც უკვე გეომეტრიული ხანიდან გვხვდება ბერძნულ სამყაროში, ხოლო ძვ.წ. VI—IV სს-ში ვერც ერთი სხვა ამ დანიშნულების ჭურჭელი ვერ უნევს მას მეტოქეობას ათენში, რაც, ალბათ, მისი ფორმის მოხერხებულობამაც განაპირობა [Sparkes B.A., Talcott L. 1970:81-87, ტაბ 14-

17, სურ 4, 20]. გამოყოფენ სკიფოსის რამდენიმე სახეობას: კორინთულს,<sup>2</sup> დაცერებულყურებიანს,<sup>3</sup> ატიკურს — A ტიპს და B ტიპს,<sup>4</sup> და კიდევ რამდენიმეს [Sparkes B.A., Talcott L. 1970:81-87].

მოყვანილობის მიხედვით ჩვენი სკიფოსი (ტაბ. I, 2) ატიკურ სახეობას მიეკუთვნება, ხოლო რაც შეეხება მოხატულობას (ტაბ. I, 1), მის ორივე მხარეს ერთი და იგივე სცენაა გამოსახული: ორ-ორი ფიგურა, ერთმანეთის პირისპირ მდგომი, როგორც ჩანს, საუბრობს. ორივე ფიგურა პროფილშია გამოსახული. მარცხენა ფიგურა შიშველია, თითქმის არ გაირჩევა სახის ნაკვთები: წარბი ოდნავი შტრიხით არის გამოსახული, ასევე ბუნდოვნად არის გამოყოფილი ყური — თმის ერთი ზოლის ქვემოთ ჩამონევით. თავს არაბუნებრივი ფორმა აქვს, თვალში საცემია ოთხკუთხედი ფორმის შუბლი. წელი ვიწროა. არაბუნებრივად დახატული მარჯვენა ხელი წინ აქვს განეული. თითქმის არ გაირჩევა თითები ხელის მტევანზე, გარდა ცერისა, რომელიც კაუჭივით არის მოხრილი. მარცხენა ხელი ძირს არის დაშვებული და ოდნავ წინაა გამოწეული, თითქოს მუშტი აქვს შეკრული. ღუნდული მაღლა აწეული, არაპროპორციული და არაბუნებრივია ფეხები: მარცხენა ფეხი წინ არის განეული და მუხლშია მოღუნული.

მეორე, მარჯვენა ფიგურა შემოსილია და, როგორც ითქვა, ასევე პროფილშია დახატული. მასაც შტრიხით აქვს გამოყვანილი თვალი და წარბი. მოუწესრიგებლად აქვს გადმოცემული თმა. სამოსი გრძელია და მთლიანად ფარავს სხეულს, მხოლოდ ფეხის ტერფია შიშველად დატოვებული. სამოსის მოყვანილობით ჩანს, რომ ერთ-ერთი მუხლი მოღუნულია. სამოსის ნაოჭები შტრიხების საშუალებით გაკვრით და ზედაპირულად არის გამოყვანილი.

ორივე ფიგურის ზურგს უკან სპირალური ორნამენტისა დახატული, ხოლო ყურებსქვედა სივრცე პალმეტებით არის შევსებული. ერთ



მხარეს თერთმეტფურცლიანი პალმეტია, მეორე მხარეს კი - ცამეტფურცლიანი.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი: ორივე ფიგურას ლოყის არეში დატანილი აქვს მუქი ფერის ლაქა, რაც, ერთი შეხედვით, გამოწვევის დეფექტს მოგვაგონებს.

ეს ცნობილი სცენაა, რომელიც პალესტრის სამყაროს უკავშირდება და ხშირად გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელზე, კრატერებზე და ოინობოიებზე, სადაც კომპოზიცია არ არის შეზღუდული ორი ფიგურით, სკიფოსებზე კი ის კანონიკურ სახეს ღებულობს: აქ კომპოზიცია ორფიგურია, მისი მარჯვენა შემოსილი ფიგურა პედოტრიპია, ხოლო მარცხენა ტანშიშველი – ათლეტი [Sabattini B. 2000:47, 50-57, სურ 3-12, 14]. არსებობს ვაზები, სადაც ორივე ფიგურა შემოსილია. ძირითადად ჭურჭლის ორივე მხარეს ერთი და იგივე სცენა მეორდება. ფიგურებს ხშირად ხელში ატრიბუტები უჭირავთ და სქემატურად არის გამოსახული ფიგურებს შორის რაღაც საგანი. ჩვეულებრივ პედოტრიპს ჯოხი უჭირავს, ხოლო ათლეტს - სტრიგილი, დისკო ან არაფერი. კანონიკურია ფიგურებს უკან სპირალური ორნამენტი და ასევე ყურსქვედა პალმეტი [Sabattini B. 2000:60-64, სურ. 20-27]. ხოლო რაც შეეხება ლაქას ლოყაზე, ასეთი ლაქები ლოყებზე გვხვდება ძვ.წ. V ს-ის მინურულისა და IV ს-ის ვაზათმხატვრობაში, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ნითელფიგურული ტექნიკა უკანსვლას განიცდის. ამ პერიოდს ახასიათებს ასევე დეტალების უხეში გამოყვანა, ლაკით არაზუსტი დაფარვა. ძირითადი თემატიკა ამ პერიოდის ვაზებზე არის დიონისური სცენები; პოპულარულია აგრეთვე ქალღმერთი აფროდიტე. ეს სცენები ჩვეულებრივ ჭურჭლის ცალ მხარეს გვხვდება, ხოლო მეორე მხარეს კი - როგორც წესი, სამი, ძალიან დაუდევრად გამოყვანილი, მანტიასი გამონყოფილი ფიგურა [Cook R. M. 1977:185].

ვანის ამ სკიფოსის განხილვისას მახსენდება სპინას გათხრებისას მოძიებული მასალა, კერძოდ, სკიფოსების მთელი კოლექცია, რომელზეც, ჩვენი სკიფოსის მსგავსად, პალესტრის ორფიგურია სცენაა გამოსახული [Sabattini B. 2000:47-65]. ყველაზე ახლო მსგავ-

სებას ვხედავ სპინას № 277 სამარხში აღმოჩენილ ორ სკიფოსთან [Sabattini B. 2000:50, სურ. 3-4]. ეს სკიფოსები დათარიღებულია ჭურჭლის ფორმის, და არა მხატვრული სტილის მიხედვით ძვ.წ. 400 წლით [Sabattini B. 2000:50]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მოხატვის სტილი ძვ.წ. IV ს-ის შუახანების მხატვრობას მოგვაგონებს. ამ ორ სკიფოსზე გამოსახული ათლეტები, თავიანთი მარჯვენა ხელის ცერა თითის მოკაუჭებული ფორმით, თმის გამოყვანის მანერით და ასევე პედოტრიპების სამოსის ზედა ნაწილის გადმოცემით შეიძლება დავუკავშიროთ ჩვენს სკიფოსს. სამოსის ზედა ნაწილი ჩვენს სკიფოსს ემსგავსება ასევე სპინას № 185A სამარხში აღმოჩენილი ნიმუში [Sabattini B. 2000:54, სურ. 9]: სამოსის ზედა ნაწილი ფუნჯის სქელი მონასმით არის გამოყვანილი, ხოლო მუხლთან სამოსის დაშვების გადმოცემის მანერა ძალიან ემსგავსება ვანის სკიფოსს. ვხედავ მსგავსებას ათლეტის მარცხენა ხელის შეკრულ მუშტთანაც. ეს ნიმუში ძვ.წ. IV ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება [Sabattini B. 2000:54]. ყველა ამ სკიფოსს სპინადან, რომელიც მოვიყვანე პარალელად, აკუთვნებენ ჯონ ბიზლის მიერ გამოყოფილ „F.B.“ ჯგუფს. ბიზლი ასევე გამოყოფს „F.B.“ ჯგუფის რამდენიმე მხატვარს [Sabattini B. 2000:47]. ვანის სკიფოსის ფიგურების სხეულის ანატომია არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ განვსაზღვრო მხატვარი. სამწუხაროდ, მხოლოდ ჭურჭლის თარიღით უნდა დავკმაყოფილდეთ და სავარაუდოდ ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარს მივაკუთვნოთ.

რაც შეეხება მეორე სკიფოსს (ტაბ. I, 3, 4, 5), რომელიც ამ ნაშრომში მინდა განვიხილო, ის 1985 წელს მოხვდა ვანის მუზეუმში (მუზ. № 2:985-672) ადგილობრივი მოსახლის, მერი ძიგვაშვილისგან. მან ის საკუთარ ეზოში აღმოაჩინა მიწის დამუშავებისას. აღსანიშნავია, რომ ჭურჭელი აღმოჩენილია არა საკუთრივ ნაქალაქარის ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

ფორმით ის განსხვავდება წინა სკიფოსისაგან (ტაბ. I, 3). აქ სწორედ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა სკიფოსის ტანის ქვედა ნაწილი შევიწროებას იწყებს. ყურები, სამწუხაროდ, არ არის შემორჩენილი, მაგრამ

ყურის მიერთების ადგილები იმდენად ახლოს არის ერთმანეთთან დასმული, რომ გვიქმნის შთაბეჭდილებას მის მოყვანილობაზე - როგორც ჩანს, ისინი სამკუთხა ფორმისა იყო. პირის კიდე ოდნავ არის გარეთკენ გადახრილი. ჭურჭელი დგას წრიულ ქუსლზე, რომლის სადგარიც და ქუსლშიდა ზედაპირიც რეზერვირებულია. ცენტრში ორი კონცენტრული წრეა და ასევე ლაკით არის დაფარული ქუსლის შიდა მხარე. ფორმის მიხედვით ასეთი სკიფოსები ძვ.წ. 375-350 წწ.-ით თარიღდება. [Sparkes B.A., Talcott L. 1970:84-85, 260, კატ. 349-350, ტაბ. 16, სურ. 4].

რაც შეეხება მოხატულობას, ერთფიგურიან კომპოზიციასთან გვაქვს საქმე. ორივე გვერდზე გამოსახულია ჰიმატიონში გახვეული ფიგურა. A და B მხარეებზე განსხვავებული სცენებია გამოსახული. A მხარეზე (ტაბ. I, 4) ფიგურას ხელში გაურკვეველი საგანი უჭირავს, თითქოს დისკო, რომელზეც გამოსახულია ჯვარი, მკლავებს შორის წერტილებით. B მხარის ფიგურა ატრიბუტის გარეშეა. ორივე მხარეს ფიგურა გამოსახულია მარჯვენა პროფილში. B მხარეზე ფიგურის (ტაბ. I, 5) თავს უკან შავი ბურთივით ლაქაა. მთლიანად ვაზას ახასიათებს ლაკით არაზუსტი დაფარვა, კანონიკური სპირალური ორნამენტი ფიგურის ორივე მხარეს და ყურის ქვეშ პალმეტი. A მხარეს ფიგურას შენარჩუნებული აქვს მხოლოდ სახე და ჩანს, რომ თვალები ორი პატარა ირიბი ზოლით არის გამოყვანილი (ტაბ. I, 4); ასევე ჩანს ჩვენთვის კარგად ცნობილი დამახასიათებელი წერტილი ლოყაზე. ფიგურა, როგორც უკვე ვთქვით, სამოსშია გახვეული. ორი ვერტიკალური და ორი ჰორიზონტალური ფუნჯის სქელი მონასმით გამოყვანილი ფორმებით ვვარაუდობთ, რომ ტერფები შიშვლად არის დატოვებული. არ გაირჩევა, თუ რომელ ხელში უჭირავს უცნობი საგანი „ჯვრის“ გამოსახულებით. B მხარის ფიგურის თავი სრულად არის შემორჩენილი (ტაბ. I, 5). თმის მასა ერთიანი ლაქის სახით არის გამოყვანილი, შუბლი ოთხკუთხედიან, პროფილი - ბუნდოვანი. მთლიანად შემოსილი ფიგურიდან ასევე ორ-ორი სქელი ზოლით გამოიყოფა შიშველი ტერფები. ამ მხარეს ვერ ვხედავ საგანს ხელში და გვაკლია ლოყაზე ლაქაც.

თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ასეთი სახის ჭურჭლებზე, ანუ სკიფოსებზე მარჯვენა ფიგურა ყოველთვის პედოტრიპია და მარცხენა - ათლეტი, თანაც ორივე ფიგურას ახლავს ხშირად მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტი, მაშინ შეგვიძლია თამამად განვსაზღვროთ, ვინ არის წარმოდგენილი ერთფიგურიან კომპოზიციებში, იმისდა მიხედვით თუ საით არის მიბრუნებული მისი პროფილი. ჩვენს ნიმუშზე ეს ფიგურა უდავოდ ათლეტია, მიუხედავად იმისა, რომ იგი შემოსილია, რადგან ამაზე, გარდა პროფილისა, რომელიც მარჯვნივ არის მიბრუნებული, მიგვანიშნებს ჭურჭლის A გვერდზე გამოსახული ატრიბუტიც (ტაბ. I, 4), რომელიც, როგორც წესი, ათლეტებს უპყრიათ ხელში. ესაა დისკო ზედ ჯვრით და წერტილით. რა შეიძლება იყოს ეს საგანი, და ან კი, რა არის ზედ გამოსახული? მკვლევართა ნაწილი ამ ჯვრიან საგანს დისკოდ მიიჩნევს, სხვანი კი - ღრუბლად, რომლითაც ოფლს იწმენდენ [Domínguez A.J., Sánchez C. 2001:440-442, 448-449, 456]. ვაზებზე გვხვდება სცენები, სადაც ათლეტს ამ ჯვრიან საგანთან ერთად უჭირავს დისკო, ანუ უჯვრო ოვალური ან მომრგვალო სადა საგანი, სადაც ფუნჯის სქელი მონასმით თითქოს გამოყვანილია ჩრდილი [Sabatini B. 2000:57, სურ 14]. თუკი ჯვრიანი საგანი დისკოა, რატომ უნდა ეჭიროს ათლეტს ორი დისკო ხელში? ხოლო თუკი ჯვრიანი საგანი ღრუბელია, მაშინ ძნელი წარმოსადგენია, დისკოთი ხელში როგორ უნდა იწმენდდეს ათლეტი ოფლს. ამიტომ ორივე შესაძლებლობას გამოვრიცხავ. საგანზე გამოსახული საგანი კი შეიძლება იყოს სვასტიკა, უბრალოდ ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი მინიშნებებით (როგორც არის მაგალითად ლოყაზე ხალი, პირის აღსანიშნად) შესრულებული, ჯვრის მკლავებს შორის წერტილები არის სვასტიკის მკლავები. არის ერთი გამონაკლისი, ასევე სპინას სამარხიდან, კერძოდ № 714A სამარხიდან, სადაც მარჯვენა ფიგურას, ანუ პედოტრიპს ხელთ უპყრია დისკო ზედ სვასტიკით [Sabatini B. 2000:56, სურ. 13]. სხვა შემთხვევა, რომ პედოტრიპს ხელში რაიმე ეჭიროს, გარდა ჯოხისა, არ გვაქვს. ამ შთაბეჭდილებას მიძლიერებს ასევე სამარხ № 893-ის

სკიფოსის დისკოც [Sabattini B. 2000:53, სურ 8]. მსგავსი საგანი, დისკო ჯვრითა და წერტილებით გვხვდება ასევე სხვა სცენებზეც. მაგალითად პისტიროსის ნაქალაქარზე (ბერძნული ემპორიონი თრაკიაში) აღმოჩენილ სკიფოსზე, რომელსაც ათარილებენ ძვ.წ. IV ს-ით ტიპიური ფორმის მიხედვით (ტანის თუ კორპუსის პროფილის) [Archibald Z. H. 1996:81-83, სურ. 5.2.-11]. გვხვდება ორფიგურიანი სცენა, სადაც მარცხენა ფიგურას (როგორც ხშირ შემთხვევაშია) ხელში (მარცხენაში) უჭირავს ეს საგანი, ხოლო მის წინ მეორე ფიგურა არ არის პედოტრიპი; თუმცა ჭურჭელი არ არის სრულად შემორჩენილი, მაინც ვხედავთ, რომ ფიგურა ქალისაა და სულაც შეიძლება (რაც მისი სამოსის კალთების მოყვანილობით ჩანს) ის გაქცეულ პოზაშიც იყოს. აქედან გამომდინარე, ძალიან ძნელია ამ საგნის დანიშნულების ზუსტი განსაზღვრა, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფა შემიძლია იმისა, რომ ეს საგანი დისკოა ან კი ღრუბელი.

სულ ეს არის, რისი თქმაც ამ ეტაპზე შემიძლია ამ ორ ვაზაზე. სამწუხაროდ, მხოლოდ თარიღისა და წარმოების ადგილის განსაზღვრით უნდა დავკმაყოფილდე, მხატვრების იდენტიფიცირება კი ვერ ხერხდება.

### შენიშვნები:

1. მონეტა განსაზღვრა გიორგი დუნდუამ.
2. კორინთული ტიპის სკიფოსი თხელკედლიანია, ღრმაა და სადა წრიული ქუსლი აქვს. მას ახასიათებს ქუსლთან ახლოს, ტანის ქვედა ნაწილზე რეზერვირებული ზოლი. ის არსებობს ძვ.წ. VI ს-დან ძვ.წ. IV ს-მდე და შემდეგაც.
3. დაცვრებულყურებიანი სახეობა სკიფოსისა გავრცელებულია ძვ.წ. VI ს-ის შუახანებში. მას აქვს ტანის ქვედა ნაწილში მიძერნილი ყურები, რომლებიც პირისკენაა ზეანული.
4. ატიკური ტიპის სკიფოსები ძვ.წ. VI ს-ის შუახანებიდან ჩნდება, მაგრამ მხოლოდ V ს-ის დასაწყისისთვის ყალიბდება მათი კანონიკური ფორმა. ეს არის სქელკედლიანი, მასიურყურებიანი და ტორუსისებრქუსლიანი სახეობა. ძვ.წ. 480 წლიდან იწყება ფორმის ცვლილება, ნელ-ნელა ვინროვდება ტანის



ქვედა ნაწილი, ხოლო პირის კიდე გარეთკენ იწყებს გადახრას, რის გამოც ყურები ოდნავ ქვემოთ ჩადის.

### ლიტერატურა:

- მიქელაძე თ. 1978:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, I, თბილისი. გვ. 3-92.
- Archibald Z. H. 1996:** Imported Athenian Figured Pottery 1988-1991. - "Pistiros I. Excavations and Studies". Edited by Jan Bouzek, Mieczyslaw Domaradzki, Zofia Halina Archibald. p. 77-88.
- Cook R. M. 1977:** Greek Painted Pottery, London. p.1-399.
- Dominguez A.J. and Sánchez C. 2001:** Greek Pottery from the Iberian Peninsula. Archaic and Classical Periods (ed. G. Tsetskhladze), Brill, p. 1-501.
- Kacharava D. 2005:** Recent finds at Vani, - Dialogues d'histoire ancienne, Supplément.1, Besançon-Cedex, p. 291-309.
- Kacharava D., Kvirkvelia G. 2008:** Wine, Worship and Sacrifice. The Golden Graves of Ancient Vani. New York, p. 126-205.
- Sabattini B. 2000:** Les skyphos du F. B. Group à Spina : apport chronologique de l'étude stylistique et typologique. - La céramique Attique du IV siècle en méditerranée occidentale. Actes du colloque international organisé par le Centre Camille Jullian, Arles, 7 -9 décembre 1995. Naples, p. 46 - 65.
- Sparkes B.A., Talcott L.1970:** Black and plain pottery of the 6<sup>th</sup>, 5<sup>th</sup> and 4<sup>th</sup> centuries B.C., The Athenian agora, v. XII, Princeton, New Jersey. p.1-472.

### ილუსტრაციების აღწერილობა:

**ტაბ. I** – 1. ვანის № 24 სამარხის ნითელფიგურული სკიფოსის გრაფიკული ჩანახატი; 2. ვანის № 24 სამარხის ნითელფიგურული სკიფოსის გრაფიკული ჩანახატი; 3 — ვანის ნაქალაქარის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი ნითელფიგურული სკიფოსის გრაფიკული ჩანახატი; 4. ვანის ნაქალაქარის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი ნითელფიგურული სკიფოსი, A მხარე; 5. ვანის ნაქალაქარის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი ნითელფიგურული სკიფოსი, B მხარე.



## ქეთევან ჯავახიშვილი

### საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური საბეჭდავები

სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა კულტურის მატარებელი ხალხებით დასახლებული უზარმაზარი აქემენიდური იმპერიის გლიპტიკა, ისევე როგორც საერთოდ აქემენიდური ხელოვნება, არ იყო ერთგვაროვანი. იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილების გლიპტიკური ძეგლები, როგორც ფორმით, ისე გამოსახულებათა თემატიკითა და სტილით განსხვავდება ერთმანეთისაგან. იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში უფრო მესოპოტამიურ-ასურული და ბაბილონური გლიპტიკის გავლენა შეიმჩნევა, დასავლეთში – მცირე აზიასა და ეგეოსის ზღვის აუზში კი ბერძნულისა. თუმცა, როგორც ცნობილი ინგლისელი მკვლევარი ჯ. ბორდმანი აღნიშნავს, საერთოდ ბერძნულ მხატვრულ სკოლას დიდი წვლილი მიუძღვის მთლიანად აქემენიდური გლიპტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ეხლა უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპარსეთის კარზე ბერძენი ოსტატები მოღვაწეობდნენ და თავის შემოქმედებაში სპარსელი მომხმარებლის გემოვნებასა და მოთხოვნებს ითვალისწინებდნენ [Boardman J. 1970:303].

ითქვას ეკლექტური აქემენიდური ხელოვნება, რომელსაც ნასესხები აქვს სხვადასხვა ქვეყნების (ასურეთის, ბაბილონის, ელამის, ურარტუს, საბერძნეთის და სხვ.) ხელოვნების დეტალები, მთლიანად მაინც სპეციფიკურად ირანულია [Луконин В. 1977:72]. იგივე შეიძლება ითქვას აქემენიდური გლიპტიკის შესახებაც.

ბერძნული გემებისათვის მიძღვნილ თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში ჯ. ბორდმანმა ახლებურად განიხილა აქემენიდურ გლიპტიკაში ბერძნული და სპარსული მხატვრული სკოლების ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთგავლენის ბევრი საკითხი. მკვლევარის აზრით, აქემენიდური გლიპტიკის ძეგლებში ბერძნული და სპარსული სტილის მკვეთრად გამიჯვნა რთული საკითხია და ზოგჯერ დიდ

სიძნელეებთან არის დაკავშირებული [Boardman J. 1970:303].

აქემენიდური გლიპტიკის ძეგლები სხვადასხვა ფორმისაა: ცილინდრული, კონუსური, პირამიდული, სკარაბეოიდისა და მრავალნახნაგა ფორმისა. საბეჭდავების მასალად უმეტესად სხვადასხვა ფერის ქალცედონი იხმარებოდა. დიდი სიყვარულით სარგებლობდა რძისფერი, განსაკუთრებით კი ცისფერი ქალცედონი – საფირინი. იშვიათად იყენებდნენ აგრეთვე, აქატსა და სარდიონსაც.

ჯ. ბორდმანმა აქემენიდურ გლიპტიკაში სამი ძირითადი სტილი გამოყო: სასახლის კარის სტილი, რომელშიც ორი მიმართულებაა – აღმოსავლური და დასავლური [Boardman J. 1970:305-309]; ბერძნული სტილი [Boardman J. 1970:309-312]; შერეული სტილი [Boardman J. 1970:312-322].

დღეისათვის საქართველოში 6 აქემენიდური საბეჭდავია აღმოჩენილი. მიუხედავად მცირერიცხოვნებისა ეს საბეჭდავები საკმაოდ ნათლად წარმოადგენენ აქემენიდური გლიპტიკის მრავალფეროვნებას.

1962 წელს რაჭაში, სოფ. ჯოისუბანში გ. გობეჯიშვილის მიერ გათხრილ ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ზოლიანი აქატის ცილინდრული საბეჭდავი, გ.კ. № 1241 (აქაც და შემდეგშიც იგულისხმება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გლიპტიკის კაბინეტი), ზომები: 26x11 მმ. საბეჭდავის ზედაპირზე, შუაში მაღალი, მოხდენილი, ორმაგ ბაზაზე დაყრდნობილი კოლონის სახით სიცოცხლის ხეა წარმოდგენილი, რომელიც პალმის მსგავსი ტოტით ბოლოვდება. ხის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, სარკისებურად, ზურგისაკენ თავშექცეული, უკანა ფეხებზე შემდგარი ხახადაღებული ფრთოსანი ლომია გამოსახული. ლომებს ცალი წინა ტორი ანეული აქვთ, კუდი ზევით აგრეხილი. გამოსახულება არ არის ღრმა, მაგრამ მკაფიოა, პლასტიკური და დახვეწი-

ლი. რეალისტურად გამოსახული ლომების მძლავრი, მოქნილი ფიგურები მონუმენტური ქანდაკებების ასოციაციას იწვევს (ტაბ. 1, 1-2).

საბეჭდავების ცილინდრული ფორმა მჭიდროდ არის დაკავშირებული მესოპოტამიურ გლიპტიკასთან. ეს ფორმა შეიქმნა ჩრდილო მესოპოტამიაში ძვ.წ. IV ათასწლეულში. ის მოითხოვდა საბეჭდავის ზედაპირზე ფიგურების თავისებურ განლაგებას. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში მესოპოტამიის ქვისმჭრელმა ოსტატებმა მოძებნეს თავისაბური ხერხი საბეჭდავების გრძელ და ვიწრო ზედაპირზე ფიგურების განლაგებისა. ყველა ცხოველს გამოხატავდნენ ვერტიკალურ მდგომარეობაში მდგომარე ადამიანის მსგავსად [ПМИ 1968:51] აქემენიდურ ხანაში, როდესაც საბეჭდავების ცილინდრული ფორმა ირანშიც გავრცელდა, ქვისმჭრელმა ოსტატებმა, რომლებიც ძირითადად ასურულ და ბაბილონურ სიუჟეტებს იყენებდნენ, ცილინდრული საბეჭდავების პირზე ფიგურების განლაგების ეს უძველესი ხერხიც გადაიღეს. მაგრამ მათ უარი თქვეს მესოპოტამიური ცილინდრებისათვის დამახასიათებელი მრავალფიგურიანი სიუჟეტების გამოსახვაზე, რამაც გამოსახულებას ერთგვარი მონუმენტალურობა შესძინა [ПМИ 1968:90].

აქემენიდურ ხანაში ცილინდრული საბეჭდავები მზადდებოდა მცირეაზიელი ოსტატების მიერ, ყოფილი ასურეთისა და ბაბილონის ტერიტორიაზე ადგილობრივ სტილში [Луконин В. 1977:72]. ეს საბეჭდავები იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში იხმარებოდა, დასავლეთში კი უფრო პოპულარული იყო პირამიდული, კონუსური, სკაბეიოიდისა და მრავალნახნაგა ფორმის საბეჭდავები, რომლებიც პრაქტიკულად უფრო ადვილი გამოსაყენებელი იყო [Boardman J. 1970:323]. იმპერიის ოფიციალურ საბეჭდავად, ჯ. ბორდმანი ცილინდრულ საბეჭდავებს მიიჩნევს და თვლის, რომ ბერძენ ხელოვანთა ჯგუფი იმპერიის არსებობის ბოლო ხანამდე ჭრიდა ცილინდრული ფორმის საბეჭდავებს, მიუხედავად იმისა, რომ საბეჭდავების ეს ფორმა დიდი მონონებით აღარ სარგებლობდა [Boardman J. 1970:309, 324].

ჯოისუბნის ცილინდრზე გამოსახული სიუჟეტი – სიცოცხლის ხე და მის ორივე მხარეს გამოსახული ცხოველები ძველადმოსავლური, მესოპოტამიური სიუჟეტი. ის მრავლად გვხვდება აქემენიდური ხელოვნების ძეგლებზე, მათ შორის ცილინდრებზეც [Луконин В. 1977:72]. სიცოცხლის ხის მრავალი ვარიანტი არსებობს. კოლონის სახით წარმოდგენილი სიცოცხლის ხე დაბოლოებული სხვადასხვა მცენარეების, მათ შორის პალმის ტოტებითაც ჯერ კიდევ ასურული ცილინდრების გამოსახულებებში გვხვდება [Parpola S. 1993:162, სურ. 1, 2; 201, გამოსახ. №№ 163-164]. რაც შეეხება ჯოისუბნის გამოსახულების სტილს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჯ. ბორდმანის მიერ გამოყოფილი აქემენიდური გლიპტიკის სტილის ერთ-ერთი მიმართულება – აღმოსავლური სასახლის კარის სტილია, რომელიც წარმოდგენილია ცილინდრული და კონუსური ფორმის საბეჭდავებით. ამ საბეჭდავთა გამოსახულებებში ასურული და ბაბილონური ელემენტები სჭარბობს. მათი გამოსახულებების სტილი მხატვრული თვალსაზრისით აქემენიდური სასახლეების ქანდაკებების სტილს უტოლდება [Boardman J. 1970:305]. ვფიქრობთ, ჯოისუბნის ცილინდრული საბეჭდავი ფორმის მიხედვით და მასზე გამოსახული პლასტიკურად, მაღალმხატვრულად შესრულებული მონუმენტური ფიგურებით აქემენიდური გლიპტიკის აღმოსავლური სასახლის კარის სტილის ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

აქემენიდური ცილინდრების დათარიღების საშუალებას იძლევა ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო და ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული პელოპონესის ბულები, რომელთა გამოსახულებები ეხმიანებიან აღმოსავლური სასახლის კარის სტილის საბეჭდავთა გამოსახულებებს [Boardman J. 1970:305]. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ჯოისუბნის ცილინდრი ძვ.წ. V საუკუნისა ან შესაძლოა რამდენადმე უფრო ადრე ხანისა იყოს.

2. 1996 წელს ქარელის რ-ნის სოფ. ტახტიძირში არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ი. გაგოშიძე) ერთ-ერთ სამარხში (№ 8) აღმოჩენილია მუქი ცისფერი, ოდნავ იასამნისფერი ელფერის შესანიშნავი

ქალცედონის-საფირინის კონუსური საბეჭდავი (გ.კ. № 1450), ზომები: პირის 23x20 მმ, სიმაღლე – 32 მმ. საბეჭდავის ოდნავ ამობურცულ პირზე გამოსახულია ძლიერ სტილიზებული სიცოცხლის ხე და მის ორივე მხარეს სიმეტრიულად, სარკისებურად გამოსახული უკანა ფეხებზე შემდგარი გარეული თხები. სიცოცხლის ხე წარმოდგენილია სამ იარუსად განლაგებული მოხრილი ტოტებით, რომელთა ღეროები ჯერ ქვევით ეშვება, შემდეგ კი ზევით არის აგრეხილი და მოგრძო გირჩით თუ რალაც ნაყოფით დაბოლოებული. თითოეული ტოტის ძირში ოთხფურცელა ყვავილია გამოსახული. ხის ღეროს ზედა ნაწილი პალმის ტოტს წარმოადგენს, რომელიც ნახევარმთვარისებურად არის დაგვირგვინებული (ტაბ 1, 3-4).

გამოსახულება არ არის ღრმა, მაგრამ შესრულებულია მკაფიოდ, პლასტიკურად, წმინდად და დახვეწილად. თხების ლამაზი, ნაგრძელებული სხეულის ფორმები ანატომიური სიზუსტით არის გადმოცემული – კუნთები აღნიშნულია სუსტად და მსუბუქად. ფაქიზად არის გადმოცემული თხების გრძელი, ლამაზად მოხრილი რქები, აგრეთვე სახსრები და ჩლიქები. წმინდად არის დამუშავებული სიცოცხლის ხის ელემენტები – ტოტები, ყვავილები და გირჩები. საბეჭდავი, საერთოდ, მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშია.

როგორც ზევით აღვნიშნეთ სიუჟეტი – სიცოცხლის ხე და მის ორივე მხარეს გამოსახული ცხოველები, მათ შორის თხებიც, ფართოდ არის გავრცელებული ძველადმოსავლურ ხელოვნებაში [Луконин В. 1977:72; Porada E. 1952:182, ტაბ. XXIX,4]. ტახტიძის საბეჭდავზე გამოსახული სტილიზებული ხის მსგავსი ხეებიც მრავლად გვხვდება ჯერკიდევ ასურულ საბეჭდავებზე [Parpola S. 1993:201, სურ. 452, 490, 498, 502].

საბეჭდავის კონუსური ფორმა შეიქმნა ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში, მესოპოტამიაში, ნეო-ბაბილონურ სამეფოში [ПМИ 1968:84]. შემდეგში საბეჭდავების ეს ფორმა აქემენიდურმა გლიპტიკამაც შეითვისა. ისევე როგორც აქემენიდურ ცილინდრულ, ასევე კონუსის მოყვანილობის საბეჭდავებშიც, მესოპოტამიური გლიპტიკის მოტივები და სტილი არის

გამოყენებული [Boardman J. 1970:304] და როგორც აქემენიდური ცილინდრები, კონუსის ფორმის საბეჭდავებიც სტილის მიხედვით ჯ. ბორდმანმა მის მიერ გამოყოფილ, აღმოსავლური სასახლის კარის სტილის ჯგუფში მოათავსა. ამ ჯგუფის სტილისტური ნიშნების შესახებ უკვე ვისაუბრეთ ჯოისუბნის ცილინდრული საბეჭდავის განხილვისას. ტახტიძის კონუსური საბეჭდავის გამოსახულების სტილი იმ მონუმენტალურობისა და სკულპტურულობის ნიშნებს ატარებს, რაც აღმოსავლური სასახლის კარის სტილის საბეჭდავებისათვის არის დამახასიათებელი.

მიუნხენის სახელმწიფო ნუმიზმატიკურ მუზეუმში დაცულ ქალცედონის ერთ-ერთ კონუსური საბეჭდავის პირზე გარეული თხების გამოსახულება სტილისტურად რამდენადმე ახლოს არის ტახტიძის საბეჭდავების თხების გამოსახულებებთან. მიუნხენის საბეჭდავი ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით არის დათარიღებული. ვფიქრობთ ტახტიძის საბეჭდავიც ამ ხანისა უნდა იყოს.

3. 1985 წელს მცხეთაში, სამთავროს ველზე, მდიდრულ აკლდამაში (№ 905) აღმოჩნდა პირამიდული საბეჭდავი რძისფერი ქალცედონისა (გ.ფ. № 1579), ზომები: პირის 20x15 მმ, სიმაღლე – 26 მმ. [აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. 1996:36-37, ტაბ. XL, 4; LVI, 2]. ოდნავ ამობურცულ პირზე გამოსახულია დაკბილული გვირგვინით შემკული ფრთოსანი ღვთაება, რომელსაც გაშლილ ხელებში კუდებით უჭირავს ორი ფრთოსანი, ხახადაღებული, ზურგისაკენ თავშებურუნებული ლომი. გამოსახულება მკაცრად სიმეტრიულია, სარკისებური, კვეთა არ არის ღრმა, მაგრამ მკაფიოა. ღვთაებისა და ლომების ფრთები, აგრეთვე ლომების ფაფარი ერთნაირად, წვრილი პარალელური ხაზებით არის გადმოცემული. ლომების თვალები, თათები და პირი მრგვალი საჭრისით – ბუტეროლით არის შესრულებული. გამოსახულება რამდენადმე ბრტყელია, ფიგურები სუსტად არის მოდელირებული (ტაბ. I, 5-6).

პირამიდული ფორმის საბეჭდავები ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში შეიქმნა ნეო-ბაბილონურ სამეფოში. აქემენიდურ ხანაში ამ საბეჭდავების უმეტესი ნაწილი მცირეაზიაში მზადდებ-

ბოდა [Луконин В. 1977:72]. ისინი ძირითადად ქ. სარდიდან, ანატოლიის სხვა ქალაქებიდან და ბერძნული კუნძულებიდან მომდინარეობს [Boardman J. 1970:23].

ჯ. ბორდმანი ზოგიერთი პირამიდული საბეჭდავი, გამოსახულების სტილის მიხედვით, მის მიერ გამოყოფილ დასავლურ სასახლის კარის სტილის საბეჭდავების ჯგუფში მოათავსა [Boardman J. 1970:305]. მკვლევარის აზრით, დასავლური სასახლის კარის სტილი აღმოსავლური სასახლის კარის სტილის გასადავებულ, მანიერიზირებულ ვარიანტს წარმოადგენს. ამ ჯგუფის საბეჭდავების გამოსახულებები ერთგვარად ხისტია და მოდელირებას მოკლებული. მათი გამოსახულებების თემა წმინდა ირანულია (განსხვავებით ცილინდრული და კონუსური საბეჭდავების გამოსახულებების მესოპოტამიური თემატიკისაგან). ეს არის უმეტესად სპარსელი მეფე ან გმირი, ხშირად შემკული დაკბილული გვირგვინით ან ტიარით, რომელიც ებრძვის ლომებს, სხვა ცხოველებს ან ურჩხულებს [Boardman J. 1970:305].

მცხეთის პირამიდულ საბეჭდავს მასალის, ფორმის, გამოსახულების თემატიკისა და სტილის მიხედვით საკმაოდ ბევრი, ზუსტი ანალოგია ეძებნება. ეს არის ძირითადად პირამიდული საბეჭდავები. მაგ. მიუნხენის სახელმწიფო ნუმიზმატიკურ მუზეუმში დაცული ქალცედონის ორი პირამიდული საბეჭდავი [AGDS 1968:ტაბ. 26, გამოსახ. 236, 237], რომელთა გამოსახულებების სიუჟეტები მცხეთის საბეჭდავის ანალოგიურია. მათ შორის ერთ-ერთი (№ 236) სტილისტურადაც სავსებით მსგავსია მცხეთური საბეჭდავის გამოსახულებისა. ორივე საბეჭდავი ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევრით არის დათარიღებული [AGDS 1968:52-53]. ჟენევის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში დაცული სარდიონის პირამიდული საბეჭდავი მსგავსივე გამოსახულებით, რომელიც მ.ლ. ფოლენვიდერის აზრით, სირიიდან ან მცირე აზიიდან წარმოსდგება ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო და V საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული [Vollenweider M. 1967:79, ტაბ. 40, № 89]. იგივე სიუჟეტია გამოსახული ბერლინის წინააზიურ მუზეუმში დაცულ ქალცედონის პირამი-

დულ საბეჭდავებზეც [Jacob-Rost, Garlach J. 1997:ტაბ. 102, გამოსახ. 475].

აღსანიშნავია, რომ ამ საბეჭდავებზე წარმოდგენილი ლომების გამოსახულებები სტილისტურად და დეტალების დამუშავების მხრივ (მრგვალი საჭრისის — ბუტეროლის გამოყენებით) ძალიან ახლოს არის ბერძნულ არქაულ სკარაბეებზე გამოსახულ ლომებთან. ჯ. ბორდმანი, განიხილავს რა კუნძულ კვიპროსზე აღმოჩენილ არქაულ ბერძნულ სკარაბეებს, აღნიშნავს, რომ ამ საბეჭდავებისათვის დამახასიათებელი სტილიზაცია კიდევ უფრო განვითარდა ძვ.წ. V საუკუნეში და განსაკუთრებით შეიმჩნევა აქემენიდური გლიპტიკის ნიმუშებში [Boardman J. 1968:133, ტაბ. XXXI, 442, 443; XXXII, 461, 462].

ვფიქრობთ, მცხეთის პირამიდული საბეჭდავი ძვ.წ. VI ს-ის ბოლო ხანებითა და ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

4. 1982 წელს მცხეთაში, სამთავროს ველის ჩრდილოეთით მდებარე ბაიათხევის ნაპირზე მცხეთის მუდმივმოქმედი ექსპედიციის მიერ (რაზმის ხელმძღვანელი ვ. ნიკოლაიშვილი) გათხრილ ერთ-ერთ სამარხში (№ 21) აღმოჩნდა ქალცედონის მრავალნახნაგა საბეჭდავი (ინახება მცხეთის მუზეუმში №101-35-108), ზომები: პირის 23x18 მმ, სიმაღლე – 12 მმ. [ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995:120, სურ. 977-1218]. საბეჭდავის ოთხ ნახნაგზე სხვადასხვა გამოსახულებაა ამოჭრილი. ქვედა ფართო ნახნაგის პირზე გამოსახულია სპარსელი მხედრები, რომელმაც შუბი აძგერა მის წინ უკანა ფეხებზე შემდგარ ლომს. მხედარს თავზე ყაბალახისებური სპარსული ყაიდის თავსაბურავი ახურავს, აცვია წელში გამოყვანილი ქურთუკი, ფეხები შემოსილი აქვს ანაქსირიდებით და ჭვინტიანი ფეხსაცმლით; ცხენი ყალყზეა შემდგარი, გრძელი კუდი (ძუა) თავისუფლად აქვს ჩაშვებული (არა აქვს შეკრული სპარსულ ყაიდაზე); ზედა მცირე ნახნაგზე გამოსახულია ძალღი – მალტის დოგი; ორ გვერდით ნახნაგზე – გაშლილი ფეხებით, ნავარდის მდგომარეობაში, ერთზე რქებდატოტვილი ირემი, მეორეზე – ქურციკი (ტაბ. I, 7-9).

საბეჭდავის ცენტრალური გამოსახულება – მხედრის შებრძოლება ლომთან – ღრმად



არის ნაკვეთი და მკაფიოა, შესრულებული საკმაოდ პლასტიკურად. რეალისტურად არის გადმოცემული მხედრისა და ლომის ფიგურები, მაგრამ მათ მოძრაობაში ერთგვარი სტატიკა იგრძნობა. იგივე შეიძლება ითქვას საბექდავის სხვა ნახნაგებზე გამოსახული ცხოველების შესახებაც. ცხოველები გამოსახულია რეალისტურად, მკაფიოდ, დეტალები ნმინდად არის დამუშავებული, მაგრამ ნავარდის მდგომარეობაში ერთგვარი შებოჭილობა იგრძნობა.

მრავალნახნაგა ფორმა საბექდავებისა ანატოლიიდან მომდინარეობს [Boardman J. 1970:324]. ამ ფორმის საბექდავები ე.წ. “ბერძნულ-სპარსული” ან “ბერძნულ აღმოსავლური” [Boardman J. 1990:401] საბექდავების ჯგუფს ეკუთვნის. საბექდავების ეს ჯგუფი ძირითადად სკარაბეოიდებისაგან შესდგება, მრავალნახნაგა საბექდავების რაოდენობა შედარებით მცირეა. “ბერძნულ-სპარსული” საბექდავები დიდი ხანია მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იქვევს. მრავალრიცხოვან ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებები ამ საბექდავთა წარმოების ცენტრების, შემქმნელი ოსტატების ეროვნებისა და კულტურული კუთვნილების შესახებ. პირველი, ვინც ამ სახელწოდებით გამოჰყო საბექდავთა ეს ჯგუფი, აღწერა და ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით დაათარილა, გერმანელი მეცნიერი ა. ფურტვენგლერი იყო [Furtwängler A. 1900:116]. ა. ფურტვენგლერს მიაჩნია, რომ ე.წ. „ბერძნულ-სპარსული“ საბექდავების შემქმნელი ოსტატები სპარსეთის კარზე მოღვაწე იონიელი ბერძნები იყვნენ, რომლებიც ქმნიდნენ თავის ნახელავს სპარსელი მომხმარებლისათვის, მისი მოთხოვნილებისა და გემოვნების გათვალისწინებით. მკვლევართა ნაწილი – ჰ. ვუოლტერსი [Walters H. 1926:XXXII], ჟ. რიხტერი [Richter G. 1946:15-80] და სხვები ამ აზრს იზიარებდნენ, მეორე ნაწილს – ტ. კნიპოვიჩს [Книпович Т. 1926:57-58], მ. მაქსიმოვას [Maximova M. 1928:663, 676-677], ჰ. სეირიგს [Seyrig N. 1952:199-201], მ. ლორთქიფანიძეს [ლორთქიფანიძე მ. 1963:135-137] – მიაჩნიათ, რომ “ბერძნულ-სპარსული” საბექდავები შექმნილია სპარსელი ოსტატების

მიერ ბერძნული ხელოვნების დიდი გავლენით. ნ. ნიკულინა ვარაუდობს, რომ ე.წ. “ბერძნულ-სპარსული” საბექდავების ხელოვნება წარმოიშვა ადგილობრივი მცირე აზიის ხალხების ხელოვნების საფუძველზე, რომელმაც ერთდროულად განიცადა როგორც ბერძნული, ისე სპარსული ხელოვნების გავლენა [Никулина М. 1966:20]. ჯ. ბორდმანმა “ბერძნულ-სპარსული” ან როგორც მან შემდეგში უწოდა მათ “ბერძნულ-აღმოსავლური” [Boardman J. 1990:401]. საბექდავები მის მიერ გამოყოფილ ე.წ. შერეული სტილის ჯგუფში განიხილა. მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ საბექდავების შექმნაში მონაწილეობდნენ როგორც ბერძენი, ისე სპარსელი ოსტატები და საერთოდ, მათი დიდი ნაწილი ბერძნების ნახელავს არ უნდა წარმოადგენდეს [Boardman J. 1970:324]. მართალია, “ბერძნულ-სპარსული” საბექდავების გამოსახულებებში იგრძნობა ბერძნული ხელოვნების დიდი გავლენა, მაგრამ სპარსელ ოსტატთა შორის იყო მრავალი, მაღალი რანგის მიმბაძველი, რომელსაც შეეძლო გადაეღო ბერძნული თემა ან ბერძნულ სტილში შეესრულებინა კვეთა. თავის მხრივ ბერძენი ოსტატები იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ სპარსელი მომხმარებლისათვის და კერძოდ, პროვინციული დასავლეთის სასახლეთა სატრაპიების გემოვნებისათვის [Boardman J. 1970:312-313, 304, 323]. მთავარი, რაც ბერძენმა ოსტატებმა “ბერძნულ-სპარსული” საბექდავების ხელოვნებაში შეიტანეს, საბექდავის პირზე თავისუფალ სივრცეში გამოსახულების ლაღად განლაგება და ფიგურების რეალისტურად, ანატომიური სიზუსტით გადმოცემა [Boardman J. 1970:334]. მკვლევარის აზრით, მცირე აზიის დასავლეთი და კვიპროსი ის არეალია, სადაც ყველაზე მეტად ხვდებოდა ერთმანეთს ბერძნებისა და სპარსელების ინტერესები და ძვ.წ. V ს. მეორე ნახევარსა და ძვ.წ. IV საუკუნეში “ბერძნულ-სპარსული” საბექდავები ვრცელდებოდა ეგეოსის სამყაროდან ინდოეთამდე და შავი ზღვის სანაპიროდან ნილოსამდე [Boardman J. 1970:303].

საბექდავის ფორმის და განსაკუთრებით გამოსახულების თემატიკისა და სტილის მიხედვით მცხეთის მრავალნახნაგას ბევრი ანა-

ლოგიები ექებნება (უფრო მეტი სკარაბეოიდებზე, რადგან მრავალნახნაგები შედარებით იშვიათია). ამ საბექდავთა გამოსახულებების თემატიკა არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ძალიან ხშირია გამოსახულებები სპარსელი მხედრისა ან ქვეითი მეომრისა (და არა მეფისა, როგორც ეს დასავლეთ საკარო სტილის პირამიდულ საბექდავებზეა), რომელიც შემოსილია ზუსტად ბაიათხევის საბექდავზე გამოსახული მეომრის მსგავსად და შუბით ან მშვილდისრით ებრძვის რომელიმე ცხოველს [Maximova M. 1928:სურ. 9, 15, 16; Richter G. 1968:gamosax. № 496; Boardman J. 1970: გამოსახ. №№ 886, 888, 889, 925, 927, 929 და სხვ.], ან ბერძენთა მეომარს. ბევრია აგრეთვე სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებები, ხშირად ირემი ნავარდის მდგომარეობაში [Boardman J. 1970:№№ 896, 940], მალტის დოგი [Boardman J. 1970: №№ 874, 906; AGDS, 1968:ტაბ. 28,449k; ტაბ. 32, 271A] და სხვა. ისევე როგორც ბაიათხევის საბექდავის გამოსახულებები, ესენიც შესრულებულია რეალისტურად, მაგრამ მოძრაობაში მყოფი ფიგურებიც ერთგვარად გაშეშებულია, რაც საერთოდ დამახასიათებელია “ბერძნულ-სპარსული” საბექდავების გამოსახულებებისათვის [Maximova M. 1928:655, 658].

“ბერძნულ-სპარსული” საბექდავების საყოველთაოდ აღიარებული თარიღია ძვ.წ. V ს. მეორე ნახევარი და ძვ.წ. IV ს. პირველი ნახევარი.

5. 2000 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა საგარეჯოს რ-ის ს. ჯიმიტში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ნივთები, რომელთა შორის არის ოდნავ მოყვითალო-თეთრი, ნახევრადგამჭვირვალე ქალცედონის მცირე ზომის სკარაბეოიდის ფორმის საბექდავი (გ.კ. № 1438; ზომები – პირის 22x18 მმ; სიმაღლე – 7 მმ.). საბექდავის პირზე გამოსახულია მხედარი მაღალი ნოპიანი ქუდით, რომელსაც ხელში მომარჯვებული აქვს შუბი და ებრძვის მის წინ მდგომ გრძელჩქებიან ხარს. გამოსახულება ძალიან ზედაპირულია, სქემატური, დეტალები არ არის დამუშავებული; ფიგურები ბრტყელია, მოცულობითობა აკლია. გამოსახულებას აღმოსავლური იერი აქვს (ტაბ. I, 10-11).

ჯიმიტის საბექდავის ფორმა და გამოსახულების თემა არ არის უცხო ე.წ. “ბერძნულ-სპარსული” საბექდავებისათვის. მაგრამ მისი მცირე ზომა და რაც მთავარია, აღმოსავლური იერის მქონე სქემატური გამოსახულების სტილი, სავსებით განსხვავდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, “კლასიკური” “ბერძნულ-სპარსული” დიდი ზომის სკარაბეოიდების გამოსახულებების სტილისაგან, რომელშიც ბერძნული ხელოვნების დიდი გავლენა იგრძნობა. ჯიმიტის საბექდავი ყველა ნიშნის მიხედვით ეკუთვნის ე.წ. ბერძნის ჯგუფის საბექდავებს [Boardman J. 1970: გამოსახ. №№ 973, 974], რომლებიც ბორდმანმა “ბერძნულ-სპარსული” საბექდავებიდან ცალკე ჯგუფად გამოჰყო (საბექდავი № 973 დათარიღებულია ძვ.წ. IV ს-ით ან უფრო გვიანი ხანით [Boardman J., Vollenweider M. 1978:45-46]). ამ ჯგუფის საბექდავების – მცირე ზომის სკარაბეოიდებისა და მრავალნახნაგების გამოსახულებების კომპოზიციები, მკვლევარის თქმით, ნაკლები დეტალიზაციით ხასიათდება, ხოლო სტილს უფრო აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული ხელოვნების გავლენა ემჩნევა, ვიდრე ბერძნულისა. ისინი ეკუთვნის აქემენიდური ხანის შემდგომ პერიოდს და თავისი ხელოვნებით “ბერძნულ-სპარსული” სერიის საბექდავების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ. მათ გამოსახულებებს ბევრი შეხების ნერტილი აქვს სელევკიდური ხანის თიხის ბულების გამოსახულებებთან და ამდენად, ისინი ძვ.წ. IV ს-ის ბოლოსა და შემდგომ ხანას უნდა ეკუთვნოდეს [Boardman J. 1970:320-322]. ის ფაქტი, რომ ჯ. ბორდმანს “ბერძნულ-სპარსული” საბექდავების – ერთი ჯგუფის (ბერძნის ჯგუფის) თარიღი ძვ.წ. IV საუკუნეზე უფრო გვიანდელ ხანაში გადააქვს საყურადღებოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მანამდე “ბერძნულ-სპარსული” საბექდავების თარიღად საყოველთაოდ აღიარებული იყო ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი. ჯ. ბორდმანს მიაჩნია, რომ აქემენიდური იმპერიის პროვინციებში ამ ტიპის საბექდავები გვიან ხანამდე შემონახა. ასეთია ე.წ. “ბერძნის” ჯგუფის საბექდავები, რომლებსაც მკვლევარი საქართველოში აღმოჩენილ ლურჯი მინის მრავალნახნა-

გებსაც უკავშირებს [Boardman J. 1970:322]. ჯ. ბორდმანის მიერ შემოთავაზებული თარიღის (ძვ.წ. IV ს. ბოლო ან III საუკუნეზე უფრო გვიანი ხანა [Boardman J. 1970:220-221]) შესახებ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ეს თარიღი შემდგომში შესაძლოა კიდევ უფრო დაზუსტდეს [ჯავახიშვილი ქ. 2002:74]. ვგულისხმობთ რა მის გაახალგაზრდავებას და იბერიული ლურჯი მინის მრავალნახნაგებისათვის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ თარიღთან (დროის მონაკვეთში ძვ.წ. II საუკუნიდან – ახ.წ. I საუკუნის დასაწყისამდე [Джавахишвили К. 1975:24-25; ჯავახიშვილი ქ. 2002:74]) დაახლოებას.

ამჟამად “ბერნის” ჯგუფის საბეჭდავების თარიღი რამდენადმე უფრო დაზუსტებულია. როგორც ფ. კნაუსი აღნიშნავს “ბერძნულ-სპარსული” გლიპტიკა აქემენიდური სამეფოს დაცემის შემდეგ მაშინვე არ წყდება. ხელოვნებისათვის საჭიროა დრო რათა ტრადიციებისაგან განთავისუფლდეს და შეცვლილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე ახალი რეაგირება მოახდინოს. ამის მაგალითია, a globolo სტილისა და ე.წ. “ბერნის” ჯგუფის საბეჭდავები, რომლებსაც სულ ცოტა ძვ.წ. II ს-მდე შეიძლება გავადევნოთ თვალი [Knauf F. 1999:179, სქ. № 84]. მკვლევარის მიერ შემოთავაზებული ეს თარიღი ნიშანდობლივია, რადგან “ბერნის” ჯგუფის საბეჭდავები ძალიან ახლოს არის იბერიულ ლურჯი მინის მრავალნახნაგებთან, რომლებიც აქემენიდური გლიპტიკის მოგვიანო ჯგუფს შეადგენენ [Boardman J. 1970:322; ჯავახიშვილი ქ. 2002:76] და ჩვენ ძვ.წ. II საუკუნესა და ახ.წ. I ს-ის დასაწყისს შორის დროის მონაკვეთით დავათარიღეთ.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ ჯიმიტის სკარაბეოიდი სავარაუდოდ ძვ.წ. III საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

6. სკარაბეოიდის ფორმის, მცირე ზომის საბეჭდავი, რძისფერი ქალცედონისა, გამჭვირვალე ზოლებით (გ.კ. № 1588, ზომები: 15x13 მმ, სიმაღლე – 6 მმ). სავარაუდოდ აღმოჩენილია ბოლნისის რაიონში.

საბეჭდავის ბრტყელ პირზე გამოსახულია ხახადაღებული ლომი, რომელიც თავს ესხმის რაღაც ცხოველს (შველს?). გამოსახულება ზედაპირულია და ბრტყელი, ფიგურები

სქემატურია, დეტალები არ არის დამუშავებული, მხოლოდ ლომის ფაფარი ორი მცირე ზომის სამკუთხედით არის გადმოცემული, წაგრძელებული სამი სამკუთხედით კი ბრტყალები (ტაბ. I, 12-13). თავისი თემატიკით და სტილით ეს საბეჭდავიც ზემოთ განხილულ “ბერნის” ჯგუფის საბეჭდავებს ეკუთვნის (ლომის ფიგურა შეად. “ბერნის” ჯგუფის იასპის სკარაბეოიდზე გამოსახულ ლომს [Boardman J. 1970:გამოსახ. 975]). ეს საბეჭდავიც სავარაუდოდ ძვ.წ. III საუკუნით უნდა დათარიღდეს.

საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური საბეჭდავების განხილვას გარკვეული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საკუთრივ აქემენიდური გლიპტიკის შესწავლისათვის, არამედ საქართველოსა და აქემენიდურ სამყაროს ურთიერთობის თვალსაზრისითაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური საბეჭდავებიდან 3 (მცხეთის პირამიდული საბეჭდავი, ბაიათხევის მრავალნახნაგა და ჯიმიტის სკარაბეოიდი) – რომაული ხანის სამარხებშია აღმოჩენილი. ჯოისუბნის ცილინდრი – ძვ.წ. IV ს. სამარხში, ხოლო ტახტიძირის კონუსური საბეჭდავი, ზოგადად ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებულ სამარხის ერთ-ერთ სამარხში. ისე რომ ყველა საბეჭდავი მეტად თუ ნაკლებად გვიანდელ კომპლექსშია აღმოჩენილი. ეს უნდა გაითვალისწინონ საქართველოსა და აქემენიდურ სამყაროს შორის ურთიერთობის შემსწავლელმა მკვლევარებმა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი აქემენიდური გლიპტიკის მხოლოდ იმპორტული ნიმუშები. ცალკე მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს საქართველოში, ძირითადად მის აღმოსავლეთ ნაწილში – ძველი ქართლის - იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი, მკვლევართა (მ. მაქსიმოვა, მ. ლორთქიფანიძე, ი. გაგოშიძე, ქ. ჯავახიშვილი) მიერ ადგილობრივ ნახელავად მიჩნეული გლიპტიკური ძეგლები: ლითონის ფარაკიანი ბეჭდები (ძვ.წ. IV-III სს. ახალგორი, ყანჩაეთი, ტახტიძირი და სხვ.) და ლურჯი მინის მრავალნახნაგები (ძვ.წ. II ს. – ახ.წ. I ს. დასაწყისი ხანისა. მცხეთა-სამთავრო, ნერონ

-დერესი, ლოჭინი, ურბნისი, არკანეთი და სხვ.), რომლებიც აქემენიდური წრის პროვინციულ იბერიულ ნახელავად უნდა იქნეს მიჩნეული.


### ლიტერატურა:

- აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. 1996: მცხეთის წარჩინებული განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა – აკლდამა 905. - მცხეთა XI. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, გვ. 7-80.
- ლორთქიფანიძე მ. 1963: გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიური საბეჭდავების იბერიული პირები – ლურჯი მინის მრავალნახნაგა საბეჭდავები. – სმგმ, № 6, გვ. 134-154.
- ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. 1995: ბაიათხევი. - მცხეთა X. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, გვ. .
- ჯავახიშვილი ქ. 2002: ლურჯი მინის მრავალნახნაგები. – ძიებანი, 9, თბილისი, გვ. 71-80.
- Джавахишвили К.А. 1975: Памятники глиптики городища Урбниси. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси.
- Книпович Т. 1926: «Греко-персидские» резные камни Эрмитажа. – Гос. Эрмитаж сборник, вып. III, Ленинград, с. 41-58.
- Луконин В.Г. 1977: Искусство Древнего Ирана, Москва.
- Никулина М.Н. 1966: Малоазийская глиптика второй половины V-IV вв. до н.э. и проблема Восточно-греческого и «Греко-персидского» искусства. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата искусствоведческих наук, Москва.
- ПМИ. 1968: Искусство Древнего Востока. - Памятники мирового искусства (под ред. Е.И. Ротенверга), Москва.
- AGDS. 1968: Antiken Gemmen in Deutschen Sammlungen. Band I, Teil 1, München.
- Boardman J. 1968: Archaic Greek Gems, London.
- Boardman J. 1970: Greek Gems and Finger Rings, London.
- Boardman J. 1990: Greco-oriental Gems of the Hellenistic Period. - Deutsches Archäologisches Institut Akten des XIII Internationalen. Kongresses für Klasische Archäologie, Berlin, 1988, Mainz am Rein, p. 401.
- Boardman J., Vollenwaider M.L. 1978: Catalogue of the Engraved Gems and Finger Rings, Oxford.
- Furtwängler A. 1900: Die Antiken Gemmen, Band 3, Leipzig -Berlin.
- Jacob-Rost, Garlach J. 1997: Die Stempelsigel in Vorderasiatischen Museum, Berlin.
- Knauß F. 1999: Boskdämon und Perserin Untersuchungen zur Ikonographie und Chronologie der Späten Graeco-persischen Glyptik. - Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan. Band 31, Berlin, S. 161-189.

- Maximova M.E. 1928: Griechisch-persische Kleinkunst in Kleinasien nach den Perserkriegen. – AA, S. 649-678.
- Parpola S. 1993: The Assyrian Tree of Life. – Journal of Near Eastern Studies. Vol. 52, № 3, Chicago, p. 161-208.
- Porada E. 1952: On the Problem of Kassite Art. – Ed. G.C. Miles, - Archaeologica Orientalia in Memoriam Ernst Herzfeld. New-York, p. 179-187.
- Richter G. 1946: Greeks in Persia. – American Journal of Archaeology, vol. 2, № 1, New-York, p. 15-80.
- Richter G. 1968: Engraved Gems of the Greek and Etruscans, London.
- Seyrig N. 1952: Cachets Archéménides. - Ed. G.C. Miles - Archaeologica Orientalia im Memoriam Ernst Herzfeld. New-York, p. 195-203.
- Vollenweider M.C. 1967: Catalogue Raisonné des Sceaux Cylindres et Intailles, vol. I, Genève.
- Walters H.B. 1926: Catalogue of the Engraved Gems and Cameos. Greek, Etruscan and Roman in the British Museum, London.

### ილუსტრაციების აღწერილობა:

- ტაბ. I. 1-2 – ზოლიანი აქატის ცილინდრული საბეჭდავი სოფ. ჯოისუბნიდან; 3-4 – ქალცედონის-საფირინის კონუსური საბეჭდავი სოფ. ტახტიძიდან; 5-6 – ქალცედონის პირამიდული საბეჭდავი მცხეთიდან მდიდრული აკლდამა № 905; 7-9 – ქალცედონის მრავალნახნაგა საბეჭდავი მცხეთიდან, ბაიათხევი; 10-11 – ქალცედონის, მცირე ზომის სკარაბეოიდის ფორმის საბეჭდავი ს. ჯიმიტიდან; 12-13 - ქალცედონის, მცირე ზომის სკარაბეოიდის ფორმის საბეჭდავი სავარაუდოდ ბოლნისის რ-ნიდან.



## დარაქოის ნამოსახლარი და სამხრეთ კავკასიის აქემენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

სოფ. დარაქოი მდებარეობს ქვემო ქართლში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქ. წალკიდან 15 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (ტაბ. I,1).

სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტია დაფიქსირებული: შუა საუკუნეების ნასოფლარი ფარეხა მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ნმ. გიორგის ეკლესიის გარშემო. აქვე ძველი სასაფლაოს ნაშთები შეინიშნება, სადაც ყოფილა ადამიანებისა და საოჯახო ინვენტარის გამოსახულებით შემკული საფლავის ქვები, ოთხ ფილაზე კი ქართული წარწერები იყო შემორჩენილი. ამ ადგილიდან ბ. კუფტინს ასომთავრული წარწერით შემკული ქვის ფილა ნაუღია (Куфтин Б. Дневник 1936 года:31; Куфтин Б. Дневник 1936:13). სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ნასოფლარის ნაშთები კარგად ჩანს გზის ქრილში. ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს, რომ გზის გაყვანისას რამდენიმე ადგილზე გვირაბი გამოჩნდა. როგორც ჩანს მშენებლობისას დარნები დაზიანდა. ერთი დარანი 2007 წელსაც აღმოჩნდა. იგი მდებარეობს არსენ და თამაზ სოლოიანების საკარმიდამო ნაკვეთში. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი ყოფილა გამართული (Куфтин Б. Дневник 1937 года:137-138). სოფ. დარაკოვიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1.5 კმ-ის დაცილებით სოფ. წინწყაროსაკენ მიმავალი გზის პირას კიდევ ერთი ნასოფლარია. ჩვენი აზრით ეს ნასოფლარი შუა საუკუნეების სოფ. გველფარეხა უნდა იყოს. 1721 წლის აღწერით სოფ. გველფარეხაში ითვლებოდა 1 მებატონე (შაჰნავაზხანი), 8 გამოძღვნი და 2 ბოგანო ყმა: მამასახლისი ოთარა, პაატაშვილი თამაზა, ბერიაშვილი სიყმია, მაზიტაშვილი ვარდია, ევანეზაშვილი ზურაბა, ტერტერაშვილი არუთინა, გიუნეშვილი, იბაშერაშვილი ოქრუა, ბოგანო ნასყიდა მოლაშქრე, ბოგანო ბეჟუა

მოლაშქრე [მასალანი, 1907:15]. სოფ. დარაქოიდან სოფ. წინწყაროსაკენ მიმავალ გზაზე, გველფარეხას ნასოფლარიდან დასავლეთით 50 მ-ის დაცილებით პალეონტოლოგიური ძეგლი მდებარეობს. აქ 2003 წელს ცხენის ლულოვანი ძვალი აღმოჩნდა, რომლის ასაკი სპეციალისტების აზრით 1,5 მლნ. წლით უნდა განისაზღვროს. დარაქოის ნამოსახლარის აღმოსავლეთით 2,5 კმ-ის დაცილებით, სოფ. წინწყაროსთან გაითხარა სამაროვანი [Куфтин Б. 1941; მენაბდე მ., დავლიანიძე ც. 1968]. სოფ. დარაქოიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2.0 კმ-ის დაცილებით, სოფ. თაქ-ქილისას კუთვნილ მინდორში ბ. კუფტინმა ადრეანტიკური (აქემენიდური) ხანის 70-მდე სამარხი გათხარა (Куфтин Б. Дневник 1937 года; Куфтин Б. Дневник 1938 года). არ არის გამორიცხული, რომ ეს სამაროვანი დარაქოის ნამოსახლარის კუთვნილი იყოს. ფარეხას სამაროვანი მდებარეობს აქემენიდური ხანის ნამოსახლარის ჩრდილოეთით 100 მ-ის დაცილებით, მშრალი ხევის მარცხენა ნაპირზე, სადაც ათიოდე წლის წინ სანასარ სიმონიანმა ძვ.წ. XV-XIV სს-ის ორმოსამარხი გათხრა.

**დარაქოის ნამოსახლარი** სოფლის აღმოსავლეთით 400 მ-ის დაცილებით, სოფ. წინწყაროსაკენ მიმავალი გზის პირას, მშრალი ხევის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. დასახლება გაშენებული ყოფილა ზღვის დონიდან 1594-1600 მ-ის სიმაღლეზე მცირე ქედის სამხრეთ ფერდობზე, რომელიც მდ. ქციის მარჯვენა ნაპირს ებჯინება. ნამოსახლარის არქეოლოგიური გათხრები 2008 წელს, BP-საქართველოს დაფინანსებით საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ჩაატარა. დასახლება 2,5 ჰექტარზე ყოფილა გაშენებული. გაითხარა მხოლოდ 300 კვ.მ. ფართობი, სადაც 9 სახლი, 20 სამეურნეო ორმო და 2 ხარო გამოვლინდა.

**სახლი № 1** მდებარეობს XXVII ნაკვეთის მე-4-9 კვადრატებში, დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ-

თისაკენ. ნაგებობა დაზიანებულია ხევის მიერ (ტაბ. I,2; II). სახლი ხანძრის შედეგადაა განადგურებული. დამწვარი ფენის სისქე 0.4 – 0.5 მ-ია და დამწვარი ალიზის, მიწისა და ძელების ნაშთების სამ დონეს შეიცავს. ზედა დონე სახლის იატაკიდან 0.4 მ-ის სიმაღლეზეა და 0.15-0.20 მ დიამეტრის ძელებისაგან შედგება. საშუალო დონე იატაკიდან 0.20 მ-ის სიმაღლეზე გაიწმინდა, რომელიც ზედა დონის მსგავს ძელებს შეიცავს. აქვე დაფიქსირდა წვრილი ტოტებისა თუ წნელების ანაბეჭდები, რომელთა დიამეტრი 0.03 მ-ს არ აღემატებოდა. ქვედა დონე უშუალოდ იატაკზე დაფიქსირდა. აქ გამოვლენილი ძელების დიამეტრი 0.2-0.3 მ-ს უდრის. მსხვილი ძელები დაფარული იყო ტოტებისა თუ ძელების 0.05-0.08 მ-ის სისქის ფენით (ტაბ. IV, 3). როგორც ჩანს, სახლს ბანური გადახურვა ჰქონდა, რომელიც სავარაუდოდ ეყრდნობოდა კედლისპირა ხის სვეტებს. სახლის კედლები ნაგებია დიდი და საშუალო ზომის ქვით. ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 7.0 მ-ია, სიგანე – 0.60 მ. კედლის შემორჩენილი სიმაღლე 1.20 მ-ია, სადაც შემორჩენილია ქვის წყობის 5 რიგი; ჩრდილო-დასავლეთი კედლის სიგრძეც 7.0 მ-ია, სიგანე 0.5 მ-ს უდრის. მისი დასავლეთი ნაწილი დაზიანებულია. ამ კედელზეა მიდგმული ღუმელი და “მერხი”. სამხრეთ-დასავლეთი კედელი ყველაზე ძლიერაა დაზიანებული. მისი თავდაპირველი სიგრძე 7.75 მ უნდა ყოფილიყო. ქვის წყობის შემორჩენილი სიგრძე 4.30 მ-ია, სიგანე კი 0.45 მ. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის სიგრძე, გადაკეთებამდე 7,75 მ ყოფილა. სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 6.8 მ-ია, სიგანე 0.4 მ. შემორჩენილი სიმაღლე 0.95 მ-ს უდრის, სადაც ქვის წყობის პოლიგონალური ოთხი რიგია დარჩენილი. სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების კუთხეში გაჭრილია კარის ღიობი (სიგანე – 0.58 მ). შესასვლელის სრულად გათხრა ვერ მოხერხდა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ იგი გრძელ კორიდორს წარმოადგენს (ტაბ. II,1,2). სახლის ჩრდილო ნაწილი, ჩრდილოეთი კუთხე და მიმდებარე ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლის ნაწილი ადრევე, სახლის ფუნქციონირებისას ჩანს დაზიანებული. განახლების დროს ძველი კედ-

ლის დაზიანებული ნაწილი ადგილზე დაუტოვებიათ და ინტერიერის შემცირების ხარჯზე ახალი კედლები ამოუყვანიათ (ტაბ. IV, 1,2). ამ დროს სახლის ჩრდილოეთი ნაწილი დაბალი კედლით არის შემოზღუდული. კედელი შედგენილია ცერზე დაყენებული ქვის ფილებით, რომელთა სიმაღლე 0.30-0.70 მ-ს უდრის. შემოზღუდული ადგილის ფართობი 10 მ<sup>2</sup> შეადგენს. ამავე დროს ჩანს განახლებული სახლის იატაკიც. ადრე, შემოზღუდულ ადგილში მოქცეული ნაწილიც, ქვის ფილებით ყოფილა მოგებული, რომელიც იატაკის განახლების შემდეგ, თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ მოექცა. ახლადაგებული კედელი უშუალოდ ებჯინება სახლის აღმოსავლეთ კედელს, ჩრდილოეთის კედელთან კი ისეა გამართული, რომ მის გასწვრივ არსებულ „მერხს“ ორად ყოფს (ტაბ. II,1). № 1 სახლის ფართობი დაახლოებით 52.6 მ<sup>2</sup> შეადგენს. ინტერიერი მარტივია, დასავლეთ კუთხეში ღუმელია გამართული, სამხრეთ-დასავლეთ კედელზე საკურთხეველია მიდგმული; ჩრდილოეთ კედელს, ღუმელის გაყოლებით, ქვით აშენებული და თიხით გადალესილი მერხი მიუყვება. იატაკის ერთი ნახევარი თიხატკეპნილია, მეორე ნახევარი ქვაფენილიანია. ქვაფენილი ძირითადად სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა, დანარჩენი ფართობი თიხაფენილი იატაკს ეკავა. ღუმელის ნაშთი აღმოჩნდა სახლის დასავლეთ კუთხესთან. ის ზურგით ჩრდილო-დასავლეთ კედელზე ყოფილა მიდგმული. ღუმელის ზურგიმხარე რიყის რამდენიმე ქვით იყო ამოყვანილი. ღუმელი ძლიერაა დაზიანებული. მას თარო (“მერხი”) ებჯინება, რომელიც სახლის ჩრდილო-დასავლეთი კედლის გასწვრივ გაუმართავთ. “მერხის” შემორჩენილი სიგრძე 4.40 მ, სიგანე – 0.36-0.60 მ, სიმაღლე 0.30-0.45 მ-ს უდრის. თარო ქვითაა ნაგები, შემაკავშირებლად თიხის ხსნარია გამოყენებული; ზედაპირი მობათქაშებულია და სახლის კედელთან ცერადაა აღესილი. სახლის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, თითქმის შუა ნაწილში, გაიწმინდა კარგად დაცული, ნაგრძელებული ფორმის საკურთხეველი (სიგრძე - 2.72 მ, სიგანე - 1.12 მ, სიმაღლე - 0.48 მ.). ის ქვითა და თიხითაა ნაგები. კონსტრუქციაში, ნაპირებთან, ხის

ძელებია ჩართული. საკურთხეველი ალიზის ხსნართაა შელესელი (ტაბ. IV,3; VI,1,2,4). საკურთხევლის აღმოსავლეთი ნაწილი თანაბრადაა ჩაზნექილი და კარგად მოლესილი. აქ, ცენტრალურ ნაწილში, დადასტურდა მცირე ზომის ძაბრისებური ჩაღრმავება (დმ – 0.22 მ), რომელსაც ქვები აქვს შემოწყობილი. საკურთხევლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან აქვს თახჩა (1.16x0.40x0.30 მ). საკურთხეველს ჩრდილოეთიდან თარო (“მერხი”) ებჯინება (1.36x0.34-0.46x0.30 მ), რომელიც თავისთავად დასავლეთ კედელზეა მიდგმული, თაროზე რიყის ქვის სანაყები იყო დაწყობილი. საკურთხევლის აღმოსავლეთით, 1.3 მ-ის დაშორებით, იატაკში ჩაშენებული ხარო დაფიქსირდა (პირის დმ – 0.84 მ, ძირის დმ – 0.70 მ, სიღრმე – 0.84 მ.). მისი კედლები ბაზალტის ფილებითაა მოპირკეთებული. იატაკის ფილები ხაროს ისე ფარავდა, რომ უცხო თვალისათვის შენიღბული იყო. საკურთხევლის უკან 0.80 მ-ის დაშორებით, სამხრეთით გაინმინდა სამალავი. ის გამართულია ფილაქვით მოგებული სარეცლის ქვეშ. ხაროში აღმოჩნდა ხის ძელის ანაბეჭდი (სიგრძე – 0.50-0.60 მ-ია, დიამეტრი – 0.30-0.40 მ). ძელი სიგრძივ, დიამეტრზე იყო გაჭრილი, შუა ნაწილი კი ისე იყო ამოღებული, რომ ვარცლის ფორმა ჰქონდა მიღებული. სამალავში დაფიქსირებული ძელის ნაშთი კარგად იყო დაცული. სამალავი ქვის ფილით ორად იყო გაყოფილი. სახლის თიხატკეპნილი იატაკზე მრავლად დაფიქსირდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. № 1 სახლში აღმოჩენილი მასალებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საკურთხეველზე, მის წინ და “მერხზე” აღმოჩენილი არტეფაქტები, რომელთა სარიტუალო დანიშნულება ეჭვს არ იწვევს: ღორის ფალანგისგან დამზადებული 12 ამულეტი. ძვლის ნივთები: ქარქაშის ნაწილი; ლულოვანი ძვლის ნივთი, კარგად გაპრიალებული ზედაპირით; თხის რქა, ოდნავ გაპრიალებული ზედაპირით. ინტერიერის გათხრისას უფრო ადრეული ფენებიც დადასტურდა. კერძოდ, საკურთხევლის წინ გაინმინდა ორმოს ნაშთი, რომლის დმ – 0.92 მ, სიღრმე – 0.20-0.30 მ-ია. მასში ისეთივე სახის კერამიკა აღმოჩ-

ნდა, როგორც სახლის იატაკზე. თუმცა, ორმო სახლის თიხატკეპნილი იატაკით იყო დაკონსერვებული. უფრო ძველი ორმოები (№№ 15, 16) სახლის სამხრეთ-დასავლეთი კედლის ქვეშ დაფიქსირდა (ტაბ. II,2; III).

**№ 2 და № 3 სახლები** ძლიერაა დაზიანებული. თუმცა აქ კარგად ჩანს ნამოსახლარის სტრატეგრაფია. № 2 სახლი (XX ნაკვეთის 6,9 და XXVII ნაკვეთის 4,7 კვადრატები) მიშენებული ყოფილა № 1 სახლზე. სახლის ჩრდილო-დასავლეთი, ზურგის კედლის სიგრძე 8.0 მეტრია, ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის შემორჩენილი ნაწილის სიგრძე 1.2 მ-ს, დასავლეთი კედლისა კი 0.8 მ-ს უდრის. კედლები ნაგები ყოფილა ფლეთილი ქვით. შემორჩენილია წყობის ერთი რიგი (ტაბ. II). ინტერიერიდან შემორჩენილა თიხატკეპნილი და ქვაფენილიანი იატაკის მცირე ფრაგმენტები და ლუმელის ნაშთი, რომელიც გამართული ყოფილა ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. ეს სახლი უფრო ძველია, ვიდრე № 3 სახლი, რომელიც № 2 სახლის დანგრევის შემდეგაა აგებული. № 3 სახლის იატაკი № 2 სახლის იატაკის დონიდან 0.48 – 0.64 მ სიმაღლეზეა გამართული (ტაბ. II,III).

**№ 3 სახლიდან** (XX ნაკვეთის 6,9 კვადრატები) შემორჩენილა მისი ჩრდილოეთი, ზურგის კედელი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ფრაგმენტი. ჩრდილოეთი კედლის სიგრძე 4.0 მ-ია, დასავლეთი კედლის შემორჩენილი სიგრძე 3.0 მ-ს უდრის, აღმოსავლეთისა კი 0.8 მ-ს. კედლები ნაგები ყოფილა ფლეთილი ქვით. შემორჩენილია წყობის 1-4 რიგი (ტაბ. II,III). ინტერიერიდან შემორჩენილია თიხატკეპნილი იატაკი და ლუმელის ნაშთი. პრეპარაციის შედეგად იატაკის ორი ფენა დაფიქსირდა. იატაკის ორივე დონე № 14 ორმოს ფარავს. ლუმელი გამართულია ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. ის ძლიერაა დაზიანებული, შემორჩენილა თერმოიზილაციის ქვედა დონე, რომელსაც ძლიერი ცეცხლის კვალი ეტყობა. № 2 სახლის ჩრდილოეთი კედელი და № 3 სახლის ჩრდილოეთი კედელი ერთმანეთისაგან სულ რაღაც 1.90 მეტრითაა დაცილებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ № 3 სახლი თითქმის მთლიანად ფარავდა № 2 სახლს. მათი ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხ-



ეები თითქმის ერთმანეთს ემთხვევა. მაშინ როდესაც № 2 სახლის ჩრდილო-დასავლეთ და № 3 სახლის შესაბამის კუთხეს შორის დაცილება 2.5 მ-ია. № 2 სახლის ქვაფენილიანი იატაკის ქვეშ გაითხარა № 1 და № 8 ორმოები. № 2 სახლის გამართვის დროს დაზიანებულია № 1 ხარო. ნამოსახლარის ამ მონაკვეთში დაფიქსირებული სტრატეგრაფია გვიჩვენებს, რომ ამ ადგილზე ჯერ № 1 და № 8 ორმოები გაუმართავთ, შემდეგ № 1 და № 2 ხაროები, სულ ზედა დონეს კი № 3 სახლი შეესაბამება. № 3 სახლი № 2 სახლის დანგრევის შემდეგაა გამართული. აქვე უნდა ითქვას, რომ № 3 სახლის ზურგის კედელი გადადის № 2 ხაროზე, თანაც ისე, რომ ხაროს ქვის კედელი ჩართულია სახლის კედლის კონსტრუქციაში. სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე კი № 1 ხაროს კედელს ფარავს. ამდენად, განსხვავებით № 2 სახლისაგან, რომლის მშენებლობის დროსაც № 1 ხარო ძლიერ დაზიანდა, № 3 სახლის მშენებლებმა ხაროების კონსტრუქცია თავის სასარგებლოდ გამოიყენეს (ტაბ. II, III).

**№ 4 სახლი** (XX ნაკვეთის მე-4,5,7,8 კვადრატები) დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (ტაბ. II). სახლს ჩრდილოეთიდან № 5 სახლი ესაზღვრება. სახლის გათხრისას 3 დონე გამოიყო. A დონეს მიეკუთვნება ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ნაწილი (სიგრძე – 2.49 მ, სიგანე – 0.40-0.70 მ). კედელი ნაგებია ბაზალტის ქვითა და თიხით. შემორჩენილია სათავსოს თიხატკეპნილი იატაკი და ქვაფენილის ფრაგმენტები. ამავე დონეს უნდა ეკუთვნოდეს ნაგებობის დასავლეთი ნაწილში გამოვლენილი ქვის ფილებით შედგენილი ოთხკუთხა საკურთხეველი (სიგრძე – 0.80 მ, სიგანე – 0.50 მ), რომელზედაც იდო ბაზალტის ხელსაფქვაკი. A დონის (ზედა) კედლის მოხსნის შემდეგ ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გაიწმინდა დასავლეთი კედლის შემორჩენილი ნაწილი (B დონე). ეს კედელიც ბაზალტის ქვითა და თიხითაა ნაგები (სიგრძე – 2.10 მ; სიგანე – 0.25-0.40 მ; სიმაღლე – 0.60 მ) შემორჩენილია ქვის წყობის 3 რიგი. B დონის იატაკი თიხატკეპნილია, ალაგ-ალაგ ჩანს დამწვარი ხის ლაქები. B დონეს ასევე მიეკუთვნება თიხა-ალიზითა და ქვით ნაგები მერხი, რომელიც ჩრდილოეთის კე-

დელზეა მიშენებული. მერხის (სიგრძე – 4.60 მ; სიგანე – 0.30 მ; სიმაღლე – 0.20 მ; ზედა და შიდაპირი თიხითაა შელესილი. ამავე დონისა უნდა იყოს სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ქვის ფილებით შედგენილი “საკურთხეველი” (0.60X0.60 მ, სიმაღლე – 0.50 მ). ნაგებობის ყველაზე ადრეული (C დონე) ჩრდილოეთის კედელი (სიგრძე – 7.40 მ; სიგანე – 0.40 მ) დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით, ნაგებია ბაზალტის ქვითა და თიხით. შემორჩენილია წყობის 3 რიგი. № 4 სახლის ფართობი დაახლოებით 50 მ<sup>2</sup> შეადგენს. სახლის ინტერიერი მარტივია. C დონის იატაკიც თიხატკეპნილია. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა ბაზალტის დიდი და საშუალო ზომის ქვის ფილებით მოგებული ზღვე (სიგრძე – 4.20 მ; სიგანე – დაახლ. 2.60 მ). ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის განმედიასა გამოჩნდა თიხის აბაზანისებრი (?) საკურთხეველი (მისი ზომებია: სიგრძე – 1.60მ; სიგანე – 0.60-0.70მ; ბორტის სისქე – 0.20 მ). მას წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვს. გარშემო დაბალი ბორტი შემოუყვება (ტაბ. IV, 1). საკურთხეველის ჩრდილოეთი ნაწილი შედიოდა (B დონის) განახლებული კედლის ქვეშ და ებჯინებოდა (C დონე) ადრეულ კედელს. ამდენად, C დონის ჩრდილოეთი კედელი და თიხის საკურთხეველი თანადროულია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოგვიანო ფენის (B დონე) გამართვისას დაუზიანებიათ ადრეული (C დონე) საკურთხეველი, როგორც ჩანს, მოგვიანო პერიოდში მოხდა ნაგებობის შეცვლა-განახლება. სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ორგანყოფილებიანი პურის საცხობი ლუმელი, ის დაზიანებულია (შემორჩენილი ლუმელის ზომებია: სიგრძე – 0.80მ; სიგანე – 0.65მ; სიმაღლე – 0.24 მ. ლუმელი ჩრდილოეთი კედლიდან დაცილებულია – 0.20მ; აღმოსავლეთი კედლიდან 0.10 მ). ნაგებია ქვით თიხაზე. დაზიანებულია ორივე განყოფილება. საცხობის იატაკზე გაიწმინდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც თერმოიზოლაციისათვის იყო განკუთვნილი. ლუმელს პირიმხარე დასავლეთით ჰქონდა მიმართული. ქვის ფილაფენილის ჩრდილოეთი ნაწილის ალაგებისას გამოჩნდა ქვის ფილებით შედგე-

ნილი ქვაყუთი - "საკურთხეველი", რომელიც ორადაა გაყოფილი (0.60X0.40 მ; 0.70X0.30 მ). ის C დონეს შეესაბამება და B დონის "საკურთხეველის" ანალოგიურია. სახლის იატაკის აღების შემდეგ რამდენიმე სამეურნეო ორმო დაფიქსირდა (№№ 9, 12, 13, 18, 19 ორმოების აღწერილობა). სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ზღვეს ქვაფენილი გადადიოდა №№ 13, 19 სამეურნეო ორმოზე. ზღვეს სიახლოვეს დადასტურდა ასევე №№ 18 და № 9 სამეურნეო ორმო. სახლს აღმოსავლეთ კედელზე, გარეთა მხრიდან მიდგმული ჰქონდა ასევე ქვის ფილებისაგან შედგენილი მოზრდილი ქვაყუთი (სიგრძე - 1.30 მ; სიგანე - 0.80 მ; სიმაღლე - 0.6 მ; ტაბ. II).

**სახლი № 5** მდებარეობს XX ნაკვეთის 1,2,4,5 კვადრატებში. დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთ - სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. სახლი მართკუთხედის ფორმისაა. კედლები ნაგებია ბაზალტის ქვით. შემაკავშირებელ მასალას თიხა წარმოადგენს. სახლის კედლები კარგადაა შემორჩენილი, მისი დასავლეთი კედლის სიგრძე 6 მეტრია, სიგანე - 0.40 მ. კედლის ცენტრალურ ნაწილში გაჭრილია 0.80 მ სიგანის კარის ლიობი. ჩრდილოეთი კედელი ოდნავ დეფორმირებულია. მისი სიგრძე 4.40 მ-ია, სიგანე - 0.30-0.50 მ-ს შორის მერყეობს. კედლის შემორჩენილი სიმაღლე 0.70 მ-ია. შემორჩენილია ქვის წყობის სამი რიგი. აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 6.30 მ-ია, სიგანე - 0.40 მ. შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 0,70 მ-ს უდრის. შემორჩენილია ქვის წყობის სამი რიგი. სამხრეთი კედლის სიგრძე 4.90 მ-ია; სიგანე - 0.45 მ; შემორჩენილია ქვის წყობის ერთი რიგი. კედლის აღმოსავლეთი ნაწილი დაზიანებულია. № 5 სახლის სამხრეთი კედელი უშუალოდ № 4 სახლის ჩრდილოეთ კედელზეა გამართული. № 5 სახლი № 4 სახლის დანგრევის შემდეგაა გამართული (ტაბ. II; IV,4). სახლის ინტერიერი კარგადაა შემორჩენილი. შესასვლელის მარცხენა მხარეს იატაკი თიხატკეპნილია, მარჯვენა მხარეს კი ბაზალტის ფილებით არის მოგებული. ფილაქნის ერთი ნაწილი 1.3 მ სიგრძეზე თიხატკეპნილი იატაკის დონეზეა, შემდეგ კი 0.2-0.3 მ სიმაღლის საფეხურია. შემალღების სიგრძე 2.5 მ-

ა, სიგანე 1.2 მ-ს უდრის. ეს ადგილი, როგორც ჩანს, სარეცელს წარმოადგენს. ის უფრო მასიური ქვებითაა შედგენილი, ვიდრე იატაკის ფილებია. სახლის ცენტრალურ ნაწილში, ოდნავ დასავლეთით, კარის ლიობის მოპირდაპირედ ქვის ფილებით შედგენილი საკურთხეველია გამართული. ის ქვით მოგებული იატაკის კიდეზე დგას. მისი ფუძის ზომებია 0.7X0.9 მ. სიმაღლე 0.35 მ-ია. საკურთხეველი ზურგისანია. წინა მხარე და ბაქანი, სადაც ცეცხლი ენთო, იატაკიდან 0.2 მ სიმაღლეზეა, ზურგის მხარის სიმაღლე კი 0.15 მ-ია. საკურთხეველი სამხრეთი მხრიდან 0.4X0.4X0.12 მ ზომის ქვის ფილითაა შემოზღუდული (ტაბ. IV,4). სახლის მარცხენა, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ორგანყოფილებიანი პურის საცხობი ღუმელია გამართული. ფასადის სიგრძე 1.3 მ-ია, სიმაღლე 0.75 მ, ღუმელის სიგანე 0.9 მ-ია. ღუმელი ქვის ფილებითა და ალიზითაა ნაგები, გადახურული იყო ქვის ერთიანი ფილით, როელიც ეყრდნობოდა ვერტიკალურად ჩადგმულ ქვის სამ ფილას. საფასადო მხარის ქვედა ნაწილი ამოშენებულია ქვის პატარა ფილებით. საცეცხლე და საცხობი განყოფილებების იატაკი თიხითაა მოლესილი. საცეცხლის ცენტრში ქვის დიდი ფილაა ჩადგმული. ღუმელის საცხობ ნაწილში გაკეთებული ქრილი გვიჩვენებს, რომ ქვედა დონე თიხით და რიყის წვრილი ქვითაა შევსებული. ეს დონე გადალესილია ალიზით, რომელზეც სხვადასხვა ზომისა და ფორმის კერამიკის ფრაგმენტებია დაწყობილი. ღუმელში ამ ტექნიკით გაკეთებული თერმოიზოლაციის სამი დონე დაფიქსირდა (ტაბ. IV,4; V). სახლის სამხრეთ ნაწილში, სარეცლის ქვეშ 1.2X0.8X0.35 მ ზომის ქვის ფილებისაგან შედგენილი "სამალავი" გამოვლინდა. № 5 სახლის გათხრამ გვიჩვენა, რომ ის გამართულია № 4 სახლის დანგრევის შემდეგ. ასევე გაირკვა, რომ ამ ფართობზე უფრო ადრე ორი სამეურნეო ორმო ყოფილა გამართული. უშუალოდ სახლის შესასვლელში დაფიქსირდა № 17 ორმო, რომელსაც ნაწილობრივ ფარავს სახლის დასავლეთი კედელი. ორმოში არტეფაქტები არ დაფიქსირებულა, ამიტომ მისი დათარიღება ჭირს. რაც შეეხება № 10 ორმოს, ის მოქცე-

ულია სახლის ჩრდილოეთი კუთხის ქვეშ. მის თავზეა გამართული № 5 სახლის ღუმელიც.

**სახლი № 6** მდებარეობს XX ნაკვეთის მე-2, 3, 6 კვადრატებში. გაითხარა ნაწილობრივ. გამოვლენილია სახლის დასავლეთი ნაწილი. კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით. შემაკავშირებლად თიხის ხსნარია გამოყენებული. დასავლეთი კედელი მთლიანად გამოვლინდა. მისი სიგრძე 6.2 მ-ია, სიგანე 0.4 მ, შემორჩენილი სიმაღლე 1.4 მ-ს უდრის, რომელიც ქვის წყობის 10-11 რიგს შეიცავს. ჩრდილოეთი კედელი ნაწილობრივ, 2.0 მ სიგრძეზე გამოვლინდა. მისი შემორჩენილი სიგანე 0.4 მ-ს, სიმაღლე 1.8 მ-ს უდრის, სადაც ქვის წყობის 9-10 რიგია შემორჩენილი. სამხრეთ კედელში კარის ღიობია გაჭრილი. კედლის სიგრძე დასავლეთის კედლიდან ღიობამდე 2.4 მ-ია. კედლის სიგანე 0.5 მ-ია, შემორჩენილი სიმაღლე 1.4 მ-ს უდრის, რომელიც ქვის წყობის 7 რიგს შეიცავს (ტაბ. II, III). ინტერიერის მხოლოდ ნაწილი გაითხარა. არსებული მონაცემების მიხედვით სახლს თიხატკეპნილი იატაკი ჰქონია, რომელიც მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 3.0 მ სიღრმეზე დაფიქსირდა. დასავლეთი კედლის გასწვრივ 2.8 მ სიგრძისა და 1.0 მ სიგანის “მერხია” გამართული. მის წინ, იატაკის ნაწილიც ქვის ფილებითაა მოგებული (სიგანე 0,6 მ). “მერხზე”, სახლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში თიხის ორყურა დერგი იდგა (ტაბ. IX, 44). “მერხის” წინ, ღუმელიდან 2.0 მ-ის დაცილებით, იატაკში ვერტიკალურად ჩადგმულია დიდი ზომის ხელსაფქვავი. მისი ხილული ნაწილის სიმაღლე 0.38 მ-ია. სახლის დასავლეთ კუთხეში ღუმელია გამართული. ის ბაზალტის დიდი ზომის ფილებითაა შედგენილი. გადახურული ყოფილა ერთი, დიდი ქვის ფილით. ფასადის მარცხენა მხარეს ბაზალტის დიდი ფილა დგას. ის დასავლეთის კედელზეა მიბჯენილი. მისი სიმაღლე 0.6 მ-ია, სიგანე 0.4 მ-ია. მასზე იყო დაყრდნობილი გადახურვის ფილა, რომლის სისქე 0.16 მ-ია. საფასადო მხარეს, საცხობი განყოფილების წინ 0.6 სიგრძის და 0.3 სიმაღლის ქვის ფილაა ჩაშენებული. სახლის იატაკიდან ამ დონეზეა საცხობის ძირი. საცხობი განყოფილების ძირი ალიზის სქელი ფენითაა მოლესილი, რომელსაც გარშემო 0.07 მ

სიმაღლის და 0.05 მ სიგანის ბორტი შემოუყვება. საცხობ და საცეცხლე განყოფილებებს შორის ბაზალტის ქვის სვეტია აღმართული. მისი სიმაღლე 0.5 მ-ია, დიამეტრი 0.23 მ. საცეცხლე განყოფილების ძირი სახლის იატაკის დონეზეა. ფასადის მხარეს, ზემოთ აღწერილი სვეტის საპირისპიროდ ქვის მეორე სვეტი დგას, რომლის სიმაღლე 0.35 მ-ია, დიამეტრი 0.18 მ-ია. ღუმელის მთლიანი სიგრძე 2.0 მ-ია, სიგანე 1.3 მ, საერთო სიმაღლე 0.9 მ.

**სახლი № 7** მდებარეობს XX ნაკვეთის მე-3,6 კვადრატში. წარმოადგენს მე-6 სახლის ნაწილს, რომელთანაც ზემოთ ნახსენები ღიობითაა დაკავშირებული. გაითხარა სახლის დასავლეთი ნაწილი (ტაბ. II, III). სახლის კედლები ნაგებია ქვით. შემაკავშირებლად თიხაა გამოყენებული. დასავლეთი კედლის სიგრძე 4.3 მ-ია, სიგანე 0.4 მ, სიმაღლე 1.25 მ, რომელიც ქვის წყობის 9 რიგს შეიცავს. სამხრეთი კედლის გამოვლენილი სიგრძე 3.4 მ-ია. კედლის სიგანე 0.5 მ-ს, შემორჩენილი სიმაღლე კი 1.0 მ-ს უდრის, რომელიც ქვის წყობის 7 რიგს შეიცავს. № 7 სახლი რამდენჯერმე ჩანს გადაკეთებული. სამხრეთი კედელი ორჯერაა განახლებული. დასავლეთი კედელიც ორჯერაა განახლებული. მოგვიანებით ის იმდენად დაზიანებულა, რომ მის ნაცვლად ახალი კედელი ამოუყვანიათ, რომელიც ძველისაგან 1.2 მ დაცილებით გაუმართავთ. ახალი კედლის სიგრძე 3.6 მ-ია, სიგანე 0.4 მ-ია. შემორჩენილი სიმაღლე 0.7-0.8 მ-ს უდრის. ძველ და ახალ კედლებს შორის მოქცეულ ფართობში ალიზით ნაგები საკურთხეველი დაფიქსირდა. საკურთხეველი უშუალოდ კედელზეა მიდგმული. კედლის ეს ნაწილიც ალიზითაა შელესილი. საკურთხეველის საერთო სიგრძე 1.8 მ-ია, სიგანე 1.0 მ-ს უდრის. მისი სამხრეთი, მარცხენა ნაწილი დაზიანებულია. შემორჩენილია ალიზით შელესილი ქვის ერთი ფილა, რომელიც საკურთხეველს სამხრეთიდან საზღვრავს, და თიხით მოლესილი საკურთხეველის იატაკის ნაწილი. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ბაზალტის ქვისაგან დამზადებული ჯამი იდგა. საკურთხეველის მარჯვენა ნაწილი უკეთესადაა შემონახული. ის ქვის მცირე ზომის ფილებითაა ნაგები, რომლებიც ალიზითაა გადალესილი. ცენტრალურ ნაწილში ცეცხ-

ლისათვის ჩაღრმავებაა მონყობილი, რომლის სიგრძე 0.43 მ-ია, სიგანე 0.25 მ, სიღრმე 0.12 მ. საცეცხლე განყოფილების ორივე მხარეს ბაზალტის ხელსაფქვავეები ისეა ჩაშენებული ალიზში, რომ ორივე მათგანის სამუშაო პირი კარგად ჩანს. მესამე ხელსაფქვავეი სახლის კედლის მხარეს, საცეცხლეს კიდეზე, ცერადაა დაყენებული. მისი სამუშაო პირი სახლის ინტერიერისაკენ არის მიმართული. №№ 6,7 სახლების გათხრისას, გარდა ზემოთ აღნიშნული რეკონსტრუქციისა თუ შეკეთების კვალისა, უფრო ადრეული ფენის ნაშთებიც დაფიქსირდა. № 6 და № 7 სახლების გამყოფი კედლისა და დამაკავშირებელი კარის ღიობის ქვეშ ქვის კედლის წყობა გამოვლინდა. ასევე ძველი კედლის ნაშთი დაფიქსირდა № 7 სახლის ქვაფენილიანი იატაკის ქვეშაც. ეს სტრუქტურები ჩვენ შეუსწავლელი დაგტოვეთ, რადგან მათ გამოსავლენად მიწის დიდი მასის აღება იყო საჭირო, რისი საშუალებაც ექსპედიციას არ ჰქონდა.

**სახლი № 8** მდებარეობს XXVII ნაკვეთის 1 კვადრატში. № 1 სახლის ჩრდილოეთი კუთხის პრეპარაციის დროს გამოვლინდა ქვაფენილის ნაშთი. ქვაფენილი წარმოადგენს მცირე მოედანს, რომელიც შედგენილია ქვის ფილებით. მოედანი № 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთი კედლიდან 1.5 მ-ითაა დაცილებული და გასათხრელ ფართობში შედის. ის, ჩვენს მიერ გათხრილ არცერთ ნაგებობასთან არ არის დაკავშირებული, ამიტომ პირობითად № 8 სახლი ეწოდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის შეიძლება № 7 სახლთან იყოს დაკავშირებული (ტაბ. II, III).

**სახლი № 9** მდებარეობს XXVII ნაკვეთის მე-7 კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია კედლის მცირე ფრაგმენტი და ქვის ფილებით შედგენილი საკურთხეველი. № 9 სახლი მიდგმული ყოფილა № 1 სახლზე. გეგმის მიხედვით № 9 სახლი № 2 სახლის პერიმეტრშიც ექცევა. თუ დავუშვებთ, რომ განსახილველი მონაკვეთი № 2 სახლს ეკუთვნის, მაშინ № 2 სახლის სიგრძე, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 7.5 მ იქნებოდა. ნამოსახლარზე სახლების გარდა გაითხარა ქვით ამოშენებული ორი ხარო და ოცი სამეურნეო ორმო. ყველა

ორმო გრუნტშია ჩაჭრილი. ისინი სხვადასხვა ზომისაა, თუმცა ფორმით ერთნაირია (პირთან ვინროა, ძირისაკენ კი თანდათან ფართოვდება). ხაროებიც გრუნტშია ჩაჭრილი, იმ განსხვავებით, რომ მათი კედლები ქვით ნაგები კედლებითაა ამოყვანილი (ტაბ. II).

**არტეფაქტები.** ნამოსახლარზე აღმოჩენილი არტეფაქტების უმრავლესობას თიხის ჭურჭელი წარმოადგენს. კერამიკა მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჭურჭლების ერთი ჯგუფი განლექილი თიხისაა, თხელკედლიანია და ჩარჩხება დამზადებული. გამომწვარია შავად. მეორე ჯგუფის კერამიკაც კარგად განლექილი თიხისაგან არის დამზადებული, თხელკეციანია და წითლადაა გამომწვარი. ამ ჯგუფის კერამიკის ზედაპირი კარგადაა დამუშავებული – გაპრიალებულია ან შემკულია რელიეფური ორნამენტით. ასეთი კერამიკის ნაწილი წითელი საღებავითაა შეღებილი, ან მოხატულია (ტაბ. VII; VIII,7,13,18,35,42). თიხის ჭურჭელი, დანიშნულების მიხედვით, სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. სამეურნეო; 2. სამზარეულო; 3. სუფრის. სამეურნეო ჭურჭლებს წარმოადგენს ქოცო და დერგი (ტაბ. IX,1-27,42,43,46,47). სამზარეულო ჭურჭელს მიეკუთვნება – ქოთანი, ქილა, კოჭობი (ტაბ. IX,38-40,44,45,49,50), ბადია (ტაბ. VIII,36,41,46,48-53). ამ ჯგუფის ყველა ჭურჭელს აუცილებლად ეტყობა ცეცხლის კვალი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ჭურჭლები მხოლოდ სამზარეულო დანიშნულების იყო. სუფრის ჭურჭელს მიეკუთვნება – დოქი და ხელადა (ტაბ. IX,28-36,41,48), ჯამი, ფიალა (ტაბ. VIII,1-32,37-40). ლითონის იარაღი ნამოსახლარზე მცირე რაოდენობით აღმოჩნდა: № 4 სახლში რკინის ორი დანა დაფიქსირდა. ორივე ძლიერაა დაჟანგული. № 5 სახლში რკინის სატეხი, № 6 სახლში რკინის ღერაკი (ტაბ. XI,1), № 7 სახლში რკინის დანის ტარი. ქვის იარაღები ნამოსახლარზე გათხრილ ყველა სახლში დაფიქსირდა. ისინი ძირითადად ტუფის, ბაზალტის და რიყის ქვისაგანაა დამზადებული. იშვიათად გვხვდება პემზისაგან დამზადებული ცალები. სამეურნეო დანიშნულების იარაღებიდან გვხვდება სანაყები, ხელსაფქვავეები და სასრესები. სამკაულები

ნამოსახლარზე მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. № 1 სახლში ბრინჯაოს სამაჯური, მინისებური პასტის მძივი და თიხის საკიდები დაფიქსირდა. № 4 სახლში კი სარდონის მძივი გამოვლინდა. № 5 სახლში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძი, ხოლო № 6 სახლში – ქვის საკიდი. ძვლის ნაკეთობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქარქაშის ნაწილი. აღსანიშნავია ცხოველის ლულოვანი ძვლისაგან და თხის რქისაგან დამზადებული სამეურნეო დანიშნულების (საპრიალებელი ?) იარაღები. ასევე საყურადღებოა ღორის ფალანგებისაგან დამზადებული ამულეტები.

**ძეგლის სტრატეგრაფია.** დარაკოვის ნამოსახლარი ორ კულტურულ ფენას და რამდენიმე სამშენებლო ჰორიზონტს შეიცავს. ზედა ფენა საკულტო, საცხოვრებელ, სამეურნეო ნაგებობებსა (ხაროები) და სამეურნეო ორმოების ნაწილითაა წარმოდგენილი. ქვედა ფენას სამეურნეო ორმოების დიდი ნაწილი მიეკუთვნება (ტაბ. II, III). ნამოსახლარის სტრატეგრაფია გვიჩვენებს, რომ სამეურნეო ორმოების აბსოლუტური უმრავლესობა სახლების გამართვამდეა გაჭრილი. მაგ. № 1 სახლის დასავლეთი კედელი № 15 და № 16 ორმოების თავზე გადადის. № 2 სახლის იატაკის ქვეშ № 1 და № 8 სამეურნეო ორმოები გაითხარა. ისინი დაკონსერვებული იყო სახლების ქვაფენილიანი და თიხატყეპნილი იატაკებით; № 3 სახლის ქვეშ - № 20 ორმო, № 4 სახლის იატაკის ქვეშ № 9, 12, 13, 18, 19 ორმოები გაითხარა; № 5 სახლის ქვეშ - № 10, 17 ორმოები. № 5 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე გადადის № 10 ორმოს თავზე, ისე რომ ორმოს დიდ ნაწილს № 5 სახლის კუთხეში გამართული ღუმელი ფარავს. ხაროებიც სახლებზე უფრო ადრეული ჩანს. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ნამოსახლარზე დაფიქსირებული სტრატეგრაფია. მაგ. № 1 ხარო ჩაჭრილი აქვს № 2 სახლს. № 1 და № 2 ხაროს კედლებზე კი № 3 სახლის ჩრდილოეთი, ზურგის კედელი გადადის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხაროებიდან მოპოვებული მასალები (ტაბ. XI,2,3,20,30,32,35,41) № 10 სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი კერამიკის იდენტურია (ტაბ. X,20,24,45). ეს კერამიკა კი სახლებში დაფიქსირებული კერამიკის მსგავ-

სია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი ობიექტები თანადროულია და ერთ კულტურულ ფენას მიეკუთვნება, რომელიც რამდენიმე სამშენებლო დონეს შეიცავს. ზედა ფენის რამდენიმე სამშენებლო დონეზე სახლების სტრატეგრაფიაც მიუთითებს. მაგ. №№ 2,3 სახლებისა და №№ 1,2 ხაროების, შესწავლამ გვიჩვენა, რომ № 3 სახლი № 2 სახლის დანგრევის შემდეგ არის გამართული; № 3 სახლი კი № 1 და № 2 ხაროებზეა გამართული; № 5 სახლი № 4 სახლის დანგრევის შემდეგაა გამართული. № 5 სახლის სამხრეთი კედელი № 4 სახლის ჩრდილოეთ, ზურგის კედელზეა აგებული; № 4 სახლი რამდენჯერმე გადაუკეთებიათ. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე სამჯერ ჩანს კაპიტალურად შეკეთებული (გამოვლენილია სამი დონე, იხ. სახლის აღწერილობა).

**ძეგლის თარიღი.** დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალების ანალიზი, რომელიც ჩვენს მიერ ადრე შესწავლილი თანადროული მასალების ფორმალურ-ტიპოლოგიურ და სტილისტურ ანალიზებს ეყრდნობა [ნარიმანიშვილი გ., შატბერაშვილი ვ. 2002; Нариманишвили Г. 1991; Narimanišvili G. 2000; Narimanishvili G., Shatberashvili V. 2004]. დარაკოვის ნამოსახლარის ქვედა ფენის სამეურნეო ორმოებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ძირითადი ნაწილი შავადაა გამომწვარი, რომელთა ზედაპირი გაპრიალებული ან ნაკანრი ორნამენტითაა შემკული (ტაბ. X,1-17,49,50; ტაბ. XI,4,6,8-18,23). მრავლად გვხვდება უხეშკეციანი, ხელით ნაძენი ტაფისებური ჭურჭლები (ტაბ. X,21,25,28,31,38; XI,42). ორმოების კერამიკა სახლებში აღმოჩენილი მასალებისაგან განსხვავდება როგორც კეცის სტრუქტურით, ისე გამოწვის ტექნიკით, ფორმითა და ორნამენტით. ორმოებში აღმოჩენილი კერამიკის ფორმა და ორნამენტი რკინის ფართო ათვისების ხანაში გავრცელებულ თიხის ჭურჭელთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ორმოები პრაქტიკულად არ შეიცავენ ნითლად გამომწვარ კერამიკას (გარდა № 10 ორმოსი, ტაბ. X,20). სახლებში აღმოჩენილი კერამიკა მკვეთრად განსხვავდება ორმოებში აღმოჩენილი კერამიკისაგან. სახლების არტეფაქტების აბსოლუტური უმრავლესობა ნითლადაა

გამომწვარი. მათი ნაწილი შეღებული ან მოხატულია წითელი საღებავით. გვხვდება თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლებიც. დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წითელი საღებავით შეღებული და მოხატული კერამიკა. ასეთი სტილის კერამიკის გავრცელება აქემენიდური კულტურის გავლენით არის ახსნილი [დანვრილებით იხ. ნარიმანიშვილი გ. 1993; ნარიმანიშვილი გ. 1994; ნარიმანიშვილი გ., ხიმშიაშვილი კ. 1993; მახარაძე ზ., ნარიმანიშვილი გ. 2001; ნარიმანიშვილი გ., შატბერაშვილი ვ. 2002; Нариманишвили Г. 1991; Narimanišvili G. 2000]. მოხატული კერამიკის უძველესი ნიმუშები საქართველოს ტერიტორიაზე ქვემო ქართლში, არუხლოს ნამოსახლარის ძვ.წ. IV ათასწლეულის ფენებშია აღმოჩენილი [ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. 1962; Гогелия Д., Челидзе Л. 1991:11]. მოხატული კერამიკის ცალკეული ნიმუშები ძვ.წ. III ათასწლეულშიც გვხვდება [Шаншашвили Н. 2007]. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ასეთი კერამიკა ფართოდაა გავრცელებული [ჯაფარიძე ო. 1969:122-129]. შემდგომში, დაახლოებით ათასი წლის მანძილზე კი აღარ გვხვდება. ამ დიდი პაუზის შემდეგ, ქართლის ტერიტორიაზე მოხატული კერამიკა აქემენიდურ ხანაში გამოჩნდა და ძვ.წ. IV-III სს-ში იმდენად გავრცელდა, რომ ამ პერიოდს მოხატული კერამიკის ხანასაც უწოდებენ [Гагошидзе Ю. 1979:90]. ძვ.წ. II ს-დან მოხატული კერამიკის წილი თანდათან მცირდება ისე, რომ ახ.წ. II საუკუნისათვის ის პრაქტიკულად ქრება. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. V-I სს-ის მოხატული კერამიკის უდიდესი ნაწილი მონოქრომულია. ნახატი წითელი საღებავითაა შესრულებული. პარალელურად გვხვდება თეთრი საღებავით მოხატული ჭურჭლები [Нариманишвили Г. 1991]. პოლიქრომული კერამიკის რამდენიმე ნიმუში ციხიაგორასა და ნასტაკისშია ნაპოვნი.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ.წ. V-I სს-ით დათარიღებული წითლად მოხატული კერამიკის სტილისტური ანალიზის მიხედვით ამ მასალაში ოთხი ძირითადი სტილი შეიძლება გამოიყოს: 1) სამკუთხედების სტილი; 2) სამადლოს სტილი; 3) კაზრე-

თის სტილი; 4) სამთავროს სტილი [Narimanišvili G., Shatberashvili V. 2004]. სამკუთხედების სტილის მოხატული კერამიკა საქართველოს ტერიტორიაზე პირველად ქვემო ქართლში ბ. კუფტინის მიერ სოფ. კუმშიში იქნა აღმოჩენილი [Куфтин Б. 1948:7-10], რომელიც დარაკოვის ნამოსახლარიდან ხუთიოდე კილომეტრითაა დაცილებული. XX ს-ის 50-იანი წლებიდან მოხატული კერამიკის მრავალი ნიმუში აღმოჩნდა. გაითხარა სამაროვნები და მრავალფენიანი ნამოსახლარები (ჩხიკვთა, თეთრინყარო, შავსაყდარა, ეცო, ბემთაშენი, უფლისციხე, სამადლო, ნასტაკისი, ციხიაგორა, ვარსიმაანთკარი და სხვ.), სადაც წითლად მოხატული კერამიკა დომინირებდა [რამიშვილი რ. 1998; მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. 2004]. დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული წითელი საღებავით მოხატული ჭურჭლები (ტაბ. VII) სამკუთხედების სტილის კერამიკას შეესაბამება. ქართლში სამკუთხედებით მოხატული კერამიკის გამოჩენას მკვლევარები ძვ.წ. V ან IV ს-დან ვარაუდობენ. აზრთა სხვადასხვაობაა მოხატული კერამიკის წარმომავლობისა და გავრცელების გზების შესახებაც [დანვრილებით იხ. Нариманишвили Г. 1991]. ჩვენი აზრით, ამ ორნამენტის ქართლის ტერიტორიაზე დამკვიდრებას ორი პირობა განსაზღვრავდა. წითელკეციანი კერამიკის წითელი საღებავით მოხატვა და შეღებვა უთუოდ აქემენიდურ ირანთან ურთიერთობის შედეგია, თუმცა სამკუთხედების სტილის ფართოდ გავრცელებას და ადგილობრივ წარმოებას ხელი შეუწყო გვიანბრინჯაორკინის ხანაში ქართლში დამკვიდრებულმა ნაცრისფრად ან შავად გამომწვარი კერამიკის შემკობის ადგილობრივმა სამკუთხედების სტილმა, რომლისთვისაც ნაკანრი ან ნაპრიალები ბადისებური ორნამენტით ან ირიბი ხაზებით შევსებული სამკუთხედებია დამახასიათებელი. ეს უკანასკნელი ძალზე ახლოს დგას წითელი საღებავით მოხატული კერამიკის სამკუთხედების სტილთან. მიმაჩნია, რომ მოხატული და საერთოდ წითელკეციანი კერამიკა ქართლში აქემენიდური ეპოქის იმ მონაკვეთში უნდა გავრცელებულიყო, როდესაც აქემენიდებმა ახლადჩამოყალიბებული იმპერიის ჩრდილოეთი საზღვრების გამაგრე-

ბას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს. ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიაში აქემენიდური კულტურის გავრცელება ძვ.წ. 522-521 წლების შემდეგ უნდა დაწყებულიყო, როდესაც ამ მიმართულებით აქემენიანთა სამხედრო აქტივობამ პიკს მიაღწია. როგორც ჩანს, ძვ.წ. 515 წლისათვის, როდესაც დარიოს I-მა თრაკია დაიპყრო და სკვითიაში ლაშქრობა წამოიწყო, აქემენიდური ირანის პოლიტიკური გავლენა სამხრეთ კავკასიაზე უკვე დამყარებულია. ამ პერიოდს უნდა ემთხვეოდეს დარაქოში დასახლების გაჩენა, რომელმაც ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებამდე იარსება. დარაკოვის ნამოსახლარის სტრატეგრაფია და მოპოვებული არტეფაქტები აშკარად მიუთითებს, რომ მოხატული კერამიკა ქართლში ძვ.წ. VI ს-ის მიწურულს თუ არა ძვ.წ. V ს-ის დასაწყისში უკვე უნდა შემოსულიყო ყოფაში.

ამდენად, დარაკოვის ნამოსახლარის ზედა ფენა, სახლებში, სამეურნეო ორმოებსა და ხაროებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ძვ.წ. V-IV სს შუა ხანებით თარიღდება. ქვედა ფენა კი ძვ.წ. VI ს-ს მიეკუთვნება.

**დასკვნა.** ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან ქართლის თიხის ჭურჭლის ფორმებსა და ტექნოლოგიაზე ირანული კერამიკის გავლენა შეინიშნება. ქართლის ტერიტორიაზე, მათ შორის დარაკოვის ნამოსახლარზე, გვხვდება ირანული სამყაროსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური, ჩაიდნისებური ჭურჭელი - იბრიყი. ვრცელდება ნითლად შეღებილი და მოხატული თიხის ჭურჭელი. ეს უკანასკნელი აქემენიდური ირანის ტერიტორიაზე გავრცელებული "სამკუთხედებით მოხატული" კერამიკის გავლენითაა დამზადებული. მკვლევართა ერთი ნაწილისაგან განსხვავებით, ძვ.წ. VI-V სს-ში ქართლის ტერიტორიაზე ამ სტილის კერამიკის გაჩენას ჩვენ აქემენიდური ირანიდან ვვარაუდობთ [Нариманишвили Г. 1991].

ქართლისა და საერთოდ სამხრეთ კავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო გზებზე მდებარეობა და სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობა რეგიონის პოლიტიკურ მდგომარეობასა და სტატუსს განაპირობებდა. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა კავკასიას, აღმოსავლეთ ანატოლიასა და აღ-

მოსავლეთ ხმელთაშუაზღისპირეთს შორის, შესაძლოა, ზედა პალეოლითშიც არსებობდა. ეს ურთიერთობა, ქრონოლოგიური ნყვეტილებით, გრძელდებოდა უკერამიკო და კერამიკული ნეოლითის, აგრეთვე ენეოლითის ეპოქაში. თუმცა რეგულარულ სააღებ-მიცემო ურთიერთობას ადრებრინჯაოს ხანაში ეყრება საფუძველი. ძვ.წ. 4000-3250 წწ-ში იწყება საერთაშორისო ურთიერთობა მახლობელ აღმოსავლეთში. უძველეს სავაჭრო ობიექტს ობსიდიანი წარმოადგენდა. ობსიდიანით ვაჭრობა შეცვალა სპილენძით ვაჭრობამ. ლითონი გადიოდა იგივე ტრადიციული საკომუნიკაციო გზებით, თუმცა შეიცვალა სატრანსპორტო საშუალებები. გაჩნდა ბორბლიანი ტრანსპორტი, რამაც სავაჭრო კავშირურთიერთობებში ძირეული ცვლილება მოახდინა. წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის გაზრდასთან არის დაკავშირებული სამხრეთ კავკასიაში თრიალეთის კულტურის (ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი - ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი) დაწინაურება. შუა ბრინჯაოს ხანაში ისევ არსებობდა ის სავაჭრო გზა, რომელიც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში სამხრეთ კავკასიას (მტკვარ-არაქსის კულტურა) სირია-პალესტინასთან (კერბეთ-კერაქის კულტურა) აკავშირებდა [მანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ. 2007].

გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში კავკასიის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო იზრდება. ამ ეპოქის წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალებში ასახულია მითანის, ასურეთის, ურარტუს და მიდიის სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური აქტივობა. ასევე ნათლად ჩანს, კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრები ნომადური ტომების დაინტერესება სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სიმდიდრეებით. მათი ინტენსიური სვლა სამხრეთისაკენ ძვ.წ. VIII ს-ის მიწურულს იწყება, რამაც ამ რეგიონში დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია. ძვ.წ. VIII ს-ის მიწურულს ურარტუს მეფე რუსა I სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შემოჭრილ კიმერიელებს შეებრძოლა და დამარცხდა. ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრისათვის კიმერიელები ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

ამავე დროს გამოჩნდნენ სკვითებიც. წინა აზიაში სკვითების შემოსვლის სამ ეტაპს გამოყოფენ: პირველი – ეს არის კიმერიელების გამოჩენა ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოს; მეორე ეტაპი დაიწყო ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებში, როდესაც სკვითები ჩრდილოეთიდან შემოვიდნენ; მესამე კი აქემენიდური სპარსეთის ჩამოყალიბების საწყის ეტაპს ემთხვევა, როდესაც ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებში საკების ტომი ცენტრალური აზიიდან შემოჭრა [Пиотровский Б. 1949:130].

კავკასიის ქედის ჩრდილოეთით, სტეპებში ბინადარი ნომადური ტომების სწრაფვა სამხრეთისაკენ და წინა აზიის ცივილიზაციების დაინტერესება კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეებით, კარგად არის ასახული არქეოლოგიურ მასალაში. სამხრეთის ცივილიზაციების ბრძოლას ჩრდილოელ ნომადებთან ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს დაპირისპირება განსაკუთრებით რელიეფურად აქემენიდური ირანის შექნის საწყის ეტაპზე წარმოჩნდა. მომთაბარეების განეიტრალება და ჩრდილოეთი საზღვრების დაცვის ორგანიზება აქემენიდების ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა, რასაც ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად მიაღწიეს. მომთაბარეებთან ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ აქემენიდი მეფეები ამ ლაშქრობებს უშუალოდ ედგნენ სათავეში. ძვ.წ. 550 წელს სპარსელებისა და მიდიელების შორის წარმოებულ ომი დასრულდა და წარმოიქმნა აქემენიდური ირანის სახელმწიფო. 549-548 წლებში სპარსელებმა დაიპყრეს ის ქვეყნები, რომლებიც მიდიის შემადგენლობაში შედიოდნენ. კერძოდ, პართია, ჰირკანია და არმენია. 545-539 წწ კიროს II-მ აღმოსავლეთ ირანის და ცენტრალური აზიის ნაწილის (დრანგიანა, მარგიანა, ხორეზმი, სოგდიანა, ბაქტრია და ცენტრალურ აზიაში მცხოვრები საკები) დამორჩილება შეძლო [Дандамаев М. 1985]. მომთაბარეთა მუდმივი თავდასხმები აქემენიდური ირანის შემადგენლობაში შემავალ მინათმოქმედ ხალხს მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა, ამიტომ კიროს II-მ ცენტრალურ აზიაში, მდ. ამუდარიის გაყოლებით, საზღვრისპირა გამაგრებული დასახლებების მთელი რიგი შექმნა, რამაც მას

საშუალება მისცა 539 წელს ბაბილონის წინააღმდეგ გაელაშქრა [Дандамаев М., Луконов В. 1980]. ცენტალურ აზიაში კიროსის მიერ გატარებული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხე იმდენად დიდი იყო, რომ კიროს II წინა აზიის ქვეყნების დამორჩილების შემდეგ ისევ ჩრდილო-აღმოსავლეთით იბრძვის. ძვ.წ. 530 წელს კიროსმა ეგვიპტეში ლაშქრობა გადადო და მასაგეტების წინააღმდეგ გაილაშქრა. ეს ბრძოლა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. კიროსის სიკვდილის შემდეგ აქემენიდურ ირანს კამბიზი (ძვ.წ. 530-522 წწ.) განაგებს. იგი მასაგეტების წინააღმდეგ კიროსთან ერთად იბრძოდა. კამბიზის მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრების გამაგრების შესახებ წერილობითი წყაროები არაფერს არ გვაუწყებენ. თუმცა, სავარაუდოა, რომ კამბიზმა მხოლოდ ცენტრალური აზიის საზღვრების გამაგრების შემდეგ ილაშქრა ეგვიპტეში. ცნობილია, რომ მან ეგვიპტური კამპანია გამეფებიდან მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ წამოიწყო [Дандамаев М. 1985]. დარიოს I (ძვ.წ. 522-486 წწ.) გამეფებისთანავე ბაბილონი აუჯანყდა. ძვ.წ. 522 წლის მინურულისათვის მთელი იმპერია აჯანყებებმა მოიცვა, რამაც განსაკუთრებით მასიური ხასიათი ცენტრალური აზიის პროვინციებში მიიღო. დარიოსს განუდგნენ მარგიანა, პართია, სატაგიდია და საკები. ბაქტრიის სატრაპმა დადარშიშმა სისხლში ჩაახშო აჯანყება მარგიანაში და ის ბაქტრიის სატრაპიას შეუერთა. ამ ბრძოლებმა აქემენიდური ირანის ცენტრალურ აზიაში გამავალი საზღვრის უსაფრთხოება უზუნველყო.

აქემენიდთა იმპერიის უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ხაზი კავკასიის ქედზე გადიოდა. ამიტომ, აქემენიდთა ძირითად მიზანს ამ მიმართულებიდან ნომადების შემოჭრის საფრთხის აცილება წარმოადგენდა. სამხრეთ კავკასიისა და ირანული სამყაროს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა კარგადაა ასახული როგორც წერილობით წყაროებში, ისე არქეოლოგიურ მასალაში. ირანში მიმდინარე პროცესები გარკვეულ გამოხმაურებას კავკასიაშიც ჰპოვებდა. ამ ურთიერთობას ინტენსიური, ამასთან სპორადუ-



ლი ხასიათი ჰქონდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი აქემენიდური ირანის წარმოქმნისთანავე იწყება. ამ დროს სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ჩნდება ახალი ტიპის კერამიკა – მილიანი და ნისკარტიანი ხელაღები, მაღალყელიანი დოქები, პროფილირებული და შვერილიანი ჯამები. ამავე დროს ვრცელდება წითელკეციანი კერამიკა, რომელთა დიდი ნაწილი შეღებილი ან მოხატულია წითელი საღებავით. ამ ტიპის კერამიკის გავრცელება ირანიდან ივარაუდება და დარიოს I-ის ჩრდილოეთ რეგიონებში მოღვაწეობას უკავშირდება [ნარიმანიშვილი გ. 1994:20].

სამხრეთისა და ჩრდილოეთის დაპირისპირებისას განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა კავკასიის გადმოსასვლელების კონტროლს ენიჭებოდა. სამხრეთ კავკასიაში აქემენიდების გააქტიურება მაშინ უნდა დაწყებულიყო, როდესაც ძვ.წ. 522-521 წლებში დარიოსის სარდლებმა ხუთი ბრძოლის შემდეგ დაიმორჩილეს არმენია. არმენიაში აჯანყების ხასიათზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ვ. სტრუვეს აზრით აჯანყება მოაწყვეს არა სომხებმა, არამედ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა სკვითებმა. ი. დიაკონოვი ფიქრობს, რომ ისინი ეთნიკური სომხები იყვნენ [Дьяконов И. 1956]. გ. ლაფანციანი თვლის, რომ ბუნტი ხაიასას ტომების მოძრაობასთან იყო დაკავშირებული [Кафанян Г. 1956]. ბეჰისტუნის წარწერა აჯანყებულებს და მათ ბელადს სახელით არ მოიხსენიებს, იქ მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ არმინა აჯანყებამ მოიცვა. ამის საფუძველზე მ. დანდამაევი ფიქრობს, რომ ტომობრივი კუთვნილება იმდენად ცხადი იყო, რომ წარწერის შემდგენელმა საჭიროდ არ ჩათვალა ამის აღნიშვნა [Дандамаев М. 1985].

ძვ.წ. 519 წელს დარიოსი კვლავ მომთაბარეთა, წვეტიანქუდიანი საკების წინააღმდეგ იბრძვის და ამარცხებს მათ. მხოლოდ ჩრდილოეთი საზღვრების საფუძვლიანი გამაგრების შემდეგ, 518 წელს მიდის ეგვიპტის აჯანყებული სატრაპის დასასჯელად. ძვ.წ. 515 წელს კი დარიოსმა დაიპყრო თრაკია. მდ. დუნაიზე ხიდი ააგო და ორგანიზება გაუკეთა მის დაცვას, რითაც, მან სკვითიაში შეჭრისათვის ყველა პირობა მოამზადა.

საფიქრებელია, რომ კავკასიის ქედზე არსებული გადმოსასვლელებზე კონტროლის დაწესების გარეშე დარიოსი სკვითიაში ლაშქრობას არ დაიწყებდა. მით უმეტეს, რომ ჰეროდოტეს ცნობით “დარიოსმა განსაზღვრა დაესაჯა სკვითები, რადგან ისინი უწინ შემოიჭრნენ მიდიაში ...” [Hdt, IV,1]. ასევე საინტერესოა ერთი ისტორია, რომელსაც ჰეროდოტე მარათონის ბრძოლის აღწერისას მოგვითხრობს: მას შემდეგ, რაც დარიოსი შეიჭრა სკვითების ქვეყანაში, სკვითებს უნდოდათ მისთვის სამაგიეროს გადახდა, ამიტომ გაგზავნეს სპარტაში კაცები, რომ ისინი მოკავშირეებად გაეხადათ და შეთანხმებულიყვნენ იმაზე, რომ სკვითები შეეცდებოდნენ მიდიაში შეჭრას მდინარე ფაზისის გასწვრივ, ხოლო სპარტელებს შეუთვალეს დაძრულიყვნენ ეფესოდან, გაჰყოლოდნენ გზას ქვეყნის შიგნით და შემდეგ აქ სადმე შეხვედროდნენ სკვითებს [Hdt, VI,84]. ჰეროდოტეს ამ მონათხრობიდან კარგად ჩანს, რომ სკვითებმა და სპარსელებმა კარგად იციან კავკასიონზე არსებული გადმოსასვლელები და მათი მნიშვნელობა. ამიტომ, წარმოუდგენელია დარიოსს არ გაეთვალისწინებინა კავკასიის ქედზე არსებული გადმოსასვლელები და ისე წამოეწყო დიდი სამხედრო ოპერაცია.

სკვითიაში ლაშქრობის მიზანს მომთაბარე ტომების ნეიტრალიზება წარმოადგენდა, რადგანაც ჩრდილოეთში მცხოვრები ნომადური ტომები აქემენიდებს არა მხოლოდ სხვა მიმართულებით (ბაბილონი, ეგვიპტე და სხვ.) მოქმედებაში უშლიდნენ ხელს, არამედ თვით იმპერიის არსებობას უქმნიდნენ საფრთხეს. დარიოსის ლაშქრობის ძირითადი ამოცანა სტეპებში მცხოვრებ ნომადების იმდენად დასუსტება იყო, რომ მათ ვერ შეეფერხებინათ ცივილიზებული აღმოსავლეთის განვითარება. ამ მიზნის მიღწევა დიდი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამ გეგმაში კი აქემენიდური ირანის ჩრდილოეთი საზღვრების სათანადო გამაგრებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ სკვითიაში შეჭრის მომენტისათვის არსებობდა ძლიერი თავდაცვითი ზღუდე,

რომელიც ცენტრალური აზიიდან იწყებოდა, მოიცავდა კავკასიას და თრაკიაში მთავადებოდა. ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის შესაკავებლად შექმნილი თავდაცვითი ხაზი მდ. ამუდარიაზე, კავკასიის ქედზე და მდ. დუნაიზე გადიოდა. თრაკიაშიც სწორედ ამ დროს მდიდრული სამარხები ჩნდება [Kull B. 2000:469].

წერილობითი წყაროების მიხედვით ჩანს, რომ აქემენიდურ ირანსა და სამხრეთ კავკასიის ხალხებს სხვადასხვა ხასიათის ურთიერთობა ჰქონდა. სამხრეთ კავკასიის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი აქემენიდური იმპერიის ძლიერ პოლიტიკურ გავლენას განიცდიდა; აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი სატრაპიები იყო, რომლებიც უშუალოდ შედიოდა იმპერიის საზღვრებში. ჰეროდოტეს ცნობებზე დაყრდნობით, სამხრეთ კავკასიის ხალხები აქემენიდებმა სამ სატრაპიაში (XI, XVIII, XIX) გააერთიანეს. “კასპიები, პავსიკები, პანტიმათები და დარეიტები ერთად იყვნენ დახარკულები და იხდიდნენ 200 ტალანტს, ესაა მეთერთმეტე სატრაპია“ [Hdt. III,92]. “მატიენებს, სასპეირებსა და ალაროდიელებს შეწერილი ჰქონდათ 200 ტალანტი. ესაა XVIII სატრაპია“. “**მოსხებს**, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინიკებსა და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი. ესაა მეცხრამეტე სატრაპია“ [Hdt. III,94]. ქართველური ტომების მცირე ნაწილი შეიძლება XIII სატრაპიაში, რომელშიც შედიოდა პაქტიიკე, არმენიელები და მათი მეზობლები [Hdt. III,93], მოხვდა. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ X სატრაპიის ჩრდილოეთი საზღვარი მდ. ხრამისა და მდ. მტკვრის შესართავიდან მდ. მტკვრისა და არაქსის შესართავამდე გადიოდა. უკანასკნელ წლებში ფ. ტერ-მარტიროსოვმა XV სატრაპია (საკები და კასპიები), რომელსაც მანამდე ცენტრალურ აზიაში ათავსებდნენ, სამხრეთ კავკასიის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის სანაპიროზე მოათავსა [Ter-Martirosov F. 2000:248].

წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ კოლხებმა აიცილეს აქემენიანთა ბატონობა. საინტერესოა ჰეროდოტეს ცნობა, რომლის მიხედვითაც კოლხები

დარიოსის დროს, ხუთ წელიწადში ერთხელ, ას ყმანვილსა და ქალიშვილს უგზავნიდნენ აქემენიდებს [Hdt. III,97], ქსერქსეს დროს კი მონაწილეობდნენ ლაშქრობებში [Hdt. VII,79]. გ. მელიქიშვილის აზრით, კოლხები ამ ვალდებულებას ჰეროდოტეს (ძვ.წ. 484-425 წწ.) დროსაც ასრულებდნენ [Меликишвили Г. 1959:238]. აქემენიდურ ირანთან ქართლის ურთიერთობის შესახებ წერილობით წყაროები პრაქტიკულად არ მოიპოვება. გვაქვს პლუტარქეს ცნობა, რომლის მიხედვით “იბერები არ ემორჩილებოდნენ არც სპარსელებს, არც მიდიელებს და მაკედონელთა უღელიც აიცილეს“ [Plut., Pomp. XXXIV]. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქემენიდური ირანის საზღვრები კავკასიის ქედს აღწევდა [Гагошидзе Ю. 1979:79; Jacobs B. 2000:93-102; Ter-Martirosov F. 2000:243-252]. მეცნიერთა ნაწილი ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ იზიარებს [ლორთქიფანიძე ოთ. 1985:146-151; Lordkipanidze O. 2000].

აქემენიდური სატრაპიების საზღვრების შესახებ მრავალი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება არსებობს. თითქმის ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ XI სატრაპიას აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვა, ჩრდილოეთიდან კი კავკასიონი საზღვრავდა. სამხრეთი საზღვარი კი მდ. არაქსზე გადადიოდა და მიდიის საზღვარს აღწევდა. ყველაზე რთული განსასაზღვრია დასავლეთი საზღვარი, რომელიც გ. ტირაციანის აზრით მდ. მტკვრისა და მდ. ხრამის შესართავამდე აღწევდა [Тирация Г. 1981]. უფრო რთულია XIII და XVIII სატრაპიების საზღვრების დადგენა და მათი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხების კვლევა. გ.ტირაციანი მიიჩნევს, რომ აქემენიდთა XVIII სატრაპია არმენიის ზეგნის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ოლქებს ფარავდა და მისი ერთ-ერთი ცენტრი ყოფილი ურარტული ქალაქი ერებუნი იყო [Тирация Г. 1988:53].

არმენიის სატრაპიის სამხრეთი საზღვარი ქსენოფონტეს მიხედვით მდ. კენტრიკთან გადის [Xenophontis, IV,III,4; IV,IV,2]. ბერძნები მდ. ტიროსის გადალახვის შემდეგ დასავლეთ არმენიაში შევიდნენ [Xenophontis, IV,IV,4]. ამ

ფრაგმენტის მიხედვით ფიქრობენ, რომ ქსენოფონტი ორ არმენიას ასახელებს – ერთია “არმენია“, რომელსაც ორონტი მართავს, მეორეა “დასავლეთი არმენია“, რომლის მმართველი ტირიბაზია. გ. ტირაციანის აზრით ქსენოფონტის მონაცემები არმენიის ადმინისტრაციული დაყოფის ძვ.წ. V ს-ის მიწურულის მდგომარეობას ასახავს. თუმცა, მისი აზრით, არსებობდა უფრო ადრეული დაყოფაც. ჰეროდოტეს მონაცემებზე დაყრდნობით გ. ტირაციანი თვლის, რომ დარიოსის დროს ჩატარებული ადმინისტრაციული დაყოფის დროს არმენიის ზეგანზე ორი სატრაპია – XIII და XVIII ჩამოყალიბდა. გ. ტირაციანი წერს: „თუ XIII სატრაპია, ცენტრით ვანში მოიცავდა, როგორც უნდა ვიფიქროთ არმენიის სამეფოს ყოფილ მიწებს, რომელიც VI ს-ის 20-იან წლებში განადგურდა; XVIII სატრაპიის ლოკალიზება მიღებულია არმენიის ზეგნის ჩრდილოეთ ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში, რომლებიც ჰეროდოტეს ცნობების მიხედვით ამ სატრაპიაში შემავალი სასპერების, ალაროდიებისა და მათიენების საცხოვრებელი იყო [Тирация Г. 1988:68, 69]. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ჰეროდოტე ორ არმენიას ან არმენიის ორად გაყოფას არსად არ ახსენებს და ორივე სატრაპიაში შემავალი ხალხებსაც კონკრეტულად ასახელებს - XIII სატრაპიაში შედის პაქტიიკე, არმენიელები და მათი მეზობლები [Hdt, III,93], XVIII სატრაპიაში კი “მატიენები, სასპერები და ალაროდიელები [Hdt, III, 94] შედიან. ორონტის სამფლობელოების განხილვისას გ. ტირაციანი აღნიშნავს, რომ ორონტის არმენიაში სატრაპიის ადგილსამყოფელი სოფელშია, მას წარმოუდგენლად მიაჩნია სატრაპს მხოლოდ ერთი რეზიდენცია ჰქონოდა, ისიც მის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. მისი აზრით, პირველი და მთავარი ცენტრი ქ. ვანში უნდა ყოფილიყო [Тирация Г. 1988:66]. მაგრამ ქ. ვანი, როგორც ჩანს, XVIII სატრაპიაში შემავალი ალაროდიელების ადმინისტრაციული ცენტრი უფრო იყო, ვიდრე არმენიელებისა, რადგან ამ ეპოქაში ალაროდიელები ჩანან ურარტუელების მემკვიდრეებად, ხოლო არმენები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ჯერ დამკვიდრებულები არ არიან,

შესაბამისად სხვა (XIII) სატრაპიაში შედიან. ჰეროდოტეს ცნობების მიხედვით არმენიის მმართველი ორონტი სატრაპიის მმართველი კი არ ჩანს, არამედ მისი ერთ-ერთი ოლქის გამგებელია. არმენიის სატრაპიის უმაღლესი ხელისუფალი კი, მეფისნაცვალი ტირიბაზია. ამაზე მიუთითებს “ანაბასის“ ის ნაწილი, სადაც ჩამოთვლილია მეფის მოადგილეები და ოლქები, რომელთა ტერიტორიაზეც გაიარეს ბერძნებმა [Xen., Anab. VII, 8, 25]. ამ ჩამონათვალში სატრაპია არმენია საერთოდ არ არის ნახსენები, ტირიბაზი კი ფასიანებისა და ჰესპერიტების (სასპერები) მმართველად დასახელებული. ტირიბაზის პროვინციის ჩრდილოეთი საზღვარი კი სადღაც ძველი ქართული ტაოს ტერიტორიაზე (იმერ ტაო) გადიოდა. აქ მთავრდებოდა “სპარსეთის ქართლი“ და “სპარსეთის კოლხეთი“. მათზე ჩრდილოეთით მცხოვრები ქართული მოსახლეობა თავისუფალია აქემენიდური იმპერიისადმი უშუალო დამოკიდებულებისაგან [მელიქიშვილი გ. 1970:435].

ამ პერიოდში მიმდინარე ისტორიული პროცესები შემდეგნაირად წარმოგვიდგება. დაახლ. 590 წელს მიდიელებმა ბოლო მოუღეს ურარტუს სახელმწიფოს. ამ ბრძოლების შედეგად, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამხრეთ კავკასიის ხალხებიც, ურარტუს ჩრდილოეთი რეგიონები სასპერების ძლიერი გაერთიანების შემადგენლობაში შევიდა. ამდენად, სასპერები კონტროლს უწევენ ტერიტორიას კოლხეთსა და მიდიას შორის. გ. მელიქიშვილის აზრით ჰეროდოტეს მონაცემებში ასახულია მიდიის ძლიერების ხანა, ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრის მდგომარეობა. სასპერების აღმოსავლურქართული გაერთიანების ცენტრი სპერის ოლქში მდებარეობდა. ეს ის რეგიონია, რომელიც უფრო ადრე დიაუხი-დაიაენის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამდენად, სასპერების გაერთიანება სწორედ ამ სამეფოს მემკვიდრეა [Меликишвили Г. 1959:233]. მიდიის ძლიერების ხანაში კი თვითონაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულად ყალიბდება. ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. V ს-ის დასაწყისში ჰეროდოტეს მიხედვით ამ ტერიტორიას ისევ სასპერები განაგებენ, რომლებიც უკვე

აქემენიდური იმპერიის XVIII სატრაპიაში შედიან. ასეთი მდგომარეობა ჩანს ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისამდე. ქართლის ეს ნაწილი უნდა იყოს “არიან ქართლი”, რომელიც შემდგომში ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობს.

სომხურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ XVIII სატრაპიის ტერიტორია არმენიის სატრაპიას ეკუთვნოდა. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ურარტუს სახელმწიფოს დაცემის შემდეგ შეიქმნა არმენიის დიდი სამეფო, რომელიც ძვ.წ. 530 წლამდე დამოუკიდებელი იყო და მისი ჩრდილოეთი საზღვარი მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე მიდიოდა. ეს ტერიტორიები, მოგვიანებით, არმენიის სატრაპიაში შევიდა [Тирацян Г. 1981; Ter-Martirosov F. 2000:244]. გ. ტირაციანი თვლიდა, რომ არმენიის სატრაპიის საზღვრები ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებიდან ძვ.წ. IV ს-ის ბოლომდე უცვლელი რჩებოდა [Тирацян Г. 1981]. ასეთი მოსაზრება გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნიდა, რადგან ჰეროდოტეს ცნობების მიხედვით სატრაპია არმენია მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან კი არა, მდ. არაქსის ნაპირებთანაც ვერ გადიოდა. ამიტომ, ფ. ტერ-მარტიროსოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ არმენიის სატრაპია ძვ.წ. 484-480 წწ-ში ორ - XIII და XVIII სატრაპიად დაიყო [Ter-Martirosov F. 2000:247]. მისი აზრით XVIII სატრაპიასაც არმენია ეწოდა, რაც არცერთი წყაროს მიხედვით არ დასტურდება.

მ. მაქსიმოვას აზრით, არმენებს მდ. ევფრატის ორ ზემო ტოტს შორის მოქცეული ტერიტორია ეკავათ. მოგვიანებით არმენები გავრცელდნენ უფრო აღმოსავლეთით, სადაც ვანისა და ურმიისპირეთი დაიკავეს [Xen., Anab. 1951:270, შენიშვნა 7]. გ. მელიქიშვილის აზრით, ურარტუს დაცემის შემდეგ, მისი დასავლეთი რეგიონების ინტენსიურ ათვისებას იწყებენ არმენები (სომხები). ქვეყანა ჰაიასა და ზუხმა – ხეთური წყაროებით, სუხმი (სოხმი) – ასირიული წყაროებით, რომელიც მდ. აღმოსავლეთ ევფრატსა (მურად სუ) და დასავლეთ ევფრატის ზედა დინებას შუა მდებარეობდა. სომხები აღმოსავლეთ ოლქებშიც იწყებენ შეღწევას. სამხრეთით ისინი სახლდებიან შუპრიას (ოლქი ვანის ტბის დასავ-

ლეთით) ხურიტულ ოლქში, რომელსაც ურარტული წყაროები ქვეყანა არმე(ნი)თ იცნობენ [Меликишвили Г. 1959:234]. ძვ.წ. 600 წლისათვის ურარტუს ტერიტორიაზე არმენების გადასახლების თეორიას მცდარს უწოდებს ფ. ტერ-მარტიროსოვი. მისი აზრით ურარტუს დაცემის შემდეგ ყალიბდება არმენიის სამეფო და ხდება არმენებისა და სომხურენოვანი ტომების გაერთიანება [Ter-Martirosov Ф. 1995:73].

XVIII სატრაპიის საზღვრების დადგენა ჰეროდოტეს მონაცემების მიხედვით მეტნაკლები სიზუსტით შეიძლება. ჰეროდოტეს ცნობით “მიდიის საგამგებლოსა და ლიდიას შორის საზღვარი იყო მდ. ჰალისი ... მის მარჯვნივ სახლობენ მათიენები, მეორე მხარეს კი ფრიგიელები“ [Hdt, I,72]. ისინი არიან არმენიელების მეზობლად და მათ მეზობლად არის კისიის ქვეყანა [Hdt, V,52]. ჰეროდოტე აქემენიდთა სამეფო გზის აღწერისას აღნიშნავს - “არმენიაში არის 15 დასასვენებელი სადგური 56,5 ფარსანგის მანძილზე და იქვე არის საყარაულოებიც. ... ამ არმენიიდან შევდივართ მათიენეს ქვეყანაში, აქ 34 სადგურია, 137 ფარსანგი“ [Hdt, V,52]. ამდენად, მათიენები მდ. ჰალისზეც არიან, მდ. არაქსის სათავეშიც და მდ. ძაბატეზეც. ეს უკანასკნელი ალბათ მდ. ზაბია. როგორც ჩანს, მათიენები ცხოვრობენ ვანისა და ურმიის ტბებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე და ქ. არბელამდე ჩადიან. მათიენთა ქვეყნის საზღვრიდან ქ. სუსამდე 11 სადგური და 42,5 ფარსანგია [Hdt, V,52]. მათიენებს მეცნიერები ძველი ხურიტულ მითანის სამეფოს მოსახლეობასთან აიგივებენ. გამონაკლისია ფ. ტერ-მარტიროსოვი რომელიც ფიქრობს, რომ შესაძლოა ჰეროდოტე მათიენებს კამბისენას მაცხოვრებლებლად გულისხმობდა [Ter-Martirosov F. 2000:247].

ალაროდოტელები ურარტუს შემორჩენილი მოსახლეობაა, რომლებიც მდ. არაქსის მარჯვენა ნაპირზე და ვანის ტბის მიდამოებში ცხოვრობენ [Меликишвили Г. 1959:266]. XVIII სატრაპიაში სასპერები ყველაზე ჩრდილოეთით ცხოვრობენ. სასპერების უკიდურესი დასავლეთი საზღვარი მდ. ჭოროხის ზედა დინებას, ისტორიული სპერის საზღვარს ემთხვევა [Меликишвили Г. 1959:232]. სასპერები

ჰეროდოტეს ცნობით კოლხებსა და მიდიელებს შორის ცხოვრობენ. “კოლხეთიდან მიდიაში გადასასვლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპეირების ტომი“ [Hdt, I, 104]. “მიდიელებს ზემოთ სასპეირები, სასპეირებს ზემოთ კოლხები“ ცხოვრობენ [Hdt, I, 37]. სასპეირებისა და მიდიელების საზღვარი, “...აგზატანიდან ჩრდილოეთისაკენ და ევქსინის პონტოსკენ. აქ ხომ მიდიელთა ქვეყანა, სასპეირების მეზობლად, ძალიან მთიანი არის“ [Hdt, I, 110]. ჰარპაგმა სწორედ აქ დამალა მიდიის მეფე ასტიაგესაგან განწირული ახალშობილი კიროსი [Hdt, I, 110].

